ჩვენი მწყემსი

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით | ფასი 1,50 ლარი | 3 აპრილი 2015 | №7 (241)



შინაარსი

ერი და ბედისწერა	2	**როსტომ ჩხეიძე ძველი ხიბულას საიდუმლოება** (ზვიად გამსახურდიას ასი დღე)
ბედი კაცისა	15	**თათია შენგელია დაწერილი მაჩვენე!** (ნოდარ წულეისკირის სამარე)
ექსპრეს-ინტერვიუ	17	**მაკა კვერენჩხილაძე-კარტეიზერი „მეტი ქმედება“** (მოამზადა ნატა ვარადამ)
პროზა	18	**თამარ რაზმაძე ქალქვა**
	20	**უჩა ზაქაშვილი ფოკუსი**
პოეზია	24	**ელგუჯა მარღია რობაიები**
დიალოგი	28	**ნანა ქელეხიძე დაგვიანებული საახალწლო და სხვა ლექსები**
პირველი შთაბეჭდილება	30	**ნატა ვარადა ტკივილის დეგუსტატორი**
პოეზია	31	**მალხაზ მაჭავარიანი თბილისის მზის ქვეშ და სხვა ლექსები**
წარსული მომავლისათვის	32	**არჩილ ღიბრაძე ფიქრები ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან ასი წლის თავზე**
პოეზია	34	**თავმას ჩოხელი გული ღელავს და სხვა ლექსები**
მსოფლიო გზებზე	35	**სალომე კაპანაძე კავკასიური ერთიანობა-თვითგადარჩენის უნიკალური კოდი** („ორიოდე სიტყვა“ ზაზა ურუშაძის „მანდარინებზე“)
ჩანახატი	37	**ლალი ურდულაშვილი მზის სიყვარულის საგალობელი** (მარიამ წიკლაურის პოეტური კრებული „მზის დაუჯდომელი“)
უცხოელის თვალით	38	**ჯენიფერ სტეკჰაუსი ანდრეას გრიფიუსი და მისი „ქეთევან ქართველი“**
მოგონებათა სკივრი	44	**ვასილ კიკნაძე გაუნელებელი სევდა** (შეხვედრები სერგო კლდიაშვილთან)
გახსოვდეს აფხაზეთი!	46	**მაკა ჯოხაძე იმედის კუნძული** (კრებული „აფხაზეთი. ლიტერატურა და ხელოვნება“)
	48	**იოსებ ჭუმბურიძე მამის ხმასავით, ავადმყოფი დედის ხელივით...** (აფხაზეთის თეატრალური ყოფა)
რეპორტაჟი	50	**ნინო დეკანოიძე კორნიშელი განდეგილის ქარაგმა** (განხილვა თემურ გაბუნიას წიგნისა „ნამდვილი ბრძოლა“)
კრიტიკა	53	**თამარელა წოწორია სულისტოლა ცერცვისტოლები ანუ ნინო ქადაგიძის საფიქრები**
ლიტერატურული ცხოვრება	57	**გვანცა დევიძე ტრაგიკული ფურცელი**
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ	59	**მარიამ კვერღელიძე ფიქრები „შესანდობრებზე“**
ლიტერატურული ცხოვრება	60	**თეონა სელიმაშვილი „მხოლოდ მისია, მისებრი“** (ეთერ თათარაიძის პოეზიის საღამო)
სილუეტი	61	**გურამ ბენაშვილი ლიტერატურული ვიტრაჟები**
უცხოური ნოველა	66	**ხალიდ ალ-ხამისი ტაქსი**
ამ მთისა და იმ ბარისა	71	**სად აღუფვრი სადით ძირსა**

ჩვენი მწერლობა

ორკვირეული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62
რეკლამა: (995 93) 65 93 68
გავრცელება: (995 92) 25 94 94
ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge

www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2015 წლის 17 აპრილს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი

დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თეგი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ზარი
ირაკლი შუბაშიკელის კომპიუტერული გრაფიკა

როსტომ ჩხეიძე

ძველი ხიბულას საიდუმლოება

(ზვიად გამსახურდიას ასი დღე)

ჟამი აწმყო და ჟამი წარსული
ალბათ არსებობენ მომავალ ჟამში.
ჟამი წარსული შემცველია მომავალისა.
თუ მთელი ჟამი არის აწმყო მარადიული,
ვერარა შესძლებს გამოსყიდვას ჟამიერისას.

ტომას სტერნზ ელიოტი

მკითხველისადმი

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი შემეხმიანებოდა ტელეფონით ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში.

— ჩვენმა კომისიამ მუშაობა დაასრულა და ზვიად გამსახურდიას საქმის დასკვნითი დოკუმენტი უკვე ფეისბუქზეც განვათავსეთ... იქნებ გენახა... გენახა და... რა ვიცი... იქნებ გენახა და...

— მის საფუძველზე რაღაც დავწერო.

ამოისუნთქებდა:

— ჰო, რაღაც ამგვარი მინდოდა მეთხოვა.

— აუცილებლად გავეცნობი და, ეჭვი არ მეპარება, ძალიანაც გამომადგება.

— რაც შეგვეძლო, თავი არავის დაუზოგავს ჩვენი კომისიიდან... მე მგონი, რაღაც გაკეთდა.

— „რაღაც“ მაგრძნობინებს, რომ თვითმკვლელობის ვერსიას საყრდენი ეცლება.

— ასეა... მეორე ვერსია უფრო დამაჯერებლად გამოიყურება მოწმეთა ჩვენებებისა და გამოკითხვების ფონზე... ამდენი წინააღმდეგობისა და შეუსაბამობის არსებობას სხვაგვარად ვერ ახსნი.

— ახლავე მოვიძიებ და გავეცნობი...

ანკი რა მომათმენინებდა, და დავდებდი თუ არა ყურმილს, სასწრაფოდ მოვაძებნინებდი და ამოვაბეჭდინებდი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ამ ვეება დასკვნით დოკუმენტს, რომელსაც გამოცემისას დიდტანიანი წიგნის სახე ექნებოდა. ამოვაბეჭდინებდი და კიდეც ჩავეფლობოდი თავბრუდამხვევ ფანტასმაგორიაში, რომელშიც გზის გაგნება ადვილი არ აღმოჩნდებოდა, მაგრამ იმხელა გამოცდილება შემეძინა 1832 წლის შეთქმულების საგამოძიებო მასალების სამტომეულის შესწავლა-კირკიტით, რომ ბოლომდეც უხიფათოდ გავაღწევდი და ზოგად სურათსაც ხელშესახებად წარმოვისახავდი, მითუმეტეს, რომ სანდო მეგზურად მომევლინებოდა კომისიის თავმჯდომარის ვრცელი ექსკურსები, ის ღრმა ანალიტიკური განსჯა, ფურცელთა ამ ქაოტურ წყებას მტკიცე კალაპოტში რომ მოაქცევდა და... დამოუკიდებელ თხზულებასაც კი დაამგვანებდა.

კვალში ჩაუდგებოდა ტრაგიკულად აღსრულებული პრეზიდენტის ვაჟი თვითმხილველთა — მოწმეთა თუ ცრუმოწმეთა — ნაამბობს და, ერთიანობაში რომ გაიაზრებდა, რასაც იშვიათი მეხსიერება, დეტექტივის ალღო და, ამასთან, ძიების დაუმცხრალი ჟინი ესაჭიროება, კიდეც მიაკვლევდა და წარმოაჩენდა შეუსაბამობათა და წინააღმდეგობათა მთელს ნაკადს... და ამ უზღვავ მასალას კომპოზიციურ საყრდენად მოევლინებოდა მისი მსჯელობანი.

ოღონდ ესეცაა: ღრმა და რაფინირებული ანალიტიკური დაკვირვება-შეფასებანი გარკვეულ ფარგალში ტრიალებდა, რაკიღა კომისიის თავმჯდომარე თავს ნებას ვერ მისცემდა კატეგორიულად ემტკიცებინა ის მეორე, არაოფიციალური ვერსია, ვერ გადააჭარბებდა დროებითი საპარლამენტო კომისიის უფლებამოსილებას და არავის დაუტოვებდა საბაბს ემტკიცებინათ, მიკერძოება გამოიჩინაო.

ჯერ ისედაც!..

და მითუმეტეს მაშინ, როდესაც ზედაპირზევე ამოჩნდებოდა ის დაფარული შრეები, ოფიციალურ ვერსიას თავდაყირა რომ აყენებდა.

მთავარი გახლდათ, გამოძიება იქ არ შეჩერებულიყო, სადაც გაიყინა, და დამატებითი გამოკითხვებიც შეგროვებულიყო სურათის სისრულისა და კანთიელობისათვის.

და აკი შორს გაცდენილიყო გაშეშებულ მიჯნას და დიდძალი დამატებითი მასალით შევსებულიყო.

აშკარად მნიშვნელოვანი დოკუმენტი მეპყრა ხელთ.

ჩვენი დროის კიდევ ერთი თვალსაჩინო მონაპოვარი.

მაგრამ... საჩემო რომ იქ აღარაფერი რჩებოდა?!.

ყველაფერი ამომწურავად გახლდათ ნათქვამი და წარმოსახული და, ჩემი მხრივ, მოწონებისა და თანადგომის სიტყვას თუ შევაწევდი.

პირველ ყოვლისა, „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურული საღამოების ერთ-ერთ თავყრილობაზე მოვიწვევდით ბატონ კონსტანტინეს და მოვისმენდით და შევაფასებდით კომისიის ნაღვაწს.

პირადი საუბრისას კი შევპირდებოდი, რომ გავამზადებდი თუ არა ხელმეორე გამოცემას ჩემი ისტორიული ცდისა „თუ საწუთრომან დამამხოს (ზვიად გამსახურდიას ბედისწერა)“, მისი გადახედვა-გადახალისებისას ფინალურ მონაკვეთში აუცილებლად ჩავრთავდი რამდენიმე გვერდს საპარლამენტო დროებითი კომისიის ამ დასკვნით დოკუმენტზე დაყრდნობით.

ბატონ კონსტანტინეს... აშკარად გულს დააკლდებოდა — რაღაც უფრო მეტს ვარაუდობდა და იმიტომ, მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას იმედოვნებდა და მეც წინასწარ აკი საამისოდ განვეწყობოდი... მაგრამ სწორედ გამორჩეული ღირსება ამ დოკუმენტისა არ დამანებებდა ჩარევას. ის ცალკეული დაკვირვებანი, რაც გამიჩნდებოდა, დამოუკიდებელ თხზულებას ვერ გაწვდებოდა, არადა, ორიგინალური ფორმაც ვერაფერი მომეფიქრებინა, გამართლებული რომ ყოფილიყო კომისიის მონაპოვრითა და კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის მიერ მარჯვედ განლაგებული მასალით უხვად სარგებლობა.

ერთ წელს მეორე მიჰყვებოდა, მეორეს მესამე...

დასკვნითი დოკუმენტი წიგნის ყდაშიც მოექცეოდა გამომცემლობა „არტანუჯის“ მონდომებით.

ამასობაში „ზვიად გამსახურდიას ბედისწერის“ ხელახალი გამოცემისთვისაც მოვიცლიდი, უღმერთოდ ნაგვემი და ნაჯგლეთი წიგნის, 1998 წლის გასაყარზე რომ დაიწერებოდა, დეკემბერ-იანვარში, და მის საგაზეთო პუბლიკაციას — „ახალი საქართველოს“ ფურცლებზე გაგრძელებებით — უკვე მოჰყვებოდა ძალზე მწვავე გამოხმაურებანი, იძულებით რომ ჩამითრევდნენ ლიტერატურულ-პოლიტიკურ ბატალიებში.

მთელს რისხვასა და სიძულვილს ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა მიმართ მე მომთარჯავდნენ.

მიმოფანტულიყვნენ ზვიადისტებად მონათლული ადამიანები — ვინც ტრაგიკულ აღსასრულს გადარჩენოდა, ან საზღვარგარეთ გაეღწია და ან მიმალულიყო და გატრუნულიყო, აცა, ჩემი არსებობა აღარ გაახსენდეთო!..

თუ ვინმე დაძრავდა კრინტს, მაშინვე ამ მოტივით წვდებოდნენ ყელში: ზვიადის დამხობასთან ერთად დაკარგა ძველი პრივილეგიებიო... ან: პერსპექტივა გადაეკეტაო...

თანაც მათი მხრიდან წიგნი ან შედარებით ვრცელი თხზულება არა ჩანდა.

ედუარდ შევარდნაძეს სრული ძალაუფლება ეპყრა ხელთ, ჩამოეშორებინა სახიფათო მეტოქენი, თავიდან რომელთა მძვლობასაც ყაბულდებოდა მოჩვენებითი სიმშვიდითა და აღუშფოთველობით: თუ დიქტატორი გნებავთ, ვინმე სხვა მოძებნეთო!.. და ახლა კი მისი მომხრენი მთლად გალაღებულიყვნენ და გათამამებულიყვნენ და სულ უფრო დაჟინებით გაისმოდა ხმები, რომ შესაცვლელი გახლდათ საქართველოს კონსტიტუციაში ის კანონი, პრეზიდენტის არჩევა მარტოდენ ორი ვადით რომ შეიძლებოდა.

თუკი ადამიანს ალტერნატივა არ მოეძებნებოდა, ვითომ რატომ უნდა გასცლოდა პოლიტიკურ ასპარეზს ათწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ?..

დაე ყოფილიყო და ყოფილიყო, ვიდრე სიკვდილი მოაკითხავდა.

ამას ისე, სიტყვის მასალად ამბობდნენ, თორემ ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ მათი რჩეული ცას გამოეკერებოდა.

როგორც იოსებ სტალინის მოსალოდნელ აღსასრულს არ იჯერებდნენ ოდესღაც, ისე ედუარდ შევარდნაძისას — იმჟამად, ოფიციალურად რომ თავს იკავებდა, მაგრამ ფარულად მაინც იმის სახელზე ლოცულობდა და ხან ისეთი აღტაცებით განაცხადებდა, თვითონაც ჟრჟოლა უვლიდა და დარწმუნებული გახლდათ, მსმენელებსაც ჟრჟოლა აიტანდათ:

— რაც უნდა თქვან მასზე, ვერავინ წაართმევს, რომ უდიდესი პიროვნება იყო!..

და... უეცრად გამოტყვრებოდა „თუ საწუთრომან დამამხოს“, რომლის ავტორსაც ვერ დააბრალებდნენ ვერც ზვიადისტობას, ვერც პრივილეგიების დაკარგვასა და ვერც პერსპექტივის მოშლას... და მითუფრო გაგულისდებოდნენ და გაანჩხლდებოდნენ კიდეც... ცალკე ხელისუფლისაგან მოსალოდნელი წყალობა აღანთებდათ და... ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯებდნენ...

დასაწყისი გამოჩნდებდა თუ არა „ახალი საქართველოს“ ფურცლებზე, გაზეთის რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი შეფიქრიანებული — რომ აღარა ვთქვა, დაძმარებული და შეშფოთებული — დამხვდებოდა რედაქციაში.

— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის?

— პრეზიდენტის პრეს-სამსახურიდან დამირეკეს. ეს რა საინტერესო თხზულების ბეჭდვა წამოგიწყია, მოუთმენლად ველოდებით გაგრძელებას, მაგრამ ჩვენი აზრი რა ანგარიშში ჩასაგდებია, როდესაც თვითონ პირველმა გვითხრა: დღევანდელობაზე, ახლო წარსულზე მხოლოდ ასე უნდა იწერებოდეს, ასე ანალიტიკურად, სიღრმისეულად, მასშტაბურად, დინჯი კილოთი, დახვეწილადო. სიტყვა-სიტყვით გადმოგცემთ, რაც ბრძანა, და ისიც დაგვავალა: მომდევნო ნომრები არ გამომაპაროთო... მეც სიტყვა-სიტყვით გიმეორებ და... ხომ იცი, სინამდვილეში ეს რასაც ნიშნავს.

— როგორ არ ვიცი, ნუთუ ასეთი მიამიტი გგონივარ?..

— მიამიტი რომ არა მგონიხარ, ამიტომ ალბათ სჯობს შევწყვიტოთ პუბლიკაცია... ან საგრძნობლად გადააკეთო... არა, არა, ვიცი, ვიცი, ამას არ დათანხმდები, ისე გითხარი, სხვათა შორის... და მაშ ვწყვეტთ, არა?!.

— არა, მე შეწყვეტას არ ვაპირებ, და თუ შენ ერიდები ვინმეს, ნება შენია, რედაქტორი შენა ხარ და გადაწყვეტილებაც შენვე შეგიძლია მიიღო.

— დაფიქრდი... ხომ იცი, ძმურად გირჩევ!..

— დავფიქრდი... სიტყვაც არ შეიცვლება და არც შეწყვეტას ვაპირებ.

— იქნებ ბატონ ოთარს დაელაპარაკო და ეს ყველაფერი გადასცე. დარწმუნებული ვარ, ჩემსავით გირჩევს.

შინ დაბრუნებული მამაჩემს გულახდილად გადმოვუშლიდი რედაქტორთან საუბრის შინაარსს.

— ნოდარს სწორად ურჩევია, სინამდვილეში ის სატელეფონო ზარი გაფრთხილებაა და საკმაოდ მკაცრი გაფრთხილებაც... ყველა ის აღმატებული ეპითეტი კი არ მახარებდა, გულზე ლურსმანივით მესობოდა... შემოგითვალა: ვკითხულობ, იცოდე, და თუ ჭკუა გყოფნის, ან გადააკეთე და ან შეწყვიტეო!..

— მაგრამ... თუ არ მყოფნის ჭკუა?!.

— აუჰ, აუჰ!.. ვერც წარმოგიდგენია, რა ხიფათში იგდებ თავს!..

— ვერ წარმომიდგენია და... ნუ წარმომიდგენია...

არაერთი რეალია თუ გარემოებაა აღსადგენი იმ ამბებიდან და ეგებ საამისოდაც მოვიცალო, ერთ ეპიზოდს კი გამოვარჩევ, ყოფილ პოლიტპატიმართა სახელით რომ გამოაცხადებდნენ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან (1998, 11 ნოემბერი):

— რ. ჩხეიძის „ლიტერატურული მცდელობა“ ზ. გამსახურდიასადმი მიძღვნილი წიგნისა, ელიავას გამოხდომის რიგშია განსახილველი, რადგან იქ რ. ჩხეიძე ბრძანებს: „ეს წიგნი გლოვაა დამხობილ დამოუკიდებლობაზეო“.

მანამდე „ზვიადისტად“ რომ მომიხსენიებდნენ, ეს უკვე მიანიშნებდა შესაბამის ორგანოებს: მაგას გარეთ რა უნდაო!..

და ეს „ელიავას გამოხდომის რიგში განხილვა“ ხომ!..

თქვენ ფინალი უნდა გენახათ, პირდაპირ გადმოწერილი 1937 წლის საგაზეთო პუბლიკაციებიდან, მაშინდელი კლიშე-ფორმულა:

— უხსენებელი კუდს იქნევს და საჭიროა ყველა პატიოსანი მოქალაქე ფხიზლად იყოს.

ეს ფინალური აკორდი ისე მოსწონებოდათ, სათაურადაც ის შეერჩიათ.

ყველაზე გულდასაწყვეტი მაინც ის გახლდათ, რომ ეს ხდებოდა „ყოფილ პოლიტპატიმართა“ სახელით.

ერთადერთხელ გამოჩნდეს თქვენი სახელები საგაზეთო პუბლიკაციაში და... ისიც პოლიტიკური დაბეზღების ავტორებად?!.

თუკი მართლა პოლიტიკური პატიმარი იყავი, აზრად როგორ უნდა მოგივიდეს, რომ ადამიანი საციხედ გაიმეტო და თანაც — პოლიტიკური ბრალდებით?!.

მხატვარი ბადრი გაგნიძე

თუმც... აკი ამომრიცხეს ადამიანთა სიიდან, ისეთი ეპითეტი შემირჩიეს!..

ოძელაშვილი-ლომსაძის ხელიდან ხომ დაპატიმრებულიც გახლდით და უღმერთოდ განწირულიც: უხსენებელი კუდს იქნევსო!..

აბა, მაშ როგორ გინდა, თუკი შენი წიგნი „ელიავას გამოხდომის რიგშია განსახილველი“...

ეს ერთი ყველაზე მკვეთრი ამბოხი რომ მოხდებოდა და პოლკოვნიკი აკაკი ელიავა დაიძრებოდა შეიარაღებული რაზმით და ქუთაისს მოადგებოდა დანაქადებით: ხვალ უკვე თბილისში ვიქნებითო, მამა უკვე ძალიან შეშფოთდებოდა: ის კი წინ წამოსვლას ვეღარ შეძლებს და მითუმეტეს ლიხის ქედის გადმოვლას, მაგრამ ქალაქშიც რომ შევიდეს, ვაითუ აქ წამოავლონ ხელი მათთვის არასასურველ პირებს და... უნდა გაემზადო და იორამ ღუდუშაურს ჩააკითხო სნოში, დანარჩენი იმან იცოდესო.

ქუთაისშიც ვერ შეაღწევდა ელიავას რაზმი და ერთბაშად ჩაცხრებოდა მღელვარება თბილისშიც, მეც არსად გამგზავრება და თავშეფარება რომ აღარ მომიწევდა.

— იორამისა მეიმედებოდა თავიდანვე, თუკი ძალიან გამწვავდებოდა შენზე შემოტევები, თორემ ნოდარს დავურეკავდი და ვთხოვდი, ჩემი ხათრით შეეწყვიტა პუბლიკაცია... ის რომ წავიკითხე, აჯანყების იდეოლოგად რომ მოგნათლეს, აღარ მითქვამს, თორემ გული გამიჩერდა.

— მე პირიქით, ძალიანაც მომეწონა, რაც იმათ დამიწერეს, ვითომ პოლიტპატიმრობა რომ გამოუვლიათ, და ამბოხებათა რიგში მოიხსენიეს თუ არა ჩემი პოლიტიკური პამფლეტი, მაშინვე გრიგოლ ორბელიანის სტრიქონები გამახსენდა „სადღეგრძელოდან“: თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება, მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდებაო!..

— კარგია, კარგ გუნებაზე რომ ხარ, ნუმც მოგშლოდეს ეგ გუნება, მაგრამ... აქ თუ შემოგვეჭრებოდნენ და ბორკილდადებულს წაგიყვანდნენ, იქ ვეღარ იქნებოდი მაინცდამაინც მხიარულად... ახლა კი გაგიმართლა, მაგრამ ყოველთვის კი არ გაგიმართლებს...

— გამართლების იმედად არა ვარ და არც არასოდეს ვიქნები... სხვანაირად არ შემიძლია, ეგ არის და ეგ.

— და ეგაა, რაც მაშინებს... ნუ გეგონება, რომ ჩავლილია რეპრესიები... სად შეიძლება ამოჰყო თავი, კაცმა არ იცის!.. და ისე მძაფრად ვგრძნობ ბოლშევიზმის სუნსა და სუნთქვას... ღმერთო, რა იქნება მატყუებდეს ეს განცდა და გადამეტებული სიფრთხილის ბრალი იყოს...

თუ ჭკუა გყოფნისო...

დაე ეგვემათ და აუტოდაფეც გაემართათ მის თავზე, მაინც მიღირდა იმ თხზულების შექმნაც და მის დასაცავად თავგამოდებაც, არაფერს რომ შევარჩენდი თავდამსხმელთ და გადმოვუფარჩავებდი ზნეობრივ და გონებრივ ავლადიდებას, მათი თავგამოდების შთამაგონებელ მოტივებს: თქვენ ის თქვით, ორ ცეცხლშუა რომ მოვყვებოდი და... ზვიად გამსახურდიას მომხრენიც, უფრო ზუსტად, მისი უკიდურესი ფრთა, ამიტყდებოდნენ, ამცირებ მის სახელს, განა ვერა ვგრძნობთ, რომ ფარულად აქიაქებო?!.

ესეც ამ წიგნის ბედი და ბიოგრაფია აღმოჩნდებოდა!..

მაინც მიღირდაო...

ამ სასტიკი მოპყრობის სასიკეთო ნაყოფი კი ის იქნებოდა, რომ:

დაჩქარდებოდა ზვიად გამსახურდიას სახელის ოფიციალური რეაბილიტაცია და მისი ღვაწლი რეფერენდუმის გამართვასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში თვით ედუარდ შევარდნაძის ბეჭდით დაიბეჭდებოდა.

სარეაბილიტაციო განა რა სჭირდა?

განა რა ღირსებაა, საქართველოს მეორე პრეზიდენტი თუ აღიარებდა და დაადასტურებდა მისი თავგანწირული და მოწამებრივი ბრძოლის ტრიუმფულ შედეგს?

რას იზამ — წუთისოფლის თამაშიც და პარადოქსულობაც ეს არის, მისი ჟინიანი აბრუნდების გამოხატულებანი.

მთავარი ისაა, რომ სრულიად შემოტრიალდებოდა ზვიად გამსახურდიას დამსახურების შეფასება და ჩაქოლილი სახელი ერთბაშად აღიმართებოდა მთელი თავისი მონუმენტურობით.

ეს ისედაც მოხდებოდა?

„თუ საწუთრომან დამამხოს“ გინდ შექმნილიყო და გინდ არა, ამ სახელის გამოხსნა მოჯადოებული წრიდან გარდუვალი გახლდათ და სადღაც ქვესკნელში გადატყორცნილი მაინც დაუბრუნდებოდა სამზეოს?

რასაკვირველია ასეა — სულაც არა მაქვს იმის ილუზია, თითქოს ამ წიგნის გამოცემას განესაზღვროს ამ პროცესის მსვლელობა, მაგრამ გარდატეხა რომ შეიტანა და დაჩქარებითაც უეჭველად დააჩქარა, ეს თვალნათლივია და ძალდაუტანებლად იწამებს ყველა, ვინც XX საუკუნის მიწურულის ბოლო ხუთწლეულს ამ მზერით დაუკვირდება.

რა იწერებოდა — ხელისუფლების მოთხოვნების კვალობაზე.

და როგორ შემობრუნდა გეზი.

ხანი რომ გამოხდებოდა და ამ წიგნის ხსენებას დაისაჭიროებდნენ, ყოველთვის ბიოგრაფიულ რომანს უწოდებდნენ, ჩემი მხრივ კი ვცდილობდი, ასევე ყოველთვის შემესწორებინა, რომ „თუ საწუთრომან დამამხოს“ მხოლოდ ისტორიული ცდა გახლდათ და არა ბიოგრაფიული რომანი, რადგანაც ამ ჟანრის ქმნილებას აღნაგობაც შესაფერისი უნდა ჰქონდეს — არა კმარა მარტოდენ შინაგანი სივრცე და მასშტაბურობა, თორმეტ თაბახს მაინც უნდა მოიცავდეს. ეს კი მხოლოდ შვიდი თაბახი იყო და ამაოდ შემახსენებდნენ მაგალითებს, როდესაც სამ და ოთხთაბახიან თხზულებათა ავტორები რომანისტებად ცხადდებოდნენ ჩვენს ქაოტურ რეალობაში. განა რა საქმე მაქვს ფსევდომწერლებთან, მაინცდამაინც ძალადრომანისტობით დავმგვანებოდი.

ის კი არა, გადახალისება-შევსებაც ვერ აქცევდა რომანად.

თავიდან რომ გამიხარდა საპარლამენტო კომისიის დასკვნითი დოკუმენტის გამოჩენა, აკი მისმა გაცნობამ გამიფანტა ილუზიები, რომ „თუ საწუთრომან დამამხოს“ შესაძლოა რომანად მექცია.

და კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსიც უნდა შეგუებოდა, თუმც გულდაწყვეტილი, რომ მისი კომისიის ნაშრომ-ნადაგი რამდენიმე ფურცლად თუ აისახებოდა ჩემს თხრობაში.

რაკიღა რედაქციასთან თანამშრომლობდა, არცთუ იშვიათად გვსტუმრობდა... რაზე აღარ ვსაუბრობდით, მაგრამ „დასკვნით დოკუმენტზე“ კრინტსაც აღარ ძრავდა, ეგაა, წიგნად რომ გამოიცემოდა „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმის“ სახელწოდებით, მეც მისახსოვრებდა ერთ ეგზემპლარს...

ერთხელაც გავუზიარებდი ჩემს მოსაზრებას, რომ კარგი იქნებოდა, თუ ფეისბუქზე გამოქვეყნებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ-კულტუროლოგიურ პოსტებს თავს მოუყრიდა, რამდენიმე რკალად დაალაგებდა, ერთიანად გადახედავდა რედაქციული თვალსაზრისით და ცალკე წიგნად გაამზადებდა.

ჭკუაში დაუჯდებოდა ეს რჩევა და ასწრაფდებოდა: ახლავე შინ გავიქცევი და უკვე ჩავუჯდები, რაკიღა ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩენია, რომ არა ღირს ის გამოხმაურებანი დასაკარგად, ეგებ მართლაც ვაქციო დოკუმენტურ მატიანედ ჩვენი დროისაო.

და უეცრად, ისე, რომ მანამდე ამაზე არც მიფიქრია, გამომშვიდობებისას ვეტყოდი:

— ხომ არ გეუბნებიან, რომ „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე“ კომპოზიციური აგებულებით „დათა თუთაშხიას“ ჰგავს?

— მეუბნებიან, როგორ არა.

— ერთმა გითხრა თუ რამდენიმემაც? — რატომღაც დავინტერესდებოდი.

— მოიცა... ერთი, მეორე, მესამე... რამდენიმე ყოფილა.

იმ წუთას არც არაფერი, მაგრამ შინ დაბრუნებული ერთბაშად ავფორიაქდებოდი.

ფორმა... დიახ, ფორმა უკვე მიგნებული გახლდათ იმ თხზულებისა, რომელზეც ხელი მქონდა ჩაქნეული. ის ფორმა, რომელიც უკვე აღარ მოითხოვდა არაფერს, გარდა იმისა, რომ ჩემი თხრობის ყალიბში მომექცია კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსისა და მისი კომისიის მონაპოვარი.

და ეს იქნებოდა არა დამოუკიდებელი ქმნილება, არამედ მეორე ნაწილი „ზვიად გამსახურდიას ბედისწერისა“, სავარაუდოდ, შვიდი-რვა თაბახის მოცულობის... ეგებ მეტისაც.

ის ისტორიული ცდა?

ეს — დეტექტიური ცდა.

და ერთმანეთთანაც კარგად მორიგდებოდნენ და ერთიან კომპოზიციურ ჩარჩოშიც მოექცეოდნენ.

მაინც რომანად იხსენიებდნენ იმ ტანმორჩილ წიგნს და ახლა მართლა ბიოგრაფიულ რომანად წარმოდგებოდა, რომან-დილოგიად, დაწყებული თხრობა დევნილი პრეზიდენტის ცხოვრების მიმწუხრს რომ უნდა დაეგვირგვინებინა, მისი ცხოვრების ასი დღის ქრონიკას... ძველი ხიბულას საიდუმლოებას რომ უნდა განემსჭვალა ეს უკიდურესი განცდებით აღვსილი დღეები...

* * *

„ნუთუ არაფერში გამოგადგებაო?!.“ — თვალებში ეწერა კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსს. და მე უმწეოდ ვიჩეჩავდი მხრებს გუნებაში, ვიდრე... ვიდრე ის სპონტანური ფრაზა დამცდებოდა...

ჰამლეტი თუ პიესას შეთხზავდა სიმართლის გამოსარკვევად ანუ მამის მკვლელობის საიდუმლოს გასახსნელად, ეს დოკუმენტურ წყაროებს უყრიდა თავს, მაგრამ მოჯადოებულ წრეში ექცეოდა მისი თავდაუზოგავი ძიება. და კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის მიერ მიგნებას მამის აღსასრულის ნამდვილი გარემოებისა შესაფერისი გამოძახილი არ მოჰყვებოდა საზოგადოებიდან.

ეჰ, სხვა რაში ჰქონდა ბედი ზვიად გამსახურდიას, მაინცდამაინც აქ რომ გამართლებოდა?!.

I.

— „დათა თუთაშხიასავით“ წიგნი გამოვიდა.

ამას კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსს ეტყოდნენ და... ცნობისწადილითაც მიაჩერდებოდნენ, ნეტა რას იტყვის, თვითონაც თუ დაინახავს მათ შორის საერთოსო.

— მართლა ჰგავს, ხომ იცი!..

გაუკვირდებოდა, გონებაში მზერას რომ გადაავლებდა უკვე წიგნად გამოცემულ დასკვნით დოკუმენტს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ მომზადებულს, საბოლოო სახე ამ კომისიის თავმჯდომარეს რომ მიენიჭებინა, ტრაგიკულად აღსრულებული პრეზიდენტის უფროს ვაჟს, და უკვე ფეისბუქზეც დაედო ყველასათვის ხელმისაწვდომად, ვისაც ამ იდუმალებით მოცული ამბის სიღრმეში შეღწევა სურდა და ყველა იმ ნიუანსის გათვალისწინება, რისი გამორკვევაც ჯერჯერობით გახლდათ შესაძლებელი.

საიდუმლო... საიდუმლოდვე რჩებოდა?

თითქოს... აღარც, თუ ამ მასალების კონსტანტინე გამსახურდიასეულ ანალიტიკურ განსჯას ღრმად და ყოველმხრივ ჩავუკვირდებოდით, თუმც ისიც აშკარაა, რომ დაბეჯითებით მაინც ვერ დაედასტურებინა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის უტყუარობა, თუმც თანდათან აშორებდა თვითმკვლე-

ლობის ვერსიას, რომელიც ისედაც საჭოჭმანო ჩანდა, ახლა კი კიდევ უფრო საეჭვო და ნაკლებ დამაჯერებელი ხდებოდა.

ფეისბუქზე გაცნობისას ეს მოსაზრება — „დათა თუთაშხიას“ ჰგავსო — არავის გასჩენია, ყოველ შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარისათვის არავის გაუმჟღავნებია, მაგრამ აგერ წიგნის სახეს შეიძენდა თუ არა, არაერთი მკითხველი გაუზიარებდა ამ დაკვირვებას.

„ვაჰ, მართლაც როგორ...“

კომპოზიციური აღნაგობის მხრივ ვერც გაარჩევდი, თითქოს თარგად „დასკვნითი დოკუმენტისათვის“ გახმაურებული რომანი დაედოთ.

თუმც ეს წიგნი „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე“ ვერ ჩაითვლება ერთი კაცის ნაღვაწად.

მაგრამ... ის რა — „დათა თუთაშხია“ — ჩაითვლება რო?!.

ამჯერად ჩემი მხრივ რაიმეს თქმას ავერიდები, საგულისხმო ის უფროა, რომ ზვიად გამსახურდია დაბეჯითებით ირწმუნებოდა: არ არის ჭაბუა ამირეჯიბი ამ რომანის ერთპიროვნული ავტორიო.

ერთპიროვნული არა?

მაშ რაღაც მისი დაწერილიც ყოფილა.

მაგრამ რამდენია ეს „რაღაც“? ან დარწმუნებით შეიძლება თუ არა მათი მონიშვნა?

ზვიადი ციხის ამბების აღწერას უთმობდა მხოლოდ ჭაბუა ამირეჯიბს ამ რომანიდან, მარტოდენ ამ მონაკვეთს: ისეთი სუსტია, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ნამდვილად მისი დაწერილი იქნება, რომ ამოაგდოთ, „დათა თუთაშხიას“ ამით არაფერი დააკლდება არც კონცეფციურად და არც სიუჟეტურად, ის კი არა, კიდეც მოიგებს, ამორფულობისაგან გათავისუფლდება. ამ მონაკვეთის გარეშეც ორი კაცის ნამუშევარი ჩანს ეს რომანი, ოღონდ ჭაბუა არცერთია. სად მოვიცალო, თორემ ფილოლოგიური ანალიზით ამის დამტკიცება არ გაძნელდება. არა, ციხის ამბები რომ ზედმეტია, ამაში ყველა დამეთანხმება, დიდი ანალიზი არც სჭირდებაო.

— ნამდვილი ავტორი ვინ არის მთავარი სიუჟეტისა?

— ეჰ, ეგ რომ ვიცოდე... ჭაბუა რომ არ არის, ამის თქმა კი შემიძლია.

— ინტერპოლატორი ხომ მაინც გამოდის?

— ინტერპოლატორი უდავოდ, ოღონდ იმ ყაიდისა, ოდნავადაც რომ ვერ უახლოვდება მთავარ ტექსტს... სად მოვიცალო, სად!.. „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორებს ვდიო თუ „დათა თუთაშხიასი“... ოღონდ ესეც არის — „ვეფხისტყაოსნის“ არცერთ ინტერპოლატორს არ უკადრია, მთლად მიეთვისებინა ეს პოემა, თავიანთ ადგილს სჯერდებოდნენ, ამან კი...

ვის უყოყმანოდ სჯეროდა მისი სიტყვები.

ვინ იჭვნეულად შეჰყურებდა.

„კონსტანტინეს მეტოქედ დაინახა, ამან გააგულისა და ძირს უთხრის!.. თუ არა, თქვას, ვინ არის ნამდვილი ავტორი!.. თქვას და დაამტკიცოს!..“

ვინ სრულებით არ უჯერებდა, მაგრამ ხელს აძლევდათ საქილიკო-სასეიროდ და ჭორების ასამოქმედებლად და იქ ჭაბუას რომ უთანაგრძნობდნენ ფარისევლურად: ზვიადი ეს რას კადრულობსო, — სუფრებსა თუ რედაქციათა დერეფნებში სხვა სასაცილო არც აღარაფერი ჰქონდათ.

ივსებოდა ახალ-ახალი მასალებითაც, ანეკდოტისებურნით, სულს უბერავდნენ ამ ანეკდოტებს მახვილგონიერად შერაცხილი ადამიანები, თანამოკალმეთა აბუჩად ასაგდებად სული რომ ძვრებათ ხოლმე... და უკვე ისე ტრიალებდა ეს ყოველივე, ახსენებდნენ „დათა თუთაშხიას“ და... მეტი აღარც აღარაფერი იყო საჭირო — ვინ იღიმებოდა და ვინ იგუდებოდა სიცილით...

ამ კალამბურ-ანეკდოტებიდან ყველაზე ეფექტური საიუმოროდ მაინც ეს მეჩვენებოდა:

— „დათა თუთაშხია“ ჭაბუას დაწერილი კი არის, როგორ არა, მაგრამ... ეგ არ არის ჭაბუაო!..

საიუმოროდ რატომაც არა...

თავის ჩანაწერებში ჭაბუა ამირეჯიბიც გაიხსენებდა იმ ეპიზოდს, საიდანაც მოედებოდა ეს ხმა მკითხველ თუ არამკითხველ საზოგადოებას.

ერთ სუფრაზე თამადას, რუს თანამოკალმეებთან ერთად ეგრეთწოდებულ ბამ-ზე რომ ემოგზაურა, უნდა მოეყოლა, თუ როგორ შეხვედროდა შემთხვევით სასადილოში ნაპატიმრალთა მოქეიფე კამპანიას, ოთხ-ხუთ კაციანს, რომელთაც ეთქვათ, ცხონებული ჭაბუკა ამირეჯიბი აგერ არის დამარხულიო. და ირონიულად გაიცინებდნენ ამისი გაოცების — როგორ თუ დამარხული, ცოცხალია, თბილისში ცხოვრობს და მწერალიაო — პასუხად: ეგეც ვიცით, მაგრამ ნამდვილი ჭაბუკა აგერ მარხია, ეგ თბილისელი კი აფერისტია, ჭაბუკას ნაწერები მოჰპარა და ნამდვილი ჭაბუკას დედას შეუთანხმდა, შენს შვილად მაღიარეო. და არც „დათა თუთაშხიაა“ მაგის დაწერილიო.

ჭაბუა ამირეჯიბს ძალიან ესახელებოდა, რასაც მაშინ თამადას განუცხადებდა და ხშირადაც იმეორებდა მხრების შეთამაშებით:

— ჩემსა და შენს შორის ის განსხვავებაა, რომ შენ კიდევ ხუთ წიგნს დაწერ და არცერთზე არ იტყვიან, მაგის დაწერილი არ არისო.

ვინაობას არ გაამხელდა თამადისას — გურამ ფანჯიკიძე რომ გახლდათ, და დიდ გამომცემლობას რომ განაგებდა, ჭაბუაც მიაკითხავდა: საიუბილეო თარიღი მისრულდება, ერთტომეულის გამოცემა მეკუთვნის და აგერ „დათა თუთაშხია“ მოგიტანეო.

ის კი პასუხად ასე მიუგებდა:

— იცი რა არის, უფლება არა გვაქვს, ერთტომეულში ერთადერთი ნაწარმოები იყოს შეტანილი, მოთხრობებიც დაურთე და ასე გამოვცეთ.

მოიქუფრებოდა სტუმარი:

— მოთხრობების დართვა არ მინდა!..

— ჩემზე არ არის დამოკიდებული, თორემ იყოს მარტო ერთი რომანი... ისე მოთხრობების დართვა რატომ არ გინდა?

— მე იმათზე უარი ვთქვი.

გაიცინებდა გურამ ფანჯიკიძე:

— შე კაი კაცო, რაც მართლა შენი დაწერილია, იმაზე უარს ამბობ და ამ ვიღაცის „დათა თუთაშხიას“ რომ მაცემინებ შენი სახელით, როგორი რა გამოდის?!.

ჰაიიი!..

ნაძალადევად გაიცინებდა სტუმარი, თუმც გულში ჩაითქვამდა: ჩემზე იყოსო!..

კულუარები გაიბუღებოდა ამ ხმებით, ავანსცენაზე კი სრული ტრიუმფით აგრძელებდა სვლას ეს რომანი და მერე მისი კინოვერსია, სულ უფრო შორს რომ გასცილდებოდა საქართველოს საზღვრებს (სადღა გვქონდა, მაგრამ მაინც!..) და რუსეთში რომ აღიარებდნენ (შვიდსერიანი ფილმის ჩვენებისას მთლად მიაცივდებოდნენ და მიეჯაჭვებოდნენ ტელეეკრანებს!), მსოფლიო გზებსაც შეუყვებოდა.

იქ ვინ ან რაღა გადაუდგებოდა წინ, თუმც აქ ერთ „კვანტს“ ჭაბუა ამირეჯიბის გავლენისა და მოხერხებულობის კაციც ვერ აირიდებდა, ვერ გადალახავდა — რუსთაველის პრემიაზე წარდგენილ რომანს გააშავებდა ჟიური და ჩუმ-ჩუმად ამ მოქმედებას ასე ახსნიდნენ: გამოჩნდეს ნამდვილი ავტორი და... ვინ არის ამ ჯილდოს დამნანებელიო!..

ისე ჟიურის ყველა წევრი სათითაოდ უთანაგრძნობდა: ეს რა ჰქნეს, ეს როგორ იკადრეს, ესენი ვინ ყოფილან... ეს ხომ სამარცხვინო შავ ლაქად დარჩება ამ პრემიის ისტორიაშიო!..

ვითომდა შავი ლაქებით არ გადავსებულიყო ამ ჯილდოს ისტორია იმთავიდან ამთავამდე.

„ნეტა ამათგან რომლებმა გამწირეს?..“

— ნამდვილი ავტორი ვინ არის? — ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა მკითხველს.

მხრებს იჩეჩავდა ზვიად გამსახურდია.

„ეგ რომ ვიცოდე!..“

ჰოი, რარიგ სძულდა ჭაბუა.

იმას — არანაკლებად.

ღირსების სასამართლოზე საბოლოოდ წაეკიდებოდნენ ერთმანეთს, მათი შერიგება ყოვლად შეუძლებელი რომ შეიქნებოდა.

ეს რა სასამართლო იყო?

იატაკქვეშა ჟურნალში „საქართველოს მატიანე“ ზვიად გამსახურდია სუკ-ის აგენტად მოიხსენიებდა ნიკო ყიასაშვილს, ვისთანაც არა ჰქონია ცუდი ურთიერთობა, ის კი არა, ბატონი ნიკო ურედაქტორებდა მისი თარგმანების კრებულს „ამერიკელი პოეტები“... და აი, უეცრად... და ძალიან რომ გაგულისდებოდა ნიკო ყიასაშვილი, ღირსების სასამართლოზე გამოიწვევდა ზვიად გამსახურდიას: ან დამიმტკიცე, ან ჟურნალშივე მომიბოდიშეო.

მიხეილ კვესელავას ბინაში გაიმართებოდა ეს ფარული სამსჯავრო, თუმც თვითონ ბატონი მიხეილი თავს აარიდებდა დასწრებას — შეკრებილთ განუცხადებდა: მე თავი დამანებეთო, — და დემონსტრაციულად მიატოვებდათ, სხვა ოთახში გავიდოდა და ცხვირსაც აღარ შემოჰყოფდა, ვიდრე მოშუღარნი არ დაიშლებოდნენ.

ერთი მხრივ: ნიკო ყიასაშვილი, ძმები კაკაბაძეები — ნოდარი და ზურაბი, ჭაბუა ამირეჯიბი, ალექსანდრე გვახარია.

მეორე მხრივ: ზვიად გამსახურდია, ვიქტორ რცხილაძე.

— რა საბუთი გაქვს, სუკ-ის აგენტობას რომ მწამებ? — პირდაპირ დაიწყებდა ნიკო ყიასაშვილი.

— როგორ თუ რა, — არ შეეპუებოდა ის, — ოთხი წელი მუშაობდი ინგლისში საბჭოთა საკონსულოში, ასეთ სამუშაოზე კი სუკი არავის აგზავნის, თუ ყოველმხრივ არ არის შემოწმებული და უკვე კარგად გაწვრთნილი და გამოცდილი მათი დავალებების შესრულებაში.

ეს რაღაცის თქმას დააპირებდა პასუხად, მაგრამ ჭაბუა ჩაერეოდა:

— ეგ არაფერს ნიშნავს!.. სულაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც მათი აგენტი იყო. უმეტესობა, გეთანხმები, ასეა — აგენტია, მაგრამ ყველაზე გავრცელება ცილისწამებაა და, თუ სხვა საბუთი არაფერი გაქვს, უნდა აღიარო, რომ ამ კაცს ცილი დასწამე!..

— შენ საერთოდ რა ხმას იღებ! — მოუტრიალდებოდა ზვიადი.

— რას ჰქვია, რა ხმას ვიღებ? — იუკადრისებდა ჭაბუა.

— რას ჰქვია და იმას ჰქვია, რომ ციხეში „ნასედკა“ იყავი!..

ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა.

— რა თქვი? — ფერს დაკარგავდა ჭაბუა.

— რაც გაიგონე.

— გაიმეორე, თუ ბიჭი ხარ!

— გავიმეორებ, შენი მეშინია თუ რა — „ნასედკა“ იყავი, „ნასედკა“... კიდევ გინდა გითხრა?!.

ახლა უკვე ავარვარდებოდა ჭაბუა ამირეჯიბი და წამოდგებოდა:

— მოგაჭრი მაგ ლამაზ თავს და მამაშენს გავუგზავნი.

მერე კი იძახებდა, ეს ისე ვთქვი, სიტყვის მასალადო, მაგრამ იმ წუთას ისე გაფიცხდებოდა ჰაერიც კი, ისე გაითანგებოდა იქაურობა, ყველაფერი იყო მოსალოდნელი...

არადა... შემსრულებელი გახლდათ.

— მოიცა, ჭაბუა... არ გინდა, ჭაბუა... — აქეთ-იქიდან კი შემოსძახებდნენ, მაგრამ დიდადაც არ გამოიდებდნენ თავს.

„მოაჭრას და მოაჭრას... მოვისვენებთ და ეგ იქნება... ჰა, რაღას უცდის...“

თუმც ყველაფერი ერთბაშად უნდა ჩაშოშმინებულიყო.

წამოქოჩრილი ჭაბუა თავის შეყოვნებასა და კვლავ სკამზე დაჯდომას მოგვიანებით იმით ახსნიდა: ზვიადის თანმხლები რომ წამოდგა, აქეთ-იქით ორი რევოლვერი მოუჩანდა ქამარში და არ ღირდა შებმაო.

ვიქტორ რცხილაძე ამ სიტყვებს რომ შეიტყობდა, არსენასავით ჩაიცინებდა ნელი-ნელა: არავითარი იარაღი არა მქონია, და ფეხზეც არ წამოვმდგარვარ, მხოლოდ წამოვიწიეო, ეგ არის და ეგ, იმათთან ანკი რა იარაღი მჭირდებოდაო.

ისე დაშორდებოდნენ ერთმანეთს, ვერ მორიგდებოდნენ.

ესენი გამოიგდებდნენ კარს და წამოვიდოდნენ: ხომ წავაკეცეთ თავისი აგენტობაო.

ისინი ერთხანს შერჩებოდნენ: ხომ გამოჩნდა, რომ არავითარი საბუთი არ გააჩნია და უგვანი ცილისწამება იკადრაო.

— მე რომ არ მიმეცა ვიზა, გვერდით რომ არ დავდგომოდი, წიგნს ეგრე ადვილად კი ვერ გამოსცემდა, — ჩიოდა ნიკო ყიასაშვილი.

— უმადურობა გიკვირს? — ამშვიდებდნენ და ვერ ამშვიდებდნენ მეგობრები, და ის კი ვერ დაეჯერებინათ: ჭაბუას როგორ გაუბედა „ნასედკას“ დაძახება, არა, ეტყობა, მასობრივი ჰიპნოზი დაგვეუფლა, ყველას ერთობლივად რომ მოგვეჩვენაო.

წლები რომ გადაიკეცებოდა და ზვიად გამსახურდია აკაკი ბაქრაძის ერთ პოლემიკურ სტატიას („მკვახე შეძახილი“) გამოეხმაურებოდა კრიტიკულად, თუმც ფინალური სტრიქონებით ერთგვარად გაანელებდა კრიტიკის სიმძაფრეს: გისურვებთ, კიდევ მრავალგზის მოგეწოდებინოთ ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის ასეთი ცოცხალი აზრით სავსე, სასარგებლო კამათის გამომწვევი წერილებიო, — გიორგი სააკაძის კულტზე სიტყვის ჩამოგდებისას — როდესაც ამ კულტის დამკვიდრებას გაუთანაბრებდა ეროვნული პარამნეზიის გამოწვევას ანუ ადამიანის გასახრწნელად და გადასაგვარებლად მისი ისტორიული წარსულის გაყალბებას, თავის ჭეშმარიტ გმირებს ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად რომ უსახავ, მედროვეებსა და მოღალატეებს კი გმირებად — თვალსაჩინოებისათვის მოიგონებდა ერთი რაპპელის განცხადებას: თამარ მეფის ბნელ სასახლეში დატრიალებული ბნელი საქმეების გახსენება დღეს აღარ არის საჭირო ლიტერატურაშიო, — და კიდევ ფილმ „დათა თუთაშხიას“ ტენდენციას, ამავე მიზანს რომ ემსახურებოდა და რომლის მიხედვითაც რუსეთმა XIX საუკუნეში თურმე „გაათავისუფლა“ საქართველო ბაგრატიონების ბატონობისაგან, სამეფოს გაუქმებითა და სახელმწიფოს მოსპობით.

— კომენტარები ვგონებ ზედმეტია, — დასძენდა ზვიად გამსახურდია.

ის ფრაზა, რომელსაც ასე აღეშფოთებინა, სცენარისტის მიერ კი არ იყო ჩამატებული კინოფილმში (განსხვავებით დათას გაბრაგების მიზეზისაგან, სრულიად სხვადასხვაგვარად რომ არის წარმოჩენილი წიგნსა და ფილმში), არამედ პირდაპირ გადასულიყო რომანიდან და... მაშ რაღა სერიალს ახსენებდა, ბარემ წიგნი დაემოწმებინა, უცნობი ავტორის რომანიდან ჭაბუა ამირეჯიბისეული ეს ინტერპოლაცია?!.

ამ ფორმულირებით რომ მოეხმო, აცდებოდა ესეის მთავარ გეზს და სულ სხვა თემას შემოიტანდა, რომელიც იმ წუთს არ სჭირდებოდა. პოპულარულ რომანზე ხელაღებით ამის თქმა: ჭაბუა მარტოდენ ინტერპოლატორიაო, ზედმეტ დისკუსიას გამოიწვევდა მკითხველში — მთლად დარწმუნებული არ გახლდათ, რომ ცენზურა ნებას დართავდა „მკვახე შეძახილის“ ექოს“ გამოსაქვეყნებლად, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ეიმედებოდა... და ხელნაწერის სახითაც რომ გაევრცელებინა, მაშინაც ვაითუ გაენაწყენებინა არაერთი თავისი მომხრე.

ასე დაწერასაც არ მოინდომებდა: ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაო“...

ერთმანეთთან ვერაფრისდიდებით ვერ აკავშირებდა ამ გვარ-სახელსა და ამ რომანს, უფრო ზუსტად, იმაზე მეტად არა, ვიდრე ნანუჩა ციციშვილი გახლდათ „ვეფხისტყაოსნისათვის“ — რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ შეურევია და წმინდა რამ აუმღვრევიაო, — მწვავედ რომ ედავებოდნენ და ამხელდნენ ძველი დროის მწერლები.

ამიტომაც ყველაზე მარჯვე გამოსავალი აღმოჩნდებოდა კინოფილმის ხსენება.

ასეთ დროს ვალდებული არა ხარ, ან რეჟისორი დაასახელო და ან სცენარისტი.

და ქვეტექსტში მიანიშნებდა თავის დამოკიდებულებას, გუნებაში რომ ერთხელ კიდევ დაექადნებოდა: დადგება შენი დროცო...

და იმავე სტატიაში ერთხელაც დაუბრუნდებოდა... კინოფილმს და კვლავაც ძალიან მწვავე კონტექსტში, „შეგნებულად გამიზნულ თამაშს“ რომ ახსენებდა და განმარტავდა, თუ რას გულისხმობდა:

— რაც უფრო მეტად დაამცირებ და გააბიაბრუებ შენს ერს, მის ისტორიულ როლს და მის კულტურას, გარკვეული „ინსტანციები“ მით უფრო დაგაფასებენ.

ამის მაგალითად იკმარებდა „ლაშარელას“ ავტორის აღზევებასა და... ფილმ „თუთაშხიას“ ტრიუმფს, მათთან ერთად კი უნიჭო და მდარე ლიტერატურის პროპაგანდას საზღვარგარეთ, ფრჩხილების გახსნას მკითხველს რომ მიანდობს.

გრიგოლ აბაშიძის გვარ-სახელსაც რომ არ იხსენიებს?

მაგრამ ხომ გარკვევით წერს: „ლაშარელას“ ავტორიო.

და ლოგიკურად და ბუნებრივად მის გვერდით ასეც შეიძლება აღენიშნა: „დათა თუთაშხიას“ ავტორიო.

უეცრად კი... კვლავ ფილმი.

თითქოს რომანს ნაკლები ტრიუმფი ჰქონოდეს.

მაგრამ ზვიად გამსახურდია „დათა თუთაშხიას“ ავტორს კი არ ედავება, არამედ... ინტერპოლატორს. და ისევ და ისევ სერიალს გააბიაბრუებდა.

ინტერპოლატორს ჩინებულად თუ რაიმე მოეხსენებოდა, როგორ უნდა გაეკვლია გზა მისი გვარ-სახელით გამოცემული რომანისათვის. და საამისოდ თუ საკუთარი ერის დამცირება და გაბიაბრუება დასჭირდებოდა, მისი ისტორიული როლისა და კულტურის, რას დაგიდევდა — ტრიუმფად უღირდა.

— ჯეიმზ ჯოისმაც ხომ განირა ირლანდია თავისი რომანისათვის? — ვიღაც ამასაც შეახსენებდა. არა გამართლებად, ცხადია, ირლანდიელი მწერლისა, არამედ ეროვნულობისა და ზოგადესთეტიკური რწმენის შეჯახების ნიმუშად, ჯოისი ამ მხრივ ერთხანს უკიდურესობაშიც რომ გადავარდებოდა და გამოექცეოდა სამშობლოს, ვიდრე მოუნდებოდა და სულაც მოწყურდებოდა საკუთარ ფესვებთან დაბრუნება, გარეგნულად მოულოდნელ ნახტომად რომ მოჩანს მანძილი „ულისესა“ და „ფინეგანის ქელეხს“ შორის.

— ჯოისის ბედისწერა სულ სხვაა... მაგრამ ამას თავი რომ დავანებოთ, მან ხომ საკუთარი რომანისათვის გაწირა, სხვის დაწერილს კი არ ამოეფარა სარგებლის საშოვნელად... ვეთანხმებით თუ არ ვეთანხმებით, იგი უანგარო კაცი იყო და ეს არ დაგვავიწყდეს!..

საქმეში ჩახედულ ადამიანებს არ გააკვირვებდათ ზვიადის მიერ აქცენტის გადატანა ფილმზე და არც მისი ქვეტექსტი გამორჩებოდათ, მაგრამ ის კი ძალიან გააოცებდათ, აკაკი ბაქრაძის დოკუმენტურ რომანში „მწერლობის მოთვინიერება“ გვერდიგვერდ ასეთ პასაჟებს რომ იხილავდნენ იმ დებულების ნათელსაყოფად: 50-იანი წლებიდან მწერლობამ ზნეობრივი პრინციპების გადასინჯვა დაიწყო. უფრო სწორად, ქრისტიანული ზნეობრივი იდეალისაკენ მიბრუნდაო.

ერთი მხრივ ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა“, რომელშიც უბნის ინსპექტორი სახარებას კითხულობს. თუმც ყველაფერი შეიძლება წარმოიდგინო კაცმა, გარდა ერთობლიობა მილიციელისა და სახარებისა, მაგრამ მწერალს ხომ აქვს უფლება ოცნებისა ქრისტიანულ კაცთმოყვარეობაზე, რომელსაც სოციალისტურ სინამდვილეში ვერ ხედავდა.

და მეორე მხრივ... „დათა თუთაშხია“, რომლის ზნეობრივი დასკვნაც ქრისტიანულია: არა ჰკლათ კაცი ესე და აჰა, ნიჭი თქვენ, გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისაო.

ასე ერთად უფრო თვალშისაცემია, რომ „კუკარაჩას“ ჰყავს ჩვენთვის ცნობილი ავტორი, ხოლო „დათა თუთაშხიას“ — არა. და ისე გამოდის, რომ აკაკი ბაქრაძე თავს არიდებს ფსევდოავტორის დასახელებას, ნამდვილი ავტორის ვინაობა კი ვერ გაუმჟღავნებია — ან წარმოდგენა არა აქვს და ან დაზუსტებით ვერ უთქვამს.

კი მაგრამ, ეს კრიტიკოსი არ იყო, რამდენიმე წლის ნინათ ვრცელ ნარკვევს რომ უძღვნიდა ამ რომანს? გამოწვლილვით, დეტალურ ანალიზს მისი იდეური მრწამსისა, სწორედ ქრისტიანული თვალთახედვით წარმოსახულს და სათაურსაც შესაფერისს რომ შეურჩევდა — „ტარიგი ღმრთისაი“?

აკაკი ბაქრაძეს არა სჩვეოდა აღმატებულ ეპითეტთა დახვავება თუ ემოციის გამოვლენა ლიტერატურულ სტატიებსა თუ ესეებში, მისი სტილური მანერა ყოველთვის თავშეკავებით გამოირჩეოდა, ასე რომ, თუკი ზერელედ შევუდარებთ ამ ნარკვევს სხვა კრიტიკოსთა წერილებს, „დათა თუთაშხიას“ ირგვლივ ჩამომწკრივებულთ, რაღაც განსაკუთრებულ სამწერლო მოვლენად რომ შერაცხავდნენ ამ რომანის გამოქვეყნებას, შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ კრიტიკოსი დიდად აღფრთოვანებული არ დარჩენილა, მოწონებით მასაც მოსწონს, მაგრამ ისეც არა, თაყვანისმცემელთა კოჰორტას შემატებოდეს. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით ანალიტიკური აზროვნების პროცესსა და შინაგან სიმხურვალეს, აღმოვაჩენთ, რომ „ტარიგი ღმრთისაი“ ერთიანი დითირამბია, რომანის მთავარი გმირის სახებას ამაღლებული შარავანდით რომ მოსავს:

— როგორც ჩანს, ყოველი კაცის გვამში ღვთაებრივი სიყვარული უნდა ჩასახლდეს, ის ზნეობრივი იდეალი რომ განხორციელდეს, რომელსაც დათა თუთაშხიას პიროვნება განასახიერებდა.

ამ ერთიანი დითირამბის, პანეგირიკის ფონზე აკაკი ბაქრაძე თავს უფლებას მისცემდა, კრიტიკული შენიშვნა გამოეთქვა რომანის ზოგიერთი თავის მიმართ: უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ზედმეტიაო.

უშუალოდ რომელ მონაკვეთს გულისხმობდა?

— მაგალითად, ციხეში მომხდარი ამბოხების აღწერა. თავისთავად ჯანყი საინტერესოდ არის დაწერილი (ამის საბუთად მარტო კლასიონ კვიმსაძის სახეც კმარა), მაგრამ, ჩემი აზრით, ეს თავი იმ ფუნქციას ვერ ასრულებს, რისთვისაც არის რომანში.

ეს ციხე მიკროსახელმწიფო რომ გახლდათ, ამას მიგნება არ სჭირდებოდა, აშკარადაც იყო ნათქვამი რომანში და ისედაც გარესახელმწიფოს ყველა ნიშან-თვისება თვალნათლივ ვლინდებოდა აქ.

— იმ გარესახელმწიფოს კარგად იცნობს დათა თუთაშხია. ბუნებრივია, არც ციხის ანუ მიკროსახელმწიფოს სამყაროა მისთვის უცნობი და ახლისმთქმელი. არც ის ადამიანებია სხვანაირი, რომელნიც ციხეში შეხვდნენ დათას. ორთაჭალის ციხეში დათას პიროვნების გამოვლენა ახალი მხრიდან არ ხდება. არც დათას მოუხდენია აქ რაიმე ზეგავლენა სხვების სულიერ სამყაროზე.

მაშ... მართლაც ზედმეტი ყოფილა და ესაა!..

ყოველ შემთხვევაში არგუმენტი სავსებით დამაჯერებელია და გასათვალისწინებელი. და თუ სხვა თავებს — სადაც ამბავი სხვადასხვაა, მაგრამ აზრობრივი შინაარსი ერთი და იგივე — აღარ ჩამოუთვლიდა, იგულისხმებდა, რომ თუკი ავტორი დაინტერესდებოდა, პირადადაც მოახსენებდა კრიტიკულ შენიშვნებს. ან ეგებ ჭაბუა ამირეჯიბს თვითონაც ამოეცნო დანამდვილებით, რომელი მონაკვეთები ტოვებდა ტავტოლოგიისა და გაჭიანურების შთაბეჭდილებას, რათა რომანის საგულდაგულო რედაქციისას მათ შელეოდა.

ერთ გარემოებასაც მიაქცევინებდა კრიტიკოსი მწერალს ყურადღებას: რამდენადაც საინტერესოდ და მიმზიდველად იხატებოდნენ მამაკაცები „დათა თუთაშხიაში“, იმდენად უინტერესოდ და ფერმკრთალად — ქალები.

შენიშვნები იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ რომანი კიდევ უფრო სრულყოფილი და შთამბეჭდავი გამხდარიყო და მწერალს არ უნდა გაძნელებოდა რედაქციული ჩარევა... ოღონდ თუკი არ გაიზიარებდა კრიტიკოსის მოსაზრებებს, აკაკი ბაქრაძე ხომ არაფერს ითხოვდა და აძალებდა — და რომანი კვლავინდებურად იმ სახით გამოიცემოდა, როგორც პირველად იხილავდა მკითხველი.

საწყენი ოდნავადაც არაფერი გახლდათ შენიშვნებში, მითუმეტეს — სახოტბო პათოსის ფონზე. და „ტარიგი ღმრთისა-

ის“ ავტორი მოელოდა, რომ მწერალი კმაყოფილებით გაეცნობოდა ნარკვევს „მნათობის“ ფურცლებზე და მადლიერებით აღივსებოდა იმ ადამიანის მიმართ (თანაც რარიგ პოპულარულის!), ვინც ასერიგად უწყობდა ხელს რომანის აღზევებას.

ტელეფონის ზარი არ გახმიანდებოდა კრიტიკოსის ოჯახში.

„ალბათ რომ შემხვდება, მაშინ დამიმადლებს!..“

და აგერ კიდეც შეეყრებოდნენ ერთიმეორეს და... აკაკი ბაქრაძე სახეგაბადრული რომ გადადგამდა ჭაბუა ამირეჯიბისაკენ ნაბიჯს, ის... ძალიან ცივად მიესალმებოდა და აჩქარებული ნაბიჯით გაშორდებოდა.

ეს სახტად დარჩენილი მიაჩერდებოდა მის ზურგს.

ცივი სალამი იმას ნიშნავდა: ზრდილობას რა ვუთხრა, თორემ ამასაც არ უნდა ვიმეტებდეო.

და შინ ნირწამხდარად დაბრუნებული აკაკი ბაქრაძე სასწრაფოდ გადმოიღებდა თავის ნარკვევს და მკაცრი თვალით ჩაიკითხავდა თავიდან ბოლომდე, იქნებ უნებურად გამეპარა რაიმე საწყენიო.

ვერაფერს აღმოაჩენდა, გარდა იმ უწყინარი შენიშვნებისა.

„ორმოცთაბახიან რომანს ორი-სამი თაბახის ამოკლება განა რას დაუშავებს!.. ბოლოსდაბოლოს ნუ შეკვეცავდა და ეგ იქნებოდა...“

მერეღა უნდა მიხვედრილიყო ამ უჩვეულო ბიოგრაფიის კაცის განაწყენების მიზეზს.

ეს მაშინ, როდესაც ისიც ეჭვით შეხედავდა ჭაბუა ამირეჯიბის ავტორობას.

და იცინებდა და რას იცინებდა აკაკი ბაქრაძისებური გულიანი სიცილით.

— რის ამოღებასაც ვურჩევდი, ზედმეტია-მეთქი, ის არის მხოლოდ მაგის დაწერილი და ეწყინებოდა, აბა რა იქნებოდა... კიდევ კარგად მომითმინა... არადა, აშკარად ჩავარდნილია ეს მონაკვეთები. ციხის ამბოხების ამბავი რა დასაწერი იყო — გაჭიანურებული და არაფრისმთქმელი!..

— ზვიადი მართალი ყოფილა?

— მართალი ყოფილა, მართალი... მაშინვე დაგვეგდო ყველას ყური მისთვის, კარგი იქნებოდა.

პირდაპირ გალაშქრებას მოერიდებოდა ჭაბუას წინააღმდეგ, თუმც სულ სხვა ნარკვევში, გურამ დოჩანაშვილის რომანის — „სამოსელი პირველი“ — ანალიტიკურ განსჯას რომ მიეძღვნებოდა, ისეთ პასაჟს ჩართავდა ფინალურ ნაწილში, ყველა მიხვდებოდა, „დათა თუთაშხიასადმი“ აღტაცებულ დამოკიდებულებას რომ აბიაბრუებდა. ქვეტექსტი ისეთი გამჭვირვალე გახლდათ, დიდი რამ მიხვედრა არც სჭირდებოდა.

ერთი გარემოება შეიმჩნევა დღეს ქართულ მწერლობაში, რაც დასაგმობად მიმაჩნიაო, — რომ აღნიშნავდა, დასაგმობს იმას უწოდებდა, რომ თუ რომელიმე მხატვრული ნაწარმოები მოწონებას დაიმსახურებდა, მის მიმართ ჩნდებოდა ნეკროლოგიური მადლიერების განწყობილება, აღტაცებით ცრემლმორეულნი, ქუდმოხდილნი შევყურებდით მას და, თუ რაიმეს დავწერდით ამ ნაწარმოებზე, მხოლოდ და მხოლოდ ხოტბა უნდა გვეთქვა. როგორც ნეკროლოგშია მიჩნეული უხერხულად გარდაცვლილის ნაკლის აღნიშვნა, აქაც გვიძნელდებოდა ხარვეზებზე ლაპარაკი.

— ის კი გვავიწყდება, რომ მხატვრული ნაწარმოები ცოცხალი ორგანიზმია და, როგორც ყოველ ცოცხალ არსებას, აქვს თავისი ავ-კარგი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცოცხალ არსებაზე ნეკროლოგის დაწერა შეურაცხყოფაა, დამცირებაა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ბრმა აღტაცება და ბრმა გმობა ერთნაირ შედეგს იძლევა — აზრის უმოძრაობას. ეს კი მწერლობის უბოროტესი მტერია.

ეს რამხელა და როგორი განზოგადება მინიჭებოდა ამ რომანისადმი გამოჩენილ უჩვეულო ხმაურს, ერთიანად გამსჭვალულს ამ განცდით, ამ სიამაყით: ხომ შეიქმნა საქვეყნო წიგნი, ამდენი ხანია რომ ველოდით, და აჰა, ახდა თაობების ოცნებაო.

გამოეცლებოდა აკაკი ბაქრაძე ამ ბრმა აღტაცებას, მწერლობის უბოროტეს მტერს.

არადა, რომანს აკი სერიალიც ამოუდგებოდა გვერდით.

თარგმანები კიდევ თარგმანებად — ახალი პერსპექტივა რომ გადაიშლებოდა ჭაბუა ამირეჯიბის წინაშე და უკვე ნობელის პრემიასაც შეეთამაშებოდა გუნებაში, თორემ გარშემო რომ აღარავის მიიჩნევდა თავის ტოლად და სწორად, ჩვენს კლასიკურ ლიტერატურასაც გახედავდა და გაზომავდა ამ თვალით და თავის ფარდად... მარტოდენ შოთა რუსთველს დაიგულებდა... და ჯერ მხოლოდ ნაცნობ-მეგობრებში რომ გაამჟღავნებდა ამგვარ თვითრწმენას, მერე და მერე საჯაროდაც აღარ მოერიდებოდა: ძველმა საქართველომ „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა, ახალმა საქართველომ — „დათა თუთაშხიაო“.

სწორედ ასე, მესამე პირში... თანაც — ახალმა საქართველომო...

და ჩაიცინებდა, ჩახაზულს რომ მიუტანდნენ აკაკის ბაქრაძის ნარკვევის იმ პასაჟს, ნეკროლოგური მადლიერების განწყობილება დასაგმობად მიმაჩნიაო.

დაე დაეგმო იმას ბრმა აღტაცება — დამცირებააო, შეურაცხყოფააო... კენჭადაც არ დახვდებოდა წინ „დათა თუთაშხიას“ ტრიუმფის გზაზე... თუ უნდოდა, კვლავაც ციხისა და კიდევ ერთ-ორ ეპიზოდშიც ეჩხირკედელავა კრიტიკოსს და ემეორებინა: თავის ფუნქციას ვერ ასრულებს და ზედმეტიაო... იმას თუ ეზედმეტებოდა, ამისთვის გახლდათ ძვირფასი — ციხის წარსულის გამახსენებელი, მძაფრად და ხელშესახებად. და ისეთსაც რას აზიანებდა რომანის არქიტექტონიკას, რატომ შელეოდა და დაუნანებლად რატომ ამოეკვეთა მთლიანი ქსოვილიდან.

აკაკი ბაქრაძე აკი თავისებურად ახსნიდა ამ მონაკვეთთა ხელშეუხებლობის მიზეზს: მაგის დაწერილი მარტო ეგ არის და რა წააშლევინებს, როგორც გინდა დაუსაბუთოო!..

თავის მხრივ კი ჭაბუა ამირეჯიბის გვარ-სახელსაც გამოტოვებდა, „დათა თუთაშხიას“ ხსენებას რომ დაისაჭიროებდა.

ან ეგებ შეგნებულადაც მოეხმო ამ რომანის სათაური, რათა მკითხველი დაეფიქრებინა: ყველა თხზულებას ავტორთან ერთად რომ იხსენიებს მთელს წიგნშიც და აგერ, ამ მონაკვეთშიც, ამ ერთადერთ შემთხვევაში რატომ უნდა გამოეტოვებინა მწერლის გვარ-სახელიო?!.

უფრო შორს ჯერჯერობით ვეღარ მიდიოდა.

„როგორ ვერ მოვიცლი საამისოდ, რომ ჯერ მარტო სტილური ანალიზით დავამტკიცო სხვადასხვა ავტორის არსებობა... სულ ცოტა — ორის, და შესაძლოა — სამისაც... ამასობაში კი რაღაც საბუთი — მოგონება, დღიური, ბარათი — როგორ არ აღმოჩნდება ნამდვილი ავტორის დასადგენად... ნუთუ კვალი პირწმინდად წაშლილია?!.“

მერე ისე უნდა არეულიყო ქვეყანა და დაჩქარებულიყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები, სადღა მოიცლიდა „დათა თუთაშხიასათვის“, ამ მოვლენათა შუაგულში რომ იტრიალებდა და სამხედრო გადატრიალების შემდეგაც არ მოაკლდებოდა საზრუნავი და სათავშისაცემო, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი სულაც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობას რომ მოინდომებდა და ედუარდ შევარდნაძეს მოევლინებოდა ერთ-ერთ კონკურენტად... და ასეთ მარცხსა თუ ჩაფლავებას ვერაფრისდიდებით ვერ ივარაუდებდა საპრეზიდენტო არჩევნებში, არამცთუ ედუარდ შევარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილიც სადღაც შორს რომ ჩამოიტოვებდა, თვალსაც რომ ვერ მიაწვდენდი.

და ისე გაუტყდებოდა გული, ჯერ ისედაც სკეპტიკოსს, გაერიდებოდა ყველასა და ყველაფერს და აღარც „დათა თუთაშხია“ აუფორიაქებდა გონებას. თქმით კი იტყოდა ერთიორჯერ: როგორ არ მოვიცლი ჯერ მარტო სტილური ანალიზისთვისო, — მაგრამ უკვე უნიათოდ, ძველებური თავდაჯერებითა და შემართებით — ვეღარ, და აშკარად ეტყობოდა, რომ დაუწერელი დარჩებოდა ეს ნარკვევი, იქნებ მხატვრულ-დოკუმენტური წიგნისთვისაც — „ჩემი თაობა“ — ნავარაუდევი, მაგრამ წამოწყებით თუ წამოიწყებდა ამ მონოგრაფიას,

ფრაგმენტებსა და მონახაზებში რის დაწერასაც მოასწრებდა, არსად აღმოჩნდებოდა „დათა თუთაშხიას“ სტილურ ნაკადთა ანალიტიკური განსჯა-შეფასება.

— გეეჭვებათ, რომ ჭაბუასია ეს რომანი?

გაიცინებდა:

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ჭაბუასი არ არის.

— და მაშ ვისი?

— ეჰ, ეგ რომ ვიცოდე!..

ზვიად გამსახურდია აღარ იყო სამზეოზე.

აკაკი ბაქრაძესაც უნდა გაეხურა წუთისოფლის კარი.

ჭაბუა ამირეჯიბის სახელს კი კვლავაც უნდა ეგრგვინა და „დათა თუთაშხია“ სულაც ოფიციალურად წარედგინათ ნობელის პრემიის მოსაპოვებლად — ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ყველაზე უმჯობესად მას რომ ცნობდა თანამედროვე ქართველ მწერალთაგან... და თუმც პრემიის ირგვლივ შემოგარსულ წრეებს ვერ გადალახავდა, ჭაბუა თავს იმით ინუგეშებდა: საქართველოს რომ არ იცნობს დასავლეთი, მეც იმიტომ დავიჩაგრე, თორემ აბა ძლიერი სახელმწიფო ვიყოთ და მე კი პარიზში ცხოვრების საშუალება მქონდეს, მაშინ ვნახავდით, ვინ გადამისწრებდაო.

ეჭვი მაინც ბრუნავდა, გადი-გამოდიოდა და ბურავდა კულუარებს, ჟურნალისტებიც რომ დააცხრებოდნენ ამ საკმაზს და მოინდომებდნენ სენსაციურ მასალად ექციათ... და ხან ერთი მოადგებოდა ოთარ ჩხეიძეს, ხან მეორე, ხანაც მესამე... და შეკითხვა თითქოს შეთანხმებულად მოემზადებინათ, ერთსა და იმავეს რომ იმეორებდნენ:

— რომ ამბობენ, „დათა თუთაშხია“ ჭაბუა ამირეჯიბის დაწერილი არ არისო, თქვენ რას იტყვით?

— მეც მსმენია, როგორ არა, მაგრამ საბუთი არავის წარმოუდგენია, უამისოდ კი უნდა მოვერიდოთ ამისთანა ლაპარაკს. ხუმრობით, ვისაც ეხალისება, დაე იხუმროს, მაგრამ სერიოზულად არა ღირს... ეჭვი არ მეპარება, რომ „წყნარი დონის“ ნამდვილი ავტორი მიხეილ შოლოხოვი კი არა, თეოდორ კრიუკოვია, თეთრგვარდიელი მწერალი (სხვათა შორის, ამის კვალი დარჩენილია ამჟამინდელ ტექსტში), მაგრამ ჩვენში ყოვლად უსამართლოდ დასწამეს ცილი ჯერ ალექსანდრე ყაზბეგს და მერე კონსტანტინე გამსახურდიასაც...

— როგორ... კონსტანტინესაც?

ალექსანდრე ყაზბეგზე სმენოდათ, მაგრამ ეს რაღაც ახალი იყო მათთვის.

— მაშ — კონსტანტინესაც, „მთვარის მოტაცება“ მიითვისა, ინტერპოლატორი უფროა, ვიდრე ნამდვილი ავტორიო, მაგრამ მე ყოველთვის მეცინებოდა, ამას რომ ამბობდნენ.

— „დათა თუთაშხიასაც“ იქნებ „წყნარი დონის“ ბედი ერგო?

— ჭაბუა აღიარებული მწერალია და არამარტო ჩვენში და უსაბუთოდ უნდა მოერიდოთ მის ირგვლივ ჭორების გავრცელებას... ისედაც ტანჯული კაცია... საერთოდაც, ჩემგან იცოდეთ — ჩამდენმა ერთი ცოდვა ჰქნა და დამბრალებელმა ათასიო. ბრძნული ანდაზაა და მის სიბრძნეს დავუჯეროთ.

— არ იზიარებთ იმ აზრს, რომ ციხის ეპიზოდი და ერთიორი სხვაც ამოვარდნილია რომანის მთლიანობიდან?

— ეგ უთუოდ ასეა, შედარებით სუსტია რამდენიმე მონაკვეთი, მაგრამ ამით არ დამტკიცდება ის, თქვენ რისი დამტკიცებაც გნებავთ. ამხელა რომანში ყველა მონაკვეთი, ყველა პასაჟი ერთნაირი მხატვრული სიძლიერისა რომ არ იყოს, რა მოხდა მერე. „დონ კიხოტში“ არ არის ყველა თავი ერთნაირი შთამბეჭდაობისა და „დათა თუთაშხიასაგან“ რატომ ითხოვთ?.. ერთადერთი, რაზეც მწყდება გული, ბაგრატიონებზე ის რამ დააწერინა: რუსეთმა საქართველო მათი ბატონობისაგან გაათავისუფლაო, — და ახლოს რომ ვიყო ჭაბუასთან, უსათუოდ ვეტყოდი და ვთხოვდი, ახალ გამოცემებში ამოეშალა ეს სტრიქონი... ასეა თუ ისე ამით დავასრულოთ, არ მსიამოვნებს ასეთ თემაზე ლაპარაკი.

— სტილურმა ანალიზმა რომ დაამტკიცოს სხვადასხვა ავტორის არსებობა?

— ჯერ გამოჩნდეს ასეთი ანალიზი... მანამდე კი გთხოვთ, ჩამოეხსნათ ამის ჩხრეკას. ყოველ შემთხვევაში, მე ნუღა მომმართავთ.

არქიტექტონიკა მოსწონდა ამ რომანისა ოთარ ჩხეიძეს: კარგ ფორმას მიაგნოო, — და ეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დასაწყისს გამოაქვეყნებდა „ცისკარი“.

და განსაკუთრებით ხიბლავდა მუშნი ზარანდიას სახე, როგორც მხატვრული მიგნება და სიახლე ჩვენს ლიტერატურაში, გაორებული კაცი, ვინც ვითომდა თავისი ქვეყნის სიყვარულით მიიწევს იმპერიაში რაც შეიძლება მაღალი თანამდებობის დასასაკუთრებლად, ჩემს სამშობლოს ამ თანამდებობის სიმაღლიდან უფრო შევეწევი და გამოვადგებიო, მაგრამ რეალურად მზადაა ერი შესწიროს საკუთარ კარიერას, რაკიღა სხვაგვარად სრულიად წარმოუდგენელია ასეთი აღზევება შენი ქვეყნისათვის მტრულად შემართულ სახელმწიფოში, თუკი შენი ერის ინტერესებს არ გაყიდი.

— ღრმად და შთამბეჭდავად არის წარმოსახული ეს სახე... ეს რომანი ეგ არის სწორედ — მუშნი ზარანდიაა, თორემ უიმისოდ დათა თუთაშხია ვერ ასცილდება უსისხლო ყაჩაღის მოარულ მოდელს, მითუმეტეს, არსენა ოძელაშვილის შემდეგ — ვერა ჩრდილავს და ვერც დაჩრდილავდა იმ პერსონაჟს. ისე მაინც რა არის, რამხელა ეპოსია „არსენას ლექსი“, მიხეილ ჯავახიშვილმაც ვერ გადააჭარბა, „არსენა მარაბდელი“ ვერ აზიდა იქამდე... ვერც „დათა თუთაშხია“ აიზიდებოდა, მუშნი ზარანდია რომ არა... ესეც ამძაფრებს თხრობას და კონფლიქტსაც უფრო გამომსახველს ხდის, ამ ორი პერსონაჟის ჭიდილზე რომ არის აგებული კომპოზიციური ქარგა...

ნეტა თვითონ ჭაბუა ამირეჯიბი რას ფიქრობდა ამ პერსონაჟზე?

მთლად ასეთ მნიშვნელობასაც არ ანიჭებდა, მაგრამ ერთგანზომილებიან სახედაც არ მიიჩნევდა — ბოროტების მოარულ გამოხატულებად, და კიდეც განაცხადებდა ერთხელ: მუშნი ზარანდია არც დადებით, არც უარყოფით გმირად არ დამიწერიაო.

აბა, მაშ?..

— დავხატე კაცი, როგორიც უნდა იყოს იმ ვითარებაში, როგორშიც იგი მოქმედებს. ბევრი შეხედულება გამოითქვა, თუ როგორია მუშნი ზარანდია, მაგრამ არავის უთქვამს, რომ იგი სხვაგვარ კაცად უნდა დამეწერა.

ცოტა ბუნდოვანი განმარტება კი არის, მაგრამ ამჯერად მთავარი ისაა, რომ რთულ, არაერთმნიშვნელოვან გმირად წარმოუდგენია.

სხვათა შორის, სწორედ ხასიათის ამ სირთულეს „ჩაავლებდა“ თენგიზ არჩვაძე, მუშნი ზარანდიას მრავალგანზომილებიან პორტრეტად რომ გამოკვეთდა ტელესერიაში.

იმ არგუმენტის პასუხად რაღა შეიძლება თქმულიყო, აი, რომაო...

როდემდე უნდა ყოფილიყო შეჩერებული მკითხველი ამ ერთადერთ რომანს ასეთი აღიარებული და პოპულარული მწერლისაგან?

მურმან ლებანიძე ამ არგუმენტის გასაბათილებლად რომ შეიმართებოდა, ამიტომაც გამოუძებნიდა ამგვარ გამართლებას ჭაბუა ამირეჯიბის ხანგრძლივ შემოქმედებით პაუზას:

— ღმერთო, შეგცოდე და, რაღა აქვს დასაწერი, რაღა უნდა დაწეროს, სულაც რომ ხელები ჯიბეებში ჩაიწყოს, ეგების სჯობდეს-მეთქი, — ასეც ხომ მიფიქრია!

ხოლო ოთარ ჩხეიძე:

— რომ ახირებიან, ახალს რატომ აღარაფერს წერსო, რა მოხდა თუ ველარ წერს — ზოგი ადრე ამთავრებს წერას და ზოგიც გვიან, ამით არც არაფერი მტკიცდება. მერეა და, ეგებ დიდტანიანს წერს ახალსაც და გამოჩნდება, რატომ უნდა ააჩქარო!.. იმისთანა ბიოგრაფია აქვს, მასალა არ უნდა მოაკლდეს... ჯერ მარტო მისი ცხოვრებაა გამზადებული რომანი, სტენოგრაფისტის მეტი რომ აღარც აღარაფერი სჭირდება...

— თუ მართლა მაგის დაწერილია „დათა თუთაშხია“.

— არ გინდა, შენ ნუ აჰყვები ამ ლაპარაკს, თუ რაიმე რეალური საბუთი არ იჩენს თავს.

— მე ისე... ხუმრობით...

— ხუმრობითაც არ გინდა... ცუდად ჩამოგართმევენ და არ გინდა... მოეშვი...

— ზვიად გამსახურდიას არა სჯერა... აკაკი ბაქრაძეს არა სჯერა...

— იოლად ვერ გადაატარებ მათ მოსაზრებებს, მაგრამ ეს მაინც ზეპირი ლაპარაკია... დაასაბუთონ და... შენს გურამ დოჩანაშვილს ხომ სჯერა ჭაბუას ავტორობა.

— ოოო, იმას როგორ არა...

— ხომ ხედავ!.. ისე რაც დასაფარი არ არის, არც დაიფარება და დრო მიუჩენს ყველას თავთავის ადგილს.

* * *

— ოთხტომიანი „მძიმე ჯვარი“ დავწერე და ეს ორტომიანი „დათა თუთაშხია“ რა გახდა ამისთანაო, — უკვირდა რევაზ ჯაფარიძეს, — მე მოგიკვდეთ, ანტონ ფურცელაძის „მაცი ხვიტიას“ თუ სჯობდეს რაიმეთი... უნდა დავწერო, აუცილებლად უნდა დავწერო წერილი „მაცი ხვიტიაზე“. ჯერ მისი მნიშვნელობა წარმოვაჩინო, დასავიწყებელი რომ არ არის, მერე კი უკვე „დათა თუთაშხიასთან“ მისი შედარებაც შეიძლებაო...

ჩამდენის კისერზე ერთი ცოდვა გახლდათ.

დამბრალებლისა — ათასი.

და დროს უნდა მიეჩინა ადგილი ყველაფრისათვის და ამოსატივტივებელიც იმას ამოეტივტივებინა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაფარებოდა!..

ეს დრო კი ისე მიიზლაზნებოდა, ხვნეშითა და სვენებ-სვენებით, ვიდრე ერთბაშად ამღელვარდებოდა, აჩქარდებოდა და ეპოქებს გადაგვაქროლებდა და ამ უჩვეულოდ ასწრაფებული დროის სათავეში ზვიად გამსახურდია აღმოჩნდებოდა.

II.

— „დათა თუთაშხიასავით“ წიგნი გამოვიდა.

კი მაგრამ, რა საერთო შეიძლება ჰქონოდათ:

ერთი მხრივ — რომანი, სათავგადასავლო ყაიდისა.

მეორე მხრივ — ოფიციალური საგამოძიებო მასალები, სახელწოდებაც რომ შესაფერისი შეირჩეოდა: „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე“.

არადა, თვალშისაცემი აღმოჩნდებოდა მსგავსება ჯერ მარტო გარეგნულადაც — კომპოზიციური აღნაგობის თვალსაზრისით.

და შინაარსობრივადაც არანაკლებად.

დევნა, ტყე-ღრეში წონიალი, ალყა, თავდაღწევა, დისკრედიტაციის მცდელობა ათასგვარი ჭორის მეშვეობით, გამოძიება, პოლიცია, უშიშროება, სროლა, სისხლი, იდუმალებაში გახვეული აღსასრული... და კიდევ — მოლოდინი, რომელიც...

ნაკლებ სათავგადასავლო კი არ აღმოჩნდებოდა საგამოძიებო მასალების კვალდაკვალ აღდგენილი რეალური სურათი, თუნდ წინააღმდეგობრივი მასალების, სხვადასხვა მონათხრობი ხან ოდნავ და ხანაც საკმაოდ მკვეთრადაც რომ შორდებოდა ერთმანეთს.

და რა გასაკვირია, დეტექტიური მოტივები თუ განწყობილებანი რომ იელვებდა ერთგანაც და მეორეგანაც.

არქიტექტონიკა ხომ...

ის კი არა, არქივში მოძიებული მასალებითაც უნდა შევსებულიყო „დათა თუთაშხიას“ თხრობა — პორუჩიკ ანდრიევსკის დღიურები იქნებოდა, დაკითხვის ოქმი თუ შვანგირაძის პატაკი, და კიდევ სხვადასხვა ფერის — თეთრი, ვარდისფერი, ყვითელი — რვეულებითაც, კვლავ დღიურებსა თუ მემუარულ ჩანაწერებს რომ გვაცნობდა ნინო თავყელიშვილი-შირერისას, უმთავრესად კი მაინც პერსონაჟთა მრავალფეროვანი გალერეა უნდა აღბეჭდილიყო მკითხველის მეხსიერებაში, ავტორი პანოპტიკუმად რომ მოიხსენიებდა და გმირთა ქანდაკებებს საკმაოდ რელიეფურად გამოჰკვეთდა, ყველა ერთობლივად დათა თუთაშხიას ცხოვრების ეპიზოდებს რომ უტრიალებდა და მისი ხასიათის თვისებებს წარმოაჩენდა, ამასობაში კი არანაკლებ — და ეგებ უფრო მეტადაც — საკუთარ პორტრეტებს წარმოსახავდნენ, თიყვა ძაძუა იქნებოდა, ალექსი სნეგირი, ნიკიფორე ბუბუტეიშვილი, მოსე ზამთარაძე, ქუჯი თორია, გიგო ტატიშვილი, ირაკლი ხურციძე, ნიკანდრო ქილია, ბეგლარ გვალია, ტოჩი მიქაშავრია, ბექარა ჯეირანაშვილი, დიმიტრი კოდაშვილი, ქალბატონი თიკო ო-ნი, შალვა ზარანდია, სალომე ბაზიერაშვილი-ოდიშარიასი, რობერტ ხაპლანი, შალვა თუხარელი, ვანო ნათოფრიშვილი თუ ვასო გოდერძიშვილი.

ყველა ეს მონათხრობი კი უნდა დაეკავშირებინა და მოხდენილადაც შეეკრა გრაფი სეგედის ვრცელ ჩანაწერს, ღრმა ანალიტიკურ განსჯას, რომელიც ფრაგმენტებად დანაწილებულიყო და მთელს რომანს გამოსდევდა.

ეს — იმ წიგნში.

ხოლო ამ მეორეში:

საქართველოს მთავარი პროკურატურის არქივში დაცული №7494802 სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ამოკრებილი ჩვენებანი და დროებითი საპარლამენტო კომისიის გამოკითხვები და მასთან ერთად ზუგდიდის კომენდანტის ბადრი ზარანდიას დღიური ქმნიდა პერსონაჟთა იმ მრავალფეროვან გალერეას, პანოპტიკუმად რომ წარმოდგებოდა და გმირთა ქანდაკებებსაც საკმაოდ რელიეფურად გამოჰკვეთდა, ყველა ერთობლივად ზვიად გამსახურდიას ცხოვრების უკანასკნელ ეპიზოდებს რომ უტრიალებდა და მისი პიროვნული ხასიათის თვისებებს წარმოაჩენდა, ამასობაში კი არანაკლებ — და ეგებ უფრო მეტადაც — საკუთარ პორტრეტებს წარმოსახავდნენ, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე იქნებოდა, ლუდმილა აბშილავა-ღურწკაია, კარლო ღურწკაია, ვალიკო ზარანდია, ნათელა ავალიანი-ზარანდია, რობერტ (რობინზონ) მარგველანი, ჯუმბერ (ზაურ) ჩუხუა, ანატოლი ჩუხუა, ანზორ მებონია, კარლო გუჩუა, ზურაბ გუჩუა, ჯონსონ კვარაცხელია, გოჩა კეკენაძე, ზაზა ბურჯანაძე, თენგიზ კიტოვანი, იგორ გიორგაძე, თენგიზ სიგუა, ჰამლეტ გულორდავა, მურმან წაქაძე, თემურ გაბუნია, ლევან ჩაჩუა, ზაზა ოქრუაშვილი, რომეო კუჭუხიძე, ვალტერ შურღაია, სოსო თორია, ვახტანგ ზარანდია, ირანდა კალანდაძე, მარინა ზარანდია, გივი თაქთაქიშვილი, ავთანდილ რცხილაძე, ბელა შალვაშვილი, გიორგი სარია, არსენ მესხია, დავით ქარდავა, ნუკრი ღურწკაია, არკადი შონია, გოდერძი მებონია, კახა მოლაშხია, მამრიკო ზარანდია, კახა მიქაია, ბადრი გოგელაშვილი, თამარ ძნელაძე, ნანა ზულიაშვილი, ლამარა კერვალიშვილი თუ ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე.

ჩაერთვოდა ფრაქცია „XXI საუკუნის“ მიმართვა საქართველოს გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილისადმი.

აგრეთვე კომისიის მიერ მოწვეულ სპეციალისტ-მედიკოსთა დასკვნები.

მოზრდილ ნაწილად კი — რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მე-16 სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზების სახელმწიფო ცენტრის ექსპერტთა კომისიის დასკვნა.

ყველა ეს მონათხრობი კი უნდა დაეკავშირებინა და მოხდენილადაც შეეკრა კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის ვრცელ ჩანაწერს, ღრმა ანალიტიკურ განსჯას, რომელიც რამდენიმე მოზრდილ მონაკვეთად დანაწილებულიყო და მთელს წიგნს გამოსდევდა.

თუ რაიმე არ უფიქრია დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს, უპირველესად — ეზრუნა მხატვრულ-დოკუმენტური წიგნის სრულყოფილებაზე. მისთვის მთავარი და უმთავრესი გახლდათ, დეტექტივობა ეკისრა და თვითონ გამოეძიებინა საქმე, იდუმალებით რომ მოცულიყო და... უნუგეშოდ მიტოვებულიყო... და რაც დრო გავიდოდა, მითუფრო შეიბურებოდა ჯანღით. მოსასწრები მალე უნდა მოსწრებული-

ყო და აჰა, ისიც კვალში ჩაუდგებოდა იმ ტრაგიკულ გზას, მამამისს რომ გაევლო თავისი ჯვრის ზიდვისას გოლგოთაზე.

ყველა ადამიანი თავის ჯვარს მიეზიდება გოლგოთაზეო, — ირწმუნებოდა შერვუდ ანდერსონი, ამ თვალით რომ ზომავდა ყოფით გარემოსაც და თავის პერსონაჟებსაც.

ზოგნი მაინც — განსაკუთრებით, კანთიელად რომ მოჩანდა ეს ზიდვაც და გოლგოთაც და დრო-ჟამი კიდევ უფრო გაასხივოსნებდა მათ სვლას, წყვდიადი რომ უნდა გაეფატრა და ადამიანთა ხსოვნას შემორჩენოდა მითად და ლეგენდად, უკვე რომ ვეღარც დაგეჯერებინა, წარმოსახვას შეეთხზა ეს ხატებანი თუ... ეს სურათები ხორცშესხმულ პიროვნებებს გიცოცხლებდა თვალწინ.

მითოსი გამოსდევდა კაცობრიობის ცხოვრებას და თავის წიაღში იხვევდა ადამიანებს, რომელთაგან ზოგიერთს ამოტყორცნიდა და კიდევ ერთხელ ააფორიაქებდა საზოგადოებრივ ცნობიერებას და აანთებდა ეროვნულ სულში მინავლულ ნაკვერჩხლებს დაფარული ენერგიისა და თვითმყოფადობის ყველაზე მკვეთრი ნიშნებისა.

მითოსს თავისი წეს-კანონი მოეპოვება.

ყოფით რეალობას — თავისი, და დეტალიზების იმ წყურვილით აღვსილი, მისაახლოებლად რომ გიბიძგებს იმ მოვლენებთანაც, მძიმე ჯვრის ზიდვა რასაც ჰქვია, იესო მაცხოვრის მაგალითით შთაგონებული.

მითოსი იკმარებდა ხატს გოლგოთაზე ამავალი მოწამისა, ამჯერად საქართველოს პირველი პრეზიდენტის სამოსში რომ გამოხვეულიყო.

ყოფითი რეალობა კი არაერთი გარემოებისა და რეალიის დაზუსტებას ითხოვდა, საზოგადოებრივი ცნობისწადილი კიდევ თავისას ესწრაფოდა და... თუ ვინმეს უნდა ეტვირთა საიდუმლოებით შემოგარსული ტრაგიკული აქტის გახსნა — ბოლოსდაბოლოს მკვლელობის მოწმენი ვხდებოდით თუ თვითმკვლელობისა, უთუოდ იმ პიროვნებას, ვინც ისედაც არ გაჩერდებოდა და ვერც გაძლებდა ამ საიდუმლოს გაუფანტავად, და აგერ პარლამენტი ოფიციალურადაც მიანდობდა დეტექტივის როლს და იმ პირობებსაც შეუქმნიდა, დროებით საგამოძიებო კომისიას რისი უფლებებიც ჰქონდა.

ვაი, რომ მოჯადოებული წრის იქით თავისი ნებით არავინ გადაუშვებდა.

თუმც ეს უფლებებიც რაღაცას ნიშნავდა ანალიტიკური გონებით დაჯილდოებული და სიმართლის მიკვლევის წყურვილით ანთებული ადამიანის ხელში.

ეს „რაღაც“ საბოლოოდ აგერ წიგნადაც მოიყრიდა თავს.

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი სისხლის სამართლის საქმის მასალებს რომ გულდასმით გაეცნობოდა, შეარჩევდა და ამოკრებდა იმ ნიმუშებსა და ფრაგმენტებს, რომელნიც ისეთ გარემოებებსა თუ დეტალებს უმზეურებდნენ თავისდაუნებურად, მოჭიდება რომ შეიძლებოდა.

კენჭებად თუ გამოდგებოდა და მეტი არა?

კენჭი რა — ცოტას ნიშნავს?

ის წინააღმდეგობანი, რაც უკვე იჩენდა თავს პროკურატურის მიერ მოძიებულ მასალებში, კვალზე დადგომას გიადვილებდა და გამოკითხვათა გაგრძელებას — უკვე იცოდი, ვისთვის მიგემართა და შეკითხვები როგორ შეგერჩია.

უფრო გაღრმავდებოდა წინააღმდეგობანი ამ ახალი მასალებით შევსებისას?

მით უკეთესი!...

მოსაკიდებლად უფრო მყარი ადგილი გიჩნდებოდა ფეხქვეშ.

თუ რაიმეზე არ უფიქრია, უპირველესად — ეზრუნა მხატვრულ-დოკუმენტური წიგნის სრულყოფაზეო.

სულ წიგნის ჯავრი არა ჰქონდა?!.

მაგრამ მარჯვედ მოკრებილი ჩვენებანი და გონებამახვილურად წარმართული გამოკითხვები ერთიან ქარგაში რომ მოექცეოდა და კომპოზიციურ ღერძად დეტექტივად გარდასახული კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის ფიქრი გამოჰყვებოდა, დახვეწილი ესთეტისა და ლიტერატურის კანონების ღრმა მცოდნის, „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე“ თავისთავად დაემსგავსებოდა მხატვრულ-დოკუმენტურ რომანს, წარმტაცად საკითხავ თავგადასავალს, ამ ჟანრის ბევრი თხზულება რომ ვერ დაუდგებოდა გვერდით.

და თუმც კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი ტიტულზე მხოლოდ კომისიის თავმჯდომარედაა მოხსენიებული და მარტოდენ წინასიტყვაობად ნაგულისხმევი სტატიის — „დღეს, ოცი წლის შემდეგ...“ ავტორად, სინამდვილეში იგი ისეთი რომანის შემქმნელად წარმოგვიდგება, „დათა თუთაშხიას“ ძალდაუტანებლად რომ წამოგაგონებს — და არამარტო არქიტექტონიკით, კომპოზიციური აღნაგობით.

ზვიად გამსახურდიას აღსასრულიდან ოცი წლის შემდეგ უნდა გამოცემულიყო პარლამენტის დროებითი კომისიის ეს დასკვნითი დოკუმენტი და, რა გასაკვირია, წინასიტყვაში გაეელვა ამ რიცხვს, მითუმეტეს, თუ მისთვისაც და ყველა ჩვენგანისთვისაც საყვარელი რომანის ასოციაციას იწვევდა: ალექსანდრე დიუმას „ოცი წლის შემდეგ“, რომელიც შესაძლოა „სამ მუშკეტერს“ ვერ შეედრებოდეს, რის უშუალო გაგრძელებადაც ჩაფიქრებულიყო, მაგრამ თავისთავად ჩინებული სათავგადასავლო რომანი გახლდათ.

ეს ისე, მართლაც ასოციაციურად, სიყმაწვილის ფიქრებსა და სიზმრებს შეზავებული წიგნის სათაურიც რომ იწვევს ხოლმე, თორემ სხვა რამ მინიშნებას არ ვარაუდობდა ოფიციალური დასკვნითი დოკუმენტი, კომისიის თავმჯდომარისდა მოულოდნელად და გასაოცრად, იმ ჟანრის რომანთა რიგში რომ ჩადგებოდა.

იმას — ისტორიული ერქვა.

ამას — დოკუმენტური დაერქმეოდა.

სინამდვილეში კი ერთსა და იმავეს გულისხმობდა ორივე — ხანი რომ გამოხდებოდა, ესეც ხომ ისტორიულ თხზულებად გადაიქცეოდა.

ანდა „დათა თუთაშხიასაც“ რომ უსადაგებდნენ ისტორიულის იარლიყს, რაკიღა მოქმედება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გაშლილიყო, აგერ XXI საუკუნის დამდეგიდანვე — ან უფრო ადრიდანაც — ჩვენს თვალწინ დატრიალებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები ისტორიული არ გახდებოდა?

და მაშ „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმეც“ სათავგადასავლო რომანადაც წარმოდგებოდა შთამომავლობის თვალში და ისტორიულადაც, თუკი შეიძლებოდა მისთვის რომანი გვეწოდებინა.

თურმე — რატომაც არა.

დოკუმენტების სიუხვე თავისებურებაა ამ რომანისა, ავტორის წარმოსახვას დიდ გასაქანს რომ არ მისცემდა, მაგრამ რა აუცილებელია ფანტაზიის ამოქმედება, როდესაც დოკუმენტები თვითვე იჩენენ შესაფერის აღმაფრენას და, სურთ თუ არა, მაინც მიგიძღვიან საიდუმლოს შუაგულისაკენ?!. თანაც, რარიგ სუნთქვისშემკვრელი ნაბიჯებით...

ალექსანდრე დიუმას „ოცი წლის შემდეგ“ რასაც გვაცნობდა, არაერთი ეპიზოდი მტკიცედ ჩაბეჭდილიყო ჩვენს ცნობიერებაში, ხოლო კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის „ოცი წლის შემდეგ“ იმ მხრივ აღმოჩნდებოდა განსაკუთრებით ღირებული, რომ ყველა არსებულ მასალასა და უშუალოდ კომისიის მიერ ჩატარებულ მოკვლევასა და მოსმენა-გამოკითხვაზე დაყრდნობით დასტურდებოდა მთავარი და უმთავრესი:

საქართველოს პირველ პრეზიდენტს თვითმკვლელობით არ დაემთავრებინა ცხოვრება.

ნუთუ კომისიას ისიც გამოერკვია, თუ სად მომხდარიყო, როგორ, რა ვითარებაში, უშუალოდ ვის ჩაედინა და რა იარაღით მკვლელობა?

არა, ამდენი აღარ...

მაგრამ ეს არც დაესახა მიზნად და საამისო ასპარეზიც არ გააჩნდა, რადგანაც ის საგამოძიებო ორგანოს არ წარმოადგენდა და არც საგამოძიებო მოქმედებათა უფლებამოსილება მიენიჭებინათ მისთვის.

ეს დოკუმენტი საპარლამენტო სესიის გადაწყვეტილებით გადაიგზავნებოდა საქართველოს მთავარ პროკურატურაში, რათა გამოძიება დაწყებულიყო.

დოკუმენტს თან ერთვოდა სია იმ პირებისა, რომელთა გამოკითხვაც — სხვადასხვა მიზეზის გამო — კომისიას ვერ მოეხერხებინა, არადა, მათ შესაძლოა მეტად ძვირფასი ცნობები მიეწოდებინათ გამოძიებისათვის საქართველოს პრეზიდენტის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების ირგვლივ.

ისე კი თითქოს საკვლევაძიებო არც არაფერი გახლდათ და ყველას ბუნებრივად უნდა მოჩვენებოდა გამოძიების შეჩერება.

მთავარი მოწმეები, რომელნიც ზვიად გამსახურდიას ახლდნენ მოწამებრივი გზის უკანასკნელ მოსახვევში — ზუგდიდის, წალენჯიხისა და ხობის რაიონებში მიმოსვლისას 1993 წლის 7 ნოემბრიდან 28 დეკემბრამდე — თავთავიანთი მონათხრობისას უმეტესწილად საუბრობდნენ თვითმკვლელობაზე, რომელიც აღასრულა პრეზიდენტმა მარტო, მათგან დაფარულად, ცეცხლსასროლი იარაღით (პისტოლეტი „სტეჩკინი“) სოფელ ძველ ხიბულაში, ლუდმილა და კარლო ღურწკაიების სახლში.

როდესაც ისინი გაიღვიძებდნენ, ზვიად გამსახურდია უკვე გარდაცვლილი დახვდებოდათ.

დაახლოებით ამავე მიმართულებით მიჰყავდათ საუბარი დანარჩენ მოწმეებსაც, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ პრეზიდენტთან იმჟამად, იმ საბედისწერო დღეებში.

არც კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი და არც კომისიის დანარჩენი წევრები არ დაიჩემებდნენ, რომ მოწმეები ცრუობდნენ და ზვიად გამსახურდია უსათუოდ მოკლული გახლდათ.

არამცთუ არ გამორიცხავდნენ თვითმკვლელობის შესაძლებლობას, ძიების დაწყებისას ამოსავლად სწორედ ამ გარემოებას გამოიყენებდნენ.

ეგაა, მის შემოწმებას შეუდგებოდნენ.

თავისთავად რაღაც უჩვეულოდ და დაუჯერებლად არ მოჩანდა ოფიციალური ვერსია, იმთავითვე გამოცხადებული და მერეც მკაცრად შენარჩუნებული ედუარდ შევარდნაძის მთელი მმართველობის განმავლობაში.

ვითომ მართლაც რატომ არ შეიძლება თავი მოეკლა კაცს, ვინც:

დამარცხდა სამხედრო თვალსაზრისით.

აღმოჩნდა სასტიკი დევნის პირობებში — თავს აფარებდა სოფელ-სოფელ და ტყე-ტყე, მაგრამ განა როდემდე?..

მდევრები კვალში ჩადგომოდნენ, ყურთან გრძნობდა გაავებული ნაგაზების სუნთქვას, არც შიმშილი აკლდა და სიცივესაც ძლივს უმკლავდებოდა.

მაგრამ ავადმყოფობისათვის როგორღა ეშველა საამისოდ ყოვლად შეუფერებელ გარემოში?

სულ უფრო მეტად ექცეოდა ჩიხში, საიდან თავდაღწევაც ლამის სრულიად შეუძლებელი ხდებოდა?

სწორედაც რომ!..

და როდემდე ეცადა ან იმ „ლამისს“ მობღაუჭებულს და ან შეგუებულს, გისოსებს მიღმა მომიწევს სულის ამოხდომაო?

და ერთადერთი გამოსავალი ესღა რჩებოდა — აგერ „სტეჩკინი“ და მისი ჯანი!..

მაგრამ...

საიდანღაც მოტივტივებდა ეს „მაგრამ“ მის ჭირისუფალთა და მოთაყვანეთა ცნობიერებაში, ეჭვი ფუთფუთებდა, სულ უფრო იზრდებოდა და ძალას იკრებდა... და მითუფრო აუცილებელი გახლდათ, არ აჰყოლოდი ემოციებს და გულდასმით, ნაბიჯ-ნაბიჯ შეგემოწმებინა ეჭვის უტყუარობა, ახალ გზაზე რომ გაგიყვანდა.

ეს ახალი გზა ჯერ ისევ ლაბირინთი გახლდათ?

თუმც გორგალის წვერს თუ იგდებდი ხელთ, რაღას დაგაკავებდა თუნდ ლაბირინთი და მის ტალანებში უკვე ისე იგრძნობდი თავს, როგორც გზაშარაზე.

ოღონდაც როგორმე ეს გორგალის წვერი...

და ოღონდაც სულ ოდნავ აჩქარებასაც მორიდებოდი.

ამ მხრივ კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსს არ აკლდა არც თავშეკავება და არც მიუკერძოებლობის შენარჩუნების უნარი, გულისთქმის ჩახშობას რომ ეცდებოდა და ცივ გონებას წაიმძღვარებდა წინ, რათა ეს ყოველივე არამარტო ხალხისათვის ყოფილიყო სანდო და დამაჯერებელი, არამედ პირადად მისთვისაც.

ეჭვის ნასახიც რომ აღარ დარჩენილიყო.

ცხრა ტომად იდო ეს საქმე პროკურატურაში.

არა კმაროდა, ძალიან არა კმაროდა ეს ცხრა ტომი და ამიტომაც გაშლიდა დროებითი კომისია თავის საქმიანობას მონათხრობთა და ჩვენებათა შესავსებად და დიდძალ მასალასაც მიამატებდნენ ახალ მოსმენა-გამოკითხვათა სახით.

და სულ უფრო ბლომად დაგროვდებოდა მოწმეთა მონათხრობში წინააღმდეგობანიც და შეუსაბამობანიც, სულ უფრო და უფრო რომ გააღვივებდა ეჭვს ოფიციალური ვერსიის მოჩვენებითი დამაჯერებლობის თაობაზე.

მათ აღნუსხვას თვითონვე ჩაუჯდებოდა კომისიის თავმჯდომარე.

თუ დეტექტივობა ეკისრა, ბარემ ბოლომდეც მიეყვანა დედუქციური მეთოდის მომარჯვებით.

ედგარ ალან პო რომ უყვარდა ძალიან და მისი პოეტური შედევრის — „ყორანი“ — ჩინებული ქართული ორეულის შექმნით ამ სიყვარულს რომ დაადასტურებდა, თურმე მისი დეტექტიური ციკლის მთავარი გმირის სამოსელშიც უნდა გახვეულიყო და მისებური ანალიტიკური და გონებამახვილური ხედვით შედგომოდა უამრავი ქვიშიდან ოქროს მარცვლების გამორჩევასა და ერთმანეთზე გადაბმას.

რაღა იგი და რაღა ოგიუსტ დიუპენი!..

რასაც ედგარ პო მხატვრული წარმოსახვით ქმნიდა, კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი ყოფით რეალობაში ახორციელებდა და... მერე თუნდ ვინმეს მოეკიდა ხელი მის გადასაქცევად პერსონაჟად — დეტექტიურ მოთხრობაში შემოეყვანა, თუ როგორ მიჰყვებოდა მამის სიცოცხლის მიმწუხრს და აღადგენდა იმ სურათს, ყველაზე ახლოს რომ უნდა მდგარიყო სინამდვილესთან.

თვითონ კი არ დაგიდევდა ამას, მაგრამ თავისთავად კი მოხდება ასე ადრე თუ გვიან, მითუმეტეს, ანალიტიკურ განსჯასთან ერთად იმ მასალებსაც ფეხქვეშ რომ გაგვიფენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ინსტიტუტის დასკვნასთან ერთად, გარდაცვალების მიზეზად ახლო მანძილიდან ნასროლი ტყვია რომ სახელდებოდა.

წარმოაჩენდნენ იმას, რისი დადასტურებაც არ ეეჭვებოდათ — ტყვია ახლოდან იყო გასროლილი... და ამიერიდან დაე სხვებს ეკვლიათ, იარაღი ზვიად გამსახურდიას დასუსტებულ მარჯვენას ეპყრა თუ ქილერის შემართულ ხელს... ჩაკეტილ ოთახში თუ... გზაშივე...

ჯერ კიდევ მაშინ აუფარფატდებოდა ხილვაში ყორანი, ეს ავისმომასწავებელი ფრინველი, ედგარ პოს ლექსს რომ ჩაუჯდებოდა, რათა თავისი ვერსიაც შეემატებინა ქართულ თარგმანთა კოლექციისათვის, მის შემდგომაც რომ უნდა გაგრძელებულიყო მეტ-ნაკლებად წარმატებული ცდები. ფარფატი კი იმას მოჰყოლოდა, მთელი არსებით რომ შთაინთქმოდა ამ ლირიკულ სამყაროში და ხელშესახებად შეიგრძნობდა პოეტის განცდებს, თავბრუდამხვევსა და შემაძრწუნებელს, რაკიღა სატრფოს აჩრდილი ტრიალებდა მის გარშემო, ამ ტრაგიკული შემოქმედისა, გმობა-კილვა არც სიცოცხლეში რომ მოაკლდებოდა და არც აღსასრულის შემდეგ — გუბურაში რომ იპოვნიდნენ მის გვამს, გალოთებულისა და მაწანწალად ქცეულის.

ისეთი ცხოვრების წესი ჰქონდა ედგარ პოს, ვერც იჯერებდნენ, ამხელა ერუდიცია როდის უნდა შეეძინა, მაგრამ რაც აშკარად გახლდათ, რანაირად უარყოფდნენ, და მერე და მერე გაკვირვებით შეჰყურებდნენ ფრანგ პოეტებს, პოს სახებას ფარზე რომ აზიდავდნენ და მისგან შთაგონებულებად და მის მოწაფეებად გამოაცხადებდნენ თავს შარლ ბოდლერიც, სტეფან მალარმეც და პოლ ვალერიც.

— აღარასოდეს! — გაიძახოდა ყორანი და სულს უყინავდა ლირიკულ გმირს ეს სიტყვაც და ეს ყრანტალიც, არაფრის იმედს რომ არ უტოვებდა. თუმც ეს შეპუებით არ ეპუებოდა მის ავ ყრანტალს და გულამოვარდნილი ისწრაფოდა სატრფოს აჩრდილისაკენ.

აღარასოდეს... აღარასოდეს... აღარასოდეს...

ჯერ თვითონ ასე მწარედ გახმიანებული სიტყვა და მერე მისი მონოტონური განმეორება, თითქოს ლურსმნებს გაჭედებენ შუბლშიო.

და უმცროსი კონსტანტინე ხელშესახებად გრძნობდა, რას განიცდიდა ზვიად გამსახურდია იმ დღეებში...

ლურსმნები ეჭედებოდა შუბლს, ხელ-ფეხი უკვე ჯვარს რომ მისალტვოდა, და ყრანტალიც ეწვნოდა ლურსმნის ისედაც შემაძრწუნებელ ხმას.

აღარასოდეს... აღარასოდეს... აღარასოდეს...

და ახლა შვილსაც რომ უნდა მოვლენოდა ყორანი — უკვე მეორედ, ლექსის თარგმნისაგან განსხვავებულ ვითარებაში, მამის აჩრდილიც რომ ამოესვეტებოდა თვალწინ და შესთხოვდა სიმართლის მიგნებასა და გამომზეურებას.

ჰამლეტს რა უჭირდა — ნამდვილ ვერსიას მამის აჩრდილი სთავაზობდა და ჭაბუკს ისღა დარჩენოდა, ამ ვერსიის უტყუარობა ყველასათვის დამაჯერებლად და თვალსაჩინოდ ექცია. ეს პროცესიც საძნელო გახლდათ, მაგრამ ამოსავალი ხელთ ეპყრა და მხოლოდ გზა უნდა მოეძებნა მის გასაცხადებლად ძალმომრეობის პირობებში, როდესაც არამარტო ხელისუფალს, არამედ ბევრს არ აძლევდა ხელს ჭეშმარიტი სურათის აღდგენა და უფროსი ჰამლეტის სიკვდილის უტყუარი გარემოებებისა და მიზეზის გამორკვევა.

კონსტანტინესათვის კი ამოსავალი ოფიციალური და... ყალბი ვერსია უნდა ყოფილიყო, რადგანაც დუმდა ზვიადის აჩრდილი, შორითშორად მოელანდებოდა და გადაიკარგებოდა, და მხოლოდ მზერა მიანიშნებდა რაღაც საგულისხმოს, ისიც ყორნის ფრთებს რომ უნდა გადაეფარა.

აღარასოდეს... აღარასოდეს... აღარასოდეს...

ისე მაინც რომელ ქარგაზე შეიძლება ასხმულიყო ის დღეები, თავისი, საკუთარი გოლგოთისაკენ სვლის გარეგნული ანაბეჭდები?

მისი და მის თანმხლებთა გადაადგილების მარშრუტის ღერძზე, კომისიის დასკვნით დოკუმენტს თვალნათლივ რომ უნდა აღედგინა და წიგნის გარეკანზეც საგანგებოდ მოთავსებულიყო, როგორც ერთგვარი კარიბჭე იდუმალებაში შესაბიჯებლად, თუკი დაგანებებდა იდუმალება მთლად გადმოფარჩავებას თუ არა, რაღაც-რაღაცების გამომჟღავნებას მაინც.

დევნილი პრეზიდენტი 1993 წლის 1-დან 4 დეკემბრამდე თავს შეაფარებდა სოფელ მუჟავას, არჩილ და ზაურ ანთიების ოჯახს. დროულად გაფრთხილების წყალობით რამდენიმე საათით ადრე დატოვებდა ამ ოჯახს, თუმც მისი გამგზავრება ვერ უშველიდათ მასპინძლებს — მათ ოჯახს დაარბევდნენ და გაანადგურებდნენ;

4-დან 5 დეკემბრამდე სოფელ ფახულანს მიადგებოდა, გულიკო გუჩუას ოჯახს;

5-6 დეკემბერს სოფელ პალურში დაყოვნდებოდა, სოფელ ლიას მახლობლად, გივი პაჭკორიას ოჯახში;

6 დეკემბერს სოფელ ლიას ესტუმრებოდა — ჩიგო გუჩუას ოჯახს;

6-დან 9 დეკემბრამდე გურამ სამუშიას ოჯახშია, სოფელ ტყაიაში;

9-დან 12 დეკემბრამდე პალმირო თორდიას ოჯახს უნდა გაეწია მისთვის მასპინძლობა, სოფელ ჩხორიაში;

12 დეკემბერს გონელი თორდიას უნდა შეეფარებინა, სოფელ ზედა ეწერში;

13 დეკემბერს სოფელ ნაცატუში იმყოფებოდა, გიული გაბედავას ოჯახში;

13-14 დეკემბერს სოფელ ობუჯს მიაკითხავდა, ჰამანდა მესხიას ოჯახს;

14-დან 22 დეკემბრამდე სოფელ ჯაღრაში დაყოვნდებოდა, ანზორ მებონიას ოჯახში;

22-დან 25 დეკემბრამდე ჯონსონ კვარაცხელიას უნდა შეკედლებოდა, სოფელ ჯიხაშკარში;

27 დეკემბრიდან ახალი წლის 1 იანვრამდე ძველ ხიბულაში უნდა მოეთქვა სული, კარლო ღურწკაიას ოჯახში, და... იქ ქრებოდა კვალი ცოცხალი ზვიად გამსახურდიასი, 1 იანვარს მის ნეშტს სოფელ ჯიხაშკარში რომ გადაასვენებდნენ, ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში, და იქვე დაკრძალავდნენ.

დავრდომილ სხეულში ხომ რამხელა განცდები იბობოქრებდა, რას აღარ მიაწყდებოდა ფიქრი თუ გრძნობა, ყველაზე დიდი იმედოვნებიდან ყველაზე დიდ სასოწარკვეთამდე შემორკალავდა, ვიდრე უკანვე დატრიალდებოდა და მღელვარება შთანთქავდა თვალით ხილულ გარემოს, იმასაც რომ იწოვდა მზერა, მიწის ყოველ გოჯს იბეჭდავდა მეხსიერება და გონების თვალი კი განაზოგადებდა და გაასიმბოლოებდა იმ ტერიტორიად, ჩვენი ისტორიული საცხოვრისი რომ მოიცავდა, ვიდრე ორ ზღვას შუა შემოჭედვას ვიყაბულებდით.

დავრდომილ სხეულში?

კომისიის თვალწინ ცოტა სხვაგვარი სურათი წარმოდგებოდა — არა, პრეზიდენტი რომ ავად გახლდათ, ეს აშკარა იყო და არც არავინ აპირებდა უარყოფას, მაგრამ... ხომ არ გაზვიადებულიყო მისი სნეულება?

თითქოს... ისე ავადაც არ უნდა ყოფილიყო, როგორც წარმოაჩენდნენ.

და ის გარკვეული გეგმებიც რომ ცნაურდებოდა, გამოზამთრებას როგორ აპირებდა?

ფრაგმენტი ფრაგმენტს ებმოდა, სურათი სურათს, ეპიზოდი ეპიზოდს და მკაფიოდ იკვეთებოდა, თუ როგორი თანმიმდევრობით მიჰყვებოდა პრეზიდენტი იმ ჩანაფიქრს, 1993 წლის 24 სექტემბრიდან რომ დაესახა — გროზნოდან ზუგდიდში დაბრუნების შემდგომ.

რა ამაოდ ცდილობდა აფხაზეთის ფრონტის შენარჩუნებას სექტემბრის მიწურულს, დაქსაქსულ სამხედრო ძალთა გაერთიანებას.

ვიღა დაანებებდა კვლავაც პოლიტიკურ მოვლენათა სათავეში მოქცევას.

ახალ ხელისუფლებას, სამხედრო გადატრიალების ტალღაზე მოსულს, აფხაზეთის მხარის დაკარგვა ერჩივნა ზვიად გამსახურდიას კვლავინდებურ აღზევებას.

ასლან აბაშიძე თავისას ცდილობდა — ბობოყვათის მოლაპარაკების წყალობით ეგებ შესაძლებელი გამხდარიყო სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტა და ერთობლივი არჩევნების გამართვა.

ამასობაში დასავლეთ საქართველოს რამდენიმე ქალაქსა და რაიონულ ცენტრში უნდა გამოცხადებულიყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენა.

უკვე ქუთაისიც დგებოდა კანონიერი პროცესის რიგში და მისი დაბრუნება შეუძლებელი სულაც არ ჩანდა.

რაღაც იმგვარი სცენარი შეიძლება გათამაშებულიყო, თითქოს ყაბულდებოდა კრემლი პოლიტიკურ მოვლენათა იმგვარად წარმართვას, რაც ჯერ კიდევ 1921 წლის თებერვალ-მარტის დღეებში იყო განზრახული — ფილიპე მახარაძეს თბილისი და აღმოსავლეთ საქართველო რომ უნდა დაეკავებინა, ქუთაისი და დასავლეთ საქართველო კი ნოე ჟორდანიას ხელთ დარჩენილიყო.

მაშინ ეს ასე არ მოხდებოდა.

აღარც ამჟამად — ედუარდ შევარდნაძის ხელთ ლიხს აქეთა საქართველო რომ დაეტოვებინათ, ლიხსიქითა კი ზვიად გამსახურდიასათვის დაეთმოთ.

გარინდებულიყო რუსეთის ხელისუფლება — აფხაზეთისა და შიდა ქართლის დიდი ტერიტორიის მიტაცებას კმარობდა და მხოლოდ თვალს მიადევნებდა ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ტრიუმფალურ მსვლელობას. ჯერ დასაწყისს, მაგრამ...

ედუარდ შევარდნაძე უნდა დაეფრთხოთ და აეძულებინათ, თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის საქართველოც მოექ-

ცია. მოდერნიზებულ იმპერიას ესწრაფოდნენ, საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე ახალი ძლევამოსილი სახელმწიფოს აღდგენა ეოცნებებოდათ და უსაქართველოდ ამ ოცნებას ფრთა შეატყდებოდა. ქვეყნის ახალი ხელისუფალი შეეცდებოდა ქართველი ხალხის მისწრაფებისათვის გაეწია ანგარიში და რაც შეიძლება გაეჭიანურებინა ამ დოკუმენტზე ხელმოწერა პარლამენტის თანხმობით, რათა ეგებ მანამდე ამერიკის შეერთებულ შტატებს სულ უფრო მოემაგრებინა წელი და რუსული სამხედრო ექსპანსია შეეჩერებინა? არ მისცემდა გაჭიანურების უფლებას კრემლი, რადგანაც ამერიკის შესაძლო მომძლავრება რუსეთსაც აშინებდა და მაშ დროულად უნდა მოესწროთ მოსასწრები.

ჰოი, მართლაც რას შეფიქრიანდებოდა და დაფრთხებოდა ედუარდ შევარდნაძე!..

ზვიად გამსახურდიას შემჩერებელი რომ ვერ იქნებოდა, დიდი რამ მიხვედრა არა სჭირდებოდა — ისე დაძრულიყო, ისე მოისწრაფოდა თბილისისაკენ... ამიტომაც კრემლი უნდა ამოეყენებინა გვერდით — უთუოდ და უთუმცაოდ. და კიდეც ითხოვდა ადმირალ ბალტინის შემოსვლას ფოთში და ამ ინტერვენციას, რუსეთის საზღვაო-სადესანტო ძალების მიერ ხორცშესხმულს, შებურავდა მეგობრული დახმარების სახელით.

კიდეც მხსნელებად შემოვიდოდნენ და... მიმოფანტავდნენ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს.

ისევე, როგორც 1921 წლის 25 თებერვალს მოგვევლინებოდა მხსნელად XI არმია, ქართველ ხალხს რომ გაათავისუფლებდა ნოე ჟორდანიას „დიქტატურისაგან“.

ახლა ზვიად გამსახურდიას „დიქტატურისაგან“ აკი „დემოკრატიულ რევოლუციას“ გადაერჩინა ქართველი ხალხი, და ფოთიდან შემოჭრილ ჩამომავალთ XI არმიისა ევალებოდათ „დემოკრატიული რევოლუციის“ მონაპოვრის შენარჩუნება, რათა „დიქტატორი“ აღარ მიეშვათ ქვეყნის სათავეში.

გადამწყვეტ როლს რუსი ადმირალი შეასრულებდა, ედუარდ შევარდნაძის მომხრენიც ძალიან რომ გათამამდებოდნენ და კიდეც ჩაუდგებოდნენ კვალში ზვიად გამსახურდიას, ვინც აფხაზეთში კი გადაასწრებდათ, მაგრამ იქ ვერ დაიყაბულებდნენ ახალ შეთავაზებაზე: ეცნო აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

საზღაურად თავშესაფარს ხომ უბოძებდნენ, ის კი არა, შესაძლოა კვლავ გაეკვალათ გზა წართმეული ხელისუფლებისაკენ. რა „შესაძლოა“, ნამდვილად უნდა ჰქონოდა ამოგების იმედი.

რაო, უარს განუცხადებდათ?

მაშ კეთილი ენება და სამეგრელოს დაბრუნებოდა, მის ტყეებსა და მგლების ყმუილს, რაც არ მოაკლდებოდა სულის ამოხდომამდე.

ჰაერს მიჰქონდა მისი განზრახვა, დაკავშირებოდა პარტიზანთა მიმოფანტულ რაზმებს, შეეკრა, ეწინამძღვრა და უკანონო რეჟიმს შეწინააღმდეგებოდა, ვიდრე სული ედგა პირში, მის კანონიერებას არ აღიარებდა და არა.

შევარდნაძის ხელისუფლება კვლავაც არალეგიტიმური რჩებოდა ხალხის თვალში, თუმც 1992 წლის ნოემბერში როგორღაც მოებათ თავი ახალი არჩევნებისათვის და მიეღწიათ იმისათვის, რომ დასავლეთის ქვეყნებს ეცნოთ მისი მმართველობა.

ვიდრე ზვიად გამსახურდია სამზეოზე იმყოფებოდა, პრეზიდენტის სავარძელი ედუარდ შევარდნაძისათვის გამუდმებულ რყევაში იქნებოდა და როდის გამოეცლებოდა საყრდენი, ვერავინ იტყოდა.

საქართველოს უშიშროების იმჟამინდელ მინისტრს იგორ გიორგაძეს ჩვენი ქვეყნიდან გასაქცევ-გადასახვეწად რომ გაუხდებოდა საქმე და რუსეთი გადააფარებდა თავის მოწყალე კალთას, ჩვენებაში აღიარებდა, რომ ზვიად გამსახურდიას დევნაში ჩაერთვოდა ორი ჯგუფი:

ერთი — შინაგან საქმეთა სამინისტროსი, გენერალ გია გულუას და შსს მინისტრის შოთა კვირაიას ხელმძღვანელობით;

და მეორე — უშიშროების სამინისტროსი, მინისტრის მოადგილე ავთანდილ იოსელიანი რომ ჩაუდგებოდა სათავეში.

იმის მიხვედრას, რომ ეს დევნა ვერ განხორციელდებოდა რესპუბლიკის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გარეშე, დიდი რამ გამჭრიახობა არა სჭირდება.

პარლამენტის დროებითი კომისია შეეცდებოდა მასთან შეხვედრა-გასაუბრებას, მაგრამ იგი უარს განუცხადებდათ შეხვედრაზეც კი... ბოლოსდაბოლოს, დაწერილი შეკითხვები მაინც რომ გაეგზავნათ?!. ახლოსაც არ გაიკარებდა არც მის წევრებს და არც რაიმე შეკითხვას, რითაც აგრძნობინებდათ, არაფერი, სრულიად არაფერი მაკავშირებს იმ ამბავთან და ნურც ეცდებით მიმატმასნოთო.

რა — რომ სტუმრებოდნენ, რაიმეს წამოაცდენინებდნენ?

სიტყვიერად — ვერც ვერაფერს, მაგრამ...

სიტყვით არც კლავდიუსს წამოსცდებოდა რაიმე, ეგაა, სპექტაკლს რომ შეჰყურებდა, ჰამლეტის მიერ შეთხზულს, თუმც ისე შემოპარებულს სცენაზე, თითქოს იტალიურად დაწერილიყოს, გული ვეღარ გაუძლებდა დანიის ახალ ხელმწიფეს და... ცივცხელად მიატოვებდა სპექტაკლს.

გაუმართლებდა ფსიქოლოგიური გათვლა ჰამლეტს.

კლავდიუსის შეშფოთება — გარეგნულად იქნებ არც გამჟღავნებული — ისეთი მეტყველი აღმოჩნდებოდა, მამის აჩრდილს რომც არ გაემხილა თავისი აღსასრულის მიზეზი, სპექტაკლის ეს მიტოვებაც კი მტკიცე საბუთი იქნებოდა ტახტდაკარგული უფლისწულის ხელში, საბოლოოდ ერწმუნა ნამდვილი მკვლელის ვინაობა და მისთვის გულში შიშიც ჩაეთესა.

თავს იგულუბრყვილოებდა ჰამლეტი: გონზაგოს ამბავია, იტალიელებთან მივაგენიო.

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსს არაფრისდიდებით არ მიეცემოდა საშუალება „იტალიაში მიკვლეული გონზაგოს ამბავი“ გადმოეშალა ედუარდ შევარდნაძის წინაშე, თუ როგორ განუცხადებს შუა საუკუნეების რომელიღაც იტალიური სამთავროს ახალი მბრძანებელი ძველი ხელისუფალის შესაპყრობად გაგზავნილ ცენტურიონთა უფროსს: ცოცხალი არა მჭირდებაო!..

კომისია გახლდათ, საგამოძიებო ორგანო ხომ არა, აეძულებინათ ედუარდ შევარდნაძე წარმდგარიყო — თუნდაც მოწმის სტატუსით — გამოძიების წინაშე.

არამცთუ იგი, რამდენიმე მაღალჩინოსანიც ისე გაერიდებოდა კომისიის წევრებთან შეხვედრას, არც მათი მოსმენა-დაკითხვა მოხერხდებოდა.

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსს სხვა გზა არც გააჩნდა — მათ კეთილ ნებას უნდა მინდობოდა.

ისინი კი... კეთილ ნებას არ გამოიჩენდნენ.

ამიტომაც მოპოვებული მასალები უნდა ეკმარა და ისევ და ისევ ეჩხრიკა სხვადასხვა ნიუანსის გამოსავლენად, კიდევ ახალი წინააღმდეგობა-შეუსაბამობებისა, პრეზიდენტის ჩაცმულობას რომ ეხებოდა ბოლო დღეებში, მის გადაადგილებას, მის მდგომარეობას საწოლში, თვითმკვლელობისა თუ მკვლელობის იარაღს... კიდევ იმ გარემოებას, ყველა ნივთმტკიცება რომ განადგურებულიყო მთავარ მოწმეთა მიერ... და კიდევ...

ნივთმტკიცებათა ასე პირწმინდად გაქრობა რას უნდა ნიშნავდეს, არა?..

გადაულახავ ზღუდეს მისდგომოდა კომისია.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ წლების შემდეგაც გაამართლებდა მისი თავმჯდომარე კვლევის მიმართულებას: სწორი გახლდათო.

ედგარ პოს მიერ აღმოჩენილი და ათასგზის შემოწმებული დედუქციური მეთოდი კიდევ ერთხელ უნდა შემოწმებულიყო ლოგიკურობის, ფაქტების ურთიერთშესაბამისობისა და დამაჯერებლობის მიხედვით, შემდეგ კი თანდათან გამორიცხულიყო გამოსარიცხი.

— კომისია, ცხადია, შეგნებულად მოერიდა რაიმე ვერსიის დადებას, ვინაიდან ასეთი რამ მხოლოდ კონტრაპროდუქტიული იქნებოდა.

ვერსიას — ოფიციალურად შერაცხვის თვალსაზრისით, თორემ ისე კანთიელად ცნაურდებოდა კომისიის თავმჯდომარის დეტექტიური ძიება — ანალიზიდან, უფრო დამაჯერებელიც რაღა უნდა ყოფილიყო.

ოცი წლის შემდეგ...

კონსტანტინე იმედოვნებდა, რომ სათანადო პოლიტიკური ნების შემთხვევაში ჯერაც მოიძიებოდა საკმაო საშუალება საქმის გამოძიებისა ხელშესახები შედეგებით.

თვითონ აკლდა გულს, თორემ...

ეამაყებოდა, რომ პირუთვნელი აღწერისათვის ოდნავადაც არ ეღალატა, რადგან ეს არც მას შეჰფეროდა და არც საქართველოს უდიდეს ტრაგედიას XX საუკუნის მიწურულს.

მითუმეტეს: — იგი ჩვენი ისტორიის ნაწილია, საიდანაც ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარებისა და დემოკრატიის გაღრმავების გზაზე ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ.

* * *

ეს მაინც რა იყო, პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნითი დოკუმენტი რომანის იერს რომ შეიძენდა და სულაც „დათა თუთაშხიას“ დაემსგავსებოდა არქიტექტონიკით?!.

და ეს მაშინ, როდესაც თუ რაიმეზე არ იფიქრებდა კომისიის თავმჯდომარე, დოკუმენტისა და შემდგომ წიგნის კომპოზიციურ სრულქმნილებაზე — ნეტა კი სიმართლე დადგენილიყო და რას დაეძებდა, სათავგადასავლო რომანს დაემგვანებოდა თუ არა.

* * *

1 დეკემბრიდან 1 იანვრამდე.

საიდუმლოებით იქ იბურებოდა გზასავალი, ზედ ახალი წლის მიჯნასთან.

იქ იკარგებოდა, ქრებოდა კვალი და... გრძელდებოდა მხოლოდ მგლების ყმუილი, უკანასკნელი მელოდია ზვიად გამსახურდიას ყურთასმენისათვის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თათია შენგელაია

დაწერილი მაჩვენე!

ჩამოთოვა. საფლავზე დახვავებულ ყვავილებზე თოვლი უხვად დევს, ალაგ-ალაგ თუ მოსჩანს წითელი ვარდების გაუშლელი კოკრები, აქა-იქ სითეთრიდან იხედებიან მწვანე ფოთლებიც. ათოვს დანთებულ სანთლებს...

* * *

— ახლა მოვრჩეთ მემუარებს და ვილაპარაკოთ ჭრელ ხბოზე, — თქვა ბაბუამ.

— მაინც რაზე? — იკითხა ირმამ.

— ვინ სად დაიმარხება!

— აუ, დაიწყეს ისევ...

— შენ, მართალია, არ გიყვარს, თათუჩა, ჩვენს სიკვდილიადაზე საუბარი, მაგრამ ეს ოჯახში უნდა ითქვას. თქვენთვის არ მითქვამს, მაგრამ აქ მცხოვრებმა ყოველ მეორე ადამიანმა იცის, ეს თქვენს ჩამოსვლამდე გადაწყვეტილი მქონდა, დროა თქვენც იცოდეთ უკვე.

ბაბუაჩემი — ნოდარ წულეისკირი 1991 წელს ჩამოვიდა საცხოვრებლად წერაქვში, მე და დედა კი — 1996-ში.

დედამ მანიშნა, გაჩუმდიო და მეც გავიყურსე.

— ვთქვათ, მოვკვდი, ახლა კი არა, მერე, ხომ უნდა დავიმარხო, — თქვა ბაბუამ.

— მამა, მიწის ზევით არავინ დარჩენილა, ერთი ლენინი და...

— და მეორე ვარლამ არავიძე! — ხუმრობითვე მიუგო მამამ შვილს.

მემუარების საათი ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ მაშინ ბავშვი ვიყავი და „ვინ სად დაიმარხოს“ ვერაფრით ვიტევდი.

— თათუჩა, ცხოვრება ასეა, ოდესმე მოვკვდები, აბა, ცას ხომ არ გამოვეკერები. ჰოდა, როცა ეს მოხდება, არსად წამათრიოთ, განსაკუთრებით პანთეონში, — თქვა და ჩვენს, უფრო კი დედაჩემის, რეაქციას დაელოდა.

— რადგან დაიწყე, მითხარი, მამა, მაგ თემაზე შენი აზრი უნდა ვიცოდე, — თქვა ირმამ და სიგარეტს მოუკიდა. დუმილი გაჭიანურდა, ირმამ თავის ხის გამოთლილ საფერფლეში ჩააფერფლა, სიჩუმეში სიგარეტზე მისი ცერის დაკვრის ხმაც კი მკაფიო იყო.

— ჰოდა, მეც გეუბნებით ორივეს, ჩემ მიერ გაშენებულ ბაღში, ალუბლების ხეივნის ბოლოს, ვაშლი რომაა, დიდი ვაშლი, ჩემი დამყნობილი, აი, იმ ხის ძირას დამმარხეთ.

ნოდარ წულეისკირი, თათია შენგელაია, ირმა წულეისკირი, ნინო ჩხიკვიშვილი წერაქვი, 2001 წელი (ნათელა გრიგალაშვილის ფოტო)

— ეზოში? — გავიკვირვე.

— ეს შენ გიკვირს, თათუჩა, თორემ სამეგრელოში ხშირია შემთხვევა, როდესაც მიცვალებულებს საკუთარ ეზოებში კრძალავენ. — დედაჩემმა ერთი ღერი ჩაწვა, ჩაფერფლა და მეორეს მოუკიდა.

— ასი წლის მერე, როცა ირმა აღარ იქნება, — თქვა ბაბუამ და შემომხედა, — იქვე დაკრძალავ ჩემ გვერდით. აი, როგორც გამსახურდიებს აქვთ, ისე გვექნება ჩვენც. სახლი იმის საშუალებას გაძლევს, აქ მერე მუზეუმი გააკეთოთ. მიხეილ ჯავახიშვილთან რომ მოვლენ, ეგებ ჩემთანაც გამოიარონ...

არცთუ ისე იშვიათად მიწევდა „ვინ სად დაიმარხებას“ მოსმენა მემუარების ბოლოს.

წერაქვის სკოლაში მუშაობის დასრულების შემდეგ დედაჩემთან ერთად გადავედი მარნეულში, ბაბუა კი აგრძელებდა სოფლის ჭირნახულით ჩვენს მომარაგებას. თავისი ბაღი მანამ არ მიატოვა, სანამ ინსულტი არ დაემართა. როგორც კი მომჯობინდა, ისევ ძველებურად უნდოდა წერაქვში ყოფნა, მაგრამ ჩვენ აღარ გავუშვით. ერთად ამოვდიოდით დასვენებებზე. სიმართლე გითხრათ, სამივეს გვეჯავრებოდა მარნეულში ცხოვრება, უბრალოდ მე და დედაჩემს იქ საგანმანათლებლო საქმიანობის გამო გვიწევდა ყოფნა, ფუძე სახლი კი მუდამ ეს იყო.

ორიოდე წლის წინათ დედაჩემი გარდაიცვალა. ერთი კი გავუძალიანდი ნათესავებს, დედა წერაქვში უნდა დავკრძალო-მეთქი, მაგრამ მერე დავიდარაბისთვის ძალა აღარ მეყო.

ხალხი გაიკრიფა, ორმოციც გადავიდა, ზის მოხუცი შვილმკვდარი მამა და ქვითინებს:

— ნუთუ ისე უნდა მოვკვდე, რომ ირმას საფლავზე ვერ მივიდე.

საბურთალოს სასაფლაოს ზედმეტად ვიწრო კიბეები აქვს, ინსულტგადატანილი ბერიკაცისთვის კი შეუძლებელი იყო იმ კიბეებზე ასვლა-ჩასვლა.

გადიოდა დრო, მივათრევდით დღეებს. ამ დროს გამოჩნდა დალოცვილი ზვიად კვარაცხელია და მადლიანი გამომცემლობა „ინტელექტი“, რამაც მწერლის მარჯვენა ხელად მაქცია — ვმუშაობდით ჩანაწერებზე, „აფთრების“ მეორე ნაწილზე და ბაბუამაც ამ ქვეყნისაკენ გამოიხედა.

11 თებერვალს, შუადღისას გამოვეხმაურე სამზარეულოდან, ისვენებდა, სადილის დრო იყო, პასუხი არ გამცა...

თითქოს მეორედ მომიკვდა დედა. ახლობელთან განშორება ყველამ ვიცით, რაოდენ დიდი ტკივილია — მე დღეს ვემადლიერები უფალს მათთან გატარებული წლების გამო.

დარეკვა, ახლობლებისა და მეზობლების მოცვენა, სოფელში გადაძახილები.

ნოდარ წულეისკირს ქარტეხილიანი ცხოვრება ჰქონდა და დაკრძალვაც ასეთი არგუნა ღმერთმა. პირველი დღიდან ნათესავების ზარები და მითითებები, პანთეონში უნდა დაიკრძალოს, ან მისი მეუღლის გვერდით, თუ არადა — მაშინ სამეგრელოშიო. ჩემი პასუხი ყველა ზარზე ასეთი იყო — ეს მოხდება მისი ანდერძის მიხედვით! შემომითვალეს, ჩამოვალთ და ცხედარს წავიღებთო. საშენგელაიო, ჩემი საახლობლო და სოფელი წერაქვი შემართული ელოდნენ პირველ „შეტაკებას“. ვითარება შევატყობინეთ მეუფეს და საპატრიარქოს. ნათესავებისა და ბაბუაჩემის სიტყვის დამცველთა პოზიციების შეჯახება უჩემოდ მოხდა, რადგანაც შეუძლოდ გავხდი და სასწრაფოს გამოძახება გახდა საჭირო. ბაბუაჩემი სახლის პირველ სართულზე ესვენა, მე მეორე სართულზე ვიყავი გაშოტილი და ექიმები მჩხვლეტდნენ. გაიფთრებული ბრძოლა ბაბუას დანაბარების შესრულებისათვის გაგრძელდა, ყოველი შემთხვევისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ღამე 4-5 ბიჭი, რომლებიც ბაბუას დირექტორობისას სწავლობდნენ წერაქვის სკოლაში, ღამეს ათენებდნენ ცხედართან, მე რომ წამეთვლიმა. თვალს ადევნებდნენ გზას. დედაჩემის უახლოესი მეგობარი ქეთინო და მისი ოჯახი არ მშორდებოდნენ ერთი წამითაც. ამ ვითარებაში ნათლიაჩემმა, შორენამ ჩამოგვიტანა უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევა, რამაც გააძლიერა თითოეული ჩვენგანი:

გამოვთქვამთ გულისტკივილს ბატონ ნოდარ წულეისკირის გარდაცვალების გამო. მან რთული და წინააღმდეგობით სავსე ცხოვრების გზა განვლო, მაგრამ არასოდეს უღალატნია ეროვნული და ზნეობრივი პრინციპებისათვის და ეს სულისკვეთება მის შემოქმედებაშიც ნათლად აისახა. ქვეყნის ერთგულმა მეცხოვნემ თავისი ბოლო განსასვენებელიც ამ ნიშნით შეარჩია და განუყოფელი საქართველოს ერთგვარ სიმბოლოდ იქცა.

აღვავლენთ ლოცვებს ბატონ ნოდარის უკვდავი სულისათის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო მის ახლობლებს მიანიჭოს მშვიდობა და მხნეობა სულისა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე

ერთ დღესაც, პანაშვიდის დასრულების მერე, ღამის 11 საათზე, სახლის შორიახლოს ისმის მამაკაცის განწირული ყვირილი.

— მასპინძელოოო!

ალბათ მომეყურა-მეთქი, გავიფიქრე.

— მასპინძელოოო! — ძახილს ბრაზი შერეოდა, მეზობელის ბიჭს ვთხოვე, გახედე, ალბათ სახლამდე ვერ მოაგნო, უცხო იქნება და შემოიყვანე-მეთქი.

მალევე დაბრუნდა მეზობლის ბიჭი, ვიღაც ქუჩის გადაღმა მდგარა მანქანით, სადაც ასფალტი მთავრდება, ჩვენი სახლი შემოსახვევშია, — ასე მითხრა, ჭირისუფალი გარეთ გამოვიდეს, ტალახია და ვერ შემოვალო.

„მომიტევეთ, ბატონო, ბნელოდა და ვერ გამოვედი“.

დადგა მძიმე დღე, გასვენება. ამ დღეს რამდენიმე საათით ადრე ჩამოსულებმა გამილანძღეს გვერდში მდგომი ხალხი!..

მწერლის გასაცილებლად მისი უამრავი პატივისმცემელი მოვიდა, ითქვა გამოსათხოვარი სიტყვები, ხალხში დარიგდა მისი ერთ-ერთი ბოლო წიგნი „ოცი წელი წერაქვში“, მეუფე გიორგიმ (ჯამდელიანი) პანაშვიდი გადაიხადა, მერე კი ყველა გავუყევით გზას და ნოდარ წულეისკირი დავკრძალეთ მისი ანდერძის მიხედვით, მისსავე მონიშნულ ადგილას, ვაშლის ძირას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დახმარებით, ჩინებული სუფრა გაიშალა. საფლავთან დარჩნენ მესაფლავენი, მათ ჩემი ნათლულების მამა ჯონი კვიციანი თაოსნობდა.

— აქ რატომ მარხავთ ამხელა ადამიანს? — უკითხავს, როგორც მერე მომიყვნენ, კოხტად ჩაცმულ ქალს.

— ასე დაგვიბარა, გვიანდერძა და მის სიტყვას ვასრულებთ, ქალბატონო, — მიუგო ჯონიმ.

— დაწერილი მაჩვენე ეგ ანდერძი, დაწერილი მაჩვენე! — მოუთხოვია გაგულისებულ ქალბატონს.

მინდა ყველამ იცოდეს: ბაბუაჩემს ინსულტი ჰქონდა გადატანილი, მარჯვენა მხარის დამბლის გამო სიცოცხლის უკანასკნელი ათი წელი ვერ წერდა. მისი საწერი ხელი მე ვიყავი — ბოლო ორ წიგნზე ერთად ვიმუშავეთ!

ყველა იმ ადამიანისადმი თავმოდრეკილ მოწიწებას გამოვხატავ, ვისაც ნოდარ წულეისკირი უღირდა — მწერალი, რომელიც თავისი სახლის ეზოში, ვაშლის ძირას დაიკრძალა და აქედან მრავალთათვის სანთლად ანთია.

21.02.2015, წერაქვი

გამოფენა — მიძღვნილი გიორგი ლეონიძისადმი

საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის დარბაზში გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 115 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა, რომელიც თვენახევარი გაგრძელდება. მისი დათვალიერება შესაძლებელია ყოველდღე, 11-დან 6 საათამდე, კვირა-ორშაბათის გარდა. საექსპოზიციო დარბაზში მუზეუმის ფონდში დაცული გიორგი ლეონიძის ფოტოები, რომლებიც 1910-იანი წლებიდან თარიღდება, ხელნაწერები, მემორიალური ნივთები და სხვადასხვა ნაწარმოების ილუსტრაციები გამოიფინა. ასევე იყო ჟურნალი: **„გრდემლი“, „საფირონი“, „ცისფერი ყანწები“**, გიორგი ლეონიძის თარგმანი გოეთედან.

გამოფენაზე მრავლად იყო ცისფერყანწელთა ჯგუფური ფოტოები, ასევე — კაფე **„ქიმერიონის“** ფოტოც, რომელიც ცისფერყანწელებმა დაისაკუთრეს. ფოტო, რომელიც 1930 წელს გადაიღეს სოფელ სიმონეთში, მასზე ასახული იყვნენ **სერგო კლდიაშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, ტიციან ტაბიძე** და **პაოლო იაშვილი** (რომელსაც გადაშლილი ჰქონდა სახე, რადგანაც თავი მოიკლა პიროვნული ღირსების გადასარჩენად).

გიორგი ლეონიძე თვითმყოფადი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ღრმად ეროვნული პოეტი გახლდათ. მისმა ადრინდელმა ლირიკულმა შედევრებმა იმთავითვე განსაზღვრა პოეტის როლი XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. ნაყოფიერად იღვწოდა ლიტერატურათმცოდნეობაშიც. იყო ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, ძველ ხელნაწერთა დაუცხრომელი მაძიებელი და გამომცემელი.

30-იან წლებში მისი ინიციატივით დაარსდა მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი, რომელიც მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმად გადაკეთდა.

სალი გუხრაშვილი

მაკა კვერენჩხილაძე-კარტეიზერი

„მეტი ქმედება“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— უკიდურესი გაჭირვეული მდგომარეობა, სულიერი სიმარტოვეა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— უკვე იმდენ ადგილას ვიცხოვრე და ვიმოგზაურე, ამ კითხვას პასუხი მხოლოდ ასე შემიძლია გავცე: აყვავებულ, წარმატებულ, ნათელი ფერებით, სიკეთით და ბედნიერებით სავსე საქართველო — ჩემს სამშობლოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ბედნიერება სხვადასხვანაირია. უმაღლესი ბედნიერება სულის, სხეულის და გონების ერთიანობაა. რასაც ფიქრობ, რასაც გრძნობ და რასაც აკეთებ, ერთი და იგივე რომაა...

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— დათა თუთაშხია... სამართლიანობა.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ილია ჭავჭავაძე. ილიას სიტყვები რომ შეესმინათ, ან ახლა მაინც ისმენდეს ქართველი ერი, უფრო გაკეთილშობილდებოდა და წინსვლა დაეტყობოდა საქართველოს.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ვან გოგი, მისი ფერები, იმპრესიონიზმი მიესადაგება ჩემს სულს.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბეთჰოვენი, ალბათ, დიდებიდან... ზოგადად, მიყვარს ყველა მუსიკა, რომელიც სულში კეთილ ნოტებად იღვრება. თანამედროვეებიდან გია ყანჩელია ასეთი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— სიძლიერე, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, იუმორის გრძნობა, ქალის დაფასების უნარი. ვაფასებ მამაკაცს, რომელსაც შეუძლია ქალის სიძლიერის აღიარება.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ქალი უნდა იყოს ძლიერი და ამავე დროს, სუსტი; ქალური სინაზით, საინტერესო, ჭკვიანი, იცოდეს საკუთარი თავის ფასი; იცოდეს როდის, სად და რა უნდა თქვას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— თავმდაბლობა. სიკეთის კეთების უნარი, როცა არაფერს ელი საპასუხოდ.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— წერა და ადამიანებთან ურთიერთობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ეილინ როკფელერი. ესაა ადამიანი, რომელსაც უმაღლეს მატერიალიზმსა და შესაძლებლობებში აღზრდილს, აქვს უმაღლესი სულიერება, აფასებს ადამიანს, მის სულს, ნიჭს. რომელსაც ეყო გამბედაობა, ამოეთქვა საკუთარი ტკივილი და ამით სხვების ტკივილიც მოურჩენია.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ხალისიანი, ოპტიმისტური, იმედიანი.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას, თანადგომას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ზედმეტი ემოციურობა და ზედმეტი ზრუნვა სამყაროზე. ყველაფერს მე ვერ გამოვასწორებ. (ვიცინი)

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ბედნიერი ვარ, როცა ჩემიანები ბედნიერები არიან... მზე რომ ლამაზად ასხივებს, ბედნიერებისაგან დავფრინავ.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ღმერთმა, ნურავინ გვიმყოფოს ცუდად!

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მინდოდა ცოტა ნაკლებად მიამიტი ვყოფილიყავი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— მწვანე — იმედის, სიკეთის, ახალი დასაწყისის, სიძლიერის ფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ვარდი — ზენიტია.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არწივი — სიამაყე, სიძლიერე, შეუპოვრობა, თავისუფლება...

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ჯერომ სელინჯერი, მახსოვს ის გრძნობა, ბავშვობაში მისი კითხვისას რომ მიგრძვნია.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი. ვგრძნობ მის თითოეულ სიტყვას, სულის ტკივილს, რომელიც ამ სიტყვებს ამოათქმევინებდა.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— შეყვარებული ჯულიეტა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— წამებული გმირი იყო მამაჩემის დედა, მარგალიტა, რომელიც იმისთვის დააპატიმრეს კომუნისტებმა, ქმარი რატომ არ დაასმინეო..ასეთივე გმირები იყვნენ კიდევ უამრავი ქართველი ქალები და მათი დახვრეტილი მართალი ქმრები.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელები?

— სანდრო, ნიკა, ლევანი, ჩემი ბიჭების სახელებია და მიყვარს.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ტყუილს, უსამართლობას, არასაინტერესოებას, დროის უაზროდ ფლანგვას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ზიზღი ზოგადად არ ვიცი და არც მსურს, ვინმე მეზიზღებოდეს, მაგრამ თუ მაინცდამაინც უნდა ამოვარჩიო, ესენი იქნებიან, სტალინი, ლენინი, ბერია, ორჯონიკიძე, ჰიტლერი და ყველა დიქტატორი და ტირანი, რომელიც ებრძვის სულიერებასა და ადამიანობას.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?

— დიდგორის ბრძოლა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ადამიანთა თანასწორობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეფორმა.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მინდა ვმღეროდე, ვხატავდე და ვუკრავდე გიტარაზე. (ცოტა ბევრს ვნატრობ?)

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მშვიდი, ისევე, როგორც დედა.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— არეულ-დარეული. ორ კონტინენტს შორის ფრენით, ორი ქვეყნის ცხოვრებით დაღლილი სული ცდილობს გაერკვეს, საით მიილიტვის...მისთვის ჟანგბადი და წყალი, მასულდგმულებელი საზრდოები საქართველოშია.მაგრამ ამავე

დროს, სხვა მისიაც დაკისრებია, კავშირი გააბას ამ ორ სამყაროს შორის და იბრძვის, ორივე მისიას გაართვას თავი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— შეცდომა, რომელსაც მიხვდებიან და აღიარებენ.

— თქვენი დევიზი?

— ყველაფერი კარგად იქნება!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ყოჩაღ, მაკა!

თამარ რაზმაძე

ქალქვა

ქვა იყო და გამჩენისგან
არც არაფერს ელოდა,
„ადამიანს დამამსგავსე“, —
მხატვარს ევედრებოდა.
ქვა იყო და სიცოცხლეზე,
სიყვარულზე ფიქრობდა,
თითქოს მართლა იცინოდა,
თითქოს მართლა ტიროდა...

უცბად არ გავქვავებულვარ. ეს ნელ-ნელა დამეწყო. სადღაც, ტვინის ხვეულებში ნაგრძნობმა რომელიღაც წერტილის ანვამ მაუწყა, თითქოს რაღაც ტკაცანისმაგვარი რომ უსწრებდა წინ.

პირველი ტყუილი რომ დამწამეს, ყალიბში ჩასხმული თხევადი ფოლადივით გამიმაგრდა ის წერტილი. გონებაში ტყუილის მომჩმახავი გოგონაც იქ „იჯდა“ და იქვე ჩარჩა, გაიყინა ჩემთვის. მერე კი მისი ხსოვნის არე უპაწაწინეს ქვის წერტილად მექცა. მას მერე რაღაც ამდაგვარს პერიოდულად ვგრძნობდი. დროის დინება თუ სხვა მღელვარებანი ამ შეგრძნებას სამწვადეზე დანიავებული ფოთლებიანი ტოტივით მიყუჩებდა, ვერ ვამჩნევდი, დარდი თანდათან როგორ მიშეშებდა თმით ტევრდაგრაგნილ თავს.

ძნელი აღმოჩნდა; გაქვავებულმა კისერმა იმის საშუალება აღარ მომცა, გვერდით გამეხედა ხოლმე, გარეშემო მოვლენები თუ ხალხი რეალურ სილუეტებში დამენახა. ვხარობდი თუ ვტიროდი, ნირი არ შემცვლია. ასე გადიოდა თეთრ მარმარილოდ თავკისერგაქვავებულობის დრო. თავად არაფერი ვიცოდი. როცა მიყურებდნენ და ერთურთს გადაუჩურჩულებდნენ, ვერ ვხვდებოდი, რაზე ლაპარაკობდნენ.

ქვადქცევის ნიშნები პირველად მაშინ შევამჩნიე, მე და ცისფერთვალებამ ბოლოს რომ ვისაუბრეთ. როცა მივხვდით, ჩვენს ურთიერთობას გაგრძელება არ ეწერა, რომ გზაჯვარედინზე გამოცდისათვის შეგვახვედრა განგებამ და გზები იყრებოდა. ვერაფერი ვუთხარი, მხოლოდ ცრემლი გადმომიგორდა თვალიდან — ცხელი, მწველი. მინაზე კრისტალადქცეული დაეცა, გაგორდა. ცისფერთვალებამ დახედა და მას გაჰყვა. ცრემლმა გზა უჩვენა... ერთი კი ჩაილაპარაკა წასვლისას — „ჩემი კრისტალი გოგოო...“

საბედისწერო მზერამ რომ მომათბო და მოგვიანებით ტაძარში საქორწილო გვირგვინები დაგვადგეს, შარბათი გვასვეს და ერთ ჭერქვეშ ბუდის ასაგებად ყველაფერი თბილი მოვფუთნე, მაშინ გავლხვი.

როცა მის მიერ ხელშიატატებული ვწმენდდი ჭერის კუთხეებში აბლაბუდებს და კისკისში ვფანტავდით ყოფით სირთულეებს, როგორც ჩამოწმენდისას მოყოლილ, ჰაერში გაბნეულ მტვრის პაწია ნაწილაკებს, ახლოს, სულ ახლოს ვგრძნობდი ცას... როცა დილაობით ოთახის კარის თაღში მოციაგეღიმილიანს ან ჩემს ტუმბოზე დატოვებულ ბარათებს ვხედავდი: „— მზეო, მალე მოვალ, არ მოიწყინო“, „გილოცავ დღესასწაულს, გენაცვალე“, თეთრი ჩიტებივით აჩირაღდნებდნენ ეს ქაღალდები მთელ დღეს. ნაჩუქარი ვარდების დაფრქვეული სურნელი ოთახში გონისწამღებად ტრიალებდა. როცა ხან მე ვაძინებდი ოფლით დანამულ შუბლზე ხუჭუჭა თმებდაყრილ ჩვენს პატარას და ხან ის, ყოველ კვირას ვადღესასწაულებდით მის თითოეულ ამოჭრილ კიჭს, როცა ყველა კაქტუსი გაყვავილდა სახლში, ერთმანეთს ენაცვლებოდა ახალი წლები და ხარობდა ჭერი, როცა ერთად ნამარხულევებს პირს სასიამოვნოდ გვიშუშხავდა ტაძარში ზიარების შემდეგ მეგობარი სტიქაროსნის მოწვდილი, ორმაგად ტკბილი მდუღარება, ცა ისევ ჩამოდიოდა ჩემთან და გულში მიკრავდა... ხარობდა მისადმი მიძღვნილი ლექსებით, მისი ნაჩუქარი საყურეებით რომ ვიმშვენებდი თავს და ერთმანეთით გაფერადებულ დილა-საღამოებს ვსუნთქავდით, არარა იყო ყინვა თუ ხვატი, გემრიელობდა პირველად ნამზადები სადილიც კი, მაშინ თვალებიდან კრისტალების ცვენის ამბავი საერთოდ გადამავიწყდა...

გაჯიქდა მერე ჩვენი სახლის საათი, გაჩერდა. ყრუ გუგუნით ავმა ჟამმა ჩამოჰკრა; ბუდის ნგრევა რომ დამიწყეს, ვიგრძენი, რაღაც უხილავი ძალა თითქოსდა მხრებში ჩამაფრინდა, რომ ვეჯაყჯაყებინე და სახსრებში გავეტეხე. მომინდა მიწისთვის ტერფები დამეკრო, ძვრაც რომ ვერ ეყოთ. ვეცადე, მხრები გამეშეშებინა. ძვალწვრილი ვარ, არ მეგონა თუ შევძლებდი, მაგრამ გამომივიდა და მხრები ლამის თავად გავიქვავე.

როცა ის უთვალებო სახით მიყურებდა და ჯვრისწერის დროს შესმული შარბათის სიტკბოს ივიწყებდა, ცრემლები არსებული ტემპერატურის გამო იატაკზე უკვე გაყინულნი, ბროლებად ცვიოდნენ...

სარკის წინ ტრიბუნასთან გამომსვლელის რეპეტიციას გადიოდა და დღეში ათჯერ მანც მეკითხებოდა, ხომ მოუხდებოდა ამ ამპლუას? ანდა როგორ ტონალობაში მოეწყო მომავალში კაბინეტი (როგორც მოგვიანებით გაირკვა, სურ-

ვილის ასრულების პრეტენდენტთან ერთად გადიოდა ამ რეპეტიციებს თურმე). გულის გარშემო წრიული ტკივილების შეგრძნება დამეწყო და დანთებული კელაპტრების სითბო მშველოდა; ჩემში დაწყებული სიმყარე მუცელსა და შიგნეულს რომ არ მოსდებოდა. მოგვიანებით მაინც ასე მოხდა. სისულელის გამო წაკამათებულს თმაში რომ ჩამაფრინდა, ისე ამილაპლაპდა მარმარილოდქცეული ბეჭები, როგორც ფლორენციის ქუჩებში პირიდან წყალმდინარე, ეშვებგადმოყრილ ლომებთან მჯდომ გაშიშვლებულ ფემინას. რა გემართება?! — ვკითხე ერთხელ კედლისკენ პირმიქცეულს. გველნაკბენივით მომიბრუნდა — „Уух, я готов на подлости, ух, я готов на гадости, но лишьбы всё захапать к своей великой радости, но лишьбы всё захапать к своей великой радости, к своей великой радости, к своей великой ра-дости!..“ — შემომბღვირა კარაბას-ბარაბასადქცეულმა. გავშრი, გავეცალე. ვხედავდი, არ უხუმრია. ამას მერე ელვისებური სისწრაფით დაცლილი არყის ბოთლების კვირეულები მოყვა.

ხმაურით მიეწყვნენ ცუდი დღეები ერთმანეთს და ფანჯარასაკრულს ჩავლილი ბედნიერი აპრილის ხელმეორედ დაბრუნების უიმედო ლოდინმა მაგრძნობინა მოშურნეთა მოწკურული თვალების სინავსე... სიკვდილის ულმობელმა ამოსუნთქვამ ყინვისებრ მოხატა სახლის სარკმელი და მხოლოდ თეთრმანდილმობურული ღვთისმშობლის მანუგეშებელი გალობა გამაგონა სიზმრად დამბადებელმა... მივხვდი, დასასრული რომ ახლოვდებოდა და იმასაც, მეორე ნახევრის ღალატის მიუხედავად, მარტოს რომ უნდა გამეწია უღელი — პალატაში სიცხით გათანგულის მაგივრადაც.

მხატვარი
გიორგი ქართველიშვილი

როცა სნეულის შველა სათუო გახდა, მერე უეცრად გამდიდრებული ქალის შესაძლო შარავანდედი დამადგა თავს, ტუჩის კუთხეებში ბალნიანი და ჭორაობისას ნერწყვის საჩვენებელ-ცერა თითებით მწმენდავი დედაკაცები ამ შარავანდედმა დააფრთხო. ისეთი ზანზარი დააწყებინა მათი ჩხუბისას ჭურჭელს, ზრიალის სმენისას ცელულიტის საწინააღმდეგო ღვედივით მივლიდა სულსა თუ სხეულში გამამაგრებელ-გამაქვავებელი ხმები. მათგან ნასროლ ისრებს რბილ თიხად დარჩენის შემთხვევაში ვერ ავიცდენდი. დავძაბე სხეული და ხერხემლის მალებს ტკაცანით ჩაყოლილ სიმყარეს ჩვეულებრივად ვითვლიდი. როგორღაც გადავრჩი. ბროლები კი მცვიოდა თვალებიდან...

როცა სახლის ზღურბლს რწმენაგაცამტვერებულმა ყელზე დარჩენილი, მტკივანი ნათითურებით გადავაბიჯე, ოთახის სიბნელეშიც კი დავინახე, „ტუჩებბალნიან“ დედაკაცს სიხარულით რომ უელავდა თვალები!.. ბინიდან ჩემი ნივთების გაზიდვისას ხერხემალი და ზურგი წელამდე ისე ჩამიქვავდა, აღარც მიკვირდა, იმხელა და იმსიმძიმე ჩანთებს როგორ ვეზიდებოდი.

დღეთა სვლა არ დამითვლია.

ის იქ იწვა გაქვავებული... მე — ბავშვობისდროინდელ სახლში და ვგრძნობდი, ერთი ნაბიჯი რომ არის რბილ, სულშთაბერილ თიხადშეგრძნებიდან ქვადქცევის შეგრძნებამდე. ოღონდ ისეთ ცივ ჰაერს ვაგემოვნებდი ამ დროს სასულეში, ყინვასავით რომ მწვავდა.

„ზედმეტი“ ნაბიჯის გადადგმა აკრძალული იყო. საკუთარ თავზე ინიციატივის აღებას და იმაში დარწმუნებას, რომ მის ბაგეებთან მიტანილი სარკე აღარ დაიორთქლებოდა, არავინ მომცემდა. ჩავიცვი, გავედი. შემაჩერეს: „საკუთარი ნების გატანა ავტომატის ჯერის ბოლომდე ჩარახრახების ტოლფასი იქნება, კონცერტის და ცირკისო“. შავადშესუდრული ადგილზევე დავრჩი და ნაცრისფრად სახეგადღაბნილი, ამაზრზენი მარტის ცას განმარტოებულმა გასრესილი ყვირილით ავაბჯინე ხელები. ღრუბლები შევაჯანჯღარე ცრემლებისთვის, მაგრამ აღარ ჰქონდათ აღარც თავიანთთვის, აღარც ჩემთვის. ღამით ლიბრგადაკრული და გადაგლუვებული ქანდაკების თვალებით დავხედე საწოლს და მივხვდი, ხანდახან მიწა რომ უფრო თბილია, ვიდრე ლოგინი. როგორც ჩავწექი, ისე გამომეღვიძა, არ გავნძრეულვარ. დილით დავინახე, როგორ ხტოდა, ფეთქავდა ჩემს ხელისზურგზე ძარღვი. ძალიან გამიკვირდა.

ნახევრადქვადქცეული სხეულის ტკივილების გამო ღამეები არ მეძინა. ხალხი — „რა ლამაზად არის გამოქანდაკებულიო“ — ჩურჩულებდა. შესაშური რა იყო — ბუდე რომ დამინგრიეს, ნგრევაში მოყოლილს ცხვირი წამემტვრა.

მივხვდი, ვქვავდებოდი. მასწავლებლებს შევჩივლე. მზერა მოუთბათ, თანაგრძნობით აევსოთ. „ასე იცისო“, მითხრეს, „შეეჩვევი, ეცადე, კიდევ უფრო გამაგრდე, სიმძიმილს და სიმძიმეს ნაკლებად იგრძნობო“. შევეცადე. ამას დაქალის მკაცრი განაჩენიც დაემატა: „რას მიყურებ?! საყვარელი გაიჩინე! ძეგლს მაინც არავინ დაგიდგამსო“. ცოტათი გავბრაზდი. ცოტათი, ლამის კიდეც მომინდა ქვადქცევა.

გამოჩნდა ისევ იგი ქალი. ვერ მოისვენა, თავბედი უნდოდა ჩემთვის უწყევლინებინა იმის ცოლობის გამო და ზეაღმართა „დირიჟორის ჯოხი“.

რა აღარ მოიგონეს, რა აღარ შეთხზეს!.. ზოგი ყურში გესლით მიჩურჩულებდა, ზოგი ჭორს სხვების დასანახად გვერდზე ნერწყვივით ისროდა, ზოგიც ზურგში ტყვიასავით მახლიდა, მაგრამ ბეჭებზე ნაკაწრები მრჩებოდა მხოლოდ. ვიცდენდი, არ მესობოდა. გამაქვავეს და რაღას ვიგრძნობდი!.. ლაფი ვესროლოთო, გადაწყვიტეს. დამიწყეს სროლა. წამოვიდოდა დედაჩემის და ანგელოზთა ცრემლი, ჩამომბანდა ტალახს, ან მზე გამოანათებდა, ჩამომადნობდა მხარ-კისერზე მიმხმარ გოროხებს და ვიწყებდი ისევ ბზინვას.

მოვიდა მერე ერთი ღვთისნიერი კაცი, თავისი ხელით ნაკეთი დიადემა მოიტანა, „მაღალი შუბლი აქვს, მოუხდებაო“, თქვა და მომარგო თავზე. ამაზე სულ გადაირივნენ. მომხსენი, თუ ღმერთი გწამს, არ მინდა-მეთქი — ვუთხარი. გაეღიმა. „არც ვიფიქრებო“ — თვალით მანიშნა და წავიდა. სწრაფად შემეზარდა დიადემა თავზე და დავრჩი ასე. მომცვივდნენ მერე და იმ პაწაწინა კვარცხლბეკის მონგრევა მოისურვეს, რომელზეც ვიდექი. მეგობრები შემომეშველნენ — ნახევრადშიშველნი. იფიქრეს, „მათ ჩავაცვათ, ეს შიშველი დავტოვოთ. ისინი ჩვენთან ვალში იქნებიან, ამას მიატოვებენო“. ასეც მოხდა (სუსტია ადამიანი). არ გამკვირვებია, არ მიტირია. მხოლოდ სიმძიმის შეგრძნებამ შემახსენა თავი — სიმაგრე წელიდან თეძოებს ჩაუყვა და მიხრა-მოხრა შემიფერხა. სახლს მივეჯაჭვე. ამაოდ იდგა დედაჩემი ჩემი ცრემლების მომლოდინე. იცოდა, ასე ვიშვებდი, მაგრამ ვეღარ. არც მხიარული ვიყავი, არც მწუხარე. ჩემსკენ ნასროლი ქვებადქცეული სიტყვების კრობას ვგრძნობდი სხეულზე. მგონი ერთ ლოდადქცეულ ქალს მოვგავდი.

ვცდილობდი მევლო, ბუნება შემეგრძნო: მზე, ჰაერი, აფათფათებული ფილტვები. ჩემს სახლთან, ეზოში ვხედავდი ბალღობის მეგობრებს — ლუდისა და არყის ცარიელი ბოთლებით ხელში მოფარფატეებს. დამორცხვებულთ, რაღაცნაირი დაღდასმული მზერით, მისალმების ვერგაბედვით. ახლა მხოლოდ მათი თვალები მეუბნებოდა, როგორ გავზრდილ-გავლამაზებულვარ, მაგრამ ხომ ვგრძნობდი, როგორ მაქვავებდა მათი ამბავი... ვიღაც ულმობელ(ნი)ი შერისხული ღრუბელივით დაგვდგომოდა თითქოს თავს, ამ დღეში რომ ჩავეყარეთ. პანტაპუნტით მიწევდა მათ პანაშვიდებზე სიარული, უკეთესი რომ ვეღარაფერი მოეფიქრებინა მათს ამ ყოფაში დედაბუნებას...

ან სიხარულის მცდელობა ვინ გაცადა, ან მეგობართან იანვრის ყინვაში ბუხარს მიფიცხებით ერთად ნაცხობი „ოლადების“ მირთმევა!.. შეიკრნენ ისევ, ხალხიც მიიმატეს და საერთო ბალღამი ჩაიღვარეს ძარღვებში. ისევ კბილებში ცრილი სიტყვების კორიანტელი დააყენეს, ფართოდ დახუჭეს თვალები და ნიღბების შერჩევას შეუდგნენ. ცდილობდნენ, თვალებზე ხელები აეფარებინათ ჩემთვის. მაინც ყველაფერს ვხედავდი. გაკვირვებით არა, სინანულით ვიმეორებდი: „ეჰ, სტენლი, სტენლი!..* რა მართალი იყავი-მეთქი!..“ ამ ნიღბებს მიღმა სახეთა შეცნობა კი ლამის ყოველდღიურ მოვლენად მიქციეს.

მუხლებში ქვადატანებული გუნდების შეგრძნება მაშინ დამეწყო, ყველა იწილო-ბიწილოს გამზიარებელთან იმის გასარკვევად რომ მივედი, რად გაბრუნდი, ზურგს რად მიჩვენებ, რა მოხდა-მეთქი?!.. „კარი ღიაა და შეგიძლია წახვიდეო“ — მითხრა. თვალი ამარიდა... კედელზე კი, საყურეებისსაკიდ პატარა კაუჭზე სწორედ ის ნიღაბი შევნიშნე, რომლის დანახვასაც ველოდი — ოცდაათი ვერცხლისფერი ბისერით იყო მოქარგული და საოცრად ბრჭყვიალებდა...

ისეთი მსუბუქი წამოვედი იქიდან, აღარც სიმძიმილი იყო, აღარც სიმძიმე. სასულეში მყინავდა ოღონდ რაღაც. ერთ მთლიან, ერთგვაროვან ქვის სხეულად ვიქეცი. ვხედავდი, მუხლისთავებიდან ტერფებამდე როგორ აჭრელდა რუხნარევი თეთრი მარმარილო — სიმძიმილმა მაინც გაჟონა სადღაციდან და თეთრს მუქი შეერია... ვერაფერს ვგრძნობდი, გარდა ისევ გულის გარშემო შემორჩენილი წრიული კენწვლისა... ქვადქცეული ნასროლი სიტყვები უშნოდ დამხვავებოდა მხრებზე. ვერაფერი მოიფიქრეს, მაგრამ (მადლობა უფალს), კიდევ ერთმა ღვთისნიერმა მკითხა, რა მსურდა — დამეწერა (შემატყო, საუბარი მიჭირდა). მოქანდაკის მიერ სხეულიდან ზედმეტი ქვების მოშორება ვითხოვე.

მოიყვანა ღვთისნიერმა ის კაცი. მომაჩერდა ისიც ოსტატის თვალით და რომ არ მტკენოდა, ისე ფრთხილად ამათალა სხეულში ჩაზრდილი ქვები. გულმკერდამდე რომ ჩავიდა, ვერბილე. გარშემომყოფთ გაოცებით შეხედა — მარცხნივ, მკერდის ღრმულიდან გულის ფორმის ცოცხალი სხეული დაინახა — დასისხლული (წრიული ტკივილების მიზეზიც ეს იყო, ეტყობა)... „ასეთი რამეც ხდებაო?!.“ — აღმოხდა გაოცებულს. მხოლოდ ღვთისმოშიშმა კაცმა დაუქნია თავი და ანიშნა, არავისთვის ეთქვა ეს ამბავი...

*** სტენლი კუბრიკი — კინორეჟისორი**

უჩა ზაქაშვილი

ფოკუსი

ცომისა და კრემის მომზადება

გოჩას ცხენსაც გოჩა ერქვა.

გოჩას ცხენი მაშინ მოპარეს, როდესაც თავი უკვე კაცი ეგონა.

გოჩამ შვილსაც გოჩა დაარქვა. მეორეს, თორემ პირველი გოგო ჰყავდა.

გოჩას თავი კაცი მაშინ ეგონა, როცა სხვებს მოწყენილი ჰქონდათ ამ ტვირთის თრევა.

გოჩას კაცები არ აინტერესებდა, თორემ მის ცოლსაც გოჩა ერქმეოდა.

გოჩამ სხვა სახელებიც იცოდა, მაგრამ ოჯახის ტრადიციას და სახელს არასდროს ღალატობდა...

„სიკვდილის მერე მარტო სახელი რჩება“ — ეუბნებოდა ხოლმე გოჩა პაპა გოჩას.

გოჩამ უნივერსიტეტის დამთავრებიდან რამდენიმე თვეში ქალაქის მუნიციპალიტეტში დაიწყო მუშაობა.

მანამდე კი, მუშაობის დაწყება რომ იოლი არაა, იოლად მიხვდა გოჩა.

ყველა ვაკანსიაზე შეჰქონდა საბუთები. ტესტებს უმკლავდებოდა, მაგრამ გასაუბრების ეტაპი ზედმეტად ზეციური აღმოჩნდა მისთვის.

გოჩა სანათესაოში, საგვარეულოში და იმ სოფელშიც, სადაც მისი მამა გაიზარდა, ერთადერთი იყო, ვინც უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარა და დაამთავრა.

მოგვიანებით, გოჩამ ისიც გაიგო, რომ სანათესაოში ერთადერთი იყო, რომელმაც რაღაცას მიაღწია და მერე ციხით არ დაასრულა კარიერა.

გოჩა პაპა ერთხელ ისე დათვრა, გოჩას მოუყვა, დიდი გოჩა პაპა როგორ გახდა ალქიმიკოსი, რომელიც საბჭოთა დროშიდან ქართული სისხლის მიღებას ლამობდა.

9 მაისი იყო, საქართველოს მთავრობა ულოცავდა ომში გადარჩენილებს, რომელიღაც რაიონის გამგებელი მათთვის უფასო კარაქსა და წიწიბურას არიგებდა, პრეზიდენტი აცრემლებული სახით გულზე მჯიღებს იცემდა.

და გოჩამ გააცნობიერა, რა ყალბია სამყარო.

გოჩას სრულფასოვან იმედგაცრუებამდე ჯერ კიდევ მთელი სამყარო აშორებდა.

გოჩამ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ავტონაწილების ბაზრობაზე დაიწყო მუშაობა.

გოჩა თავსაც აჯერებდა და სხვებსაც, რომ პროფესიით მუშაობა კი შეეძლო, მაგრამ მანამდე უბრალო ხალხთან ურთიერთობა გამოცდილების შესაძენად სჭირდებოდა.

იმ დროს გოჩას უკვე სჯეროდა, რომ ყველაფერში თუ არა, რაღაცაში პირველი თუ არა, მეორე მაინც იყო.

გოჩას ბაზრობაზე „გამოსირებულს“ ეძახდნენ, რადგან კლიენტებს ფულს არ უტეხავდა.

გოჩას შეეძლო მთელი დღე ხელფასზე ემუშავა, არაფერი მოეპარა, არავინ მოეტყუებინა.

გოჩას შეეძლო მთელი ცხოვრება დაშლილი ავტონაწილების გამყიდველად ემუშავა, მაგრამ ავტომანქანების დაშლა ისწავლა და უკვე ბაზრის იერარქიაშივე ამაღლდა.

გოჩა ბაზრობის მეზობლების თვალში კვლავ ამაღლდა, როდესაც მისი ლექსი ავტონაწილების გამყიდველთა მძიმე ყოფის შესახებ ქალაქში ცნობილ ლიტერატურულ ჟურნალში დაიბეჭდა.

ბაზრობაზე ეს ამბავი ყველამ გაიგო. ზოგი ამაყობდა და ვინც არ ამაყობდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ურითმო ლექსების ლექსობას ჩიოდა: „ილია, ვაჟა, გალაკტიონის შემდეგ როგორ შეიძლებოდა ვერლიბრისთვის პოეზია ეწოდებინათ?“ გოჩა ბუკოვსკის ახსენებდა, ვითარცა შაქრო მალადოის ზონაზე, როგორც პრესტერ ჯონს ჯვაროსნების კრებაზე, ვითარ ცუკერბერგს ფეისბუქზე. ისინი კი დუმდებოდნენ, კისერს იფხანდნენ და ბოლოს მაინც ეკითხებოდნენ: „ეგ ვინ ჩემი ბაბასილია?“

ამ ერთგვარი კრიტიკის ფონზე გოჩა მიხვდა, რომ ავტონაწილების გამყიდველები პორნოჟურნალების გარდაც კითხულობენ რაღაცას, რომ უნივერსიტეტის მერე აქაც შეიძლება მაღალ მატერიებზე საუბარი და საკუთარი მაღაზია გახსნა.

გოჩას მალე მოაკითხეს.

ზაზა მისი უნივერსიტეტელი, თანამდებობის პირი, თანატოლი და მეგობარი იყო.

უთხრა: კარლო ჰქვიაო. ფოკუსებს ატარებსო, დიდი ვიგინდარააო, უნდა გამოვიჭიროთო.

გოჩამ საკუთარი მაღაზიის წინ მდგარი ფერმიხდილი ჭადრის გაქრობის სანაცვლოდ ფული გადაუხადა კარლოს.

კარლომ სამსახური დაკარგა.

გოჩას კვლავ უხმეს და ქალაქის მუნიციპალიტეტში დააწყებინეს მუშაობა. იმ დეპარტამენტში, სადაც ზაზა ახალი დანიშნული იყო უფროსად და სადაც მანამდე კარლო ფოკუსებს ატარებდა...

იმ ოთახში, რომელშიც გოჩა დასვეს, ყველა კარლოზე ბჭობდა. „ეგეთ ჯიგარ კაცს ვერსად ნახავდი“, „კიდე კაი, ცეცხლზე არ დაწვეს და სამსახურის დაკარგვას ვინღა ჩივის?“ „ეე, რა დავლიეთ იმ დღეს, რა მოვილხინეთ, რა იცოდა საწყალმა, ვინ გადაუხდის ბანკის ვალებს“, „მონტაჟი იქნება, შოუ უნდა ხალხს და აჩვენებენ“, და ა.შ. ვიღაცამ ისიც კი უთხრა გოჩას: „სადაც შენ ზიხარ, ზუსტად მანდ იჯდა ისიც!“

გოჩას გაორება სჭირდა. ერთი მხრივ, ამაყობდა, რომ ილუზიონისტის გამოჭერაში მიიღო მონაწილეობა, მეორე მხრივ, კი სტანჯავდა გოჩა პაპას მონათხრობი დიდ გოჩა პაპაზე.

გოჩამ დიდხანს იწვალა, მაგრამ გაორება არ დასრულდა.

მამა გოჩა ხშირად მოძღვრავდა: „სახელმწიფო სამსახური ჯობია, ეგ მუდმივია, მთავარია არაფერი დააშავო. გაიზრდები, გამოცდილებას შეიძენ და მერე ყველაფერი გექნება.“

გოჩას სჯეროდა მამის, მაგრამ აბა რა იცოდა მამამ, რა გზით მოხვდა მისი შვილი სამსახურში?

გოჩას თანამშრომლებმა, აბა, რა იცოდნენ სიკვდილმისჯილი ჭადრის ისტორია, რომელიც ისევ თავის ადგილზე იდგა და გაქრობის უსასრულო მოლოდინით ისტერიული ფოთოლცვენა სჭირდა! რა იცოდა ჭადარმა, მის გაქრობაზე რა ამბები დატრიალდა?!

გოჩამ იცოდა, რომ რაც გააკეთა, მხოლოდ სიმართლისთვის, მხოლოდ კანონიერებისთვის.

გოჩა აცნობიერებდა, სამსახურის დაწყება ამჯერად გასაუბრების ეტაპის გადალახვის გარეშე რატომ გახდა ასე იოლი, მაშინ როცა, რამდენიმე თვის წინ იმავე სამსახურში იმავე ხალხმა და ზაზამაც გასაუბრების ეტაპზე კრიჭა შეუკრა.

და ერთ მშვენიერ დღეს საგანგებო თათბირზე შემოვარდნილმა რეალიზმის დეპარტამენტმა დააპატიმრა ზაზა და კიდევ სხვა რამდენიმე თანამშრომელი ფოკუსთა რეციდივის გამო. სპეცსამსახურის თანამშრომლებმა დაპატიმრებულთა მოქმედების სქემა ისე დამაჯერებლად გაშიფრა, რეალისტი იყავი და ნუ დაიჯერებდი: „მ.კ. ზ.კ.-სთვის ფოკუსის ჩასატარებლად იყენებდა ლატენტურ ხერხებს. კერძოდ, ჯერ ზ.კ.-ს სახლის ლიფტს იძახებდა, კაბინაში დებდა ორ სამშენებლო ბლოკს, მათ ქვეშ კი — ქაღალდში გახვეულ ძველ გაზეთებს. შემდეგ ლიფტს ზ.კ.-ს სართულზე გზავნიდა. 4 სართულის ავლისთანავე ლიფტში ზ.კ.-ს უკვე დოლარებად გადაქცეული მაკულატურა ხვდებოდა. დამნაშავეებმა ეს სქემა ილუზიონისტობის დასამალად გამოიყენეს, მაგრამ ჩვენი დეპარტამენტის მიერ კაბინაში დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები, რამაც დეტალურად დააფიქსირა ილუზიონისტური ნომერი“.

გოჩას გაორება გასამდა. პირველი და მეორე დარჩა იგივე. დაემატა სამშობლოს, როგორც მთლიანის, გლობალური აღქმის დეგრადაცია.

გოჩას სჯეროდა, რომ იმ გზით, რა გზითაც სამსახური იშოვა, რეალიზმის მიმდევრები წარსულს ებრძოდნენ და ახლის შენება იყო მიზანი.

ზაზას დაჭერა რაღას ნიშნავდა? რეალიზმის მარცხს, თუ კონკრეტული პიროვნების მარცხს? თუ გოჩას მარცხსაც?

გოჩას მარცხი სიამაყის ყოველგვარ მიზეზს ამსხვრევდა. ამიტომ მოცემული პასუხებიდან ზაზას პიროვნული მარცხის ვერსია ამოირჩია.

ზაზა ახალმა უფროსმა შეცვალა. გოჩამ სცადა ახლიდან დაჯერება. სხვა გზა არც იყო.

მამა გოჩა მოძღვრავდა: “შენ დონეზე ფოკუსებს არ დაუშვებენ. დაიღალა ხალხი განუხორციელებელი იმედების ღეჭვით, და შენ უნდა აჩვენო მათ, რომ მიწაზე დგახარ, საჭმელს ჭამ, კუჭში გადიხარ, შარდავ, მოკლედ უნდა

დაანახო, რომ ადამიანი ხარ, იმიტომ, რომ ხალხი შენ გხედავს, შენნაირებს ეკონტაქტება და პირველ რიგში შენს ფოკუსებს ვერ აიტანს.“

გოჩამ ისწავლა თვალის არიდება, განზე გადგომა და მარტო თავის საქმის კეთებაზე დაიწყო ფიქრი.

მალე სამშობლომ გოჩას მანქანა უყიდა, ხელფასი გაუსამმაგა, ტელეფონზე სასაუბრო დრო ჩაურიცხა და მივლინებებით ევროპაში ამოგზაურა. გოჩამ მადლობა იმით გადაუხადა მას, რომ ცოლი მოიყვანა და ორი შვილი გააკეთა. „მესამეზე ვფიქრობთ“ — ამბობდა ხოლმე სხვადასხვა თავყრილობაზე, მამულიშვილური სიამაყით. „ერს გამრავლება სჭირდება,“ „პატრიარქის ნათლული იქნება“ — ეხმაურებოდნენ და უწონებდნენ ფიქრის საგანს.

გოჩა ბევრჯერ დააწინაურეს და არც ერთხელ დაუქვეითებიათ.

გოჩამ დისერტაცია დაიცვა და დოქტორი გახდა.

გოჩამ სახელფასო დანაზოგით მიწის ნაკვეთი შეიძინა და ზედ გოჩა პაპას ნაჩუქარი ცხენი დააბა.

გოჩამ გააცნობიერა, რომ როდესაც არ ხარ ილუზიონისტი, ხარ თავისუფალი ყველა ეპოქაში, ნებისმიერ სივრცესა და გარემოში. არ გეშინია და ტკბები. შენ გარშემო თუნდაც ტყეები კორპუსებად იქცეოდნენ, მდინარეები კანალიზაციის მილები ხდებოდნენ და მწვერვალებზე ერთჯერადი პარკები დაფრიალებდნენ — შენ გარშემო შენ არ ხარ!

გოჩამ უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დაიწყო.

გოჩა კანონებს წერდა და მას პარლამენტი ყოველგვარი შენიშვნების გარეშე იღებდა.

ჰოდა, გოჩას თავი კაცი ეგონა.

იმ შაბათს გოჩამ ცხენით გასეირნება გადაწყვიტა, მაგრამ გოჩა ნაკვეთში აღარ დახვდა.

უფრო მეტიც, ქურდებს ცხენის შემოღობილი ეზოდან გასაყვანად ღობის ერთი მონაკვეთი მთლიანად მოერღვიათ. დროებითი შესასვლელი

მოეწყოთ. ზუსტად კარის გვერდი იყო გამონგრეული ლამის ოთხი მეტრის სიგანეზე. ნანგრევებზე კი ფიცრები დაეწყოთ მანქანის გადასაყვანად. გოჩა სატვირთო მანქანით წაეყვანათ.

აღშფოთებულმა პოლიციაში დარეკა. იმათ ცხენის ფოტო, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, ვეტ-აღრიცხვაზე აყვანის საბუთი და აცრის ცნობა მოითხოვეს. გოჩას არც ერთი ჰქონდა.

მეზობლებს ჩამოუარა და გამოჰკითხა, რამე ხომ არ შეუნიშნავთ. იმათ, რა დროს ცხენია, მოჩვენებითი რეალიზმის რეჟიმი დაინგრა და აწი გადავალთ ნამდვილ რეალიზმშიო!

მართლაც, რა დროს გოჩას ცხენის ძებნა იყო?

ზუსტად იმ წამს, როცა გოჩამ სამსახურში წასვლა გადაწყვიტა, მესიჯი მიიღო:

„მაინც მოკვდები, ნაძირალა!“

გამოცხოგა და კრემის წასმა

გოჩას სამუშაო კაბინეტის მაგიდაზე მორიგი შეტყობინება დახვდა ანტიილუზიური დეპარტამენტიდან. ეს იგივე რეალიზმის დეპარტამენტი იყო, შეცვლილი სახელით და გაზრდილი უფლებამოსილებით. ანტიილუზიური დეპარტამენტის წესდებით ილუზიონისტის ცნებაც დაეზუსტებინათ: „ილუზიონისტი განიმარტება ორი გაგებით. პირველი, ვიწრო მნიშვნელობისაა და აღნიშნავს ფოკუსის ჩატარების მცოდნეებს, მეორე, ფართო მნიშვნელობით განიმარტება და გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომლის საქმიანობა ან არსებობა ილუზიებს უკავშირდება“. ამდენად, ანტიილუზიურ დეპარტამენტს გარდა ჩვეულებრივი ილუზიონისტებისა უნდა გამოევლინათ ილუზიებთან კავშირში მყოფი ნებისმიერი პიროვნება, მათ შორის ალქიმიკოსები, მუცელმოგვები, ტყირპის მსტურები, ნიშთმჭვრეტელები, ხატის მეენეები, მსახვრალები და ჰიპნოზიორები. ასევე, ყველა ვინც თავად არ გახლდათ ამნაირი, მაგრამ ამ ყველაფრის ტირაჟირებას ახდენდა.

გოჩას პირველად არ იბარებდნენ რეალიზმის ტესტის ჩასაბარებლად და იცოდა, რასაც ითხოვდნენ მისგან. მას თავი უნდა ემხილებინა ილუზიონისტობაში, უნდა ეღიარებინა რომ ილუზიების მსახური იყო და სამჯერ ხმამაღლა წარმოეთქვა: „ადრე თუ გვიან წარმოსახვითი ყველაფერი იმსხვრევა მაინც, მე კი დღესვე განვეშორები ილუზიასა.“ რა უნდოდა ამის გაკეთებას, მაგრამ გოჩას 30 წლის ასაკში იმის აღიარება, რომ წლების წინ სასტიკი შეცდომა დაუშვა, არ სურდა. აბა, როგორია, შენს თავს და ანტიილუზიურ დეპარტამენტს გამოუტყდე, რომ საუკეთესო წლები დახარჯე კვირაში შვიდი დღე 24-საათიან მუშაობაში, რაღაცის გჯეროდა, რაღაც მიზნისკენ მიისწრაფოდი და უცებ, ბრახ! ილუზიონისტი ყოფილხარ! 30 წლის ასაკში თითქოს ახალი ცხოვრების დაწყებაც არ უნდა ყოფილიყი რთული, მაგრამ წარსულდამოკიდებულება არ უშვებდა წინ... მართლა სისხლი გადაუსხეს? ილუზიის, სიყალბის, ხალხის გაბრუების, შუბლის ძარღვის გაწყვეტის სისხლი?

„ლოკალურად მხოლოდ შენს უწყებაში, შენს კონკრეტულ დეპარტამენტში მომხდარის გამო კი არა, არამედ მთელ ქვეყანაში, მთელ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების გამოც კი იხარშები! ფოკუსი ჩაატარეს, რომლიღაც მუნიციპალიტეტის გარე განათების თანამშრომლებმა და ყვითელი ნათურები ლურჯად ანათებს? იხარშები! ვიღაცის მამა ექიმებმა ვერ გადაარჩინეს? იხარშები, იმიტომ რომ ცუდი ფოკუსი ჩაატარეს! ქურდი დაიჭირეს? იხარშები, იმიტომ, რომ რეალიზმის მიმდევარი დაიჭირეს! ახალაშენებული ობიექტი გახსნეს? იხარშები, იმიტომ, რომ ერთი და იგივე გახსნეს მეშვიდედ!“ — ახსენდებოდა გოჩას მისი აწ გარდაცვლილი თანამშრომელი გივის სიტყვები, რომელიც პენსიაში გასვლის დღესვე გარდაიცვალა და თითქოს ასე რაღაცნაირად, სამშობლოსთან ვალმოხდილი წავიდა — პენსიაც კი არ აუღია. გოჩას ახსოვდა სტუდენტობა და ის პერიოდი, როცა სახელმწიფოსთვის შრომა ფოკუსებთან ასოცირდებოდა. მერე ყველაფერი შეიცვალა. გოჩა ფოკუსებს არ ატარებდა, მაგრამ ამის სანაცვლოდ ხარშვის თმენა ევალებოდა! რა იცოდა გოჩამ, რომ ხშირ შემთხვევაში ამ ხარშვას ზაზასნაირი, ანუ ყოფილი მისნაირები დაუდებდნენ სათავეს. გოჩამ კვლავ შეტყობინებას შეხედა და მიხვდა, რომ მის წინ იდო ხარშვის განახლებული მეთოდი, რომელიც მხოლოდ მისნაირ ჭიჭყინებზე ვრცელდებოდა. ყველას, ვისაც ოდესღაც სიტყვა ეთქმოდა ქვეყნის კურსში, ახლა ევროკავშირის ექსპერტები, უფლებადამცველები, ადვოკატები და ვიღაც ჩემალალაას მრჩევლები გამხდარიყვნენ. მათთვის ერთგულების დამტკიცების ადამიანური და ვაჟკაცური მოვალეობა კი მხოლოდ გოჩასა და მისნაირებს შერჩენოდათ, ე.წ. ილუზიონისტთა ყრმებს, ჰიპნოზიორთა მოწაფეებს, მუცელმოგვთა ჩმორებს, მაგრამ ამაყებს იმის ცოდნით, რომ ნეტარ არიან სიმართლისთვის დევნილნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ სასუფეველი!

„შენი დედა უნდა ვატირო, ჩამო ფოიეში“ — ახალი მესიჯით შეახსენეს თავი გოჩას. გოჩას რატომღაც ავტონაწილების ბაზრობაზე მდგარი ჭადარი დაუდგა თვალწინ.

— ყბაჩაც გაურეალისტებიათ მაგ ჩემისებს! — თავი შემოყო ღიად დარჩენილი კარიდან თანამშრომელმა.

— რა არ იყო? — ჰკითხა, ისე, რომ თვალი არ მოაშორა საქართველოს გერბიან ფაიფურის სტატუეტს.

— კი იყო, მარა საჩვენებლად. თან ყოფილი ჩვენები ეუბნებოდნენ ჩვენკენ გადმოდიო და რომ არ გადავიდა ეს გაუჩალიჩეს მაგ ახვრებმა.

— ისედაც უაღრესად შეწუხებულ გოჩას აღარ გააჩნდა დამატებითი ფერი, ყბაჩას გამო განცდილიც სახიდან აერეკლა. თუმცა „ჩვენები ეუბნებოდნენ, ჩვენკენ გადმოდიოშიც“ — იდო გარკვეული ემოციური გაურკვევლობა, აზრობრივი ბუნდოვანება და ეს ერთგვარი გულგრილობა არ გაემტყუნებოდა.

— გუშინ ვუყურებდი თოქშოუს. ვიღაც ტიპი ყოფილა რეკორდსმენი, 32-ჯერ დატესტესო, მაგრა აპიარებდნენ. და რა პონტია, შენზეც თქვან. ხალხი გაგიცნობს და რამე. ევროკავშირი გაიგებს, აღშფოთდება, ვიზას მოგცემენ, წახვალ ოჯახით, აიწყობ ცხოვრებას. — ამხნევებდა პეტრე მუცელმოგვობაში ბრალდებულთა ქომაგი და თავადაც მუცელმოგვობისთვის გასამართლებული.

— 32-ჯერ? — უინტერესოდ იკითხა გოჩამ.

„სულ კაბინეტში როდემდე იჯდები შე ვირთხა?“ — წაიკითხა გოჩამ ახალი შეტყობინება და პეტრეს შეხედა, რომელიც საუბარს განაგრძობდა:

— შენ სამეულში მაინც გახვალ და ვეტყვი ჩვენებს, რომ უთხრან ჩვენებს, რომ იმათ თქვან, რომ ჩვენც გვყავს ეგეთი ტიპი, — ამბობდა ისეთი შემართებით თუ სიამაყით, თითქოს 28-ჯერ რეალიზმზე კი არ შეამოწმეს, ფრონტის წინა ხაზზე დაჭრეს გოჩა, 28-ჯერ დააბრმავეს სიმართლისთვის და 28-ჯერ მოჰპარეს გოჩა!

პეტრე წავიდა. გოჩას ტელეფონზე დაურეკეს.

— ჩამოხვალ, თუ ამოგივარდეთ მანდ, შე პიდარასტო? — ღრიალებდა ვიღაც მთელი ხმით.

— ჩამოვალ, დამელოდეთ აბა, ერთი, — სხარტად უპასუხა და ფეხზე ისე წამოდგა, ვითარცა აჩრდილთა სამეფოს დარაჯი კერბერის ზესკნელში ამოსაყვანად მომართული ჰერაკლე.

კვლავ დაურეკეს ტელეფონზე.

— გაიგე, ვინ გახდა ჩვენი ახალი უფროსი? — ქირქილებდა პეტრე.

— ვერ მოგიშორე შენ, რაა... — ჩაიდუდღუნა გოჩამ.

— არ გაინტერესებს?

— კი.

— კარლო, ჩვენი ყოფილი...

გოჩას ნერწყვი გაუშრა, გაცხელდა, მაგრამ გაცეცხლების ნიშანწყალი არ დატყობია. პირიქით, უცნაური სიმშვიდე იგრძნო.

ისევ ტელეფონმა დარეკა:

— ნანჩო ვარ, თქვენი ძიძა, გოჩას პამპერსი აღარ ჰქონია და რომ გამოეწვას, რა ვქნა? სიცხიანია, ვერც ვტოვებ და ვერც ეზოში ჩამყავს, რომ ვიყიდო. დილის მერე ვერ გამოვუცვალე. გამოეწვება, თუ არ მომიტან, — ესმოდა ძიძის ხმა ყურმილში, გოჩა კი უკვე ფეხზე იდგა და ლიფტისკენ გარბოდა. ფოიეში რომელიღაც მოგებული ომის ვეტერანები დახვდნენ.

— ეს სირი ნახე, მართლა ჩამოვიდა? მოდი აქ შენი დედა... — ატეხეს ღრიალი და მისცვივდნენ. ორი დაცვის ბიჭი ამაოდ ცდილობდა ვეტერანების დაშოშმინებას. რისი ვეტერანები იყვნენ, განა? პირტიტველა დაცვის ბიჭებიც ზემოდან დააყოლეს. პატრულის მრავალი ეკიპაჟისა და სპეცრაზმის მოსვლამაც არ უშველა. ვეტერანები ყველაზე იწევდნენ. განსაკუთრებით ინვალიდის ეტლზე მჯდომი აქტიურობდა, ყავარჯენს სამურაის ხმალივით იქნევდა. მიცვივდა ყველა ტელევიზია, ტვ რეალნიუსის გარდა.

— ესეთების გამო დაქუცმაცდა ქვეყანა და მერე მოდის და ჩვენი საძმოდან ერთ ვეტერანს ხის უნებართვო მოჭრის გამო ცულის კონფისკაციას უკეთებს! ამას არავის შევარჩენთ. ეს არავის შერჩება. ცულია ჩვენი რეალიზმის სიმბოლო, ამაშია ჩვენი ძალა. — ქადაგებდა ინვალიდის ეტლზე მჯდომი და თან ყავარჯენს გოჩას ურტყამდა. შემდეგ თავისიანებს მიუტრიალდა და დასჭექა: „ცულს მოვიტან ცუნცულასა, ხელეჩოს და წალდუნასა, ხესაც მოვჭრი ხის ძირსაცა, შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა!“ — ბოლო ორი ფრაზა ყველამ ერთხმად დაიგუგუნა.

სულმიხდილმა გოჩამ დრო იხელთა და კედელ-კედელ გაიპარა შენობიდან. ისევ დარეკა ტელეფონმა. ძლივძლივობით ამოიღო ჯიბიდან. ყველაფერი სტკიოდა.

— დღეს ორზე უნდა მოხვიდეთ, — ჩაესმა ნაცნობი ხმა.

— შესვენებაზე გავდიოდი.

— აქ დაგასვენებთ, არა უშავს.

— ეგეთი სასწრაფოა?

— უსასწრაფოესი. ახლავე წამოდით.

„და რომ გამოეწვას?“ — უკანასკნელად შეეწინააღმდეგა გოჩა თავს, ილუზიონისტებს და ანტიილუზიონისტებს ერთად... მერე ძიძას დაუმესიჯა: „ვერ გამოვდივარ. იქნებ მეზობელს სთხოვო!“ და რეალიზმის მორიგი სეანსის ჩასატარებლად ილუზიონიზმის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის შენობაში შეაბიჯა. იქ მას არავინ სცემდა. იქ უფრო ფსიქოდელიური სეანსის მოლოდინი უნდა ჰქონოდა. გოჩას ყელში ჰქონდა ამოსული ერთი და იმავეს გამეორება. მუცელზე იმდენი ფოტო გადაუღეს, იმდენჯერ გააშუქეს რენდგენზე, სადაცაა დასხივებას მიიღებდა. ამ გზით მისი მუცლით მეზღაპრეობის პოტენციალი იზომებოდა. მრავალჯერადი ტესტების შედეგად ამ კომპონენტში 9 პროცენტი აიღო. როგორც დეპარტამენტის მთავარი ექსპერტი იაშა ვესტბრუკი ამბობდა: „5-7 პროცენტით ნებისმიერი ჩვენთაგანი მუცლით მეზღაპრეა, რაშიც დამნაშავე ჭიპია. ვისაც პატარა ჭიპი აქვს, მისი პოტენციალი 2-3 პროცენტამდე ჩამოდის. სიდიდის შემთხვევაში კი უმნიშვნელოდ იზრდება. ამიტომ გოჩას რეზულტატი მისაღებია“. შემდეგი ტესტი სიმართლისთვის თვალის გასწორებას შეეხებოდა. დაუჯდებოდა გოჩას ვიღაც და უყვებოდა ათას სისულელეს, ექსპერტები კი მის რეაქციას აკვირდებოდნენ და იმის მიხედვით, თუ როგორ რეაგირებდა ის მონათხრობი სისულელის ჭეშმარიტ მონაკვეთებზე ასკვნიდნენ, რომ გოჩა სიმართლისადმი ინდეფერენტული პერსონა გახლდათ. მომდევნო ეტაპი მოიცავდა გარდასახვის უნარს. აქ მოწმდებოდა რამდენად შეეძლო გოჩას სიტუაციის შესაბამისად მიმიკების შეცვლა. მონიტორზე აყურებინებდნენ ჯერ სასტიკი მკვლელობის სცენას, შემდეგ აღვირახსნილ სექსს, მერე საპარლამენტო არჩევნების პროცესს ან რამე კომიკურ სიტუაციას და შენიშვნებს დავთარში იწერდნენ. 28-ჯერ ჩატარებული ტესტის შემდეგ გოჩას შესახებ დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ ის ზომიერად ცვალებადია, რაც გოჩას საშუალოდ რეალისტობას ნიშნავდა.

მხატვარი კოტე თევდორაძე

ამჯერად ნაცემმა გოჩამ ხელახალ შემოწმებაზე უარი თქვა და მისმა თვალებმა თავისით მოძებნა იაშას კაბინეტი. ენამ თავისით იმეტყველა სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა. ხელმა თავისით დასვა ავტოგრაფი აღიარებითი ჩვენების ბოლოს.

გოჩამ რეალიზმი მიიღო და წესისამებრ, დეპარტამენტის გასასვლელში ჭეშმარიტების წყაროდან ერთი ჭიქა ცივი წყალი შესვა.

გოჩა სამსახურში აღარ დაბრუნებულა. ჯერ ავტონაწილების ბაზრობაზე მივიდა და გაქრობის მოლოდინით ჩამომჭკნარი ჭადარი მოჭრა, მერე ცხენის საძებნელად წავიდა...

ნამცხვარი

— ახალი ნამცხვარი გამოვაცხვე, დედი, მოდი გაგასინჯო, — მომაძახა დედაჩემმა, როცა სასტიკ ნაბახუსევზე სამზარეულოში შევაბიჯე.

— რა ნამცხვარი, მინერალური გამომიღე მაცივრიდან, რა.

— ამდენი ვიწვალე და შენ არც სინჯავ, რა წესია, მოდი, სულ ერთი ლუკმა.

აღარ ვაწყენინე. უხალისოდ ავიღე კვერცხის ფორმის ბისკვიტი და პირისკენ გავიქანე. გემრიელი კრემი ჰქონდა.

— კარგია? შენი მოსახელე რომ დადის, მემაწვნე, იმან მასწავლა.

— გოჩა?

— ჰო, ცხენი რომ ჰყავს.

— ის ცხენი დედალი ხომ არაა, ნეტა?

— რა შუაშია ეგ?

— ცხენის მაწონს ხომ არ ყიდის-მეთქი, გავიფიქრე.

— რეებს ბოდავ. ისეთი წესიერი კაცია.

— წესიერი კი არა, ვიცი მე, ვინცაა ეგ. და შენთან რა ნამცხვრები აუტყდა, რომელი შენი დაქალი ეგაა. სხვა რამე ხომ არ უნდა შენგან?

— ოოოო, კაი, რა შუაშია ეგ. ყოველ დილით მოაქვს მაწონი, დაგავიწყდა?

დედაჩემს აღარაფერი ვუთხარი და მემაწვნე გოჩას მოსაძებნად წავედი. თუ ილუზიონისტს მაგრა გაძუყნიდი და სოციალურ ქსელში მასთან ერთად გადაღებულ ფოტოს ატვირთავდი, კაი მაყუთს იხდიდნენ რეალისტები. ლუდის დალევის სხვა პრასვეტი არც მქონდა...

ბ-ნო როსტომ, მოგესალმებით და იმედი მაქვს, არ გავაწბილებ თქვენს მოლოდინს... ბუნებრივია, ყველა ერთი დონის ვერ იქნება, მაგრამ ვერ შეველიე და სრულად გიგზავნით... ფაქტობრივად, აქ არის ყველა რობაი, რაც ორ-სამ თვეში დავწერე... ბ-ნი სოსო ჭუმბურიძის შეგულიანებამაც განაპირობა, (ცალკე წიგნად გვაქვს გამოცემა ჩაფიქრებული...) მეტი სერიოზულობით მოვკიდებოდი რობაიების წერას... მოკლედ, თქვენს სამსჯავროზეა 70 რობაი... დანარჩენი თქვენ იცით...



ელგუჯა მარღია

სიყვარულის რობაი

თუმცა ბევრია საფიქრალი და საწუხარი,
მაინც ყოველდღე გახსოვდეს და შენ თავს უთხარი:
მთავარი არის, სიყვარული აღარ ჩაგვიქრეს
და სამუდამოდ გიზგიზებდეს გულის ბუხარი...

ღიმილის რობაი

მინაწერი იოსებ ჭუმბურიძის წიგნზე
„ღიმილი დედოფალ ანასი“

სხვა სილამაზე აციკროვნებს დედოფლის ღიმილს,
სხვა არის მისი პოეზიის მზე(ცა) და სხივიც...
და უნებურად მახსენდება ახლა ჯოკონდა, -
იმ ამოუცნობ ღიმილს მიღმა რა ცრემლი ღვივის.

სახლის რობაი

ნატო კორსანტიას

თითქოს გამტყდარა, მარტოობით გული დაღლია,
ხსოვნის საუნჯე, - ეს ხომ შენი რეჩხის სახლია...
ამ ეზო-კარის მოდარაჯე ხეჭეჭურები
რტოებს გიქნევენ ბავშვობიდან და გეძახიან...

შემოდგომის რობაი

ბრუნავს დრო-ჟამი... შემოდგომაც თავის მსხვერპლს ითხოვს, -
სცვივა ფოთლები... ეპარება სიცივე-სითბოს;
ნახევრად შიშველ ტყეს რომ ვუმზერ, ასე მგონია, -
მიწიერ ცოდვებს იბერტყავენ ხეები თითქოს...

ფოთოლცვენის რობაი

ზღაპარია ბურიანი და ბუნება - გადარჩენა,
ნეტავ ვიყო მეც მინდია, რომ ვიცოდე მისი ენა...
იწურება შემოდგომა... ვეფიცხები ბუხრის სითბოს,-
მოგონებებს მიფერადებს სევდიანი ფოთოლცვენა...

სირცხვილის რობაი

ინტერნეტში ვნახე რეზო ინანიშვილის
გაპარტახებული სახლ-კარი (სოფ. ხაშმი)...

აღარც სახლია საყვარელი და აღარც ეზო,
არც საფერავის სუნი გვათრობს, ნაცნობი ეგზომ...
მამულის სარკე, მშობლიური თქვენი ხაშმია, -
რა გითხრათ და რით გაგახაროთ, ბატონო რეზო?!

იუდას რობაი

რემინისცენცია ქართული ანდაზის მიხედვით

ადამიანში თვალხილული მძვინვარებს მხეცი,
თივაშიც აღარ იმალება ღველფი და ცეცხლი...
იუდასავით თავს არ იკლავს ყველა გამცემი, -
მათ სინდისს აღარც ოცდაათი ამძიმებს ვერცხლი...

წყალობის რობაი

ჩემი დის გარდაცვალებიდან ოცდამეთხუთმეტე დღეს
ბარბარე მარღიაც დაიბადა -
უმცროსი ძმის პირველი შვილიშვილი...

დარდს - სიხარული შეუნაცვლე... (ცრემლის მათარად
გვექცა გული და ძნელი გახდა ტანჯვის ატანა...)
ამ უდიდესი წყალობისთვის გმადლობ უფალო, -
გადასარჩენად მოუვლინე ოჯახს პატარა...

დაკვირვების რობაი

მანანას...

მზე-სიყვარულის ორბიტაზე ვტრიალებთ მსგავსად
სხვა პლანეტების...და არცა გვაქვს სხვა სივრცე, სხვა გზა...
შენს გულს და თვალებს ვაკვირდები მრავალი წელი, -
ვით უსამანო გალაქტიკას შორიდან ,,ნასა''...

მოთმენის რობაი

რემინისცენცია ქართული ანდაზის მიხედვით

ვერ გაახარებ ერთნაირად ბაღში ყველა ხეს,
რაც უნდა იყო, განთქმული და ბრძენი მებაღე...
ყველა სიკეთის გასაღები არის მოთმენა,-
ბედნიერების კარსაც მხოლოდ ასე შეაღებ....

ვაზის რობაი

კონსტანტინე ჯოჯუას

ხან საჭრეთელი გვეჭირა და ხან სატევარი,
მარადიული დაგვებედა მტერი-მდევარი...
დღეს საქართველო აჩეხილი ვაზივით ჰგოდებს,-
უფალს მადლობა, იწურება მაინც მტევანი...

დაფიქრების როგორ

რემინისცენცია ლეონარდო და ვინჩის თემაზე...

ირგვლივ რაც ხდება კლოუნადა, ნამდვილი ცირკი,
ამჯერად უფრო მაფიქრებს და ნაკლებად მიკვირს...
სულით ბრმა ვეღარ დაინახავს ნამდვილ სიკეთეს,-
ვინც სათნოებას სთესავს, ხშირად სიძულვილს იმკის...

სიმართლის როგორ

რემინისცენცია ქართული ანდაზის მიხედვით

ვეღარ დამალავ ბოროტებას, როგორც ხალთაში
შუბს...ორატორიც ვერ გახდები ბრძენი ფარტაზი...
სიმართლეს ვერსად გაექცევი, თანაც გახსოვდეს,-
გაქცეულს მხოლოდ ერთი გზა აქვს, მდევარს -ათასი...

ორმოს როგორ

რემინისცენცია ქართული ანდაზის მიხედვით

დრო მკურნალია... თუმცა მრავალ „ურწმუნო თომას“,
ვეღარ უშველა უებარმა წამალმა - დრომაც...
ვინც ირჯება და მონდომებით სხვას უთხრის ორმოს, -
უმჯობესია, ამოთხაროს თავისი ზომა...

პოეზიის როგორ

რემინისცენცია პლატონის
„სოკრატეს აპოლოგიის“ მიხედვით

ვინც ურჩია და პოეტების ნაღდი გვარ-ტომის,
მხოლოდ ღმერთია ერთადერთი მათი პატრონი...
გავიმეორებ, - პოეზია არის სიშმაგე,
ოღონდ ღვთიური, - რასაც ამბობს ბრძენი პლატონი...

გამთლიანების როგორ

აღარ იქნება სახელმწიფოს დაფრთიანება,
სანამ ვიყოფით „ჩვენიანებ-მათიანებად“...
რადგან გარედან ამოძრავებთ ინტერესები, -
შიგნიდან უნდა ამ ქვეყანას გამთლიანება..

სამეგრელოს როგორ

განსაცდელშია საქართველო... მოირყა ბურჯი,
რაც თავი მახსოვს, ემატება სირცხვილის ხურჯინს...
სამეგრელოში არ ეძებოთ მტერი - აზონი,
უპირველესად სამეგრელო - ეს არის ქუჯი.

ხევსურეთის როგორ

ბერდია არაბულს

შენ გამახსენე ბარისახო ახლა, ბერდია,
მიყვარს ქართველი, ვინც საკუთარ ფესვებს შეზრდია...
ჩვენი მთა, ჩვენი ხევსურეთი, უფლის მადლია, -
სხვა ძალაა და ბარისთვისაც სხვა იმედია...

ხანძრის როგორ

ვინღა იხსენებს არტემიდას ტაძრის ოსტატებს,
ხელოვნება რომ უკვდავყვეს და დროს გამოსტაცეს...
ეს რა ხანძარი გააჩაღე მარადიული, -
ფიდიასივით უკვდავი ხარ შენც - ჰეროსტრატე!!!

დასჯილის როგორ

ხან ბილიკია ეს ცხოვრება, ხან-ბეწვის ხიდი,
ღირსებით გავლას, გამძლეობა სჭირდება დიდი...
სხვა რა უნდა თქვა... დასჯილია ადამიანი, -
ტანჯვით მოსული ქვეყანაზე, ტანჯვითვე მიდის...

ალადასტურის როგორ

დავწურე ჩემი ეზო-კარის ალადასტური,
არც მეგობრების მეშინია, ძმაო, არც სტუმრის...
ბუხრისპირს უყვარს ამ დალოცვილს ტკბილი ღიღინი
და ერთმანეთის სიყვარულის წრფელი დასტური...

მშობლების როგორ

გარდაგვეცვალა უმცროსი და... მოგვიცვა სევდამ
და დავრჩით სამნი...ახლა ვფიქრობ, ყველაზე მეტად
საბრალო არის ქვეყანაზე ორი მოხუცი, -
სასაფლაოსკენ მაცქერალი მამა და დედა...

იმედის როგორ

ბევრმა ქვეყანა დაივიწყა და ღრმად შეტოპა,
ყველაზე უკეთ გვეხერხება ნგრევა, ყბედობა...
თქმულა: იმედი ბოლოს კვდება, მაგრამ გახსოვდეს, -
გამარჯვებები აღარ მოაქვს უიმედობას...

ვედრების როგორ

მტერსაც ეს უნდა, დაგვშალოს და კვლავ იბატონოს,
როგორც სჩვევია, უსაფუძვლოდ გვტანჯოს, დაგვტოროს...
უფალო, შენ ხარ ერთადერთი ჩვენი პატრონი
და გევედრები, ლაბირინთში არ მიგვატოვო...

სინანულის როგორ

დავეხეტები ტყე-ღრე, თუმცა მაწუხებს მუხლი,
შუახნის კაცი, მე ჩემს ასაკს ქედს აღარ ვუხრი...
დასანანია, როგორ სწრაფად გარბის ცხოვრება, —
თანდათან როგორ ახლოვდება სიბერის მწუხრი.

ბუტაფორიის როგორ

თვალყურს ვადევნებ ხალხის ჩივილს და მათ ფორიაქს,
რაღაც კეთდება...თუმც ყველაფერს ცუდი ფონი აქვს...
გვიქადაგებდნენ, სახელმწიფო ავაშენეთო,-
ხელში კი შეგვრჩა სახელმწიფოს ბუტაფორია...

სამძიმრის როგაი

წავიდა ცაში ფირცხალავა, ჩვენი გურამი,
უფალი განსჯის... განიკითხავთ სხვები ნურავინ...
ღირსებით შემკულს, მომდურავი არა ჰყოლია,
დარჩა სახელი, რაც არ უნდა თქვან სამდურავი...

სიფრთხილის როგაი

ვინც ხმას იმაღლებს, განა ყველა პატრიოტია,
პოლიტიკური ქაოსი და ქარაშოტია...
გმართებს სიფრთხილე, მოძმეებმა აღარ შეგჭამონ, -
როგორც მგლის ხროვამ უხეირო მგელი ტოტია...

სამშობლოს როგაი

განგებამ ასე ისურვა და მიბოძა ნება,
რომ პირში გითხრა სათქმელი და შენც იგრძნო შვება:
სამშობლოს თავთან ნურასოდეს გააიგივებ, -
მოკვდავი მიდის... სამშობლო კი - მარადის რჩება.

მოღალატის როგაი

ბევრი რამ ხდება ქვეყანაზე... ჰო, ჰორაციო,
ისეთი რამეც, რასაც ველარ იტევს რაციო...
მოღალატე ხომ ისედაც ზნედაცემულია, -
სჯობს, მოიცილო და საჯაროდ არ დაამცირო...

მადლიერების როგაი

არ იწუწუნო არასოდეს... შენი ცოდვები
მოინანიე... მოიშორე გულზე ლოდები...
ამ ქვეყანაზე ცოცხალი რომ დაიარები,
დააფასე და სხვა სიმდიდრეს ნუ ელოდები...

სიბრძნის როგაი

ჩასაფრებული არაკაცი მუდამ ქილიკებს,
პირში გიღიმის და გინაღმავს გზას და ბილიკებს...
მტრის გამრავლება არ მოითხოვს ჭკუა-გონებას, -
ბრძენი მაშინ ხარ, თუკი მტერი შემოირიგე...

უმადურობის როგაი

ღვაწლი, მამულის ერთგულება ვის დავუფასეთ
ცოცხლებს... სამშობლო გვახსენდება ნადიმ-სუფრაზე...
ჩვენც არაერთი პატრიოტი ისე მოვკალით,
როგორც ბერძნებმა ხობისწყალზე მეფე გუბაზი....

გამცემის როგაი

მოციქულები - გულმხურვალე უფლისკაცები,
სიკეთისათვის წამებულნი, ნაგვემ-ნაცემნი...
ერთგულება და სიყვარული სადაც ივანებს, -
იუდასავით იქვე არის ერთი გამცემიც...

დედამიწის როგაი

დედა დავარქვით...დედასავით გვზრდის და ტრიალებს,
მაგრამ არ გვიყვარს ორგულ შვილებს - ადამიანებს...
და იმ ერთადერთს არ ვპატრონობთ, არ ვუფრთხილდებით,
რაც გვაცოცხლებს და საფლავითაც გვაერთიანებს...

პროტესტის როგაი

მკვლელებო, მძულხართ!.. მეპატიოს ეს განრისხება,
მეზიზღებით და ჯოჯოხეთიც თქვენი იწყება...
საცოდავებო!.. როცა ბრძანებს ჩვენი უფალი, -
„არა კაც კლაო“, - დედაკაციც იგულისხმება...

სახელის როგაი

მართალი კაცის სინდისი და ჭკუა-გონება,
უსამართლობა-ბოროტებას არ ემონება...
გქონდეს ქონება და არ დაგრჩეს ქვეყნად სახელი, -
დაიმახსოვრე, ეს ცხოვრება ნუ გეგონება...

შერიგების როგაი

სად გისაფრთდება აფთარივით, რაღას გაიგებ,
ცხოვრება...უწყის მარტოოდენ არსთა გამრიგემ...
თარნაკის* კერძად გადაქცეულ ადამიანებს,
მიტევება და სიყვარული თუ შეგვარიგებს...

მოთმინების როგაი

აღარ დაკარგო არასოდეს რწმენა, ღირსება,
სამართლიანი ქმედების და განსჯის თვისება...
გვასწავლის ღმერთი, მოთმინება არის მთავარი, -
მაგრამ გვახსოვდეს, მოთმინების კოკაც ივსება...

ფულის როგაი

მრავალისათვის ფული გახდა რწმენაც და ღმერთიც,
ხელის ჭუჭყია, - ბევრი ამბობს, - მოიცათ ერთი...
არც გაფხეკილი კაცი ვარგა, არც ფულის მონა, -
სჯობს, გქონდეს ფული, რა თქმა უნდა, ცოტაზე - მეტი.

გულგატეხილობის როგაი

პოლიტიკური მოიღრუბლა ვხედავ ამინდი,
აგურთან ერთად, საცემი გვაქვს თავში კრამიტი...
თუმცა აგვევსო მოთმინების ბევრჯერ ფიალა, -
მაგრამ რად გინდა?.. შეიცვალა რამე ამითი?

ვირთხების როგაი

ბევრი ვირთხაა, - გიპასუხებ თუ მეკითხები,
ვირთხა-მეგობრებს, როგორ ვუძღვნა ხოტბის სიტყვები...

---

* ეშმაკი(მეგრ.)

როდესაც გემი იძირება, გამიგონია, -
თურმე გარბიან ტრიუმიდან სწრაფად ვირთხები...

გზასაცდენილის რობაი

რემინისცენცია ფრენსის ბეკონის თემაზე...

გზასაცდენილი მორბენალი ვნახეთ მრავალი,
პრეზიდენტებმა დაგვახურეს თავზე ყავარი...
დაიმახსოვრე, გზასაცდენილ მარათონელზე
უფრო სწრაფია ხეიბარი - სწორად მავალი...

ღვინის რობაი

ნახევრად იუმორესკა

აღარ მიმიღეს ღვინის კლუბში...ვეღარ ვისრულებ
მე გულისწადილს...ხარბედია რადგან მიწუნებს...
ღვინის სიყვარულს, ღვინის კლუბი განა მასწავლის?-
დალოცვილ ღვინოს ამის გამო ვერ შევიძულებ...

დანახვის რობაი

ნახევრად იუმორესკა

პროზაიკოსი ჩვენი ლაშა, პოეტი - რატი,
მიდი-მოდიან... ასეთია იმიჯი მათი...
ხატიასაგან განსხვავებით, ვეღარ ხედავენ,
პოლიტიკოსის მზე ამოდის, თუ მართლა ჩადის...

ცრემლის რობაი

ომარ ხაიამ, შეიწყალე ჩემი რობაი,
მეც შენი ერთი შეგირდი ვარ და მეგობარი...
მთავარი არის სიტყვითა და ლექსით იცოცხლო
და ცრემლიანი დაილიოს შესანდობარი..

ენის რობაი

სიმართლის მთქმელი უნდა იყო მტკიცე მხედარი,
გაბედული და უშიშარი, შორსგამხედავი...
ხანდახან ენაც ისე უნდა დაიმორჩილო, -
როგორც ულაყი თავნება და გაუხედნავი...

უფსკრულის რობაი

წინ გაიხედე, ბრმასავით რომ აწყდები კედელს,
მხოლოდ საქმით და მონდომებით მიიღებ შედეგს...
არ დაივიწყო, ამ ცხოვრებას ახლავს უფსკრულიც,-
მგონი ცხადია, რაც იქნება უფსკრულის შემდეგ...

უმოქმედობის რობაი

უფალმა ყველას დაგვაკისრა ჩვენ-ჩვენი ვალი,
გვქონდეს სახელი, ღირსეული დავტოვოთ კვალი...
დაიმახსოვრე, - უმოქმედოდ ისე გაქრები, -
როგორც უეცრად გაფანტული ნისლი და კვამლი...

„ბეჩავის“ რობაი

ტრისტან მახაურს
(ბეჩავ ფშაველს)

შემოიკრიბე ძველი განძი - ნაღდი კრისტალი -
ხალხური ლექსი ნაქარგი და ნაგვირისტალი...
არ ხარ ბეჩავი, მაგრამ ასე არ იჯავრებდი, -
შენი იზოლდაც რომ გეპოვა, ჩემო ტრისტანი...

თავისუფლების რობაი

არაფერს ნიშნავს განძეული, თუნდ შენი წონა,
თუ გბოჭავს ქსენფი, - რა აზრი აქვს სიმდიდრის ქონას?...
რად გინდა გერქვას უკვდავი და ბრძენი ეზოპეც,-
თავისუფლებას ვერ ეღირსა საწყალი მონა...

სიტყვის რობაი

იოსებ ჭუმბურიძეს

გავიმეორებ, რაც მრავალჯერ სხვაგანაც მითქვამს,
დამეთანხმება, ვისაც უყვარს მოსმენა, კითხვა:
ბევრი რამ კარგი იწერება... ქუხს ორატორი, -
მაგრამ ცოტაა გულწრფელი და მართალი სიტყვა...

ხსოვნის რობაი

თემურ ფირცხალაიშვილს

ვეღარ გაუგო წუთისოფელს აზრი და გემო,
უფლის ნებაა, ვინ ახაროს, ვინ უნდა გვემოს...
მართლაც ჩიტივით გაგვიფრინდა ახალგაზრდობა,-
უკვე ხსოვნიდან მესიტყვება, „საწყალი თემო“...

იმიჯის რობაი

მხოლოდ მართალი ცხოვრებით და თმენა - სიდინჯით,
თანდათანობით ყალიბდება ნაღდი იმიჯი...
ისე ჭირდება ადამიანს კარგი სახელი, -
როგორც სახლს მყარი ბალავერი, ანდა ხიმინჯი.

სიხარულის რობაი

შემოდგომაა... გამობრწყინდა დილა მზიანი,
სხვა სილამაზით ეგებება მზეს ბურიანი...*
რა ცოტა უნდა ადამიანს სიხარულისთვის
და რა უძღები არის მაინც ადამიანი...

თხოვნის რობაი

არ დაივიწყოთ მამის თხოვნა, გიორგი, ბექა,
ქვეყანა ჩვენი ერთგულებას მოითხოვს თქვენგან...
გახსოვდეთ, სადაც იბადება ადამიანი, -
იქ არის მისი მამული და ოცნების მექაც...

*** სააგარაკო დასახლება**

ნანა ქელეხიძე

დაგვიანებული საახალწლო

რატომ უნდა მოსულიყავი?
მხოლოდ უნდა გაგეცინა და გეთქვა -
ამაღამ ახალი წელია.
ამაღამ სულელი ადამიანები სურვილებს უთქვამენ
და უფრო სულელებს მათი ასრულების სჯერა.
რატომ უნდა მოსულიყავი?
მხოლოდ უნდა გეთქვა -
შენ ჩემო სულელო, სულელო ქალო,
ოდესმე მოვალ და მოგიტან ყვავილს,
ყვავილი იქნება თოვლივით მშვიდი,
ყვავილი იქნება თეთრი და ციდა.
შენ ჩემო უცხო და უცნობო ქალო,
ცხოვრება არავის დაგვაცდის მოსვლას,
ცხოვრება არც წასვლას დაგვაცდის ვინმეს,
ყოველთვის წრეზე და უმიზნოდ ვივლით.
შენ ჩემო შორო და არასდროს ჩემო,
ამ ერთხელ ჩაუთქვი სურვილი ჩემზე,
ამაღამ ზამთარი ჩაუთქვი სურვილს,
ამაღამ სურვილი ჩაუთქვი სურვილს:
მოვიდე და მხარზე მომაყრდნო თავი,
მოვიდე და თავზე დაგადო ლოყა.
და მერე ორივე დავხუჭავთ თვალებს
და მერე სიზმრები თოვლივით მოვლენ...-
შენ მხოლოდ ასეთი რამ უნდა გეთქვა,
რატომ უნდა მოსულიყავი,
როცა სულელი ადამიანები სურვილებს უთქვამენ,
როცა უფრო სულელებს მათი ასრულების სჯერა,
როცა სულ მალე ახალი წელია?

ანონსი

ეს იქნება საინფორმაციო გამოშვება.
არანაირი ემოციები.
არავითარი ცრემლები და გულისწასვლები.
მხოლოდ ფაქტები-
ჩემზე და შენზე.
გაკაფულ თუთებზე.
ხის ძირას ტოტებში მიმალულ სხეულებზე,
ერთად რომ დაწვნენ და
მერე აღარასოდეს გათენდა.
ერთად რომ დაწვნენ და
მერე აღარასოდეს დაღამდა.

ეს იქნება კრიმინალური ქრონიკა.
თუ როგორ მოვკალი მე სიყვარული.
თუ როგორ მომკლა მე სიყვარულმა.
რომ ეს იყო დუელი,
ერთდროული, ზუსტი გასროლით.
რომ გვერდით იდექი შენ
და ნაბიჯები გადათვალე მის სასარგებლოდ.
რომ სადღაც ვიწექი მე,
სიყვარულისგან შენგრეული შუბლით.

ეს არ იქნება შემეცნებითი პროგრამა,
სერიალებს მიჯაჭვული ადამიანებისთვის.
ეს იქნება მოდელირებული გამოშვება
შეშლილებისთვის,
რომლებიც წვანან ძალიან მშვიდად, -
მხარზე დაყრდნობილი ლოყით.
წელზე მოხვეული ხელით.
და არავითარი ემოცია,
მხოლოდ ფაქტი-
გაფრენამდე მფეთქავი გულები.

პირისპირ

ჩემი სიყვარული ლოთია.
ჩემი სიყვარული ნელ-ნელა კვდება.
მას შეუძლია შეჭამოს მიწა.
მას შეუძლია ტალახში იწვეს
და მაინც იყოს ყველაზე მაღალი.

ჩემი სიყვარულია ლოთია.
ჩემი სიყვარული ვერ იტანს ცხადს.
მას შეუძლია შემახოს ხელი,
მას შეუძლია მომხვიოს წელზე,
მას აქვს უფლება ჩემი სხეულის.

ჩემი სიყვარული ლოთია.
და ჩემთვის არის ყველაზე ნამდვილი.
და როცა ყველა გარიყავს თავისგან -
მე შემიძლია ბოლომდე გავყვე -
და არაფერზე აღარ ვიფიქრო.

ჩემი სიყვარული ლოთია.
და ზოგჯერ, ხდება, მიყვება სიცოცხლეს,
და ხდება,
ზოგჯერ სიკვდილზე მიყვება
და არასოდეს ამბობს სიყვარულს.
მე ამ დროს ვხდები მისი სიფხიზლე,
მე ამ დროს მისი თვალები ვხდები -
მივიწყებული და მარტოსული.

* * *

ამინდი 1. ჯვარი

მედიდგულებიო, ბედმა, მედიდქალებიო,
ვერ გადააღწევო მასთან, უცხო მთებს გადაღმა,
მთებიც მიწაო, ბედმა, მიწა - ავიაო,
მხარზე ჯვარი აქვსო, მარცხნივ, შენგან დამალული.

მედიდქალებიო, ბედმა, მეჯიუტებიო,
ნატკენ ფეხზე არის ძნელი ზოგჯერ ჩამოყრდნობა,
ჩაიჩეხებითო მერე, უცებ, ჭიუხებში,
მერე - დადგებაო ღამე შავი, ყორნისფერი.

გესიკვდილებაო, ბედმა? გეიმქვეყნებაო?
მაინც მარტო ხარო, იცი, განაპირა.
რა აიხირეო, ქარის დევნა, ყვავილები?
დაიმახსოვრეო - გერგე სამგლე, სატიალე.

ნუ მექალებიო, ბედმა, გირჩევ დაივიწყო-
როგორ გაუყვაო ბილიკს, თითქოს ცა მიჰქონდა,
სიზმრად მიუხვალო, მენდე, ძილში მიუხვალო
და ტუჩებს შერჩები მოტკბო გემოდ, შაქარივით.

მედიდგულებიო, ბედმა, მეავქარებიო.
მედიდქალებიო, ბედმა - გეიმქვეყნებაო?
ერთხელ, თვალებიდან, როგორც ჩიტებს ამოგაფრენ
და მზეს გაგაყოლებ ქერის შორი ყანებისკენ.

ამინდი 2. თოვლის ლოცვა
შენი შავი მთები, თეთრი თოვლი,
შენი შავი მთები, თეთრი თოვლი,
წუხელ ფეხშიშველმა დავიარე,
წუხელ თმაგაშლილმა დავიარე.

ცივი იყო მთები, შორი იყო
და სიკვდილი, სანამ მე ცოცხალი.
შენი შავი ცხენი შუბლზე თოვლით,
შემომხვდა და დიდხანს მიყურებდა.

წაველ ფეხშიშველი, თმაგაშლილი,
შენი ცივი ქალი, თოვლის ქალი,
ჩემი წილი თოვლი მოვფხოჭნე და
წაველ, თავდახრილმა წავიყოლე.

წავიყოლე შენი და ხელები,
წავიყოლე შენი და მკლავები,
ჩავუთქვი და თუკი ამისრულდი,
ჩავუთქვი და მერე თუ არ მოვკვდი,

მაინც შენთან მოვალ, თუ არ მოვკვდი,
სანამ, თუ არ მოვკვდი, თუ არ მნახე,
შენი თეთრი ქალი შუბლზე თოვლით,
შენი თოვლის ქალი, გულში მიწით.

ამინდი 3. ღამე

ამაღამდელო ღამეო,
ნურც გათენდები მალეო.
ხალხური

„ამაღამდელო ღამეო,
ნურც გათენდები მალეო".
მისი მკლავები - მზეები,
მისი მკლავები - ჩემს წელზე.

მოვა სიზმარი - შავ ცხენზე.
მოვა სიზმარი - წამიღებს,
შავი სიზმარი მომკლავს და
წამიღებს მერე შავ მთებში.

მნატრობდეს ვერსად მხედავდეს,
მნატრობდეს ძვლებში ვამტვრევდე.
ვახსოვდე - ვერ დამივიწყოს,
ვახსოვდე - ვერ დამივიწყოს.

მისი თვალები - მერცხლები,
მისი მერცხლები - მდევრები.
მისი მკლავები - მზეები,
მისი მზეები - ჩემს წელზე,

წამყვება, როგორც სარტყელი,
წამყვება - ალში დამახრჩობს...
ამაღამდელო ღამეო,
შენ არ გათენდე არასდროს.

არგაგზავნილი „მესიჯებიდან"

* * *
სისულელეა, პირველი, ან ბოლო სიყვარული,
მოგონილია...
არის უნარი-
ორ ხეს შუა გაბმულ თოკზე შეგეძლოს გავლა.
და თუ ერთხელ მაინც შეძელი,
განწირული ხარ -
მთელი ცხოვრება ინარჩუნო წონასწორობა.
აღარ არსებობს პირველი, ან ბოლო გავლა
გაჭიმულ თოკზე,
როცა ჩნდება ის ერთადერთი,
აი, ამ წუთას, რომ გაკავებს მაშველ ჯოხივით
და სადღაც, მაღლა,
გეხმარება გადარჩენაში.

* * *
რა ცხრა მთა, ცხრა ზღვა, ცხრა ოკეანე-
ნეტა თავს გარეთ გამატანინა შენი ლოდინი,
თუნდაც ჩემი მკლავის მანძილზე,
მზერის მანძილზე,
გაფიჩხული, მკვდარი მხეცივით გამათრევინა.
არც მოვაცლიდი მიწიდან აკრულ ბალახებს, ფოთლებს,
სასწრაფოდ ორმოს ამოვთხრიდი სადმე, ხის ძირში
და ჩავფლავდი პანიკურ შიშით-
არ გაახსენდე,
უცებ თვალი არ გაახილოს.

* * *
მიწაყრილივით მილაგია მუხლზე ხელები
და არ ვიცი საით წავიღო.
ჩემი მუშტად შეკრული თითები,
ჩემი ორი მდუმარე საფლავი.
მოდი,
თეთრი ხეები დამირგე და ერთად ვიცინოთ:
"ვაი, დედოფალ ტყემლების ბრალი...
ვაი, დედოფალ ტყემლების ბრალი..."
საფლავებივით მილაგია მუხლზე ხელები
და ვაკვირდები.
ისე დამძიმდნენ - ვერ ავწიე,
ყურებამდეც ვერ მივიტანე,
რომ ჩამეხშო შენი დუმილი.

* * *
სასაცილოა ბედთან ბრძოლა,
როცა ქუჩაში მხრებზე გადამძვრალ კანით დგახარ
და ხორშაკ ქარს მარილი და ფოთლები მოაქვს.
სასაცილოა ყველა ვითომ განცდილი გრძნობა
და ყველა ვითომ თავგანწირვა,
როდესაც დგახარ
და არ გახსოვს არცერთი სახლი,
სადაც მიხვალ და გელოდებიან.

* * *

აი, ისეთი სიყვარულები:
მწიფე ბალივით კუნწულა, ლამაზი.
აი, ისეთი,
სხვამ რომ უნდა ჩამოგიკრიფოს,
შენ კეკლუცად გამოართვა და
საკუთარ თავით კმაყოფილმა დააგემოვნო.

ზოგი ასეა:
რაც უნდა თითის წვერებზე იარო,
რაც უნდა ფრთხილი გქონდეს ნაბიჯ ი -
წვიეებს ყოველთვის ჭინჭარი დაგიკბენს.
ასეა ზოგი სიყვარული -
ცივი ქვა უნდა გასაყუჩებლად.

* * *

რა მარტივია ზოგჯერ სიკვდილი -
არც რამე ფოტო,
სადაც ერთად მზის ჩასვლას უცქერთ.
არც შენახული წერილების
ფერმკრთალი დასტა -
არანაირი სახსოვარი.
ყველაზე დიდი სიმშვიდეა,
როცა გული ცარიელია.

სულის ამოსვლა კი ლიმონის გაწურვას მოჰგავს -
ბოლო წვეთზე შეგაჟრჟოლებს ციებასავით
და გადღაბნილი კედლების ფონზე
მზე სურათივით გაგახსენდება.

ნატა ვარადა

ტკივილის დეგუსტატორი

გვინახავს, ცხადლივ თუ არა ეკრანზე, თუ როგორ აგემოვნებენ ღვინოს ან კულინარიულ შედევრს ადამიანები. მათი სახეები შთამბეჭდავია და გემოებზე ჩვენებურ წარმოდგენებს კიდევ ერთხელ ამყარებს — სიცოცხლის მთავარი გამოცანა ტკბობაა გემოვნებათა.

პოეზიაშიც არის ძირითადი ინსტინქტი — არც მეტი, არც ნაკლები — ვნებები. დიახ, პირველყოფილი ვნება, რაც ადამიანის თავს დატრიალდებოდა, სავარაუდოდ, ეს სიკვდილ-სიცოცხლის რებუსის ამოხსნა იქნებოდა, ხოლო პოეზიის პირველ ლაბორატორიაში კი სიცოცხლის უკვდავების ძეგლს მოაჩუქურთმებდნენ. „სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ“. თუმცა თანამედროვე ქართულ პოეზიაში გამოჩნდა ახალი სახელი, ქალი პოეტი, რომელმაც სცადა მოეყოლა სიკვდილის ევოლუციის შესახებ.

ერთხელ სიკვდილი ადგა და სიცოცხლედ იქცა. მხოლოდ სიკვდილით შეიძლებოდა ადამიანური ვნებების, ტკივილების დამარცხება და პოეტმა სცადა პოეტური, მხოლოდდამხოლოდ ლექსთა სხეულში გამოეკრა სიკვდილი და მოხდა რაღაც, ათასწლეულებისთვის დამახასიათებელი — სიკვდილმა განიცადა მუტაცია, ფერი იცვალა და სახეცვლილი მხიარულების გარსში გამოკვართული წარმოგვიდგა.

ნანა ქელეხიძის ტრაგიზმი არ არის თავსმოხვეული, ნაძალადევი.

იგი არ გაურბის ადამიანებისთვის საძულველ თემებზე წერას, მისი მთავარი მახასიათებელი და, ასე ვთქვათ, პოეტური ნიშა იქნებ ზუსტად ეს ტკივილის პირდაპირობაა.

ზოგ პოეტს ეშინია სიტყვების. ეშინია ლექსის წინასწარმეტყველების, ამიტომაც მათ ლექსებს ხელოვნურობის გულისამრევი ნაძალადევი განცდები ეტყობა. მობლანდული კაბის ნაკერებივით ამჩნევია ეს ნაძალადევი „მხიარულება და მოგონილი იავნანები“. ყვავილები ჩითის კაბაზე, ჩიტუნები კრიალა ცაზე, მდინარეების ანკარება, რწმენის და უფლის ხავერდივით გადაკვრა მათ სულებზე, და ეს ყველაფერი ყალბი. პოეტ ნანა ქელეხიძეს კი არაფერში სჭირდება მისტიკურ სიკვდილის ბინდში გამოიგონოს და სხვის ტყავში შეძვრეს, რათა პოეტის სახელი მოიპოვოს.

2014 წელს მკითხველი ნანა ქელეხიძის სადებიუტო წიგნის „საშუალამო“ (საუნჯე“) გაეცნო, „ჩვენი მწერლობის“ დღევანდელ ნომერში კი ახალ ლექსებს წაიკითხავს.

პოეტი ამ პუბლიკაციაშიც ნაცადი პირდაპირობით წარსდგება ჩვენს წინაშე, საკუთარი განუმეორებელი გლოვისფერი სიხასხასით.

ვიდრე მკითხველი დააგემოვნებს სიყვარულის, როგორც სიკვდილის თავსატეხის ამბავს, ამ ციკლის რამდენიმე შიდა დინებაზე შევაჯ(ჩ)ერებდი თვალს.

არის ასეთი ლექსი „პირისპირ“ და მისი პირველი სტრიქონი: „ჩემი სიყვარული ლოთია“. გსმენიათ სადმე?! დიახ.

ჩემი სიყვარული ლოთია,
ჩემი სიყვარული ნელ-ნელა კვდება.
მას შეუძლია შეჭამოს მიწა.
მას შეუძლია ტალახში იწვეს
და მაინც იყოს ყველაზე მაღალი.

ქართულ პოეზიას მრავალი ეტაპი, დრო-ჟამის თავისებურებანი, სტალინური თუ კომკავშირული ტალახ-ცენზურა გადაუტანია, მაგრამ ახლა ბევრად შიშისმომგვრელის მოსანელებლად უნდა შეემზადოს. ჩვენ გვსმენია, რომ სიყვარული აგვამაღლებს და მოგვწონს. მაგრამ შესაძლებლია სიყვარულის თვისება იყოს, „ტალახში იწვეს“ და „ყველაზე მაღალი იყოს“. ასეთი თამამი ექსპერიმენტებით ნანა ქელეხიძე ქართული პოეზიის მოყვარულებს გვთავაზობს კიდევ ერთ, საინტერესო ვერსიას სიტყვის ძალა-ჯადოს თილისმობისას.

ამასთან, ნანა ამ ტკივილის, შავი პოეზიის, თუ ასე შეიძლება ითქვას, ტერენტი გრანელისეული ხაზის უეჭველი გამტარ-გამგრძელებელია. თუმცა უფრო მეტად მისი ხმა და მახასიათებლობა თუშური კილოკავია, რომელიც ამ ულამაზესი კუთხის ნატირლობის მსგავსია. ვინ თუ არა, დალაის მოძახილის ჯიშის და გენის გამგრძელებელი დაწერდა ასე სიკვდილის როკვას, ახლებურად და თანამედროვედ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ნანა ქელეხიძე ადგას ექსპერიმენტების, ძიებების და საკუთარ თავში არსებულ გაუვალ გზას. გზას, რომელიც ნამდვილი პოეზიის მთავარი მაგისტრალია და უმთავრესი, სიტყვების ჯადო-თილისმით სწორედ რომ სიკვდილის ევოლუციისა და მისი, როგორც სიცოცხლის ბრწყინვალების მიმნიჭებელის ხმით ნატირლების მოძახილით ამოთქმა.

მედიდგულებიო, ბედმა, მეავქარებიო.
მედიდქალებიო, ბედმა — გეიმქვეყნებაო?
ერთხელ, თვალებიდან, როგორც ჩიტებს ამოგაფრენ
და მზეს გაგაყოლებ ქერის შორი ყანებისკენ.

ადამიანი მიწა იყო. ადამიანი მიწა არს.



მალხაზ მაჭავარიანი

თბილისის მზის ქვეშ

შოთა ჩანტლაძეს

დღეს ზესტაფონში აღმოსავლეთის ქარი ქრის
და ქუჩებს თბილისური ელფერი დაჰკრავს...
მზეც მოიტაცა ქარმა თბილისიდან
და იმერეთის ცაზე გაამეფა

დღეს (7.12.2014):

ზესტაფონში თბილისური ამინდია
და მზისფერი სურნელი შეიგრძნობა...

დეკემბერი

ზამთრის დღის ტილოზე
ტოტების შტრიხებს ვუმზერ
ფანჯრიდან:

რუსული რომ არ გცოდნოდა,
იმ იმპერიას ვერ მოივლიდი.
ინგლისურის გარეშე
ვეღარც ოცნებობ...

საკუთარი თავისთვის ვერ მოგივლია
აქ,
საქართველოში
დაბადებულს ბავშვობა ისრაელში
უნდა გაგეტარებინა...
ყრმობა და ახალგაზრდობა
დიდ ბრიტანეთსა და შტატებში...

(სიბერეს ავსტრიაში გაატარებდი...
და მერე —
სიკვდილის წინ, კვლავ სამშობლოში
დაბრუნდებოდი)...

თუმც ბედნიერებისთვის ისიც კმარა,
რომ:
ზამთრის დღის ტილოზე
ტოტების შტრიხებს უმზერ ფანჯრიდან,
რაც პიკასოს დახატულ
ფიროსმანს გაგონებს...

მარტოობა

ჩემ თავთან ერთად ვმოგზაურობდი
და შენც მხვდებოდი აქა-იქ ხშირად...
თუმც სულ საკუთარ თავით ვტკბებოდი,
როგორც ნარცისი მდინარის პირას.

(შთამბეჭდავი აეროპორტები
და დაუვიწყარი ფრენა-დაშვება.
კატასტროფის მოლოდინში:
უკანასკნელი სურვილი —
სტიუარდესა.
ბევრჯერ რეისი: სოჭი-ოდესა.
და სხვა მრავალი რეისები
პირდაპირი თუ სატრანზიტო.
ავტოსადგურები და საზღვაო პორტები.
რკ. სადგურები და მოსაცდელი დარბაზები.
სისხლგამყინავი მიუსაფრობა,
ცათამბრჯენები.
ხმაურშერყვნილი დილის ქუჩები
და ღამეების ელ.ნათელი ანდე(რ)გრაუნდი...
ბრბოში გათქვეფა,
და თავის პოვნა.—
ანარეკლები დიდ ვიტრინებში
და):

სულ საკუთარ თავით ვტკბებოდი,
როგორც ნარცისი მდინარის პირას...

DEPRESSION

ფიქრით და ცხელი ღამით დაღლილი
ჩიტების ბალეტს ვუმზერ ხიდიდან—
დასრიალებენ გლუვ ზედაპირზე
შავი მდინარის
თუ
დაფრინავენ—
დასრიალებენ გლუვ ზედაპირზე
შავი მდინარის,
რომლის მშვიდ ტალღებს ყვირილა ჰქვია,
მუქი ჩიტები...
„კვამლია წყალზე ,
ცეცხლი ზეცაში“—
რად მახსენდება ეს მისამღერი,
ჩემი ჰიპობის დროს რომ მიყვარდა
და დღესაც ხშრად შორით ჩამესმის,
ჩემს შავ მდინარეს როცა დავყურებ
ან
ცეცხლს ვმზერ ცაში — აწმყოს მომავალს...

წამი

...ის არ ელოდა კარს მიღმა ღამეს,
და უცებ შეკრთა გაღებულ კართან —
შეკრთა ბავშვი
(თუმც... არ შეიმჩნია,
რომ შეეშინდა წამით სიბნელის:
ასე ერთბაშად რომ ჩაუქრია
გარეთ სინათლე).
და გაიღიმა...

პეტრეს

მამლის ყივილით თენდება დილა,
ამ დროს სამყარო ნაცრისფერია:
ხშირად ვყოფილვარ სიკვდილის პირას,
შენთან (იმქვეყნად) სულით მელიან.
აქ კი,
შენივე ის განსაცდელი,
რასაც მაგონებს დილით ყივილი—
იყო,
არის
და იქნება მწველი,
ცრემლების დენა და სიმძიმილი...

ხილვა

წმინდა საფლავზე ცეცხლი გადმოდის,
ცეცხლით იზიდავს სიწმინდე ყველას.
მახსოვს სურნელი ბავშვობის ოდის
და დიდ ეზოში თეთრი ენძელა.—
მახსოვს...
და ხსოვნა -წარსულით ვცხოვრობ,
წარსულად იქცა ის მომავალი.
თითქოს ჩამესმის მზეების ქორო
და მწვავს შორეულ სიმღერის ალი...
ბნელით დაფარულ მოგონებებში:
ფიქრით ელვარებს სულის სანთელი.
მარად ერთად ვართ,ცაო,მე და შენ,
და ეს — ხილვაა გასახარელი...

შეხება

ერთი დედა მზისა ვართ
მე და ჩემი ბაღი—
ახსოვს ,რაც მაგონდება
ამინდებით დაღლილს...
და ერთ არსად ქცეულებს
გვეხება და ანცობს
სიო ამაოების,
გარდასულს რომ არ ცნობს...

ლექსი

მე ლექსმა მშვა და ლექსივე მომკლავს,
სისხლის სისხლია მისი სიტყვები...
ისაა მხოლოდ ,მომავალს რომ ჰგავს—
იმ დროს,
როდესაც აღარ ვიქნები
და წაიკითხავს ამას უცნობი
მკითხველი (მუდამ მცოდნე და ბრძენი),
რომ ლექსი არის ვარდი უჭკნობი
და უხილავი მზის მონაბერი...



ემელიანე-რეზო ადამია
გლეხის ეზო-კარი (ფრაგმენტი)

არჩილ ღიბრაძე

ფიქრები ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან ასი წლის თავზე

2015 წელს 100 წელი სრულდება ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან. უდიდესია ვაჟასადმი სიყვარული ქართველ ხალხში, იგი მსოფლიომაც აღიარა, ცნობილია მისი ტრაგიკული ცხოვრების გზა — სამწუხაროდ, ვაჟა-ფშაველა არაა ჯეროვნად დაფასებული და გარკვეულწილად მისი „ჩაგვრა“ დღესაც გრძელდება.

1. საშველი არ დაადგა თბილისში, ხორავას ქუჩის 9 ნომერში მესამე სართულზე, „ძმები რაზიკაშვილების“ სახლ-მუზეუმის გახსნას, სადაც როგორც ცნობილია ვაჟას უმცროსი ძმა-სანდრო ცხოვრობდა, იქ ხშირად იკრიბებოდნენ ძმები რაზიკაშვილები და იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. სანდროს ვაჟასთვის ცალკე ოთახი ჰქონდა გამოყოფილი, ვაჟა აქ ზოგჯერ თვეობით რჩებოდა და ქმნიდა შედეგრებს. 1942 წელს სანდრო რაზიკაშვილი გარდაიცვალა, მის ოჯახს გაუჭირდა და ორი ოთახი გაყიდა. შემდგომში იმდროინდელმა მთავრობამ ბინა გამოისყიდა და იქ ვაჟას მემორიალური მუზეუმი მოაწყო, რომელიც გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმს დაუქვემდებარა. განუკითხაობის წლებში, კერძოდ 1995 წელს ბინის დაკარგვის საშიშროების მოტივით, მოხდა ბინის პრივატიზაცია და ის მუზეუმის დირექტორს ქ-ნ გულიკო რაზიკაშვილს გადასცეს საკუთრებაში. ამჟამად განუკითხაობა დასრულებულია და საჭიროა მუზეუმი თავის ნამდვილ პატრონს — ქართველ ხალხს და ლიტერატურის მუზეუმს — დაუბრუნდეს, რაც ჩემის აზრით პრობლემას არ წარმოადგენს, მით უმეტეს როცა გულიკო რაზიკაშვილის შთამომავლები პრესითა და ტელევიზიით ვაჟასადმი უდიდეს სიყვარულს გამოხატავენ, — მაგრამ მუზეუმის ფუნქციონირებისათვის აღნიშნული ფართობი საკმარისი არაა და საჭიროა კიდევ მოსაზღვრე ორი მობინადრის გამოყვანა და მათი დაკმაყოფილება ალტერნატიული ფართობით, თუ სახელმწიფოს გაუჭირდება მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება, მაშინ საჭიროა შეიქმნას სპეციალური ფონდი, გაკეთდეს სათანადო რეკლამა, და დიდი იმედია, რომ ქართველი ხალხი შეძლებს ამის მოგვარებას.

ამ საკითხზე საინტერესოა საქართველოს კულტურის სამინისტროს წერილი აკადემიკოს თენგიზ ონიანისადმი, დათარიღებული 1997 წლის 19 მაისით

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია,
საქართველოს მთიანეთის კომპლექსური
შესწავლის კომისიის თავჯდომარეს
აკადემიკოს თენგიზ ონიანს

ბატონო თენგიზ!

სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილი რაზიკაშვილების სახლ-მუზეუმის შესახებ, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: აღნიშნული მუზეუმი გაიხსნა 1988 წელს, როგორც ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი, იმ იმედით და დაპირებებით, რომ მობინადრეთა გაყვანის ხარჯზე მუზეუმი შემოიმატებდა ფართს. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო მუზეუმის გაფართოება ვერ მოხერხდა, ფართის სიმცირის (28 კვ. მ.) მიზეზით ვერ მოეწყო ექსპოზიცია, უფრო მეტიც, დაკარგვის საფრთხე შეექმნა ექსპონატებს. სწორედ ამ მიზეზით იქნა გადატანილი ექსპონატები ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, მაგრამ არა „სარდაფში ჩაყრილი“, როგორც წერილშია ნათქვამი, არამედ ფონდსაცავში, სათუთად შენახული და აღწერილი. რაც შეეხება მუზეუმის გაუქმებას — წლების მანძილზე მუზეუმის უმოქმედობის, უსახსრობის, მობინადრეთა გაყვანის უპერსპექტივობისა და ქსელის შემცირებასთან დაკავშირებით, სამინისტრომ დაკმაყოფილა ლიტერატურის მუზეუმის კომისიის მოთხოვნა და 1995 წლის 17 თებერვალს №022/129-8 წერილით გააუქმა მუზეუმი.

ამასთან გაცნობებთ, რომ შენობის გაქირავების ან გაყიდვის საშიშროება ნამდვილად არ არსებობს და რაზიკაშვილების მემკვიდრენი მზად არიან მობინადრეთა გაყვანის შემდეგ ისევ აღსდგეს მუზეუმი და მოეწყოს ექსპოზიცია.

მინისტრის მოადგილე გ. გუნია

წერილი ბევრ ეჭვებს ბადებს, მითუმეტს როცა დღეისათვის ექსპონატთა ნაწილი მაინც დაკარგულია (ძირითადად ავეჯი), ხოლო თუ ფართობის გადაცემა ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეებისათვის გახდა საჭირო, რატომ არ გადასცეს ის ვაჟას ძირითად მემკვიდრეებს, მის შვილიშვილებს, ლევანის შვილებს — ლუკა, ქე-

თევან და ეკატერინე რაზიკაშვილებს, რომლებიც 1997 წელს სამივენი ცოცხლები იყვნენ.

სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ ხორავას ქუჩის იმ ნაწილს სადაც რაზიკაშვილები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, „ძმები რაზიკაშვილების“ სახელი მიეკუთვნა. დამზადებულია შესაბამისი ტრაფარეტებიც, რომლებიც ინახება ქ-ნ ლელა რაზიკაშვილთან. კარგი იქნება თუ თბილისის მერიის სამსახური დროზე დაამონტაჟებს მათ.

2. სერიოზულადაა მისახედი ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი, წლების განმავლობაში მუზეუმი უპატრონოდ ან ვაიპატრონის ხელში იყო, დაკარგული და განიავებულია უნიკალური და შეუფასებელი ექსპონატები. თმა ყალყზე დაგიდგება, როცა ვაჟა-ფშაველას შთამომავლებს უსმენ, ისინი მოგვითხრობენ თუ როგორ გამოჰქონდათ მათ, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის გასაღებზე, მუზეუმიდან ნივთები და უდიერად ხმარობდნენ ყოველდღიურ ყოფაში. მაგალითად, სპილენძის ქვაბს იყენებდნენ იატაკის საწმენდი ტილოების გასარეცხად — შენიშვნაზე საკმაოდ ლოგიკურად პასუხობდნენ — „რა ვქნათ, ტაშტი არა გვაქვსო“, ვაჟას ხანჯალი გაჰქონდათ ტყეში ფიჩხის დასამზადებლად — „რა ვქნათ, ცული არა გვაქვსო“... კომენტარები ზედმეტია!

სხვადასხვა დროს განიავებულია ექსპონატები ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმიდან, — მათ შორის ვაჟას ხმალი; თოფი; ქამარ-ხანჯალი; ფარდაგები; ღაჭაურას მუზარადი... იმედია, მათი დიდი ნაწილი საქართველოშია და საზღვარგარეთ არაა გატანილი. საჭიროა ამ ექსპონატთა მოძიება, შეძენა, აღრიცხვა და თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობებით საიმედოდ დაცვა, ისინი ქართველი ხალხის საკუთრებაა, თუ ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს ნამდვილი და ღირსეული პატრონი გამოუჩნდა, იმედია, მუზეუმიდან გატანილ ექსპონატთა მფლობელები მათ დაუბრუნებენ ქართველ ხალხს.

(პირადად ვიცი, რომელ ოჯახებში ინახება ხანჯალი და ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ისინი შესანიშნავი ქართველი პატრიოტები არიან, მაგრამ მათ დღეს ასეთი პასუხი აქვთ: — „ჩვენზე უკეთესად ამ ნივთებს ვერავინ დაიცავსო“, და ვაი, რომ მართლები არიან).

3: ვაჟა-ფშაველა ნამდვილად იმსახურებს, რომ იგი ეროვნულ ვალუტაზე იყოს გამოსახული. რა და როგორ, ამაზე მსჯელობა იქნება საჭირო. შეიძლება მოვჭრათ 100 ლარიანი კუპიურა ვაჟას გამოსახულებითაც, გვექნება მსოფლიოში აღიარებული ორი ქართველი გენიოსის (შოთა და ვაჟა) ერთი და იგივე ნომინალის კუპიურა, რაც სიმბოლურიც იქნება და მსგავსი ანალოგები სხვა ქვეყნებშიც არსებობს.

ანდა მოიჭრას ახალი ნომინალის კუპიურა, მით უმეტეს, როცა მოვინდომეთ ეს შევძელით (მხედველობაში მაქვს 200 ლარიანი — ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამოსახულებით.)

4. დასადგენია ვაჟა-ფშაველას დაბადების თარიღი, მაშინ როცა თვით ვაჟამ საკმაოდ მკაფიოდ დაგვიბარა: „თუ ბიოგრაფია იწერება, უნდა დაიწეროს სიმართლით, ნამეტნავად სიყალბე უნდა შესწორდეს ჩემ სიცოცხლეშივე, რადგან იგი ჩემი სიკვდილის შემდეგაც იბარტყებს საკმაოდ. მე დავიბადე სოფელ ჩარგალში 1862 წლის 15 მაისს“. ვფიქრობ აქ საკამათო არაფერია, ამავე აზრისაა ვაჟალოგთა დიდი უმეტესობა.

(როცა საქმემ მოითხოვა, ვაჟას მეტრიკა გადაკეთდა — 1861 წლის 14 ივნისი — საეკლესიო წიგნის თავიდან გადაწერა კი პავლე რაზიკაშვილისათვის, რომელიც იმ პერიოდში ჩარგლის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი იყო, პრობლემას არ წარმოადგენდა. ასეთი პრაქტიკა რომ არსებობდა ეს ნათლად სჩანს „რაზიკაშვილების მიმოწერაში“ 2011. ლიტერატურის მუზეუმი. გვ. 252.)

თუ ვაჟა-ფშაველას დაბადების თარიღის გასწორება პრობლემებს შექმნის საერთაშორისო ორგანიზაციებში, იმას რა უშლის ხელს, რომ ეს თარიღი ჩვენთან, საქართველოში, მაინც მივიღოთ ოფიციალურად და ვაჟას დაბადების დღე ვიზეიმოთ იმ დღეს, როცა იგი სინამდვილეში დაიბადა — 15 მაისს. ბოლო უნდა მოეღოს ვაჟას სახელით პოლიტიკურ სპეკულაციას, დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტია „ვაჟაობას“ ცალ-ცალკე აღნიშნავდა. ვაჟა პოლიტიკური პარტიების კი არა, მთელი ქართველი ხალხის საკუთრებაა.

5: ყოვლად დაუშვებელია, ვაჟა-ფშაველას მუზეუმის სასაფლაოდ გადაქცევა, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული იქ საფლავის არსებობა, როგორც ლიტერატურულ წრეებში საუბრობენ, მას ანალოგი არ მოეძებნა.

საჭიროა ვახტანგ რაზიკაშვილის საფლავის გადატანა მუზეუმის ეზოდან შესაფერის ადგილზე, და ეს პირველ რიგში მისმა შთამომავლებმა უნდა გააკეთონ, თუ ნამდვილად პატივს სცემენ ვაჟა-ფშაველას ხსოვნას.

6. ვაჟა-ფშაველას შთამომავლობა, სამწუხაროდ, მხოლოდ ასევე ტრაგიკული ბედის ლევან რაზიკაშვილის ხაზით გაგრძელდა, — დღეს ისინი ცხრამეტნი არიან და ძირითადად გორის რაიონში ცხოვრობენ, გასაგები მიზეზების გამო ისინი ყოველთვის ჩრდილში იყვნენ. ხშირად იძულებულნი იყვნენ დაემალათ თავიანთი წარმომავლობა, არავითარი ყურადღება არ ღირსებიათ. მათი არსებობის შესახებ ქართულმა საზოგადოებამ არაფერი იცის. დროა ქართველმა ხალხმა გაიგოს მათი არსებობის შესახებ.

7. ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლის თავზე, ალბათ გამოიცემა საიუბილეო ტომეულები, — სასურველია გამოცემულ იქნას მაღალ დონეზე და, რაც უმთავრესია, კორექტურული შეცდომების გარეშე. ამ თემაზე ვაჟას სიცოცხლეშიც დიდი დავა ჰქონდა რედაქციებთან. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ამონარიდი „კვალისა“ და „ჯეჯილის“ რედაქტორებისადმი გაგზავნილი წერილიდან — „გიგზავნით ამ მასალას: ... კორექტურას გაუფრთხილდით. ...ამასთან გთხოვთ უმორჩილესად, ბგერა „ჰ“ დაიცვათ ჩემს ნაწერებში ისე როგორც მე ვხმარობ.“

კარგად მესმის, რომ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ტექსტი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და დადგენილი, ამ მხრივ დიდი შრომა გასწია ალექსი ჭინჭარაულმა, — გამოსცა კიდეც 1979 წელს ვაჟა-ფშაველას თხზულებანი ორ ტომად, სადაც შეცდომები გასწორებულია, კარგი იქნება რედაქტორები თუ ისარგებლებენ ამ და სხვა ანალოგიური გამოცემებით.

დაბოლოს, აქ ჩამოთვლილი პრობლემები, რასაკვირველია, ვაჟას საიუბილეო წელს მთლიანად ვერ მოგვარდება, მაგრამ მთავარია მოვინდომოთ, საფუძველი ჩავუყაროთ და ეროვნული საქმე ერთიანი ძალისხმევით დავასრულოთ.

სამშაბათს, 7 აპრილს
ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტის დარბაზში
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
თაოსნობით გაიმართება
განხილვა

მარინა ტურავას
წერილების კრებულისა

„გარღვეული ლაბირინთი“

მომხსენებელი
ნანა კუცია

დასაწყისი 14 საათზე
კოსტავას 5

შეიძლება თუ არა ლექსის პირდაპირ სამღერად დაწერა?

როგორ არ შეიძლება, აბა, ჩარგლელი გენიოსი რას აკეთებდა, — გვიპასუხებს მკითხველი და მართალიც იქნება, მაგრამ დღეს თითქოს ტრადიციაში აღარ არის, ცხოვრებაც აღარ იძლევა საჭირო მოტივაციებს, სტილიც თითქოს მოძველდა.

და მაინც. ეტყობა ლექსისთვის ძველი და ახალი პირობითი ცნებებია. თუ ფორმა ითხოვს, თუ განწყობაც არის და შესაძლებლობაც, რატომაც არა.

თავმას ჩოხელის ყველა ლექსი სიმღერაა. ისინი სასიმღეროდ კი არ არის დაწერილი, არამედ უკვე მელოდიაა, ჰანგებია, ხმებია მთიდან ბარისკენ წამოსული პირდაპირ, ლაღად, უშუალოდ, თავისუფლად, თავისნებაზე.

მის ტექსტებზე სიმღერებს წერენ ცნობილი კომპოზიტორები, ამ სიმღერებს ასრულებენ ცნობილი მომღერლები და ანსამბლები. რადიოსა და ტელევიზიაში ყოველდღე გაისმის ეს ჰანგები. ხშირად ტექსტის ავტორს არ ასახელებენ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მისი ლექსებითაც ხომ ქართულობს ქართული სიმღერა, ისევე, როგორც არაგვი არაგვობს ან იორი იორობს თავანკარა შენაკადებით.

თავმას ჩოხელი 1967 წელს დაიბადა თიანეთის რაიონის სოფელ არტანში, ივრის ხეობაში. თუმცა ძირით გუდამაყრელია, შავი არაგვის ხეობიდან, ორივე კუთხემ მისცა შთაგონება და სულიერი საფანელი იმისათვის, რომ წეროს ლექსები და ემსახუროს ქრისტეს მოძღვრებას.

დეკანოზი თავმას ჩოხელი თბილისში, ჯვრის მამის ეკლესიაში სწირავს. მშობლიურ ქვეყანას ლექსითა და ლოცვით უდგას მხარში და ამაში ხედავს ცხოვრების აზრსა და მიზანს.

ძველ ბერძნულ ენაზე თავმასი საკვირველს ნიშნავს. როგორც ჩანს, ამ ლექსების ავტორს სახელიც ეხმარება შესანიშნავი, მელოდიური რეჩიტატივების შექმნაში. თუმცა მთავარი, რა თქმა უნდა, ღვთისგან ბოძებული ნიჭია და კიდევ რწმენა იმისა, რომ, როგორც თვითონ წერს, „სიყვარული არ ილევა, სიძულვილი მთავრდება“.

ამას წინათ გამოცემულ პოეტურ კრებულს „მამის იავნანა“ დეკანოზმა თავმას ჩოხელმა სიყვარულის წიგნი უწოდა და მიუძღვნა ღვთისგან სიკეთით, სიყვარულითა და სილამაზით დაჯილდოებულ ადამიანებს. მისთვის სიყვარული არის მიზიდულობის ძალა, რომელიც სამყაროს მთლიანობას იცავს. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის წინასიტყვა, რომელიც მან თავის წიგნს წაუმძღვარა: „უფალი თვითონ არის სიყვარული. ყველა მოძღვარი სიყვარულს ქადაგებს, ალბათ მეც სიყვარულის მოძღვარი ვარ. მაშ, მიიღეთ ჩემი სიყვარული: ლექსებად, სიმღერებად და კეთილ სურვილებად. მე თქვენ მიყვარხართ“.

თავმას ჩოხელი

დედოფლად მენატრებოდი

ფიქრები ქარად ვაქციე,
შენსკენ გამოვყევ ნიავსა,
დედოფლად მენატრებოდი,
თმაში გაწნავდი იასა.

მზიან ღამეებს გაჩუქებ,
შენი ვარ, შენი კვნესამე,
წამოდი, მთაში წაგიყვან,
ობლად დამრჩალა კესანე.

ცივ წყაროდ მეგულებოდი
მაგ თვალთა სხივი მწყურია,
შენს გულში ყინულს რა უნდა,
ჩემს სულში გაზაფხულია.

შავჩოხიანო ვაჟკაცო,
გშვენის თეთრონის ჭენება,
დამლია შორით ტრფიალმა
უძილოდ ცისკრის თენებამ.

მოდი, თუ მომავალი ხარ,
ჯავრად რად შამამეყარე,
მზევ, მწველო სიყვარულისა,
გულზე ყვავილად მეყარე.

შავს ღრუბელს ქარი გადაჰყრის,
დარში იმედი ღვიოდა,
იას ეხარა სიტურფით,
ცა ნამად ჩამოდიოდა.

ორღობეში გოგო ვნახე

ორღობეში გოგო ვნახე
მწველი მზისგან ვევნები,
ცისკარს აჰყვა სილამაზე
მოუკრეფავ მტევნების.

მოდიოდა უკარება
იად ჩამოიარა,
სუროსავით მეხვეოდა
სიყვარულის ხვიარა.

როცა ცაზე ცისარტყელა
ფერებს ააფრიალებს,
სიყვარული გაშლის აფრებს
მოსვლას დააგვიანებს.

როცა ვარდის ბადაგ-ბაგეს
დაეკონა ეკლები,
გულს ტკივილად მოეძალა
გრძნობის ანაბეჭდები.

მზემ ღრუბელი აიფარა,
უცხო გზებით იარა,
ცამ იწვიმა, წვიმის ცრემლმა
ნისლად გადაიარა.

ვინ დასთვალოს მაჯისცემა,
გულს შემორჩა იარა,
იის ბუჩქთან იასავით
გოგომ ჩამოიარა.

შენ, ჩემო სევდის ყვავილო

შენ, ჩემო სევდის ყვავილო,
ამომავალო ევლადა,
არა, არ მენატრებოდი,
შემასვი მწარე ხელადა.

გულს დაეწონა ტკივილი,
მინდორს გავიჭერ ველადა,
სევდისხალიან ყაყაჩოს
ვეტანე საკოცნელადა.

გაფრინდი, შავო მერცხალო,
ამბავს მომიტან ძნელადა,
ჩემი ცხოვრების გაზაფხულს
ლექსს ვანდობ საპოვნელადა.

მთას ვიდექ საიალაღოს,
ბარს ჩამოვედი ვერადა,
ეგ შენი თეთრი მანდილი
გამიხდა გულის ძგერადა.

სურვილს სიცივე ებურა,
მსურდა მენახე ჩემადა,
არა, არ მენატრებოდი,
მიმაჩნდი საპოვნელადა.

გული ღელავს

გული ღელავს, როგორც ზღვაზე
მოლივლივე ტალღები,
ერთი კოცნა დაგენანა,
აღარ შემიყვარდები.

იის სურნელს დაგიფიცებ,
მენატრები კი არა,
მაგ სიცივემ ნატერფალად
გულზე გადამიარა.

ცაზე გრძნობას ღრუბლით ვწერდი,
მაინც მენატრებოდი,
ასე მღერენ სიყვარულზე
მხოლოდ ერთხელ გედები.

როცა დროის მაჯისცემას
მონატრება ახელებს,
ჟამს მიჰქონდა გულისტკენა,
დრო არქმევდა სახელებს.

გული ღელავს, თუმცა ზღვაზე
ღელვამ გადაიარა,
ჩემი ბედის კარიბჭესთან
სიყვარულმა იარა.

და როდესაც მაგ სიცივეს
სითბო უდგას თავდებად,
სიყვარული არ ილევა,
სიძულვილი მთავრდება.

სალომე კაპანაძე

კავკასიური ერთიანობა-თვითგადარჩენის უნიკალური კოდი

(„ორიოდე სიტყვა“ ზაზა ურუშაძის „მანდარინებზე“)

ადამის მოდგმა ვერასოდეს განიკურნება თვითსპობის სინდრომისაგან. მისი ყველაზე მკაფიო გამოვლენა საომარი რიტორიკაა, რომელსაც სამყაროს ინტელექტუალური ნაწილი პოსტ-ფაქტუმ განიხილავს, მაგრამ პრევენცია ყოველთვის უჭირს. შეგონებანი, რომელსაც ევროპელები „ყალყზე შემდგარ აზრებს“ უწოდებენ, მხოლოდ ერთეულებისათვის არის შესასმენი. სწორედ ისინი არიან „ჯვარზე გამსვლელები“ და მათი სიმცირეც იმ კანონზომიერებაში თავსდება, გოლგოთის მაყურებლების სიმრავლეს რომ განაპირობებს. ინტელექტუალური შეუწყნარებლობისა და დეჰუმანიზაციის ფაზაში მყოფი საზოგადოების გამოსაფხიზლებელ ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტად კვლავაც რჩება ფრიდრიხ ნიცშეს მიერ კაცობრიობის სინდისად აღიარებული კულტურა.



ზაზა ურუშაძე

კინო ქართული კულტურის ის ნაწილია, რომელმაც ყველა ეპოქაში შეძლო — კომპრომისების პარალელურად — არ ეღალატა თავისი სულიერი მისიისთვის. ბოლო ოცწლეულის განმავლობაში ქართული კულტურის ამ სეგმენტმა ადეკვატურად განვლო ყველა ეტაპი, რომელმაც უზუსტესად აირეკლა სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებით გამოწვეული ტკივილი და სულიერი დეკადანსი. ქართული კინოს სახელოვნო პროფილზეც გაჩნდა უგემოვნობისა და კინოპროფანაციის ღრმა ნაპრალები, რომლის ამოვსება გასართობი კინოინდუსტრიის სულგამოცლილი პროექტების ფონზე არ ყოფილა ადვილი. თუმცა მაყურებელმა მაინც გაიმარჯვა-მან შეძლო მკაფიო ზღვარის გავლება ნამდვილ და ფსევდოხელოვნებას შორის, შეძლო თავისი ესთეტიკური გემოვნების კორექტირება და ხელოვნებისადმი სწორი დამოკიდებულების კულტურა აღიდგინა. XXI საუკუნის ქართულმა კინომ საკუთარი წილი პასუხისმგებლობა აიღო კულტურის რესურსის „კაცთა შორის მშვიდობის დასამყარებლად“ მიმართულ პროცესში.

ზაზა ურუშაძე თავისი ფილმით „მანდარინები“ ამ პროცესის ერთ-ერთ საინტერესო მონაწილედ შეიძლება ვაღიაროთ. მის კინოარსენალში ყოველთვის მოიძებნებოდა ის, რასაც ფრანც ბოასი „კულტურის სათვალეს“ უწოდებს და რომელიც განაპირობებს სამყაროს კულტურული უნივერსალიების სწორ ხედვას. ამათგან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო 1998 წელს გადაღებული ფილმი „აქ თენდება“. ამ რეჟისორის „კულტურის სათვალეს“ შესწევს ადამიანის — ვაშლიჭამია და ძუძუმწოვარა არსების — სულიერი კორექტირების უნარი. მით უფრო ახლა, როცა მის შემოქმედებით მონაგარში „მანდარინების“ სახით ომისა და მშვიდობის თემა იკვეთება. ომი ის დროა, როცა ტომას ჯეფერსონისა არ იყოს, თავისუფლების ხე უნდა მოირწყას პატრიოტებისა და ტირანების სისხლით და ვიდრე ეს მოხდება, უნდა გავიხსენოთ, რომ ეს „კულტურის სათვალე“ ქართულ სახელოვნო სივრცეში ახლახან შობილ ზაზა ურუშაძის ფილმს „მანდარინებს“ გააჩნია. მას შეუძლია ერთდროულად შეგძრას, გაგაღვიძოს და გარდაგქმნას. ეს არის მისი „ღვაწლი კეთილი“ იმის გასააზრებლად, რომ „ამ სამყაროში ბევრია გასაკეთებელი და ბევრია გასაგები“ (სამუელ ჯონსონი). კინოინდუსტრიის საქმიანმა ნაწილმა ფიქრისთვისაც მოიცალა, რადგან იმთავითვე ადეკვატურად აღიქვა ამ ფილმის შესაძლებლობანი. ესტონური Allfilm-ის მიერ დაფინანსებული „მანდარინები“ ოსკარზე ესტონეთის სახელით ასპარეზობს, თუმცა Allfilm-თან ერთად ფილმს ქართული “კინო 24?-იც აწარმოებდა და თანაც პროდუსერები ესტონელი ივო ფელტი და ზაზა ურუშაძე არიან. მაყურებლის ოვაციასაც მთავარი როლის შემსრულებლები, ქართველი და ესტონელი მსახიობები მიხეილ მესხი, გიორგი ნაკაშიძე, ლემბიტ ულფსაკი, ელმო ნუგანენი, რაივო ტრასი და სხვები ინაწილებენ. „ოსკარების ფინალისტმა“ „მანდარინებმა“ შეერთებულ შტატებშიც მნიშვნელოვანი პრიზი მიიღო. მან ჰოლივუდის კინოაკადემიის მთავარ საზეიმო ცერემონიამდე ერთი კვირით ადრე საერთაშორისო პრესის აკადემიის („იპა“) დაჯილდოებაზე უცხოური ფილმების კატეგორიაში წარდგენილ 10 საუკეთესო ფილმს შორის გაიმარჯვა.

Samuel Goldwyn Films-მა “მანდარინების” სადისტრიბუციო უფლება შეიძინა, რაც ნიშნავს, რომ ზაზა ურუშაძის ნამუშევარს, რომელიც საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზეა წარდგენილი, ამერიკულ კინოთეატრებშიც უჩვენებენ. კომპანია აპირებს, შტატებში ქართულ-ესტონური პროდუქტის პრემიერა რაც შეიძლება მალე შედგეს, რათა ამერიკელმა კინომოყვარულებმა თვითვე შეძლონ ოსკარის ნომინანტის შეფასება. მათი გათვლებით, „მანდარინების“ რესურსი ამ თვალსაზრისით საიმედოა. მართლაც, ფილმის სანდოობა ამ თვალსაზრისით აშკარაა- 90-იანი წლების საქართველოში განვითარებულმა სიუჟეტმა უცხოელი მაყურებელი იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა დაინტერესოს, რომელიც კინოს, როგორც ხელოვნების, პროდუქტს ახლავს.

„მანდარინების“ მთავარი ძარღვი სწორედ იქ ფეთქავს, სადაც ეროვნული და ზეეროვნული ისე ერწყმის ერთმანეთს, რომ ამ უკანასკნელის მიმართ დელიკატურობას ოსტატურად ინარჩუნებს. ვაღიაროთ, რომ ამის ორგანიზება უაღრესად სენსიტიურ ქართულ რეალობაში ადვილი არ არის, რადგან ბოლო ოცწლეულია, ქვეყანა ეროვნული ღირსების გადასარჩენად იბრძვის. ასეთ ფონზე თამამად ღირს საუბარი ზაზა ურუშაძის ფილმის არამარტო მხატვრულ ღირებულებაზე, არამედ იმ სულიერ დანიშნულებაზეც, ურომლისოდაც კინოკრიტიკოსთა მხრიდან იშვიათად ჩნდება გამოხმაურების მოტივირებული სურვილი.

კარგი მაყურებელი იმთავითვე შენიშნავს, თუ როგორ ზედმიწევნით რეალისტურად შეძლო რეჟისორმა აფხაზეთის ომით დაზაფრული პეიზაჟისა და დეკორაციების მორგება მთავარ სათქმელთან. ვისაც უნახავს აფხაზეთის ომის მრუმე პეიზაჟები, ის შეძლებს შეაფასოს სივრცე, რომელიც ზაზა ურუშაძემ ამ ნარატივისთვის გამოიყენა. აქ ყოველი ნივთი, ხე თუ ნაგებობა მეტყველია და ომის დრამატიზმის გასააზრებლად არის მოწოდებული., ინტერიერის ყოველი დეტალი სენსორულია და განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. ომს თავისი ფერი აქვს, თავისი სურნელი, ომს მზის სხივიც ისე აირეკლავს, როგორც სამყაროს მთლიანობას ეკადრება. ხეზე მსხმოიარე მანდარინის ყვითელი ნაყოფი, რომელიც დროდადრო ანათებს კადრში, თითქოს სიმბოლური გზავნილია დეჰუმანიზებული სამყაროსთვის. ომის ლაბირინთებში ჩაკარგული მშვიდობის, თანადგომის ნოსტალგიაა ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟის მარგუსის საზრუნავი მანდარინების გასაყიდად, რომელიც მთავარს-ქართველი და ჩეჩენი მეომრების ურთიერთობის ამბავს ფეხდაფეხ მიუყვება. „იცი რა ჰქვია ამ ომს? — მანდარინების ომი“. მარგუსის ეს ერთი შეხედვით უწყინარი, გულუბრყვილო კითხვა-პასუხი ნაწილობრივ იტევს სათქმელს. ამ ფილმის გმირებს თავისი ენა აქვთ, საკუთარი თავის წაკითხვისა და გახმოვანების ბუნებრივი უნარი. მანდარინის ნაყოფი აქ გაყიდული მშვიდობის სიმბოლოა, რომელიც თითოეულს ენატრება. მშვიდობის მონატრებაა დროდრო კადრში გამოჩენილი ივოს მშვენიერი შვილიშვილის — მარის — სურათიც, რომლისკენაც ნიკა თვალს აპარებს და მზერა უნათდება. ომი თითქოს სიყვარულის წილშიც ჩაუჯდა მის თაობას. ფილმში რამდენჯერმე მეორდება ეპიზოდი, როცა დაჭრილი ნიკა იმ დაზიანებულ კასეტას ამთლიანებს, სადაც მისი საყვარელი ჰიტებია ჩაწერილი. ამ პასაჟის ქვეტექსტი ნათელია — ნიკა ცდილობს არ დაკარგოს კავშირი იმ დროსთან, როცა ქვემეხები დუმდნენ.

„მანდარინების“ მთავარ სათქმელს პროლოგისა და ეპილოგის ბოლო კადრები ამთლიანებს. ფილმის დასაწყისში დურგალი ივო მანდარინებისათვის ყუთებს აშალაშინებს. კამერა მოთმინებით, ახლო რაკურსიდან ადევნებს თვალს ამ პროცესს. ნიაზ დიასამიძის მუსიკა საოცარ თანაგანცდაშია ამ ეპიზოდის სათქმელთან. ნიჭიერი რეჟისორის კიდევ ერთი ფუნჯის მოსმა და ამ ყოფით ეპიზოდს გამაოგნებელი დატვირთვა ენიჭება- იქმნება ფიქრის განწყობა, მოლოდინი, რომ მისი შემქმნელები გართობაზე არ არიან ორიენტირებული. არ ვიქნები ორიგინალური თუ ვიტყვი, მაყურებელს მოენატრა ფილმი, რომელიც არასოდეს განებებს თავს. ლემბიტ ულფსაკის მიერ შექმნილი ფილმის ზნეობრივი გმირი იდეალურია იმ ჩანაფიქრისთვის, მან „მანდარინებში“ მორალის დომინანტი უნდა განაპირობოს. გაუტეხელი, სულიერად ძლიერი, ჭარმაგი ესტონელი ივო, რომელმაც ომის დროს არ დატოვა მშობლიური სანახები, მოთმინებით ცდილობს განდევნოს სიკვდილისა და შურისძიების აჩრდილი ქართველ და ჩეჩენ მეომარს შორის. ივო პირადი მაგალითია, რათა მათ შეგნებაში მორალურ-ზნეობრივი ფასეულობანი შურისძიებამ არ დათრგუნოს. ომის დროსაც შეიძლება ადამიანებს ბევრი რამ აერთიანებდეს. უაღრესად დაძაბულ, კონფლიქტურ გარემოში, როდესაც ფილმის გმირები დუმილის დროსაც სხეულის ენით გასცემენ მძულვარებას, ივოს მოთმინება არ ღალატობს. ჩეჩენსა და ქართველს შორის დაძაბული, მტრული ველია. ეს ის არის, რომელიც ყველაზე მეტად ეიმედება რუსეთის იმპერიას კავკასიაში. კავკასიელთა შორის კომუნიკაციური გაუცხოება ყოველთვის იყო მისი ოცნება და რეალური დასაყრდენი. მაყურებელი ხედავს, როგორი თანმიმდევრობით მართავს და ანეიტრალებს ივო ამ რეალობის შედეგებს. ჩვენ გამაოგნებელი გარდასახვის მოწმენი ვხდებით, რომლის კულმინაციაც აჰმედისა და რუსი ოფიცრების შეხვედრის სცენაში იყრის თავს.

კავკასიური ერთიანობის იდეაზე ორიენტირებული ეს პოზიტიური ეპიზოდი შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან გზავნილად კავკასიური დიალოგისთვის.

ფილმის ეს სცენა XI ს-ის ისტორიკოსის ლეონტი მროველის კონცეფციის მეტაისტორიული საზრისის გამოძახილია და ის ზოგადად ნიშანდობლივია ქართული კულტურისათვის. „კავკასიელთა პირველფენომენი და თაურხატი“ (გრიგოლ რობაქიძე) ფილმის ამ ეპიზოდში მკაფიოდ იჩენს თავს. კავკასიური კულტურული უნივერსალიების სისტემამ ხელი შეუწყო ივოს ამოევსო უფსკრული ნიკასა და აჰმედს შორის, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო რუს ოფიცერსა და აჰმედთან კონფლიქტის დროს. ივოს შეძახილი „ის თქვენიანია, ბიჭებო“ მასთან ვერ მიდის, იმიტომ, რომ რუსი ოფიცრისათვის არც ჩეჩენია „მისი“ და არც ქართველი. მორალური და ესთეტიკური კატეგორიების განსხვავებულობამ რუს ოფიცერს არ მისცა ჩეჩენის ნდობის შესაძლებლობა. დესტრუქციული აზროვნებით დავიწროებულ საომარ სივრცეში უნდობლობა მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუმცა იდენტურ სიტუაციაში ჩვენ ვხედავთ, როგორი მყარია ნდობის მანდატი აჰმედისადმი აფხაზი მეომრების მხრიდან. რეჟისორმა მართებულად მიაგნო ამ ისტორიული საზრისის გამოყენების აუცილებლობას- ივოს ჭერქვეშ სწორედ ქართველი და ჩეჩენი აღმოჩნდებიან. დრამა, რომელიც ამ უაღრესად მეტყველ გარემოში ვითარდება, სრულად ავლენს იმ ტკივილიანი გაუცხოების მიზეზებს, რომელმაც აჰმედის ცნობიერებაში ქართველის მტრის ხატი შექმნა. მტანჯველია აჰმედის გარდასახვის პროცესი. ქართველებმა მას მეგობარი მოუკლეს, მაგრამ სწორედ ქართველი იხსნის მას სიკვდილისაგან. აფხაზეთიდან მიმავალი ჩეჩენი ნიკას მიერ აღდგენილ კასეტას უსმენს. სიმბოლური სცენაა- აჰმედის ცნობიერებაში ჩრდილოელის მიერ გაბზარული ნდობაც ასე გამთლიანდა.

ცალკე საუბრის თემაა მსახიობთა დასი, რომელთა წილი იმ ემოციური ფონის შექმნაში, რომელიც ფილმის ყურებისას იქმნება- უზარმაზარია. აქ არ არის მხოლოდ სახიობა- როგორც ასეთი. უმნიშვნელოვანესია რეალიზმი, რომელიც თაობის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისას იგრძნობა. ჟესტიკულაცია, საუბრის მანერა, ინტონაცია, ლექსიკა- გიორგი ნაკაშიძისა და მიშა მესხის მიერ შექმნილი ეს სახეები წარსულიდან თითქოს შეუცვლელად არიან გამოხმობილი.

ფილმის დასასრულს ივო კვლავ აშალაშინებს, თუმცა ეს უკვე მანდარინის ყუთი არ არის... მან ერთხელ უკვე დალია სიკვდილის სადღეგრძელო და შალაშინის დინამიკური როკვიდან ახლაც სიკვდილი გვიმზერს, რათა სიცოცხლის ფასი გვაგრძნობინოს. „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“ — არ გტოვებს ვაჟას განაზრებანი სიკვდილ-სიცოცხლის აპოლოგიაზე. ზაზა ურუშაძე იმ სულიერ-ესთეტიკური სივრციდან მოდის, სადაც ეს სტრიქონები იშვა და ამგვარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ასოციაციები ფილმში მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო.

„ეს არავის ომი არ არის“ — ამბობს ერთგან ივო. ვფიქრობ, ფილმის უმთავრესი განწყობა მაინც აქ არის პროეცირებული, თუმცა დრამა, რომელიც ფილმში ვითარდება და რომელსაც ანტისაომარი რიტორიკა წითელ ზოლად მიყვება, არ აკნინებს გრძნობას, რომელმაც ნიკას თაობა თეატრის ავანსცენიდან ცხოვრების რეალურ სივრცეში გადატყორცნა. ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“ სწორედ მათ ეძღვნება — ომში დაღუპულ ღიმილის ბიჭებს, ვინც სამშობლოს განწირული დაძახილი მაშინვე გაიგონეს და არა იმათ, ვისაც აკა მორჩილაძის ერთ-ერთი გმირის მსგავსად, „სამშობლომ კარგად არ დაუძახა“. ზუკა თუთბერიძე, ლევან აბაშიძე, გიორგი რევიშვილი, კახა ეზუხბაია, ლევან კორინთელი ამ ხმამ მიიყვანა ბრძოლის ველზე. მიშა მესხის მიერ შექმნილმა კინოგმირმა კიდევ ერთხელ გააცოცხლა იმათი სახეები, ვისაც კარგად ესმოდა, რომ სამშობლო მარტო ლხინი და ბედნიერება არ არის, ის ტკივილიცაა. ეს ფილმი არის შეხსენება იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას ჯერაც აცვია ტანზე ძაძა-ფლასი. ელგა ფოლადიშვილს დავესესხები: „რომ იმ ბიჭებს უსახელო საფლავებისთვის არ უბრძოლიათ და არც იმისთვის, რომ რომელიმე ჩვენგანმა მათ ობელისკზე, ენ-

კენისთვის ოცდაშვიდ რიცხვში, გვირგვინი დადოს. ჩვენ დაგვავიწყდა და დაგვავიწყეს უფრო მთავარიც — ვინც სიცოცხლე განირა ჩვენთვის, ჯერაც ვალში ვართ იმათ წინაშე და იმ ვალსაც გადახდა უნდა, თუნდაც იმისთვის, რომ მიწაზე "დამარცხებულებს" ზეცაში მაინც აღარ შეგვრცხვეს ერთურთის ნახვა და მათი ხილვა, ვინც აქამდე მოგვიტანა ჩვენი ქვეყანა, ის მიწა, რაც დღემდე შეგვრჩა. იქ, ეშერაში, გაგრასა და გუდაუთაში ვიღაცა მოკვდა ჩვენი გულისთვის და ჩვენ ვალი გვაქვს გადასახდელი — მათი სულის, ღმერთისა და ქვეყნის წინაშე..."

ზაზა ურუშაძის „მანდარინებმა" უცნაური განცდა დამიტოვა, თითქოს რეჟისორს სადღაც შემოენახოს ეს დამაჯერებლად ცოცხალი კადრები, თითქოს რეალურად ვიგრძენი აფხაზეთის შემოდგომის სუსხნარევი სურნელი. კინოკრიტიკოსთა ყველაზე მკაცრ, შეუვალ ნაწილსაც ექნება უამრავი კითხვა, მოსაზრება. მასაც გამოუჩნდება ბევრი „მჩხრეკელი", მაგრამ ფილმის ყურებისას მე — აფხაზეთის მკვიდრს — მცირედი პროტესტის გრძნობაც არ გამჩენია ფილმის ვირტუალური სამყაროს მიმართ და ეს უკვე გამოცდაა ამ ფილმისთვის.

მე დავბრუნდი იქ, საიდანაც არ უნდა წამოვსულიყავი 20 წლის წინათ. ეს იყო ჩემთვის მტანჯველი, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი განცდა. მე კიდევ ერთხელ გადავიმოწმე სიფხიზლე და ერთგულება ჩემი აკრძალული ქალაქისადმი , ზეეროვნულის მაჯისცემაც მოვისინჯე და მაინც დავეთანხმე ლაო ძის — „თუმცა ომის მიზანი მშვიდობაა, ის მაინც უდავო ბოროტებაა".

ლალი ურდულაშვილი

მზის სიყვარულის საგალობელი

მარიამ წიკლაურის „ქარფიქრთა რბევით ნათქერ სამეფოში" თანაბრად მონაცვლეობს ბერდედოს სიბრძნით აღსავსე ხმა და მზის სხივებთან მოკისკასე ყმაწვილქალის წკრიალა ტონები. პირველი — დაუნჯებული ცხოვრებისეული გამოცდილების, ცოდნისა და გონიერებით განმსჭვალული ემოციის მაუწყებელია, მეორე კი — სიცოცხლის დაუშრეტელი ხალისით აღმვსები, ყველაზე ღრმა და მახლობელად შორეული ადამიანური იმპულსების წიაღიდან აღმოცენებული ცისა და მიწის ღაღადისი.

რას არ შეხვდებით ამ სამეფოში... სისხლხორცეულად განცდილი სამშობლოს ზამთრის თეთრი მინდვრებიდან „ამოფერთხილი იებით სავსე უბე", ვარდისფრად აფეთქებული ხეთა ბილილები... დაეჭვებული და გამუდმებული ფიქრი იმაზე, ვაითუ „მასაც უჭირს საკუთარ თავში უფლის მიგნება?"

„ერთით მეტი მქნა, რო ღამის იქით გადამახედა", — აი, ნატვრა და ოცნება პოეტისა, მაგრამ მარიამი უცილობლად ერთზე მეტია, თავისთავზე მეტი და აღმატებული საკუთარ შეცნობილ არსზე და იქნებ ვერშეცნობილზეც...

არა ოდენ ღელედ და ჩქერად კალმახებისა და „სანავარდოდ მზის ანგელოზთა", იგი ერთ უწყვეტ, თავბრუდამხვევ, „ალმასებრ უფსკრულს" მქროლავ მდინარედ ქცეულა, სიკვდილ-სიცოცხლის მთლიანობის მარადიულობად გარდასახულა. მის პოეზიაში ხანდახან გაკრთება მარად თანმდევი და ყოვლად ნაცნობი ადამიანური შიში, რომ ამ ქაოტურ, სულიერ ფასეულობადაკარგულ სამყაროში დიდია ალბათობა საკუთარი თავის დაკარგვისა, ადამიანური ძალმოსილების ნაცარმტვრად ქცევისა და მაშინ, სწორედ მაშინ ღექსად ნაღვენთი ქალის ვაჟკაცურზე უფრო ძლიერი და ომახიანი შეძახილი შესძრავს დარანებს:

ეი, იფხიზლე, ადამიანო, არ მოუხუჭო შენსავ თავს თვალი.

ანდა

დადექი, კაცო, დადექი და თავს შეეყუდე.

ეს ხომ პოეტურ სტრიქონებად ტრანსფორმირებული გარდათქმაა იმ შეგონებისა — ნუ დაკარგავ უფალს და საკუთარ თავს.

თავად პოეტისა და პიროვნების გაერთმთლიანებაც უზენაესი მრწამსით საცნაურდება მარიამისვე სიტყვებში:

ყელამდე ჩამხრჩვალი ვდგავარ
ღმერთის და მოყვასის ვალში.

„მზის დაუჯდომელი" ის ციური და მეტაფორული მზეა, რომელიც პოეტის განცდათა ფლუიდებს სხივებად აფრქვევს და მკითხველის გულის „მწვანე გუბურებში" ულამაზესი აზრის ცისარტყელად აირეკლება.

უნაზესი ქალური და, ამავე დროს, ლოდივით მძიმე და ყველაფრის წამლეკავი სულიერი ენერგია , გასაოცარ სიტყვაქმნადობად გარდაქმნილი, იღვრება მკითხველის გულსა და ცნობიერებაში. გიჩნდება განცდა, რომ ეს ყველაფერი შენი და შენშია, მაგრამ მაინც ბოლომდე ვერ მოგიხელთებია, უბრალოებისა და სიდიადის თანაგანცდის ტყვეობაში გრძნობ თავს და ადვილად ვერ უსხლტები.

...ჩამოდგება ზამთრისპირის უსაშველო სევდა... თან მოიყოლებს თოვლის თეთრ საბანს და „გულისპირზე დაგვადნება" ცივ, წვრილ ზოლებად... ცაც დაიღრუბლება ნაცრისფერ ხბორებად, „ქვესკნელის ქერქამდე" ჩაძვრება „ყინულის თვალი" და თითქოს არსაიდან ჩანს საშველი. ყველაფერი უკუნში ჩანთქმულა, გარინდებულა უკანასკნელი ამოსუნთქვის მოლოდინში, მაგრამ არა... არის ხსნა, არის იმედი, ნუგეში...სიფრიფანა ბალახის ღეროზე დაკიდებული სიცოცხლის ნიშატი... თავად ზამთარიც ხომ იმიტომ ჩამომდგარა, რომ კვლავ დაირწეს სიცოცხლის აკვანი:

შენამც იხარე, ზამთარო,
თეთრად ურწიე აკვნებს.

და უცილებლად გიჩნდება ვაჟასეული სიტყვების ასოციაცია:

ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა.

„მზის დაუჯდომელი" პოეტის სულიერი მზის გამონათებაა და ამ მზის მარადისობის სადიდებელი.

მარიამ წიკლაურის პოეზია იმ ღვთაებრივი მზიურობის ძალით აღვსილა, რომელსაც დაუჯდომლად უნდა უგალობო.

ჯენიფერ სტეკჰაუსი — XVII საუკუნის გერმანული ლიტერატურის მთარგმნელი და მკვლევარი, ფულბრაიტის გრანტის ორგზის მფლობელი. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა XVII საუკუნის გერმანელი პოეტისა და დრამატურგის, ანდრეას გრიფიუსის შემოქმედებაზე ჰარვარდის უნივერსიტეტში. არის მისი ტრაგედიის „ქეთევან ქართველი“ პირველი მთარგმნელი ინგლისურ ენაზე.

ჯენიფერი 2011 წელს გავიცანი სანტა კრუზში, კალიფორნიის უნივერსიტეტში ფულბრაიტის კვლევითი სტიპენდიით ყოფნისას. ამ დროისათვის „ქეთევან ქართველის“ ინგლისურ თარგმანზე მუშაობა კარგა ხნის დამთავრებული ჰქონდა, მაგრამ სპეციფიკურ ქართულ საკუთარ, ისტორიულ თუ გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაში, ტოპონიმიკასა და მე-17 საუკუნის საქართველოს საკმაოდ რთულ ისტორიულ რეალიებსა და პერიპეტიებში ბოლომდე ვერ გარკვეულიყო და ამიტომაც თარგმანის გამოქვეყნებას არ ჩქარობდა. მე შეძლებისდაგვარად გავუწიე კონსულტაციები და ჩემი საკმაოდ მოკრძალებული ცოდნის ფარგლებში ერთგვარი ისტორიული ექსკურსი ჩავუტარე ქართულ ონომასტიკასა და ტოპონიმიკაში, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში. ორიოდე შეხვედრა არ აღმოჩნდა საკმარისი მისი ცნობისმოყვარეობისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად და ჩვენი თანამშრომლობა ამ საკითხებში დღემდე გრძელდება ელფოსტის საშუალებით. ორიოდე წლის შემდეგ, 2013 წლის შემოდგომაზე, ჯენიფერს ისევ შევხვდი ვაშინგტონში, ფულბრაიტელთა მორიგ თავყრილობაზე, სადაც მან თავის გამოსვლაში სწორედ „ქეთევან ქართველის“ მისეული თარგმანისა და ჩვენი თანამშრომლობის შესახებ ისაუბრა.

ჯენიფერი ამჟამად მუშაობს გერმანელი დრამატურგის კიდევ ერთი პიესის „ლეო არმენიუსი“ თარგმანზე, რომლის დასრულების შემდეგაც, გამომცემლობასთან შეთანხმებისამებრ, ორივე პიესა ერთად დაიბეჭდება და ინგლისურენოვანი მკითხველი პირველად გაიცნობს გერმანელი დრამატურგის ამ ორ მნიშვნელოვან ნაწარმოებს.

ავტორის ნებართვით გთავაზობთ ანდრეას გრიფიუსის „ქეთევან ქართველის“ პირველი ინგლისურენოვანი გამოცემის მთარგმნელისეული წინასიტყვაობის ქართულ თარგმანს.

ჯენიფერ სტეკჰაუსი

ანდრეას გრიფიუსი და მისი „ქეთევან ქართველი“

გერმანელმა პოეტმა ანდრეას გრიფიუსმა (1616-1664), რომლის გარდაცვალებიდან თითქმის სამსაუკუნენახევარია გასული, გერმანული ლირიკა და დრამა ახალ სიმაღლეზე აიყვანა მე-17 საუკუნეში. იგი საყოველთაოდ იყო აღიარებული როგორც მისი თანამედროვეების, ასევე მომდევნო თაობების მიერ, თუმცაღა ესთეტიკური გემოვნების ცვლილებისა და ლიტერატურის გამომსახველობით შესაძლებლობათა განვითარების კვალდაკვალ მისი შემოქმედება ჩრდილში მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე გერმანული პოეზიის სერიოზული ანთოლოგიებიდან იშვიათადაა გამოტოვებული გრიფიუსის ყველაზე გამორჩეული სონეტები და ოდები, მისი დრამატურგიული ნაწარმოებები თითქმის სრულიად მივიწყებული იყო მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, როცა ბაროკოს ლიტერატურისადმი ინტერესის გაღვივებამ გრიფიუსი ხელახლა „გააცოცხლა“. სილეზიელი პოეტის შემოქმედებით მზარდ გატაცებას ის ფაქტიც მოწმობდა, რომ მისი ლირიკის, დრამატურგიისა და პროზის უამრავი გამოცემა დაიბეჭდა, მაგრამ, მცირედი გამონაკლისის გარდა, გრიფიუსის ნაწარმოებები მხოლოდ გერმანულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი. მისი სტილის საილუსტრაციოდ თარგმნილ მოკლე ნაწყვეტებს თუ არ ჩავთვლით, გრიფიუსის ოთხი ისტორიული ტრაგედიიდან არცერთის სრული ინგლისური თარგმანი დღემდე არ გამოქვეყნებულა. იმედია, ჩემი ეს წინასიტყვა და „ქეთევან ქართველის“ სრული თარგმანი ახალ და უფრო ფართო აუდიტორიას გააცნობს გრიფიუსის ნოვაციებს დრამატურგიაში. იგი სამართლიანად იმსახურებს „გერმანული ლიტერატურული დრამის ფუძემდებლის“ ეპითეტს.

შესავალი

1616 წელი შეიძლებოდა ლიტერატურის ისტორიაში შესულიყო წლად, როცა „ევროპის ლიტერატურული გენიის“ ესტაფეტა დიდი ინგლისელი პოეტისა და დრამატურგის, უილიამ შექსპირისაგან (1564-1616) მე-17 საუკუნის გამოჩენილ გერმანელ პოეტსა და დრამატურგს, ანდრეას გრიფიუსს (1616-1664) გადაეცა, მაგრამ დინამიკური და ყოველგვარი წინასწარ დადგენილი ნორმებისაგან თავისუფალი შექსპირისაგან განსხვავებით, გერმანელი პოეტი მკაცრი ესთეტიკური კანონების ჩარჩოებში მოექცა, რაც მისი ლირიკული პოეზიის ინტენსიურობასა და სილაღეს ზღუდავდა და გადაულახავ უფსკრულს წარმოქმნიდა მისი დრამატურგიის პერსონაჟებისა და მკითხველის გამოცდილებას შორის. იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო დაერღვია მისი თანადროული კონვენციები და თავის შემოქმედებაში უნივერსალური მითოსური ელემენტები, უღრმესი ემოციები და ზოგადკაცობრიული პლასტები წარმოეჩინა, მისი ნაწარმოებები განწირული აღმოჩნდა გარკვეული ხანის ნიმუშებად შემორჩენოდა ლიტერატურის ისტორიას: დღეს მათ მხოლოდ ბაროკოს სტილის საილუსტრაციოდ თუ მოიშველიებენ. თითქოს თვითონვე ესმოდა, რომ ადამიანური ტრაგედიის გამოსახვის მისეული მეთოდი შეზღუდული იყო — პოეტი თავის ისტორიულ დრამებს Tragödien-ს კი არ უწოდებდა, არამედ — Trauerspiele-ს (იხ. Walter Benjamin, Ursprung des deutschen Trauerspiels [1928] ed. Rolf Tiedemann [Frankfurt a.M. 1963], p.51). მიუხედავად ამისა, წინამდებარე წერილში ჩვენი მსჯელობის გასამყარებლად მის Trauerspiele-ს ანუ „სევდიან პიესებს“ „ტრაგედიებად“ მოვიხსენიებთ. მართალია, გრიფიუსს არასოდეს ღირსებია ეივონელი ბარდის დარი აღიარება, მაგრამ თავისი ნოვატორული ტალანტითა და მრავალმხრივი ლიტერატურული მოღვაწეობით უნიკალური ადგილი დაიმკვიდრა გერმანული ლიტერატურის ისტორიაში. ვიდრე შემდგომი საუკუნის გერმანელი პოეტები უფრო ღრმად ჩასწვდებოდნენ ზოგადადამიანური გამოცდილების სიღრმეებს და იმ ლიტერატურულ ფორმებს შეიმუშავებდნენ, რომელთა საშუალებითაც უკეთ შეეძლოთ გადმოეცათ თავიანთი აზრები და ადამიანური ვნებანი, გრიფიუსი რჩებოდა გერმანული ლიტერატურის წამყვან ფიგურად თავისი ლირიკით, ტრაგედიებით, კომედიებით, სამგლოვიარო მიძღვნებით, საოპერო ტექსტებით, ლათინურენოვანი ეპიკური პოეზიითა და ჰოლანდიური, ფრანგული და ლათინური ლირიკული, დრამატული და პროზაული ნაწარმოებების გერმანულენოვანი თარგმანებით.

ბიოგრაფია

პოეტის სირთულეებით აღსავსე სიჭაბუკემ მწვავე რელიგიური და პოლიტიკური კონფლიქტების ფონზე ჩაიარა. სწორედ ამ წინააღმდეგობრივ და ქაოტურ პერიოდში ჩამოყალიბდა მისი წარმოდგენა სამყაროზე როგორც vanitas mundi-ზე, რაც მთელ მის შემოქმედებას დაედო საფუძვლად. გრიფიუსი დაიბადა გლოგაუში (სილეზია) ლუთერანი პასტორის ოჯახში 1616 წელს, ოცდაათწლიანი ომის (1618-48) დაწყებამდე ორი წლით ადრე. გრიფიუსი ადრეულ ასაკში დაობლდა — 5 წლისაც არ იყო, მამა რომ დაკარგა, დედა კი 12 წლისას გარდაეცვალა. მომდევნო 6 წლის მანძილზე იგი ჯერ უფროს ნახევარდასთან ერთად ცხოვრობდა, შემდეგ კი მასზე ლუთერანი პასტორები, მისი მამობილი და ნახევარძმა, ზრუნავდნენ. იმ დროს მთელ სილეზიაში რელიგიური ომი მძვინვარებდა და სილეზიელ პროტესტანტებსაც ხან ერთ ქალაქში ავიწროებდნენ, ხანაც — მეორეში, რის გამოც ოჯახი ხშირად იძულებული იყო ქალაქიდან ქალაქში გადაბარგებულიყო. ასეთი რთული ვითარების მიუხედავად, გრიფიუსმა ლიტერატურული

ტალანტი ადრეულ ასაკშივე გამოავლინა. საკუთარი ევლოგიების საჯაროდ კითხვამ და პირველმა ლათინურენოვანმა ეპოსმა (Herodis Furiae et Rachelis Lachrymae, Glogau, 1634) თავიდანვე მოუხვეჭა ნიჭიერი შემოქმედის რეპუტაცია.

პოეტის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება 1634 წლის ზაფხულში, როცა იგი სწავლას იწყებს დანციგის გიმნაზიაში ორწლიანი პროგრამით. იმავდროულად გრიფიუსი აღმზრდელ-პედაგოგად მუშაობს შოტლანდიური წარმომავლობის კათოლიკე პოლონელი ადმირალის, ელიგზანდერ სეტონის ოჯახში, სადაც ინტელექტუალური ატმოსფერო სუფევს და ახალგაზრდა პოეტს საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს იმ დროისათვის აქტუალურ რელიგიურ და პოლიტიკურ საკითხებზე გამართულ ხშირ დისკუსიებში.

გიმნაზიაში გრიფიუსი, ერთი მხრივ, აკადემიურ ცოდნას ეწაფება, მეორე მხრივ კი ლექსების წერითა და დრამების თარგმნითაა გატაცებული: ამ პერიოდში შექმნა პირველი სონეტები, მეორე ლათინურენოვანი ეპოსი, რომელიც დანციგის საქალაქო სათათბიროს წევრებს მიუძღვნა (Dei Vindicis Impetus et Herodis Interitu), და გერმანულად თარგმნა იეზუიტ პოეტთა მათიას კაზიმირ სარბიევსკის, იაკობ ბიდერმანის და ბერნარ ბაუჰუსიუსის — ლათინურენოვანი პოეზია. სავარაუდოა, რომ დანციგშივე დაიწყო შემოქმედებითი მუშაობა დრამატურგიის ჟანრში, თარგმნა რა ფრანგი იეზუიტის ნიკოლას კოზინის „მარადიული დედა ანუ წმინდა ფელისიტა“ მისი Tragoediae Sacrae-დან (1621). დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კოზინის მარტიროლოგიურმა ტრაგედიამ სწორედ იმხანად მოახდინა გრიფიუსზე ზეგავლენა, ვინაიდან იეზუიტი დრამატურგის ნაწარმოების საკუთარ ეგზემპლარზე (რომელიც დღემდეა შემონახული) თვითონვე წაუწერია თარიღი — 1634. დაბოლოს, გრიფიუსის ლიტერატურული მოღვაწეობა დანციგში მთავრდება მესამე ლათინურენოვანი ეპოსის (Parnassus Renovatus, დანციგი, 1636) გამოქვეყნებით, რომელიც ეძღვნება მის მფარველსა და კეთილისმყოფელს, გეორგ შონბორნერს. მეტიც, ეს ტექსტი გრიფიუსის შემოქმედებითი განვითარების ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისს მოასწავებს, რომელიც შონბორნერის — ამ აღიარებული სწავლულის — მამულში გატარებულ ორ წელიწადს უკავშირდება.

შონბორნერის სამი ვაჟის ტუტორად მუშაობისას ახალგაზრდა პოეტზე ღრმა და ხანგრძლივ ზეგავლენას ახდენს სახელგანთქმული სკოლარის მსოფლმხედველობა. გრიფიუსმა გაითავისა შონბორნერის სამართლებრივი და პოლიტიკური შეხედულებანი; მისი გადაწყვეტილება, შეესწავლა იურისპრუდენცია და იურიდიული პრაქტიკისათვის მოეკიდა ხელი, დიდწილად სწორედ მისი ამ მენტორისა და მეგობრის ზეგავლენით იყო განპირობებული, რომელსაც მამასაც უწოდებდა და Dicaeus-საც. შონბორნერმა წაახალისა მისი ახალგაზრდა მეგობრის ლიტერატურული მისწრაფებანი იმით, რომ გრიფიუსს სონეტთა პირველი კრებულის გამოცემისათვის (დაიბეჭდა ლისაში, პოლონეთში, 1637 წელს) აზნაურის წოდება მიანიჭა და პოეტი-ლაურეატის (poet laureate) გვირგვინიც უბოძა (თვითონ შორნბორნერს ეს პატივი წილად ხვდა ჰელმშტედტში, 1603 წელს). შონბორნერის მოულოდნელმა გარდაცვალებამ 1637 წელს ერთბაშად დაუსვა წერტილი გრიფიუსის ინტელექტუალური გამდიდრების ბედნიერ ხანას. შორნბორნერის მამულიდან პოეტის გამგზავრებით მთავრდება მისი განვითარების წლები გერმანიაში.

1638 წელს ახალგაზრდა სილეზიელი მიემგზავრება ჰოლანდიაში, რათა სწავლა განაგრძოს ლეიდენის უნივერსიტეტში, იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთ გამორჩეულ, კულტურულად მრავალფეროვან და ინტელექტუალურად მდიდარ საგანმანათლებლო ცენტრში. იგი უნივერსიტეტში 26 ივლისს ჩაირიცხა და სამართლის, მედიცინისა და ფილოსოფიის შესწავლას მიჰყო ხელი. იმავდროულად, გრიფიუსი კერძო პრაქტიკასაც ეწეოდა და ისეთ ნაირგვაროვან საგნებს ასწავლიდა, როგორიცაა მეტაფიზიკა, მათემატიკა, ფილოსოფია, გეოგრაფია, პოეტიკა, ასტროლოგია, ანატომია და ქირომანტია (ხელისგულზე მკითხაობა). ლეიდენში

ჯენიფერ სტეკჰაუსი და ირაკლი ცხვედიანი

გატარებული დროის (1638-1644) მანძილზე გრიფიუსმა ხუთი პოეტური კრებული გამოაქვეყნა. მდიდარი, ტოლერანტული და ცოცხალი ინტელექტუალური ატმოსფერო ხელს უწყობდა მის პოლიტიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბებას, რომლებსაც მოგვიანებით მის მხატვრულ ქმნილებებში შეესხა ხორცი. ლეიდენშივე დაამყარა ახალგაზრდა გერმანელმა ერუდიტმა მყარი კავშირები ისეთ ევროპელ სწავლულებთან, როგორიც იყვნენ: გროტიუსი, სალმასიუსი, ბოქსჰორნი, ვოსიუსი და ჰეინზიუსი. მომავალი დრამატურგი პირველად აქვე ეზიარა პროფესიულ თეატრალურ სამყაროს: ამსტერდამის ახალი სახელმწიფო თეატრი ჰოლანდიაში მის ჩასვლამდე სულ რაღაც რამდენიმე თვით ადრე გაიხსნა. მოგვიანებით გრიფიუსის დრამატურგიაზე გავლენას მოახდენს ვონდელისა და ჰუფტის დრამები. მის ადრეულ გატაცებას ჰოლანდიური თეატრით ისიც მოწმობს, რომ მან გერმანულად თარგმნა ვონდელის De Gebroeders („შვიდი ძმა ანუ გიბეონიტები“), რომელსაც საკუთარი პროლოგი და ეპილოგი დაურთო. სავარაუდოა, რომ ეს თარგმანი გრიფიუსმა ლეიდენშივე დაასრულა, თუმცაღა იგი პირველად მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1698 წელს გამოაქვეყნა მისმა ვაჟმა, ქრისტიანმა. მისი ვაჟის გადმოცემით, გრიფიუსს თითქმის დაუსრულებია ხუთმოქმედებიანი პიესა ამავე თემაზე, მაგრამ ხელნაწერი გამოქვეყნებამდე დაკარგულა. ვონდელის პიესის გრიფიუსისეული თარგმნილი ვერსია დაიდგა ბრესლაუში 1652 წელს.

ლეიდენის დატოვების შემდეგ გრიფიუსი მოგზაურობს ევროპაში — ჯერ პარიზს ეწვევა (1644-45), შემდეგ იტალიას (1645), ბოლოს კი სტრასბურგს (1646-47), საიდანაც ისევ მშობლიურ სილეზიაში ბრუნდება. საფრანგეთსა და იტალიაში გრიფიუსი უშუალოდ ეზიარა ანტიკურ და თანამედროვე ხელოვნებას, ამ ქვეყნების დრამატურგიასა და თეატრს, რამაც ხელი შეუწყო მის შემოქმედებით აღმასვლას. ჩრდილოეთ იტალიის თეატრების ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, როგორიც იყო მაგალითად სცენების/დეკორაციების სწრაფი მონაცვლეობა, უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა მომავალ დრამატურგზე. ასე მაგალითად, „ქეთევან ქართველი“ პირველი გერმანული დრამაა, სადაც ვხვდებით საგანგებო მითითებებს სცენების/დეკორაციების არანჟირებასთან დაკავშირებით. სტრასბურგში ყოფნისას მის ნიჭს უკვე გამოცდილებაც ემატება; აქ გადაამუშავებს თავის სონეტებსა და ოდებს (1646) და, რაც მთავარია, წერს და აქვეყნებს პირველ დრამატურგიულ ქმნილებას: ტრაგედიას „ლეო არმენიუსი ანუ უფლისწულის მკვლელობა“ (1646). „ლეო არმენიუსის“ წინასიტყვაში გრიფიუსი პირველად ახსენებს თავის განზრახვას — დაწეროს ტრაგედია ქართველი

დედოფლის, ქეთევანის მარტვილობის შესახებ. „ქეთევან ქართველი“ გრიფიუსმა დაასრულა შტეტინში ვიზიტისას, როცა სილეზიაში ბრუნდებოდა 1647 წლის შემოდგომაზე, თუმცაღა ეს ნაწარმოები მხოლოდ 1657 წელს დაიბეჭდა.

გერმანიაში დაბრუნების შემდეგ გრიფიუსმა უარი თქვა პროფესორობაზე ჰაიდელბერგის, ფრანკფურტისა და უპსალას (შვედეთი) უნივერსიტეტებში და არჩია Syndikus-ად (ოფიციალურ იურიდიულ მრჩევლად) ემსახურა მშობლიურ ქალაქ გლოგაუში. აქ გაატარა ცხოვრების დარჩენილი 14 წელიწადი და მთელი ეს დრო თანაბრად შეალია საჯარო სამსახურსა და შემოქმედებით მოღვაწეობას. მისი გვიანდელი ნაწარმოებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია Kirchoffs-Gedancken („ფიქრები სასაფლაოზე“), Dissertationes Funebres. Oder Leich-Abdanckungen („ევლოგიები“), და ბოლო სამი ტრაგედია: Carolus Stuardus ანუ მისი უდიდებულესობის მკვლელობა (1649, რევ. 1663); „კარდენიო და სელინდე ანუ უიღბლო მიჯნურები“ (1654?) და „გულმოწყალე იურისტი ანუ მომაკვდავი ემილიუს პაულუს პაპინიანუსი“ (1659). გერმანული ბაროკოს დრამის დიდოსტატი, რომლის ზოგიერთი ნაწარმოებიც მე-17 საუკუნის გერმანული ლიტერატურის უმაღლეს მიღწევათა რიცხვს ეკუთვნის, გარდაიცვალა მშობლიური ქალაქის სათათბიროს სხდომაზე 1664 წლის 16 ივლისს. ეპითეტი “der Unsterbliche” („უკვდავი“), რომელიც მას Fruchtbringende Gesellschaft-ში განევრიანებისას მიანიჭეს, ნათლად აჩვენებს, თუ რაოდენ მაღალ შეფასებას აძლევდა გრიფიუსის ღვაწლს მისი თანადროული საზოგადოება.

მიუხედავად იმისა, რომ გრიფიუსის ოთხივე ისტორიული ტრაგედია ერთი ცალკეული პიროვნების მარტვილობას გვიხატავს კონკრეტულ ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში, ისტორიული მოვლენების მისეული, გულმოდგინედ დოკუმენტირებული რეკონსტრუქცია მაღალი რელიგიურ-ფილოსოფიური თუ მეტაფიზიკური ჭეშმარიტების ილუსტრირებასა და ქადაგებას ისახავს მიზნად. მისი დრამების ორმაგი სათაურები აუდიტორიასა თუ მკითხველს დრამის დუალისტური ფუნქციის კონდენსირებულ ფორმულას სთავაზობს — სათაურის ნახევარი ისტორიულ თემაზე მიანიშნებს, მეორე ნახევარი კი — იმ მეტაფიზიკურ სათქმელზე, რომლის გამოხატვასაც ავტორი დოკუმენტური ისტორიული მასალის დრამატიზაციით ახერხებს. ორმაგი სათაურის გამოყენება გერმანული ბაროკოს დრამის ემბლემატური ფორმის ტიპური ნიშანია. ისევე როგორც მე-17 საუკუნის ემბლემატურ ლიტერატურაში კონკრეტული სურათი თუ ემპირიული მასალა დაფარულ და იმავდროულად უფრო ამაღლებულ მეტაფიზიკურ ჭეშმარიტებას გადმოსცემდა, გრიფიუსიც კონკრეტულ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენას (pictura) მეტაფიზიკური შინაარსის (subscriptio) გამოსახატავად იყენებდა.

მისი პირველი ორიგინალური ტრაგედიის Leo Armenius oder Fürstenmord („ლეო არმენიუსი ანუ უფლისწულის მკვლელობა“) ორმაგ სათაურში, ერთი მხრივ, ისტორიული თემა — მე-9 საუკუნის ბიზანტიის იმპერატორის ლეო არმენიუსის ამბავი — იკვეთება, ხოლო მეორე მხრივ, მოცემულია კომენტარი ამ თემაზე, რომელიც ისტორიული მოვლენის სუბიექტურ ინტერპრეტაციას (დაგმობას) წარმოადგენს. ბოლო ორი ტრაგედიის ორმაგი სათაურები — Carolus Stuardus oder Ermordete Majestät („ჩარლზ სტიუარტი ანუ მისი უდიდებულესობის მკვლელობა“) და Großmütiger Rechts-Gelehrter oder Sterbender Aemilius Paulus Papinianus („სახელგანთქმული იურისტი ანუ მომაკვდავი ემილიუს პაულუს პაპინიანუსი“) — არამარტო ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებს აირეკლავს, არამედ ამ მოვლენათა მეტაფიზიკურ შეფასებასაც. გრიფიუსის მეორე ორიგინალური ტრაგედიის — Catharina von Georgien oder Bewehrete Beständigkeit („ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“) — ორმაგი სათაურიც ჯერ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენაზე მიგვანიშნებს 1624 წელს სიკვდილით დასჯილი ქართველი დედოფლის ხსენებით, შემდეგ კი — ამ მოვლენის მეტაფიზიკურ განზომილებაზე. ამ ტრაგედიის სკრუპულოზური ანალიზი ნათელს ფენს იმ დრამატურგიულ მეთოდსა და მხატვრულ კონცეფციას, რომელიც გრიფიუსის ოთხივე ისტორიულ ტრაგედიას უდევს საფუძვლად. „ქეთევან ქართველის“ შინაარსისა და სტრუქტურის კვლევისას გასათვალისწინებელია გრიფიუსის ემბლემატური პრინციპი, ვინაიდან ტრაგედიის შეფასება დამოკიდებულია არამარტო პიესაში წარმოსახული კომპლექსური ისტორიულ-პოლიტიკური ინფორმაციის (pictura) გაგებაზე, არამედ — იმ მეტაფიზიკური სათქმელის ამოკითხვაზეც, რომლის გადმოცემასაც დრამატურგი ისტორიული ფაქტის დეტალური და, მისი აზრით, ზუსტი ასახვის საშუალებით იმედოვნებდა.

ისტორიის რეპრეზენტაცია „ქეთევან ქართველში“

დიდი ხნის მანძილზე ლიტერატურის კრიტიკოსები უგულებელყოფდნენ იმ ესთეტიკურ პრობლემებს, რომლებიც გარდუვალად წამოიჭრება იმ შემთხვევებში, როდესაც გრიფიუსი კიდევ უფრო განავრცობს ისედაც ვრცელ დრამატულ მონოლოგებს მათში ისტორიულ-პოლიტიკური ფონის შესახებ დეტალური შემაჯამებელი ინფორმაციის შეტანით. გრიფიუსს სჯერა, რომ ისტორიული რეალობის ზუსტი გადმოცემა დრამატულ ტექსტში აუცილებელი წინაპირობაა უფრო მაღალი ჭეშმარიტების გამოსახატავად, რაზეც კონკრეტული ისტორიული ფაქტების ავთენტურობის დასადასტურებლად მის მიერ გამოყენებული უამრავი სქოლიოც მეტყველებს. ამგვარი სქოლიოები/შენიშვნები მის ყველა ისტორიულ ტრაგედიას თან ერთვის. მიუხედავად იმისა, რომ გრიფიუსი — ნახევრად ისტორიკოსი და ნახევრად დრამატურგი — „ქეთევან ქართველის“ მკითხველსაც აწვდის დამატებით ინფორმაციას პიესაში გამოყენებული მრავალი კონკრეტული ისტორიული დეტალის შესახებ, ეს ერთადერთი ისტორიული დრამაა, რომელშიც არ გვხვდება მინიშნება ავტორის ძირითად წყაროზე. აშკარაა, რომ „ქეთევან ქართველში“ გრიფიუსი ეყრდნობოდა მე-17 საუკუნის ნარატივს (“Histoire de Catherine Reyne de Georgie et des Princes Georgiens, mis à Mort par commandement de Cha-Abas Roy de Perse”), რომელიც შეტანილია C.M. Sieur de St. Lazare-ს (კლოდ მალენგრი; Claude Malingre, 1580-1653) მოკლე ბიოგრაფიათა კრებულში Histoires tragiques de notre temps (პარიზი, 1635). ეს წყარო დეტალურად აღწერს პოლიტიკურ ვითარებას და ზუსტად განმარტავს, თუ როგორ აღმოჩნდა ქართველი დედოფალი შაჰ აბასის ტყვეობაში და საბოლოოდ როგორ იქცა მის მსხვერპლად. როცა გრიფიუსი იმეორებს ამ ინფორმაციას დემეტრესა (Demetrius) და ქეთევან დედოფლის დრამატულ მონოლოგებში, ის ან ვარაუდობს, რომ აუდიტორია (მკითხველი) უკვე იცნობს ქართულ-სპარსულ-რუსულ პოლიტიკურ ურთიერთობათა მთელ სირთულეებს 1624 წლამდე, ანდა მიაჩნია, რომ მის მიერ გამოყენებული ისტორიული მასალაც საკმარის ინფორმაციას მიაწვდის მას. რაოდენ საფუძვლიანიც უნდა ყოფილიყო ორივე ვარაუდი მე-17 საუკუნეში, თანამედროვე მკითხველი შეიძლება დააბნიოს ჩახლართულმა მკვლელობებმა, უცნობმა გეოგრაფიულმა ტერმინოლოგიამ და საერთაშორისო პოლიტიკურმა ინტრიგებმა, რომლებიც, რაოდენ ირონიულადაც უნდა ჟღერდეს, სწორედ მაშინ იხლართება, როცა დრამატურგი ცდილობს ნათელი მოჰფინოს იმ ისტორიულ ფაქტებს, სიუჟეტს რომ უდევს საფუძვლად. იმის საილუსტრაციოდ, რომ გრიფიუსი ცდილობდა დაეცვა სიზუსტე ისტორიული ფაქტების დრამატულ მონოლოგებში ჩართვისას, უპრიანი იქნება, მოკლედ მიმოვიხილოთ ქეთევან დედოფლის ცხოვრებისა და მოწამებრივი აღსასრულის ისტორიულ-კულტურული ფონი, რომელიც აღწერილია ტრაგედიის უმთავრეს წყაროში.

ისტორიული წყარო

სენ-ლაზარის (Saint-Lazare) ისტორიული ნარატივის წინამდებარე მიმოხილვის მიზანია, „ქეთევან ქართველის“ მკითხველს გააცნოს ის გეოგრაფიული ტერმინოლოგია და ისტორიული ფიგურები, რომლებიც გრიფიუსმა უშუალოდ ამ წყაროდან ისესხა. ამ მიმოხილვის მიზანი არ არის დაადგინოს სენ-ლაზარისა თუ გრიფიუსისეული მონათხრობის სიზუსტე თანამედროვე ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისით; ის არც ქეთევან დედოფლის გაქცევის მცდელობისა და სიკვდილით დასჯის მისეულ დეტალურ აღწერას შეიცავს. უნდა აღინიშნოს, რომ გრიფიუსი ინფორმაციას ისტორიულ-პოლიტიკური ფონის შესახებ ორ ნაწილად ჰყოფს: იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც ქეთევანის დატყვევებამდე მოხდა, თვით დედოფალი მოუთხრობს რუსეთის ელჩს მესამე მოქმედებაში, ხოლო მისი დატყვევების შემდგომ მომხდარ მოვლენათა შესახებ დედოფალს ქართველი ელჩი აუწყებს პირველ მოქმედებაში. შესავლის შემდეგ, სადაც შაჰ აბასის „უზნეო და სასტიკი ვნება“ დედოფლისადმი შედარებულია ისეთ ცნობილ მიჯნურთა ავბედით და საბედისწერო გრძნობებთან, როგორიცაა სემირამისი, პარისი, თეოდორიხი და სხვ., სენ-ლაზარის თხრობას გეოგრაფიული მდებარეობის აღწერით განაგრძობს. მისი გადმოცემით, საქართველო ოთხი სამეფოსაგან შედგება. თუმცაღა სენ-ლაზარის მიერ აღწერილი მოვლენები ამ სამეფოთაგან მხოლოდ ორში ხდება — ტეფლისსა (Teflis) და ივერიაში (Yuerie; ეს უკანასკნელი ასევე „გურჯისტანადაც“ (Gurgistan) მოიხსენიება, ზოგჯერ კი სენ-ლაზარეცა და გრიფიუსიც მას უბრალოდ „საქართველოს“ (Georgia) უწოდებენ). (უნდა აღინიშნოს, რომ ტეფლისი, ფაქტობრივად, სამეფო კი არ იყო, არამედ — ქალაქი. ამ ქალაქს 1938 წლიდან „თბილისი“ (Tbilisi) ჰქვია და დღესდღეობით საქართველოს დედაქალაქია). სენ-ლაზარი აღნიშნავს, რომ მათი მდებარეობის გამო, ტეფლისი თურქეთის გავლენის სფეროს წარმოადგენდა, ხოლო ივერია (გურჯისტანი) — სპარსეთისას.[1] ქეთევან დედოფლის ცხოვრების რეგიონულ პოლიტიკურ ფონს ამ მომცრო ქრისტიანულ სამეფოებსა და მძლავრ მეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფოებს შორის გამუდმებული ბრძოლა ქმნის (მიუხედავად იმისა, რომ სენ-ლაზარი და, აქედან გამომდინარე, გრიფიუსიც ამ ქრისტიანული სამეფოების მეთაურებს „მთავრებად“ (duke) მოიხსენიებს, ისინი, ფაქტობრივად, სახელმწიფოებს ედგნენ სათავეში და მეფის ტიტულს ატარებდნენ). იმ დროს, როცა თურქეთს აჰმედი, სულთან ოსმანის მამა, განაგებდა, ხოლო სპარსეთს — შაჰ აბას I, მთავარი სიმონი, უფლისწულ ალოვასას (Alovassa)[2] მამა, მართავდა ტეფლისს. მთავარი ალექსანდრე, უფლისწულების, კონსტანტინესა და დავითის მამა, მართავდა ივერიას. მთავარი სიმონი, რომელიც არ დაემორჩილა თურქებს, დამარცხდა მათთან ბრძოლაში და მის ვაჟთან, ალოვასასთან ერთად ტყვედ წაიყვანეს კონსტანტინოპოლში, სადაც იგი მოწამლეს. რამდენადაც ალოვასა ამ დროს მცირეწლოვანი იყო საიმისოდ, რომ მმართველობა თავის თავზე აეღო, სულთანმა იგი ტეფლისს მეურაბის (Meurab)[3] თანხლებით წარგზავნა (სენ-ლაზარის კვალობაზე, გრიფიუსი ტეფლისის მმართველს [მოურავს] მოიხსენიებს როგორც მეურაბს (Meurab), თუმცაღა დადგენილია, რომ ამ მმართველის სახელი გიორგი საакაძე იყო). როგორც ტეფლისის რეგენტმა, მეურაბმა დიდი სახელი მოიხვეჭა ბრძნული და სამართლიანი მმართველობით. თურქთა ქმედებების პასუხად შაჰ აბასი შეეცადა, ტეფლისი თავისი ჰეგემონიის ქვეშ მოექცია, ვინაიდან შიშობდა, რომ ამ პატარა სამეფოს შეიძლება ალიანსი შეეკრა თურქეთთან. სიმონის ხვედრის თავიდან ასაცილებლად მთავარი ალექსანდრე დათანხმდა, შაჰ აბასის მოკავშირე გამხდარიყო და მაშინ მას მოსთხოვეს, მისი ვაჟი კონსტანტინე წარეგზავნა სპარსეთში მძევლად. სპარსეთში კონსტანტინემ მაჰმადიანობა მიიღო, რის გამოც მამამისმა, მთავარმა ალექსანდრემ ივერიის ტახტის მემკვიდრედ მის ნაცვლად მისი ძმა, დავითი გამოაცხადა. დავითმა ცოლად შეირთო ქეთევანი. მათმა ვაჟმა, თამარასმა (Tamaras),[4] მიუხედავად იმისა, რომ იგი შაჰ აბასის ბრძანებით მძევლად იქნა სპარსეთს გაგზავნილი, შეინარჩუნა ქრისტიანული რწმენა. მაშინ შაჰ აბასმა შესთავაზა კონსტანტინეს, მამამისი ალექსანდრე და მისი ძმა დავითი სპარსეთში მიეწვია, მოეკლა ისინი, აღედგინა თავისი კანონიერი უფლება ივერიის ტახტზე, სახლში ლაშქრით დაბრუნებულიყო და თავისი მიწაწყლის დაპყრობის შემდეგ ცოლად შეერთო მისი ძმის ქვრივი, ქეთევანი. კონსტანტინე დათანხმდა შაჰის წინადადებას და მამა და ძმა სიცოცხლეს გამოასალმა, რის შემდეგაც შაჰ აბასს მოუხდა იმ ქართველ მეომართა დაშოშმინება, რომელნიც თან ახლდნენ სპარსეთში ალექსანდრესა და დავითს. შაჰმა ეს იმით მოახერხა, რომ ოჯახური კონფლიქტი ზედმეტ ღვინის სმას გადააბრალა. ამის შემდეგ კონსტანტინე ივერიის დასაპყრობად გაეშურა არამარტო იმ 4 ათასი მეომრით, რომლებიც მამამისსა და მის ძმას ახლდნენ სპარსეთში, არამედ ასევე დამატებით 15 ათასი სპარსი მებრძოლით. ქეთევანმა, რომელიც წინასწარ იყო ინფორმირებული ამ ლაშქრობის შესახებ, შეჰყარა 10-დან 12 ათასამდე მეომარი და თავისი ჯარი იმ ვიწრო გასასვლელში განალაგა, რომელიც კონსტანტინეს უნდა გაევლო ივერიაში მოსახვედრად. როცა მათი შეხვედრა შედგა, ქეთევანმა გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, თუ რაში სჭირდებოდა კონსტანტინეს იმ მიწაწყლის დაპყრობა, რომელიც მას ისედაც კანონიერად ეკუთვნოდა, და ისიც მიანიშნა, რომ შეიძლებოდა მისი ცოლიც გამხდარიყო. კმაყოფილი კონსტანტინე თავის ჯარს უბრუნდებოდა, როცა ქეთევანის მეომრებმა მას ზურგში ისარი ესროლეს. სპარსელებსა და გაერთიანებულ ქართულ ჯარს შორის მძვინვარე ბრძოლა გაიმართა, რომლის დროსაც ქართველებმა სპარსელებს თითქმის მთლიანად გაავლეს მუსრი. შაჰ აბასმა ამ მოვლენით გამოწვეული მრისხანება დამალა და უფლისწული თამარასიც კი დააბრუნა ივერიის სამართავად, თანაც ქეთევანს შესთავაზა, მისი ვაჟი რაც შეიძლებოდა სწრაფად დაექორწინებინა. დაუჯერა რა შაჰ აბასის ნათქვამს, რომ მან სამართლიანად იძია შური ქმრისა და მამამთილის მკვლელობისათვის და ივერიას ახლა შეეძლო სპარსეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრება, ქეთევანი სარძლოს ძებნას შეუდგა. შეარჩიეს ტეფლისელი სადედოფლო და ახალგაზრდა ქალიც დათანხმდა თამარასს მითხოვებოდა, მაგრამ ალოვასამ, ტეფლისის მმართველმა, ამავე ქალის ცოლად შერთვა მოიწადინა, რამაც დიდი ქიშპი გამოიწვია. სასძლომ, რომელსაც სურდა თამარასს მისთხოვებოდა, მაგრამ ამავე დროს ვალდებულებები გააჩნდა ალოვასას წინაშე როგორც მის ქვეშევრდომს, თავი ციხესიმაგრეს შეაფარა და გამოაცხადა, რომ იმ უფლისწულს მისთხოვდებოდა, რომელიც მას ბრძოლით მოიპოვებდა. აბასმა მარჯვედ ისარგებლა ამ ვითარებით და ფარულად ორივე მხარეს აქეზებდა და მხარს უჭერდა. ბრძოლის დღეს ალოვასამ წერილი გაუგზავნა თამარასს, სადაც იგი სინანულს გამოთქვამდა, რომ მათი დაპირისპირება დაასუსტებდა ქრისტიანულ სამეფოებს ისედაც ძლევამოსილი მაჰმადიანი მეზობლების სახეიროდ. იგი განმარტავდა, რომ ბრძოლაში მხოლოდ შაჰ აბასის პირადი მოთხოვნით ებმებოდა და არა მხოლოდ — ქალის სიყვარულის გამო. რამდენადაც შაჰ აბასისაგან მხარდაჭერის პირობა თამარასსაც ჰქონდა მიღებული, იგი მიხვდა, რომ შაჰ აბასი ორმაგ თამაშს თამაშობდა და, ამდენად, აჯობებდა, თუ ორივე უფლისწული დაპირისპირებას თავიდან აიცილებდა და კონფლიქტს მშვიდობიანად მოაგვარებდა. თამარასმა შეირთო პრინცესა და ორივე სამეფომ უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარა თურქეთთან. შაჰ აბასის გასამასხრებლად სულთანმა სპარსეთს ელჩი გააგზავნა, რათა მას შაჰ აბასთან გაერკვია, ქართული სამეფოები თურქეთისაკენ იხრებოდნენ თუ სპარსეთისაკენ. შაჰ აბასმა, რომელმაც არაფერი იცოდა ახალი თურქულ-ქართული ალიანსის შესახებ, მათი ერთგულების დასამტკიცებლად ორივე უფლისწულს ჯარების სპარსეთში გაგზავნა მოთხოვა. მათმა უარმა, რაც ქართულ სამეფოთა პოზიციას ცხადჰყოფდა, შაჰ აბასი ძალიან დაამცირა და მან გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ დაეპყრო საქართველო. ალოვარდ ხანი (Alovard) და ყორჩიბაში (Courchi Bachi; გრიფიუსთან — Curtzi Bassi), ის მრჩევლები,

რომელთაც ურჩიეს შაჰს პირადად არ მიეღო მონაწილეობა ამ დაპყრობით ლაშქრობაში, სასტიკად დაისაჯნენ: პირველი მათგანი შაჰმა მოაწამვლინა, მეორე კი გაამათრახებინა, ხოლო მისი ცოლისათვის თითები მოაგლეჯინა. ამის შემდეგ აბასი ივერიისაკენ გაეშურა. მას ქეთევანი დახვდა იმავე ვიწრო გასასვლელში, სადაც კონსტანტინე მოკლეს. ამასობაში თამარასმა და მისმა ცოლმა ტეფლისს შეაფარეს თავი. ქეთევანის დანახვაზე შაჰ აბასმა რისხვა დაიცხრო და დედოფალს გაუმიჯნურდა, თანაც არწმუნებდა, რომ საქართველოს საფრთხე არ ემუქრებოდა და მოითხოვდა, ორმოცდაათი ქართველი დიდებული გამოცხადებულიყო მასთან ზავის დასადებად. დიდებულები მართლაც ეახლნენ შაჰს, თუმცა ისინი წვეულებაზე ამოხოცეს, დედოფალი კი დაატყვევეს. თამარასის ძიებაში აბასი ტეფლისს მიადგა. როცა მის შესახვედრად ალოვასა და მეურაბი გაეშურნენ, შაჰმა ორივე დაატყვევა. აბასმა საქართველოს სამეფო დინასტიის უფროსი მემკვიდრე, რომელიც ისლამზე მოქცეულიყო, საქართველოს ახალ მმართველად დანიშნა. ალოვასა და მეურაბი, ამ უკანასკნელის ცოლსა, ვაჟსა და ასულთან ერთად ტყვედ წაასხეს სპარსეთში. იქ აბასმა მოწამლა ალოვასა და, უხვი დაპირებებით დაიყოლია მეურაბი, ისლამი მიეღო, მაშინ, როცა მეურაბის ცოლსა და შვილებს მეურაბისავე თანდასწრებით ნამუსი აჰხადა. როცა მეურაბის გამაჰმადიანებიდან კარგა ხანი გამოხდა და შაჰ აბასი უკვე დარწმუნდა, რომ მისი ბოლომდე ნდობა შეიძლებოდა, შაჰმა შესთავაზა მას სათავეში ჩასდგომოდა უზარმაზარ არმიას, რომელსაც საქართველოზე უნდა გაელაშქრა ორი მიზნით: 1. თან ხლებოდა შაჰის ასულს, რომელიც ცოლად უნდა გაყოლოდა ადგილობრივ მარიონეტ მმართველს; 2. ქართველებზე შურის საძიებლად მათგან მოყენებული შეურაცხყოფებისათვის შეეპყრო ყველა ქრისტიანი, გაეშიშვლებინა ისინი და ერთმანეთზე ჯაჭვით გადაბმულნი წაესხა სპარსეთს, სადაც ისინი ასეთი არჩევანის წინაშე დადგებოდნენ — ან გამაჰმადიანება ან სიკვდილი. მეურაბი, რომელმაც არ იცოდა, რომ შაჰ აბასმა მისი მოკვდინების ბრძანებაც გასცა, გაუძღვა ლაშქარს საქართველოსაკენ, სადაც იგი ახსოვდათ კარგი მმართველობისათვის და ამიტომაც გულღიად და ხელგაშლით დახვდნენ. მეურაბმა პირობა მისცა ქართველებს, რომ მათ ზიანს არ მიაყენებდა და ამიტომაც განრისხდა, როცა ერთ-ერთმა სპარსმა სარდალმა რამდენიმე ქართველი დიდებული მოკლა. შეიტყო რა, რომ სპარსი სარდალი შაჰის ფარული ბრძანებით მოქმედებდა, მეურაბი მიხვდა, რომ თვითონაც შეიძლებოდა აღმოჩენილიყო შაჰის ასეთი ორმაგი თამაშის მსხვერპლი. ამიტომაც მან შაჰის ბრძანება ქრისტიანების გადასახლებასთან დაკავშირებით ქართველ დიდებულთა ერთ ჯგუფს გაანდო და მათთან ერთად სპარსელთა განადგურების გეგმაც შეიმუშავა. მეურაბმა გეგმა წარმატებით აღასრულა და შაჰს წერილი გაუგზავნა, სადაც იგი ორპირობაში დაადანაშაულა, საკუთარი თავი კი ღვთის სამართლის აღმასრულებელ იარაღად გამოაცხადა, რომელსაც უნდა დაესაჯა იგი მის უზნეო ქმედებათათვის. აბასი უკიდურესად გაამძვინვარა მოვლენათა ასეთმა განვითარებამ, მაგრამ იძულებული გახდა ხელი აეღო ქართველ ქრისტიანთა ჩაგვრაზე და საქართველოსთვის თავი დაენებებინა. საქართველოში მეურაბმა სპარსი სარდლების მოკვეთილი თავები სარებზე წამოაგებინა და წვეულებაზე შემოატანინა, სადაც თითოეული თავი გაკიცხა სადღეგრძელოებში მათ მიერ ჩადენილ ბოროტ საქმეთა გამო. მეურაბმა შეუთვალა თამარასს, დაბრუნებულიყო და საქართველოს მმართველობა ხელში აეღო, მაგრამ დევნილობაში მყოფი უფლისწული მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდა, რაც მეურაბის შემოთავაზების გულწრფელობაში დარწმუნდა. მაშინ მეურაბი თამარასთან ერთად კონსტანტინოპოლს გაეშურა და სულთანს მოკავშირეობა შესთავაზა. მეურაბი თურქეთში დარჩა და თურქებს ეხმარებოდა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. სენ-ლაზარი თავის მონათხრობს ამთავრებს ვრცელი აღწერით იმ ამბისა, თუ როგორ შეეცადა თამარასი ტყვეობიდან გამოეხსნა დედა, რაშიც მას რუსეთის ელჩიც უწყობდა ხელს, გადმოგვცემს მამაცი დედოფლის სულიერ სიმტკიცეს და მის მოწამებრივ აღსასრულს.

სენ-ლაზარის ისტორიულ ცნობებში ასახული ზემომოყვანილი ყველა მოვლენა გვხვდება ან თვით გრიფიუსის დრამატულ ტექსტში, ანდა „ქეთევან ქართველისათვის“ თანდართულ შენიშვნებში. დრამატურგის მისწრაფება ისტორიული სიზუსტის დაცვისაკენ ნათლად წარმოაჩენს მის მრწამსს, რომ რეალურ ისტორიულ მოვლენებში თავს იჩენს თეოლოგიური პრინციპები და მეტაფიზიკური ჭეშმარიტებანი. სნორედ ქეთევან დედოფლის ცხოვრებასა და მოწამებრივ აღსასრულთან დაკავშირებული კონკრეტული მოვლენების ამ მეტაფიზიკურმა საზრისმა შთააგონა გრიფიუსს, შეექმნა დრამატული ნაწარმოები.

მხატვრული დრამატიზაცია და მეტაფიზიკური ჭეშმარიტების გამოთქმა

გრიფიუსი თავისი პირველი დრამის Leo Armenius-ის შესავალს მიზნების შემდეგნაირი ფორმულირებით იწყებს: „რამდენადაც მთელი ჩვენი ერი საკუთარ თავს თავისსავე ფერფლში იმარხავს და ამაოების თეატრად გადაქცეულა, მე ვალდებულად ვრაცხ თავს, წარმოგიდგინოთ ადამიანურ საქმეთა წარმავალობა ამ და რამდენიმე მომდევნო ტრაგედიაში.“ ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ „ქეთევან ქართველი“ იწყება მარადისობის ფიგურის დაშვებით ზეციდან მოკვდავთა სცენაზე (Theatrum Mundi), რათა მოკვდავთ აუწყოს ამსოფლიური ყოფის ამაოების შესახებ (Vanitas Mundi), რითაც პიესა იმთავითვე იმ მეტაფიზიკურ ჭეშმარიტებას გამოხატავს, რომელსაც აუდიტორია ქეთევან დედოფლის მარტვილობის დრამატიზაციის საშუალებით უნდა ეზიაროს. მარადისობა აფრთხილებს აუდიტორიას, რომ ამქვეყნიური არსებობა ამაოა, ადამიანის ყოველი მისწრაფება განდიდებისაკენ კი — ილუზორული და ფუჭი, რის მაგალითადაც იკაროსის ამბავი მოჰყავს. ორივე — ტრაგედიის გმირი, დედოფალი ქეთევანი და ტირანი შაჰიც — ძალაუფლების უკუღმართობათა მსხვერპლი ხდება გრიფიუსის დრამაში, მაგრამ საბოლოოდ ისტორიულ მოვლენათა პოეტისეული რელიგიურ-პოლიტიკური ინტერპრეტაცია განსაზღვრავს იმ როლებს, რომლებსაც პოეტი მათ მიაკუთვნებს. ქეთევანი თმობს ტახტს, ქვეყანასა და სიცოცხლეს თავისი რელიგიური და პოლიტიკური მრწამსისათვის, მაგრამ ამგვარი ლუთერისებური ქრისტიანული თავისუფლების გამოვლენით იგი წამებულის, მარტვილის სტატუსამდე მაღლდება. აბასი, რომლის ცეცხლოვანი ვნება და თვითდისციპლინის ნაკლებობა ამქვეყნიურ უკონტროლო, ტირანულ ძალაუფლებას განასახიერებს, ათვალსაჩინოებს ნებისმიერი იმ ქმედების ამაოებას, რომელიც უგულებელჰყოფს და არღვევს ღვთიურ და ადამიანურ კანონს, ვინაიდან იგი სცენას ტოვებს როგორც ღვთაებრივი შურისგებისა და ადამიანთა ზიზღის საგანი. როცა მარადისობა ამ წარმავალი სამყაროდან თავის მარადიულ ზეციურ საუფლოში ბრუნდება, იგი აჯამებს სანიმუშო ღვაწლსა და გამარჯვებას ქეთევან დედოფლისა, რომელმაც გმირულად გაუძლო ამქვეყნად მისთვის მოვლენილ განსაცდელს და მარადიულ დიდებას ეზიარა:

მშვიდობით, მოკვდავთა თეატრო!
მე ისევ ავმაღლდი ჩემს ტახტზე.
ღირსეული დედოფალი მე თან მომყვება;
ის უკვე ჭვრეტს უფრო მაღალ საუფლოს,
ის ბორკილებშიც თავისუფალი იყო და არ იყო
მიჯაჭვული მიწიერ საგნებს,
იბრძოდა და იტანჯებოდა ეკლესიისთვის,
ტახტისათვის, ქვეშევრდომთათვის.
თქვენც, ვინც ასეთივე მაღალი იდეალებით ცხოვრობთ,
გძულდეთ მასავით ის, რაც წუთისოფელში ხდება,
მასავით უდრეკად გაიღეთ სისხლი,
იცხოვრეთ და მოკვდით ღვთისათვის,
ღირსებისათვის, მამულისათვის.
(I, 81-88) [5]

ტირან შაჰ აბასის საპირისპირო ბედი აფრთხილებს აუდიტორიას, თუ რა საშინელება დაატყდება თავს მას, ვინც უგულებელჰყოფს მორალურ კანონს, რელიგიურ ტოლერანტობას თუ პოლიტიკურ თავისუფლებას, რადგანაც იგი დაგმობილი იქნება როგორც ღვთის, ასევე კაცთა მიერ. შაჰის მიერ მოკლულ უფლისწულთა ქორო მიმართავს ღმერთს, განაჩინოს ღვთიური სამართალი და შური იძიოს შაჰზე:

ო, მსაჯულო ამ სამყაროსი! ნუგეშო უფლისწულთა!
რამდენ ხანს უნდა იცადო კიდევ?
დროის ჯიბრზე, ჯიბრზე ღვთაებრივი სამართალისა,
სისხლისმსმელი კვლავ არხეინად, მორჭმით ზის ტახტზე.
ნუთუ, უფალო, არ გაიღვიძებ,
რომ ბოლო მოუღო მის სისასტიკეს და მძვინვარებას?
ნუთუ შურს არ იძიებ ჩვენი მოკვდინებისთვის?
ნუთუ სამართალს აღარ განაჩენ?
ნუთუ ამდენი ტანჯვა-წამება
შენს გულს აღარ ეკარება, დიდო მსაჯულო?
ნუთუ დაუშვებ, რომ ერთი კაცის ნებასურვილით
მთელი სამეფოები ჩაიხრჩოს სისხლში?
შური იძიე, დიდო მსაჯულო!
გამოიღვიძე! მაღალო ღმერთო, გამოიღვიძე!
გამოიღვიძე! გამოიღვიძე!
იძიე შური! იძიე შური! იძიე შური!

(II, 401-416)

ფინალურ სცენაში ნაჩვენებია ქეთევანის სიკვდილით დასჯის შემდეგ შიშით შეპყრობილი და გონარეული შაჰ აბასი — ეს არის, ალბათ, პერსონაჟის ემოციების ყველაზე დამაჯერებელი და რეალისტური აღწერა გრიფიუსის მთელს ორიგინალურ (ანუ, არა ისტორიული წყაროებიდან ადაპტირებულ) დრამატურგიულ შემოქმედებაში. შაჰის სინდისის ქენჯნა და გაუზიარებელი ვნება გარდაცვლილი დედოფლისადმი იწვევს აჩრდილის გამოჩენას, რომელიც გმობს მას და უწინაწარმეტყველებს დიდ უბედურებას მიწიერ ცხოვრებაში და მარადიულ წყევლას სიკვდილის შემდეგ:

ტირანო! ზეცა ესწრაფვის შენს განადგურებას.
უფალი შეისმენს უმანკოდ დაღვრილი სისხლის ღაღადს.
შენი დაფნის გვირგვინი დაჭკნება!
შენს დაპყრობებს ბოლო მოეღო.
შენი ფუჭი დიდება გაქარწყლდება! სიკვდილი უკვე მოიწევს
შენკენ, წყეულო. და მაინც, ვიდრე მოკვდები,
შენ იხილავ შენს სპარსეთს ომის ქარცეცხლში გახვეულს,
შენს სახლეულს კი — განხეთქილების შხამით მოწამლულს,
ვიდრე, ჩვილთა მკვლელო და სისხლის აღმრევო,
აუტანელო მტერთათვისაც, მეგობრისთვისაც, შენს სიცოცხლეს,
საშინელი ჭირით შემუსრულს, გადააბარებ მსაჯულს ყოველთა.

(V, 431-40)

სენ-ლაზარის ისტორიული ნარატივის გრიფიუსისეული მხატვრული ინტერპრეტაცია იმ მორალურ იმპერატივს ეფუძნება, რომელსაც დრამატურგი ფრანგი მემატიანის ისტორიულ ქრონიკაში ხედავს. გრიფიუსის თვალსაზრისით, ეს არის დიამეტრული ოპოზიცია, შეურიგებელი წინააღმდეგობა ქეთევანის მარტვილობასა და შაჰ აბასის მარადიულ წყევლას შორის. „ქეთევან ქართველში“ ამ მორალური იმპერატივის მხატვრული ხორცშესხმით დრამატურგი აფრთხილებს მაყურებელს, რომ საკუთარ ცხოვრებას უჭვრიტოს sub specie aeternitatis. ამ მიზნის მისაღწევად ავტორი მიმართავს ენის სიღრმისეულ შრეებს, იყენებს მხატვრულ სახეებს, ტექნიკასა და ნოვატორულ დრამატულ ფორმებს, რომელთა წყალობითაც „ქეთევან ქართველმა“, ისევე როგორც გრიფიუსის სხვა ორიგინალურმა ტრაგედიებმა, ადგილი დაიმკვიდრა როგორც მე-17 საუკუნის გამორჩეულმა ლიტერატურულმა მიღწევამ გერმანიაში. დღევანდელი თვალთახედვით ეს დრამა წარმოადგენს მე-17 საუკუნის ლიტერატურული ფორმების ერთგვარ კომპენდიუმს, რომელშიც მხატვრულადაა ხორცშესხმული 30-წლიანი ომით გაპარტახებულ და დაქუცმაცებულ გერმანიაში გავრცელებული იდეები და წარმოდგენები ისტორიის, გეოპოლიტიკის, რელიგიური და სოციალური/მორალური საკითხების შესახებ. გრიფიუსის თანამედროვენი ადეკვატურად აღიქვამდნენ ავტორის ძირითად სათქმელს — ტრაგედიის მაშინდელი მრავალრიცხოვანი დადგმები მის ადრეულ პოპულარობაზე მიანიშნებს. პირველი წარმოდგენა საზოგადოებას შესთავაზა ჯოლიფოუსის მოგზაურმა თეატრალურმა დასმა (Jollifous' traveling theatrical company) კიოლნში (1651), და ამავე დასმა ეს წარმოდგენა ისევ გაიმეორა ერთი წლის შემდეგ ფრანკფურტში. 1655 წელს ტრაგედია დაიდგა სამეფო კარისათვის ვოლჰაუში: იმ დროს დაბეჭდილი სამახსოვრო გამოცემა შეიცავს რვა საილუსტრაციო გრავიურას, რომლებიც დრამის სხვადასხვა სცენას ასახავს. გრიფიუსს განზრახული ჰქონდა, რომ მისი პიესა დაედგათ მშობლიური სილეზიის სკოლებში. ჩვენთვის ცნობილია, რომ წარმოდგენა გაიმართა კიდეც ბრესლაუს გიმნაზიაში (lisabeth Gymnasium of Breslau) 1659 წლამდე, ვინაიდან პოეტი ახსენებს ამ დადგმას მისი დრამის Papinianus ლათინურ მიძღვნაში, რომელიც სწორედ 1659 წელს გამოქვეყნდა. ჰალეს გიმნაზიის ასი წლის იუბილე პოეტის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, 1665 წელს, „ქეთევან ქართველის“ დადგმით აღინიშნა.

გრიფიუსის მეორე „სევდიანი პიესის“, **„ქეთევან ქართველი“**, ჩემეული ინგლისური თარგმანი, რომელიც მალე გამოქვეყნდება, იწვევს მკითხველს გერმანული ბაროკოს დრამის უნიკალურ სამყაროში. გრიფიუსი სპირიტუალური კონცეპტების ილუსტრირებას იმ ფაქტობრივ ისტორიულ მოვლენებზე დაკვირვებით ახდენდა, რომლებსაც გულდასმით არჩევდა მეტაფიზიკური ჭეშმარიტების გამოსახატავად. ჩემს თარგმანს საფუძვლად უდევს ტრაგედიის 1663 წლის რედაქტირებული გამოცემა. იმედი მაქვს, რომ ეს თარგმანი საიმედო გზამკვლევი აღმოჩნდება გრიფიუსის მხატვრულ სამყაროში მათთვის, ვინც არ იცის გერმანული ენა, და მათთვისაც, ვისთვისაც მიუწვდომელია მე-17 საუკუნის გერმანული. მიუხედავად იმისა, რომ გრიფიუსი ამაღლებული ალექსანდრიული სალექსო საზომითა და მყარი რითმული სქემებით ორიგინალის ტექსტს მძლავრ დინამიკას ანიჭებს, ჩემი ღრმა რწმენით, თავისუფალი ლექსიც ბუნებრივად გადმოსცემს ორიგინალის სათქმელსა და ტონალობას.

ინგლისურიდან თარგმნა
ირაკლი ცხვედიანმა

1. აშკარაა, რომ „ტეფლისში“ მთხრობელი ქართლს გულისხმობდა, ხოლო „ივერიაში“, იგივე „გურჯისტანში“, კახეთს (ეს და ყველა სხვა შენიშვნა ეკუთვნის ამ სტატიის მთარგმნელს).

2. მემატიანე გულისხმობს სიმონ I-ს, (1537-1603; ქართლის მეფე 1556-69 და 1578-99 წლებში), ხოლო „ალოვასაში“ უნდა იგულისხმებოდეს ლუარსაბი, რომელიც სინამდვილეში სიმონის შვილიშვილი და მეფე გიორგი X-ის ვაჟი იყო (და არა სიმონის მეორე ვაჟი ლუარსაბი, რომელიც არასოდეს ყოფილა ტახტის მემკვიდრე), შემდგომში მეფე ლუარსაბ II (1592-1622; ქართლის მეფე 1606-15 წლებში).

3. სინამდვილეში, სიმონის დატყვევების შემდეგ, 1600 წელს ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი გიორგი (1560-1606; ქართლის მეფე 1600-1606 წლებში), ხოლო ლუარსაბი მხოლოდ გიორგი X-ის გარდაცვალების შემდეგ, 1606 წელს გამეფდა.

4. იგულისხმება კახეთის მეფის, ალექსანდრე II-ის შვილიშვილი, მეფე დავით I-ისა და ქეთევან დედოფლის ვაჟი, თეიმურაზი, შემდგომში მეფე თეიმურაზ I (1589-1663; კახეთის მეფე 1606-48 წლებში; ქართლ-კახეთის მეფე 1625-32 წლებში).

5. ამ სტრიქონების და პიესის სხვა პასაჟების პწკარედული თარგმანი ეკუთვნის სტატიის მთარგმნელს.

ვასილ კიკნაძე

გაუნელებელი სევდა

(შეხვედრები სერგო კლდიაშვილთან)

1956 წელი პოლიტიკური ცვლილებების ეპოქა იყო. პირველად საქართველომ დაიწყო მასობრივი რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაცია. ამ საქმეში ვასილ მჟავანაძეს დიდ წვლილი მიუძღვის.

ხალხი პირდაპირ შოკში ჩავარდა, იმდენი რამ გაიგო უსამართლობის შესახებ. რკინიგზელთა კლუბში გამართულმა სასამართლო პროცესმა (1955) ბევრ საიდუმლოს ახადა ფარდა. ეს იყო თბილისური „ნიურნბერგის პროცესი". არსებითად სტალინური სისტემის გასამართლება ხდებოდა. ნიკიტა ხრუშჩოვი თავად იყო დანაშაულებრივი სისტემის ნაწილი, მაგრამ შემდეგ ყველაფერი სტალინსა და ბერიას გადააბრალა. პროცესი თბილისში იმიტომ მოაწყო, რომ ქართველ ხალხს დაენახა, — რამდენი ათასი უდანაშაულო ქართველი გაანადგურეს სტალინმა და ბერიამ.

გამოჩენილ მწერალს ერიხ მარია რემარკს ეკუთვნის ცნობილი ფრაზა — „ერთი ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა, — მილიონისა — სტატისტიკა."

დღეს სტატისტიკურ, მშრალ ციფრად ჟღერს, როცა ვამბობთ, რომ საქართველოში რეპრესირებული იყო 250 ათასი კაცი. ეს განაცხადა სსრკ-ს გენერალურმა პროკურორმა რუდენკომ, თბილისში, რკინიგზელთა კლუბში გამართულ სასამართლოზე, რომელსაც მე ვესწრებოდი (საშვი ეროსი მანჯგალაძემ მომცა).

ერთ დღეს რუსთაველის თეატრში, ჩემს კაბინეტში შემოვიდა მწერალი სერგო კლდიაშვილი. ხშირად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. საინტერესო მოსაუბრე იყო, თუმცა ზოგჯერ ენას უკიდებდა. ფიზიკურად ჩემსავით კაფანდარა, გამხდარი, ფერმკრთალი კაცი იყო. რუსთაველის თეატრში 1937 წელს დაიდგა მისი პიესა „გმირთა თაობა" (რეჟ. კუკური პატარიძე). პიესა ეხებოდა რეპრესიების პერიოდს. „ხალხის მტრები", კონტრრევოლუციონერები, პატიოსან ადამიანებს აბეზღებდნენ. ადამიანები ერთმანეთს ეცილებოდნენ მხილებაში. რას არ უგონებდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. არ ვიცი, ბედის ირონია იყო თუ შემთხვევითობა, პიესაში ასახული ამბავი მწერლის ბიოგრაფიის ნაწილად იქცა. იმ დღეს, ჩემს ოთახში რომ შემოვიდა, ისეთი ამბავი გადახდენოდა, რომ ცოცხალ ადამიანს არ ჰგავდა, სახეზე მკვდრის ფერი ედო. ადგილს ვერ პოულობდა, ოთახში წრიალებდა. ვთხოვე დამჯდარიყო, არ დაჯდა, მეც ფეხზე ვიდექი. მხარზე ხელი მომხვია, საოცრად ნაღვლიანი თვალებით ისე მომაშტერდა, თითქოს რაღაც დიდ საიდუმლოს მიმხელდა და ჩემგან დახმარება უნდოდა.

— იცი, ახლა საიდან მოვდივარ?!

— საიდან, ბატონო სერგო?

— იქიდან!.. — ხელი გაიშვირა ძერჟინსკის ქუჩისკენ.

ძერჟინსკის ქუჩაზე „კაგებე" იყო. ყველას უსიამოვნო შეგრძნება ჰქონდა, ვინც ამ ქუჩაზე გაივლიდა. მართალია, მაშინ უკვე სიტუაცია შეცვლილი იყო, მაგრამ ინერციას ხომ დიდი ძალა აქვს!...

— რა გინდოდათ იქ?...

— დამიბარეს, მაჩვენეს დოკუმენტი, რომელ დღეს დამხვრიტეს...

„თბილისური ნიურნბერგის" პროცესზე იმდენი ტრაგიკომიკური ამბავი მოვისმინე, რომ ეს აღარ გამკვირვებია, მაგრამ როგორ გადარჩა?..

ბატონმა სერგომ მიამბო:

მის დასაჭერად მისულან სახლში. სახლი დაკეტილი დახვდათ, სერგო სოფელ სიმონეთში ყოფილა წასული. ჩეკისტები დასაჭერად მისულან, მაგრამ რადგან სერგო არ დახვდათ, გეგმის შესასრულებლად ქუჩაში სტაცეს ხელი ვიღაც უცნობს, ჩააგდეს მანქანაში და სერგო კლდიაშვილის სახელით დაიჭირეს... ციხეებში თურმე ახალი პატიმრისათვის ადგილი აღარ იყო. ახლად დაჭერილი „ხალხის მტერი" იმავე ღამეს დახვრიტეს.

— მომილოცავს, ბატონო სერგო, ნაჩუქარი წლებით გიცხოვრიათ, — ვუთხარი თანაგრძნობით, მაგრამ ერთობ ზერელე იყო ტრაგიკული მოვლენისადმი ჩემეული დამოკიდებულება. იმწუთას სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, რა უნდა მეთქვა, ისე იყო ბატონი სერგო დამწუხრებული.

— ვასო, როგორ უნდა ვიცხოვრო, ჩემს გამო უდანაშაულო კაცი დახვრიტეს, ვინ იცის, რამდენი ადამიანი გაუბედურდა, ცოლი, შვილები... ვინ იცის...ვერასოდეს გავიგებ...

— იქნებ კარგიც არის, რომ არ იცით, — ვითომ ტკივილის შესამსუბუქებლად ვთქვი.

— არა, ოჯახს მხარში ამოვუდგებოდი, დავეხმარებოდი...

ვიგრძენი, ბ-ნი სერგო ფეხზე ძლივს იდგა. ვთხოვე და დაჯდა. სიტუაციის განსამუხტავად სერგოს ვუამბე „თბილისური ნიურნბერგის" პროცესზე გაგონილი ერთი კომიკური ამბავი:

საშინლად ნაწამებ მიხეილ ჯავახიშვილს მოსთხოვეს დაესახელებინა თანამოაზრეები. ერთ-ერთ თანამოაზრედ თურმე გიორგი სააკაძე დაასახელა.

— სად ცხოვრობს? — ჰკითხა გამომძიებელმა

— ქარელის რაიონში...

გამონერეს გიორგი სააკაძის დაპატიმრების ორდერი, ეძებდნენ ქარელის რაიონში.

— ბ-ნო სერგო, ხომ შეიძლებოდა ვიღაცას მართლა რქმეოდა გიორგი სააკაძე?..

ამით ვცდილობდი დიდი დავით კლდიაშვილის ვაჟისათვის, ნაღდი მწერლისათვის როგორმე შემემსუბუქებინა ტკივილი!..

ეს ამბავი ბ-ნმა სერგომ თურმე იზა ორჯონიკიძესაც უამბო, როგორც იზამ მითხრა.

თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა „ლიტერატურულ გაზეთში" გამოვაქვეყნე ვრცელი სტატია „საკოლმეურნეო სოფელი და ძველი წისქვილის იდილია". წერილს ასეთი სათაური გაზეთის რედაქტორმა გიორგი ნატროშვილმა გაუკეთა. დღესაც მიკვირს, საზოგადოებისათვის სრულიად უცნობ, პირველი კურსის სტუდენტს გაზეთის ნახევარი გვერდი როგორ დამითმო. წერილი პირველად ჩემს ჯგუფელ მეგობრებს ნ. გურაბანიძეს და თ. ჯანელიძეს წავუკითხე. გულუბრყვილობა ეგონათ, რომ წერილი დაიბეჭდებოდა. იმ წერილის დაბეჭდვის შემდეგ პარასკევი გამორჩეული, სასიამოვნო მოლოდინის დღე გახდა.

კრიტიკულმა წერილმა უცებ ბევრი მწერალი დამაახლოვა.

ხშირად მაგონდება ბესო ჟღენტის ნათქვამი: საქართველოში კრიტიკა უფრო ადვილია, ვიდრე ქება. ვისაც აკრიტიკებ, ის ერთია ნაწყენი და სხვები გახარებულები, ხოლო ვისაც აქებ — ის ერთია გახარებული და სხვები ნაწყენი.

ალბათ ამიტომ მაქებდნენ. ამის შემდეგ, სტუდენტობის წლებშივე მე და ჩემმა მეგობარმა ალეკო შალუტაშვილმა გავბედეთ და ჩემთვის დღემდე გაუგებარი „პრინციპულობა" გამოვიჩინეთ. რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა რეჟისორს აკაკი დვალიშვილს, რომელიც თეატრალურ ინსტიტუტშიც მუშაობდა, ვუთხარით, რომ მისი სპექტაკლის (სერგო კლდიაშვილი, „დღესასწაული საკრაულაში") გაკრიტიკებას ვაპირებდით.

არ ვიცი, რა იყო ეს, — ახალგაზრდული რადიკალიზმი, თავის გამოჩენის სურვილი თუ უტაქტობა. აკაკის კარგად ვიცნობდით, მაშინ ინსტიტუტი პატარა იყო, პედაგოგებსა და სტუდენტებს მეგობრული ურთიერთობა გვქონდა.



სერგო კლდიაშვილი

აკაკი დვალიშვილმა გვითხრა: დაწერეთ სპექტაკლზე, მაგრამ პიესის ავტორს ნუ გააკრიტიკებთო.

ასეც მოვიქეცით. აკაკი კეთილშობილი და ჭკვიანი კაცი იყო და მთელი ცხოვრება ვემადლიერები მარტო ამ ფაქტის კი არა, მისი მეგობრობის, მუდმივი თანადგომის გამო. ეს კი მხოლოდ ერთი დეტალია, რომელიც ხშირად მაგონდებოდა სერგო კლდიაშვილთან შეხვედრის დროს, თუმცა სპექტაკლის კრიტიკა, — „ცხოვრებას მოწყვეტილი", განა პიესასაც არ ეხებოდა?

რუსთაველის თეატრში დაიდგა სერგო კლდიაშვილის პიესები: „გმირთა თაობა", „გრაფის ქვრივი", „შემოდგომის აზნაურები".

1956 წლიდან დიდი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები დაიწყო საბჭოთა კავშირში. მასობრივი რეპრესიების დროს დასჯილი ხალხის რეაბილიტაცია ყველას შეეხო. ხალხმა ცოტათი ამოისუნთქა. საბჭოთა კავშირმა აღიარა, რომ დაშვებული იქნა დიდი შეცდომები. მართალია, ნ. ხრუშჩოვმა რეპრესიები მარტო სტალინსა და ბერიას გადააბრალა (თავადაც აქტიურად მონაწილეობდა!), მაგრამ კომუნისტური პარტიის დიდი შეცდომების აღიარება თავისთავადაც პროგრესული მოვლენა იყო. ამიტომ უწოდებენ ამ პერიოდს „დათბობის" ეპოქას.

რეპრესირებული რეჟისორი კუკური პატარიძე ახალი მოსული იყო რუსთაველის თეატრში, როცა გავიცანი. მელოტი თავი ჰქონდა. თავზე წარამარა ხელს იდებდა. შესამჩნევი იყო მისი ეს არაბუნებრივი ჩვევა. თეატრში გვიან გავიგეთ, რომ ეს პატიმრობის დროს თავში რტყმევის, წამების ნაკვალევი ყოფილა (ორჯერ იყო რეპრესირებული).

კუკური პატარიძემ 1936 წელს დადგა სერგო კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები". სპექტაკლი დაიდგა სანდრო ახმეტელის მოხსნისგან შექმნილ ურთულეს სიტუაციაში. დადგმა კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიის სულით იყო გაჟღენთილი. სცენაზე აზნაურების დაცინვასა და აბუჩად აგდებას მაყურებელი ტაშით ხვდებოდა. მთავრობამ და პრესამ აქტიურად დაუჭირა მხარი წარმოდგენას. საბჭოთა იდეოლოგიის მთავარმა ტრიბუნამ, გაზეთმა „პრავდამაც" ქებით მოიხსენია წარმოდგენა.

კუკური პატარიძე შემდეგ ორჯერ დააპატიმრეს, ერთხელ ფრანგული კულტურის პროპაგანდისათვის, თუმცა ფრანგი ავტორის არცერთი პიესა არ ჰქონდა დადგმული. კუკური პატარიძის თეატრში დაბრუნების შემდეგ, გადავწყვიტეთ (სალიტერატურო ნაწილის გამგედ ვმუშაობდი), რომ აღედგინა ოდესღაც წარმატებით დადგმული „შემოდგომის აზნაურები".

აღვადგინეთ, მაგრამ ხალხმა არ მიიღო, უკვე სხვა დრო იყო...

მაშინ დავუახლოვდი სერგო კლდიაშვილს. ხშირად მოდიოდა თეატრში. ჩემთვის პატივი იყო დიდი დავით კლდიაშვილის ვაჟთან, თავადაც მშვენიერ მწერალთან მეგობრობა. თეატრში ბატონი სერგოს ყოველი მოსვლა სიხარულს იწვევდა, თეატრისათვის ახლობელი ადამიანი იყო.

სერგო კლდიაშვილი ერთხანს რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრიც იყო. გავაკეთებინეთ მისი მშვენიერი რომანის „მყუდრო სავანე" ინსცენირება. პიესაზე ბევრი იმუშავა რეჟისორმა ლევან (რეზო) მირცხულავამ. ინსცენირებაზე მუშაობის პროცესში ჩემს ოთახში, თეატრთან ახლოს, სოლოლაკში ვხვდებოდით და გულდასმით ვიხილავდით თითოეულ სცენას, ჩასწორებულ ადგილებს უთანხმებდა ბატონ სერგოს. რეპეტიციები კარგად აეწყო, წარმოდგენას კარგი პირი უჩანდა. მართლაც, შეიქმნა სანტერესო აქტიორული სახები, კარგი იყო გურანდა გაბუნია, ლეილა აბაშიძე, განსაკუთრებით სერგო ზაქარიაძე, რომელიც პირდაპირ ზესტაფონელი რასტინიაკი (ბალზაკის ლოველასი გმირი) იყო. პროვინციელ მუსუს ზაქარიაძეს ეცვა მამლის ნისკარტივით წაწვეტებული, კაუჭა წითელი „აზიაცკები". როცა ქალს ეარშიყებოდა, უცებ გაახსენდებოდა, რომ ცალ ფეხზე არ ეცვა და ცდილობდა მის დამალვას. ვირტუოზული ოსტატობით აკეთებდა ზაქარიაძე, დარბაზი ყოველთვის ტაშით აჯილდოებდა.

თეატრი უცნაური სამყაროა, ზოგჯერ ვერ გაუგებ, რატომ მოსწონს მაყურებელს პრიმიტიული სცენა ან აშკარად დაშტამპული ხელოვნური გათამაშება. მაყურებლის ფსიქოლოგია ცალკე დიდი და რთული საუბრის თემაა.

„მყუდრო სავანემ" კიდევ უფრო დამაახლოვა ბატონ სერგოსთან. მის სახლშიც არაერთხელ ვყოფილვარ მიწვეული (თერთმეტსართულიანში ცხოვრობდა), შესანიშნავი მასპინძელი გახლდათ, ჩვენებური იმერული ხაზგასმული ყურადღებით.

თეატრის საბჭოს სხდომებს თითქმის არ გამოტოვებდა, აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა საკითხის განხილვის დროს. სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე" ჯერ არ დადგმულიყო, მხოლოდ დასადგმელ პიესათა რეპერტუარში იყო, მაგრამ სამხატვრო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, როცა დეკადისათვის მზადების საკითხი იხილებოდა, სერგო კლდიაშვილმა განაცხადა: დარწმუნებული ვარ, „ოიდიპოს მეფეს" წარმატება ექნებაო.

ასეც მოხდა. ღრმა არის შემოქმედის ინტუიცია, მითუფრო თეატრთან დაახლოებული მწერლისა.

სერგო კლდიაშვილი ურთიერთობებში რბილი კაცი იყო, ამიტომ გამაოცა, როცა ერთ-ერთ საბჭოს სხდომაზე შეებნენ დირექტორი პავლე კანდელაკი და თეატრალური ინსტიტუტის რექტორი ილია თავაძე. ილიას წესად ჰქონდა, საბჭოს სხდომაზე დირექტორის სიტყვის შემდეგ რაღაც უნდა ეთქვა, სიტყვაში გამოსულიყო. მოკლედ, თითქოს ილია აჯამებდა სხდომას. პავლემ ბევრი ითმინა, ითმინა და ბოლოს იყვირა: შენ თავი ისევ ცეკას მდივნად ხომ არ გგონიაო. ილია გაცხარდა. სერგო კლდიაშვილმა მხარი დაუჭირა პავლეს, სწორს ამბობსო. ამან სულ გადარია ილია და თქვა: მაშინ მე წავალ!...

ისე თქვა, დარწმუნებული იყო, სთხოვდნენ: არ წახვიდეო, მაგრამ არავინ ხმა არ ამოიღო. პავლემ კი უთხრა — მიბრძანდითო.

ილია წავიდა.

სერგო კლდიაშვილს დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდა. ჩვენს ურთიერთობაში ვერ ვგრძნობდი, თუ ჩვენს შორის ასეთი მნიშვნელოვანი განსხვავება იყო. მართლაც სანიმუშო გახლდათ სერგოს სისადავე.

ხშირად ვფიქრობ, რეჟისურის ახალმა თაობებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ XX საუკუნის ქართულ მწერლობას.

ემოციური შთაბეჭდილებები ხშირად დიდხანს რჩება ხსოვნაში.

ასე არ მავიწყდება სერგოს სევდიანი თვალები, როცა მის მაგიერ დახვრეტილ უცნობ კაცზე ლაპარაკობდა.

მართლაც, მისი გაუნელებელი სევდა იყო...

„აფხაზეთი. ლიტერატურა და ხელოვნება“ ასეა დასათაურებული ეს ორიგინალური წიგნი, რომელიც **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს** თაოსნობით გამოიცა, მისი შემდგენელ-რედაქტორი, ცნობილი ჟურნალისტი **ნატო კორსანტია** კი შესავალში აღნიშნავს კრებულის მიზანს: აფხაზეთის დაფანტული სულიერების მოკრება, ამ სულიერებით ანთებული, საქვეყნოდ აღიარებული პიროვნებების, განურჩევლად მათი ეროვნებისა, შემოქმედების თავმოყრა, შემოქმედებისა, რომელიც აფხაზეთის მზით, წყლითა და ჰაერით არის ნასაზრდოები.

კრებული მოიცავს რუბრიკებს: **ლიტერატურა (პოეზია, პროზა, დრამატურგია, კრიტიკა, ესეისტიკა, თარგმანები)**, **ფოლკლორი**, **კლასიკური** და **საესტრადო მუსიკა**, **თეატრი, კინო, მხატვრობა, კალიგრაფია**.

მოკრებილია მართლაც ზღვასავით ვრცელი მასალა და გაერთიანებულია აფხაზეთის მკვიდრ შემოქმედთა მონაგარის მასშტაბურ სურათად.

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ამ წიგნის წარდგინება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა და უძღვებოდა **ნატო კორსანტია**. მან პირველი სიტყვა გადასცა აარ-ს განათლებისა და კულტურის მინისტრს **დიმიტრი ჯაიანს**.

შეხვედრაზე წიგნში წარმოდგენილ თითოეულ სფეროზე შთამბეჭდავად ისაუბრეს მწერალმა და პუბლიცისტმა **მაკა ჯოხაძემ**, მწერალმა და მეცნიერმა **როსტომ ჩხეიძემ**, პუბლიცისტმა **იოსებ ჭუმბურიძემ,** ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა **თემურ ელიავამ**, მხატვარმა **რადიშ თორდიამ**.

დამსწრეთა წინაშე თავიანთი შემოქმედებით წარდგნენ წიგნში შესული მუსიკოს-შემსრულებლები: კომპოზიტორი **ზურაბ მჟავია**, რომლის სიმღერები — **„საქართველოს კარგად ყოფნა დამილოცე, ღმერთო“** და **„თბილისი იყო ურთიერთობა კეთილშობილთა ყრმათა“** შეასრულა მომღერალმა **მერაბ ვარდოსანიძემ**; მომღერალი **მიშო ელიავა** — კონსერვატორიის პროფესორის, სოხუმელი თემურ ელიავას ვაჟი; აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის სექსტეტი — **მარიამ პაჭკორიას**, **ნინა კოვზიაშვილის, ლელა გადრანის, თამარ ესებუას, ნონა კიკალეიშვილი-აქუბარდიასა** და **ელისაბედ თამაზაშვილის** შემადგენლობით; **ლადო ათანელის** სახელობის საერთაშორისო კონკურსის პირველი პრიზის მფლობელი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი **სალომე ჯიქია**, მომღერალი **დავით ჩაკაბერია**.

მაკა ჯოხაძე

იმედის კუნძული



როდესაც ადამიანს დიდი სულიერი სტრესი აქვს გადატანილი, მისი გული ან მთლიანად იხურება, ან სრულად იხსნება გარესამყაროსათვის. ასეთ დროს იგი ხედავს იმას, რასაც ყოფითობაში ჩართული, მოფუსფუსე ადამიანები ვერ აღიქვამენ.

აბსოლუტური გახსნილობა დიდხანს არ გრძელდება. დენის დარტყმას ჰგავს და დაახლოებით იმ ინტენსივობით მეორდება, საშინელი ჭექა-ქუხილის ჟამს ცა რომ გადაიხსნება და განათდება ბავშვობაში: მთელი არსებით გრძნობ, რომ იქ, ზევით, რაღაც დიიიდი საიდუმლო ხდება, რომელიც შენთვის ჯერჯერობით დაფარულია.

ჩვენმა შვილებმა ჩვენთან ერთად გადაიტანეს ეს სულიერი სტრესები, თავიდან სეისმური ბიძგებით დაწყებული და მიწისძვრებით დამთავრებული (დამთავრებული კი?!). ახალი თაობა დამფრთხალი და გაოგნებული უყურებდა ამ ეპოქალური ძვრებით შეშლილი სამყაროს ნაირ-ნაირ „გამოცხადებებს“, აქვე, ნაცნობი ქალაქის ქუჩებში, მოედნებზე...

მიუხედავად სასტიკი, მახინჯი ხილვებისა, მაინც მადლიერი რჩები, რომ დეპრესიის უძირო ჭაობმა მდორე, ხაოიანი თათით არ დაითრია, დასახრჩობად არ გაიმეტა მთელი თაობა. ბევრი გადარჩა, ბევრს აუხილა თვალი, გამოაფხიზლა. დაიმსხვრა ილუზია, რომ დედამიწაზე მოარული ადამიანები ერთმანეთს ვხედავთ, ერთმანეთს ვიცნობთ. სამაგიეროდ რაღაცაზე აშკარად მიგვანიშნა. უცნობი მოხაზულობით და მოულოდნელი ჩვენებებით უძველესი იეროგლიფებივით ნამდვილი გამოწვევა მოგვიწყო.

„ძალიან საინტერესო დროში გვიწევს ცხოვრება“. დღევანდელ საქართველოში ხშირად გამიგია ეპოქის შეფასების ეს „ინტელექტუალური“ დიაგნოზი.

ვისთვის საინტერესო, ვისთვის საბედისწერო. ვერაფერს იზამ. ზოგი ცხოვრებას როგორც თეატრს, ისე აღიქვამს და მაყურებლის სტატუსს იფერებს. ზოგიც გამუდმებით როლების ცვლაშია. ეს სიბრძნე კი არა მხოლოდ ასაკთან, გამოცდილებასთან ერთად მოდის.

არსებობენ ბუნებით იმთავითვე ადაპტირებული ადამიანები, რომელთაც ყველანაირ სიტუაციაში, ყველა დროში, ყველა რეჟიმში შესწევთ ლავირებისა და „გადარჩენის“ უნარი. მე მაინც მგონია, რომ ასეთი ადამიანები ეგოცენტრისტები არიან. მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ. უკეთეს შემთხვევაში, მათი ფიქრისა და ზრუნვის რადიუსი უახლოეს წრეს, ოჯახის წევრებს მოიცავს მხოლოდ. შემიმჩნევია — ასეთები ფრთხილები, მფრთხალები, ხშირად სასტიკები და შურისმაძიებლები არიან.

სხვას იქნებ ეპატიება კიდეც, მაგრამ ნამდვილი პოეტი (ხელოვანი) ვერ იქნება ვერც ფრთხილი, ვერც მფრთხალი. მისი გულის კარი ღიაა. ვინ არ შედის და გამოდის ამ კარში. ეს გული მიმღები და განმცდელია ყველაფრისა, რაც ირგვლივ სამყაროში, მის საცხოვრისში, მის სამშობლოში ხდება. ამიტომ არღვევს სიბრძნის კანონს — ოქროდ მონათლულ დუმილს. ამიტომ ვერ ეგუება უსამართლობას, უწესობას, ჩაგვრას, დაცინვას, ღირსების აყრას...

ერთი კია, ისეთი განცდა ჩნდება, რომ ამაზე აღარც ფიქრობენ და აღარც წერენ (იქნებ თავდაცვის ინსტინქტია?) დღეს და არა იმიტომ, რომ ამაზე ფიქრი და წერა რთული და სახიფათოა, ფილიგრანულ სიზუსტეს მოითხოვს და ე.წ. „ახალი ტალღის“ წარმომადგენლები საქმეს ციოლებენ, არამედ, უბრალოდ, თითქმის აღარ არსებობს საკუთარ თავში ჩაბრუნების აღარც სურვილი, აღარც ენერგია, დრო, მოთხოვნილება და, რაც მთავარია, ნ ე ბ ე ლ ო ბ ა.

ჩვენი ქვეყანა! — უხსოვარი დროიდან დარდთა შორის ყველაზე კეთილშობილი დარდი. არა მასშტაბისა და სიღრმის გამო, დროისა და სივრცის ნიშნებით დასეტყვილი აბსტრაქცია, არამედ კონკრეტული, ხელშესახები, პოეტის ფიქრით მოსავადებელი, თიხის სურაში ჩასხმული ბადაგი, ჩაღვრილი და შედედებული ჩვილის ტანში, მოხუცის ტორსში, რომელსაც ტაძარი უფრო ეთქმის, ვიდრე სხეული.

ჩვენი ქვეყანა ბიბლიური დატირებაა დაშრეტილი მადლის, დახოცილი შვილების, ფერწასული სინათლის სვეტის. პოეტის სევდა გამქრალი სიკეთის, დამშრალი ჭების, გაშავებული სულების, ძვლების, ტყვიისფერი მრუმე ზეცისა და ამღვრეული ნაკადულების გამო...

„როდემდე გაძლებს ასე მაინც? მაინც როდემდე?“ — აი, დარდი ნამდვილი პოეტის,

ჩვენი ქვეყანა! — ინდივიდუალური, კონკრეტული, ხელშესახები. „ახლები“ აღარ არიან ინდივიდუალურები, კონკრეტულები. ისინი უღიმღამო „თავგანწირვით“ ეთამაშებიან სიტყვებს და ზოგადობით ერთობიან.

მათი „აფეთქება“ საახალწლო შუშხუნებივით ერთჯერადი და სულმოკლეა, როგორც ყველაფერი ხმაურიანი, ამიტომ აღარ ხდება სიტყვათა შეუღლება, აღარ იბადებიან მათი შვილები: აზრები და მეტაფორები.

სამაგიეროდ, ჩნდება ტექსტები — ტრამალებივით გულის გამაწვრილებელი და ერთფეროვანი.

მეტაფორა პოეტის ხსოვნაა. ხსოვნა კი გამძიმებს, როცა წრეში ტრიალებ, როცა ერთ ადგილს ტკეპნი. უმეტაფორო პოეზია დავიწყებისთვისაა განწირული.

„ახლებს“ ეს აწყობთ, მათი ამბიცია კონფორმიზმზე შორს ვერ მიდის.

როცა არაფერი გახსოვს, ე.ი. როცა არაფერი იცი, უფრო იოლია ცივილიზაციის სახელით ახალი გვინეის აღმოჩენა თავის უცნობი ტომებით; მგრძნობიარე, ემოციური, ველური აბორიგენებით...

მეტაფორა პოეტის ღია ჭრილობაა.

ამიტომ ნებისმიერი განაკაწრი ცხვირში მუშტის ამორტყმასთან ასოცირდება და სისხლდენასავით საგანგაშოა.

ამიტომ ომში წასვლის სიხარული („ომში წასვლა მას უხარის...“), ანდა დუელით დაცული ღირსება ისეთივე ბარბაროსობაა მათთვის, ისეთივე შორეული და გაუგებარი, როგორც ლამანჩელის ქარის წისქვილები, როგორც სევდა გალაკტიონის „მოუნათლავი ბავშვები სკოლისკენ მიიჩქარიან“.

„ახლები“ აღარ ტირიან. ამაზე იზრუნეს. ცრემლი წამალივითაა, გული რომ მოალბოს. ამიტომ ეს წამალიც აკრძალულია.

გალობა მაღალი რეგისტრია. ცისკენ მიმავალი განზომილება. „ახლები“ გალობენ კი არა, ვეღარც კი მღერიან; ვეღარც იწყევლებიან, პრინციპში, სწორადაც იქცევიან.

თუ წყევლა იერემიას გოდებასავით თავზარს არა გცემს, სჯობს რომ დადუმდე. ჰოდა, უფრო ჭკვიანები დუმან.

პრაგმატული თაობა გასუსულია.

ხანდახან მაინც გამოუვლით და ე.წ. „აქციებს“ აწყობენ ე.წ. „საზოგადოებრივი აზრის“ წინააღმდეგ.

სულსწრაფები, უნიჭოები, ნიჭიერი გამყიდველები... ხანდახან ამა სოფლის მთავრისაგან შეკვეთილ წირვას აყენებენ და გულმოდგინედ ილანძღებიან.

გინება მოდაშია, პრემირებულია. განსაკუთრებით დედის გინება. განსაკუთრებით კონკრეტული პოეტის კონკრეტული დედის...

აბა, აბსტრაქტული სამშობლოს გინებას რაღა დაუდგება წინ. რომელი ნიჭი, რომელი ტაბუ, რიდი და მადლი შეაჩერებს ამ აღვირახსნილ კონვულსიას.

რა არის ეს? ნუთუ მხოლოდ ეს არის აწმყო?! აწმყო, რომელსაც არა აქვს მომავალი?!!

გეთანხმებით, შემაშფოთებლად მრუმე ფიქრებია, თითქმის დანაშაულებრივი ფიქრები და განცდები. მით უფრო ამ საზეიმო დღეს, ამ საზეიმო დარბაზში, რომელიც მე ძალიან მიყვარს თავისი სილამაზის გამო, მაგრამ მაფრთხობს მისი აკუსტიკა, რადგან ამ თაღებქვეშ ტექსტის ფაქტურა უმოწყალოდ იჩეხება და ნაფოტებივით ცვივა, იფანტება სიტყვები... სიტყვა, რომელიც აღარ ისმინება...

ჩვენი უღრანი, გაკაფული ტყეებივით ადამიანებიც ნაადრევად გაიკრიფნენ, გაქრნენ, დაიკარგნენ. პოეტს კი სიკვდილიც ასე ესმის — წასვლა და ამ ტკივილით გაჩენილი სიცარიელე — როცა ფიქრებიც იხოცებიან. ფიქრი იმდენად ინტიმურია, რომ შეგიმჩნევიათ, ალბათ, ნებისმიერ ჩაფიქრებულ ადამიანს როგორ აფრთხობს შეკითხვა — „რაზე ფიქრობ?“

თავის დროზე სწორედ ეს „დახოცილი ფიქრები“ ათბობს, ანუგეშებს, აძლიერებს გარემოს, ჰაერს, სიტუაციებს. შველის

ნატო კორსანტია და მაკა ჯოხაძე

სიცივეს, უმწეობას, ობლობას, სიღარიბეს. ეს ყველაფერი განფენილი ჰაერში, ჩვენს ირგვლივ ქმნის ამ ყბადაღებულ დადებით აურას, ენერგეტიკას... სწორედ ეს დადებითი მუტი ეკარგება ქალაქს, ქვეყანას, ოჯახს, თითოეულ ჩვენთაგანს, როცა კარგი კაცები კარგი ფიქრებით, კეთილი ფიქრებით მიდიან ჩვენგან.

ჩნდება ილუზია აბსოლუტური მიტოვებულობის, ყოველშემთხვევაში ღმერთმა თვალები ნამდვილად დახუჭა რომ არ დაგვინახოს.

უდაბნოს მეტაფორა უკვე „ლიტერატურშჩინად“ აღიქმება. უდაბნოში კი არა, რა ხანია ვცხოვრობთ განცდაში, რომ მიწასთან ერთად ჩვენც ბეტონში დამარხულები ვართ... გეტოებში — XXI საუკუნის სირცხვილში...

და აი როგორ გვეღიმება, როცა ასფალტის ნაპრალში ამოხეთქილ მცენარეს ვხედავთ...

რაღაც ამდაგვარი ხდება პერიოდულად, როცა ოაზისივით გამოჩნდება შემოქმედებითი გენია, ფენომენი, ჩვენი კაცად ყოფნის არსი და მიზანი.

ასე გამოჩნდა მალაქიტისფერი წიგნი:

„ა ფ ხ ა ზ ე თ ი — ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა დ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა“.

ეს ცისფერი კუნძული ზუსტად ასე ამოსკდა ჩვენი რეალობის სიმდოვრეში, რომ არა ვთქვათ ჭაობში.

ეს კუნძული მოცურავს როგორც ფელინის ნათურებაკინძული ხომალდის მირაჟი, იმდენად ნამდვილი, განცდილი, ინტელექტუალური, ემოციური, თვითნაბადი თავისი ესეებით, პროზით, პოეზიით, თავისი სოპრანოებით, მეცოსოპრანოებით, ბანებით, თეატრებით, არტისტებით, ფერწერით, კაპელით, კალიგრაფიით, იმდენად ჭარბი და სისხლსავსე რომ წარმოუდგენლად აცოცხლებს ეროვნული შემოქმედებისა და კულტურის მთელ მხარეს — აფხაზეთს, რომელიც დაკარგული გვეგონა და თურმე როგორი ცოცხალია!

და შენს კარგახნისდროინდელ განცდას: სიცოცხლე ისე მაინც უნდა გინდოდეს რომ აიკვიატო — სიცოცხლე მინდა! სიცოცხლე მინდა!.. მომჭკნარი, მოთენთილი ყვავილივით წყალს უსხამს, აძლიერებს, ანუგეშებს, ასულიერებს...

ეს ყველაფერი, რაც ამ წიგნშია, შენშიც იყო, ოღონდ თავს აიძულებდი, არ გეფიქრა სიმწვანეზე, სინაზეზე, სიხარულზე. ეს ყველაფერი მოახერხე და ჩაძირე შენში. შეინახე, შებოლე, შემჭვარტლე, შებურე, როგორც მარგალიტის ციმციმი, რომელიც მეკობრეებს არ უნდა დაენახათ, თევზივით გამოაშრე, დაამარილე, დიდი შიმშილობის ჟამს გამომადგებაო...

ასე ნელ-ნელა სწავლობენ ცხოვრებას.

ოღონდ გაძელი, ოღონდ არ დანებდე, ოღონდ თავი აიძულე, რომ აღიარო — ცხოვრება აუცილებელია!

იდუმალი ხმა კი თითქოს გვაფრთხილებს — სიცოცხლე უანგარო საჩუქარია, რომელსაც ცხოვრებით უნდა უპასუხო.

ჩვენ მადლობას ვეუბნებით ყველას, ვინც ამ წიგნის დაბადებაზე იზრუნა, იწვალა, იღვაწა. მადლობას ვეუბნებით თითოეულ ავტორს, გმირსა თუ პერსონაჟს, რადგან მათ შეუძლებელი შეძლეს და სიცოცხლეს — ღვთის უანგარო საჩუქარს დღემდე ღირსეული ცხოვრებით პასუხობენ.

იოსებ ჭუმბურიძე

მამის ხმასავით, ავადმყოფი დედის ხელივით...

მოგესალმებით.

უკვე არაერთხელ ითქვა, რომ ამ დარბაზში ბევრი ძვირფასი პიროვნება იმყოფება. არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩვენს დღევანდელ შეხვედრას ესწრება ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველი, რომელიც კედლიდან გადმოგვცქერის. ყოველთვის, როცა აქ შემოვდივარ და **ილიას** პორტრეტს ვხედავ, მახსენდება გულსაკლავი სიტყვები, ამ დაწესებულების ყოფილ ხელმძღვანელს რომ ეკუთვნის და რომელთაც სიკვდილამდე ვერ დავივიწყებ.

არ შემიძლია დავიწყება!

ილია თეატრს „ორ ღვაწლსა სთხოვდა“ — მისი მეოხებით ენა და ზნეობა ფეხზე უნდა წამოდგესო.

დღეს ერთსაც უჭირს და მეორესაც.

ამის დასტურად, სხვა რომ არაფერი, ქართული სატელევიზიო სივრცე გამოდგებოდა.

და თუ ქართული თეატრი ცდილობს, რაღაც მაინც იღონოს ენისა და ზნეობის გადასარჩენად, ამ თვალსაზრისით, ღირსეულად გამოიყურება სოხუმის ორივე სახელმწიფო თეატრი, რომლებიც დღეს წარსადგენ ბრწყინვალე ალბომში ასევე ღირსეულად გამოიყურებიან.

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი და მოზარდ მაყურებელთა თეატრი „**თეთრი ტალღა**“.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ თეატრების მდგომარეობასა და მისიას განსაკუთრებული ფაქტორი ამძიმებს — დევნილობა.

ნანა კუციამ, ვისაც აფხაზეთის დღევანდელი ქართული ინტელიგენციის სინდისს ვუწოდებდი, იმ ყოველივეს, რაც საპრეზენტაციო ალბომშია მოქცეული, „დარდის ნაჟური“ უწოდა. ზუსტი შეფასებაა. შეუძლებელიც იყო, ამ ალბომში დიდი დარდი და სევდა არ დაგვხვედროდა.

და ამ დარდიანი წიგნიდან მე ორი პოეტის სევდა გამოვარჩიე.

პირველი **გენო კალანდიაა**:

მითხარ, რაღა ვქნა,
მამის ხმასავით
ჩაბრუნებულო გულში ნაღველო...

მეორე **ნუნუ ჯანელიძეა**:

მე შენზე სევდაც
ახლობელი კაცივით მიყვარს,
ავადმყოფი კაცის ხელივით...
ეს სევდა სხვაა, ის სხვა სევდას არ შეერევა...

რა თქმა უნდა, ეს სხვა სევდაა. რაც მთავარია, ეს არ არის საშიში სევდა და დარდი, სულსა და გულს რომ ღრღნის.ეს დარდი, პირიქით, გაფხიზლებს და გშველის.

ალბათ, დაკვირვებიხართ, როცა დედაზე დარდობ, ის კარგადაა. საკმარისია, დარდმა თავი მცირე ხნით დაგავიწყოს, დედას რაღაც გაუჭირდება.

ამიტომაც ლოზუნგად არასოდეს აღმიქვამს მოწოდება,რომელიც ოდიოზური ხელისუფლებ(ებ)ის პირობებში მართლაც გამაღიზიანებლამდე ცარიელ ლოზუნგად იყო ქცეული: „გვახსოვდეს აფხაზეთი!“

დიახ, უნდა გვახსოვდეს აფხაზეთი და უნდა ვდარდობდეთ აფხაზეთზე.

ყველა ქართველი ისევე უნდა მიმართავდეს აფხაზეთს, როგორც **ნატო კორსანტია** მიმართავს გაღმა ნაპირზე დარჩენილ თავის სახლს: „**მაპატიე, ჩემო სახლო, შენდამი გაგულგრილება მაპატიე“...**

დიახ, ყველა ქართველმა უნდა უთხრას აფხაზეთს: „**მაპატიე, აფხაზეთო, შენდამი გაგულგრილება მაპატიე“...**

დარდზე ვსაუბრობდით.

ეს დარდი სოხუმის ორივე სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებში მიგრძვნია: როცა „მოზარდში“ „გამარჯობა სოხუმო“ -ს ცრემლებით ვუცქერდით, როცა გამსახურდიას თეატრში მონუსხულნი ვყავდით „ზღვას, რომელიც შორია“... გული მწყდება, რომ ამ სპექტაკლის აღდგენა არ ხერხდება, არადა, მეგონა, რომ აფხაზეთში სწორედ მასთან ერთად დავბრუნდებოდით.

კარგად ვიცით, რაც გადაიტანა კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრმა სოხუმშიც და დევნილობაშიც. ბუნებრივია, მეც მტკიოდა ის, რომ დიმიტრი ჯაიანი და მისი გუნდი თეატრიდან გაუშვეს. არ შემიძლია, არ აღვნიშნო ერთი ფაქტი: **ნანა ჭანტურიას**, არაჩვეულებრივ ჟურნალისტს, შესანიშნავი საყმაწვილო ჟურნალის „იალქანის“ რედაქტორს, ვისაც თავდავიწყებით უყვარს თეატრი, ცხადია, განსაკუთრებით, გამსახურდიელთა გულშემატკივარია, პროტესტის ნიშნად, წლების მანძილზე იქ ფეხი არ შეუდგამს. როცა ხალხმა უსამართლო ხელისუფლება გაუშვა და მსახიობები მშობლიურ თეატრში დაბრუნდნენ, დავწერე: „ქართული თეატრის ისტორიაში არსებობს მარადისობად ქცეული შეძახილი — „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ დღეს ეს შეძახილი ასე უნდა გარდავთქვათ: **„ჰოპლა, ჩვენ დავბრუნდით!“**

მაგრამ ესეც უნდა ვთქვა: ამ დაბრუნების შემდეგ თეატრისგან უფრო მეტს ველოდები.

გულწრფელად მომეწონა დიმიტრი ჯაიანის გადაწყვეტილება — თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად **დავით საყვარელიძის** მოწვევა, მაგრამ არ შემიძლია, ესეც არ ვთქვა: იმ სევდასა და დარდს, იმ ტკივილს, რომელზეც დღეს ამდენს ვსაუბრობთ, **ლაშა ბუღაძის** პიესით ვერ გამოხატავ.

დარწმუნებული ვარ, ჩემსავით უამრავი გულშემატკივარი ელოდება სპექტაკლებს, რომლებიც ისევე შეგვძრავენ, როგორც თავის დროზე „ზღვამ“ და „გამარჯობამ“ აგვამღელვარა.

* * *

დავუბრუნდეთ ალბომს. ნატო კორსანტიამ მას აფხაზეთის შემოქმედებითი პორტრეტი უწოდა, რამაც საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქის **ილია მეორის** ცნობილი ფრაზა გამახსენა: „სამების ტაძრის აგებით ქართველმა ერმა საკუთარი ავტოპორტრეტი შექმნა.“ რა თქმა უნდა, ვეთანხმები ნატოს: ეს ალბომი ჭეშმარიტად აფხაზეთის ავტოპორტრეტია.

თავადაც გავმხდარვარ მოწმე, თუ რა თავდადებით იღვწოდა ნატო იმისთვის, რომ ალბომი რაც შეიძლება შთამბეჭდავი გამოსულიყო. შედეგიც თვალსაჩინოა.

უმადურობა იქნებოდა, მადლიერება არ გამოგვეხატა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და პირადად მინისტრის მიმართ. კიდევ ერთხელ შეგახსენებდით, თუ რა ბრძოლები გადაიტანა დიმიტრი ჯაიანმა იმ ცხრა წლის განმავლობაში. დღეს ის მინისტრია. თუ ვინმეს დღევანდელ საქართველოში მინისტრობა, მით უმეტეს დევნილი მთავრობის წევრობა, პრივილეგია ჰგონია(მე თუ მკითხავთ, ტვირთი უფროა), დაე ეგონოთ. დიმიტრი ჯაიანმა ის ნამდვილად დაიმ-

სახურა და გულწრფელად მინდა, ამ საპატიო ტვირთის ღირსეულად ზიდვა ვუსურვო...

გმადლობთ.

მინაწერი:

მამის ხმასავით გულში ჩაბრუნებული ნაღველი და ავადმოფი დედის ხელივით საყვარელი სევდა. ეს ხელი არ მორჩება, ეს ნაღველი გულიდან არ ამობრუნდება, ვიდრე აფხაზეთში არ დავბრუნდებით. ეს დღე აუცილებლად „მოვა, მაგრამ როდის?“ ალბომის გარეკანის წინა მხარეს სოხუმის სილუეტი მკაფიოა, ბოლო გვერდზე კი — ბუნდოვანი. აქვეა გალაკტიონის ლექსი — საბედისწეროდ ამხდარი ჯადოქრული წინასწარმეტყველება. მაგრამ გადარჩენის იმედსაც ხომ გალაკტიონი გვაძლევს. ურთულეს კითხვას — თუ როგორ გადარჩა ივერიის რიცხობრივად პატარა ერი „და გადარჩა ის როგორც ერი?“ — გენიოსმა ასე უპასუხა: „აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროება.“ ასე რომ, პოეზიას ნუ ვეხუმრებით. წარდგინების შემდეგ ნანა კუცია მეტყვის: „ვიდრე ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა, არაფერი გვეშველება. აფხაზები ჩვენ ვართ, საქართველოს ერთ — ერთი კუთხის მკვიდრი ქართველები. ისინი აფსუები არიან.“ და მეც, ნანასაგან და გალაკტიონისაგან შეგულიანებული, ვიტყვი: გამოვიდეს რომელიმე აფსუა და ამ წიგნის პოეზია უარყოს?! წიგნის ანუ ალბომის, რომელსაც ამაყად წინ წაიმძღვარებს აფხაზეთში დაბრუნებული ქართველობა...

144 უცნობი ისტორიული ძეგლი

თემურ ხუციშვილი

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა კრებულის **„ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები“** წარდგინება. კრებული წარმოადგენს ერთგვარ შუალედურ ანგარიშს, რომელიც გულისხმობს ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული კულტურის ძეგლების სრულ აღნუსხვას.

2014 წელს განხორციელებულმა ცხრა ექსპედიციამ თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ქართული მხარეები — **არტანი, ერუშეთი, კოლა, პალაკაციო, ფოსო, ჯავახეთი და სამცხის ნაწილი** — შეისწავლა. ეს მხარეები ამჟამად არდაჰანისა და ყარსის პროვინციებში მდებარეობს. კვლევის შედეგად დაფიქსირდა წერილობითი წყაროებიდან ცნობილი 118 ისტორიული ძეგლის ამჟამინდელი მდგომარეობა. გარდა ამისა, შესწავლილ ტერიტორიაზე გამოვლინდა 144 უცნობი ისტორიული ძეგლი, რომლებიც არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ნაშრომი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, 2013 წელს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტის — **„თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების ტაო-კლარჯეთისა და კოლა-არტანის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგი“** ფარგლებში. პროექტი ხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტის მიერ, საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის მონაწილეობით.

ღონისძიებას უძღვებოდა პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი **თეიმურაზ ხუციშვილი,** საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს: **კახა შენგელიამ, თეიმურაზ ჯოჯუამ, გიორგი ბაგრატიონმა, ჯაბა სამუშიამ, ლადო მირიანაშვილმა, ირაკლი ნოსელიძემ, დავით გაჩეჩილაძემ** და **ნინო ხოფერიამ.**



ანა გელაშვილი, ბებურ გოზალიშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ლევან წიქარიშვილი, შალვა კოღუაშვილი, ანა იმედაშვილი

ნინო დეკანოიძე

კორნიშელი განდეგილის ქარაგმა

(განხილვა თემურ გაბუნიას წიგნისა „ნამდვილი ბრძოლა“)

კვლავ **ლიტერატურის ინსტიტუტის** სხდომათა დარბაზში შეიკრიბა მრავალრიცხოვანი აუდიტორია ტრადიციულ **სამშაბათობაზე**.

სასაუბრო თემა — **თემურ გაბუნიას — „ნამდვილი ბრძოლა“**, წიგნი ეძღვნება **ჯერომ სელინჯერს**.

XX საუკუნის დიდი ამერიკელი მწერლის ცხოვრება-შემოქმედებას განსაკუთრებული ცოდნითა და სიფაქიზით მიმოიხილავს რა ქართველი ავტორი, თითქოს საგანგებოდ არ მიაკუთვნებს რომელიმე ჟანრს და ამით სრულ ნდობას უცხადებს მკითხველს, განსაზღვროს თვითონ, ვრცელ მონოგრაფიად მიიჩნიოს იგი თუ უწოდოს ბიოგრაფიული რომანი.

იმდღევანდელი ღონისძიებიდან კი პროფესიონალ ლიტერატორთა სხვადასხვა თვალსაზრისსა თუ საგულისხმო მოსაზრებას, რასაკვირველია, თანმიმდევრულად შემოგთავაზებთ რეპორტაჟის ფარგლებში ანუ ამოკრებით.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა **მაია ჯალიაშვილმა:**

ქვეყნიერებაზე ალბათ ძნელად მოიძებნება ადამიანი, ჯერომ სელინჯერის მოთხრობა „თამაში ჭვავის ყანაში“ რომ არ ჰქონდეს წაკითხული და ოდნავ მაინც არ განეცადოს სასიკეთო გავლენა. გადამდებია ჰოლდენ კოლფილდის შეხედულებები საზოგადოებაზე, როგორც ერთფეროვან მასაზე, სიყალბით დაბრმავებულზე, რომელიც ვერ ჰგუობს განსხვავებულს, არაპრაგმატულს, რომელიც უაზროდ მიიჩნევს რომანტიკულ კითხვას: „სად მიდიან იხვები, როდესაც ტბა იყინება?“ ამაზე პასუხი კი გულისხმობს ყოველდღიური ყოფის საზღვრებიდან გასვლას, რაღაც იმგვარზე დაფიქრებას, რაც არ უკავშირდება ადამიანურ საზრუნავებს. სწორედ ეს იწვევს პიროვნების ამბოხს, რასაც მოაქვს დიდი სულიერი ტანჯვა და თანვე ბედნიერება, რომ შეგიძლია იყო ის, ვინც ხარ, და ლაჩარივით არ შეინიღბო ფარისევლობის, თვალთმაქცობისა და კმაყოფილებისთვის მორგებული სხვა ათასგვარი ნიღბით.

ავტორს წიგნში გაანალიზებულ-შეჯერებული აქვს სელინჯერის სხვადასხვა ბიოგრაფთა ნაკვლევი და ძალიან საინტერესოდ გადმოგვცემს მთავარსა და მნიშვნელოვანს.

წარმოჩნდება აგრეთვე ამერიკული კულტურის არსი და სახე, ძალიან საინტერესოდ და დასამახსოვრებლადაა წიგნში უნა ო’ნილის, ჩარლი ჩაპლინის, უილიამ საროიანის, ჰემინგუეის, სკოტ ფიცჯერალდის, ფოლკნერისა და სხვა მწერალთა სახეები, მათი შემოქმედების ტენდენციები, ეპოქის სული.

უამრავ მკითხველთა შორის ერთი ფოლკნერიც იყო, რომელმაც ახალი თაობის მწერალთაგან იგი საუკეთესოდ მიიჩნია, სტუდენტებთან ერთ შეხვედრაზე კი განაცხადა, რომ სელინჯერმა თანამედროვეობის უდიდესი შეცდომა, დანაშაული აღმოაჩინა და გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ეს იყო ხელისუფლების წნეხი, რომელსაც იგი ახორციელებდა ადამიანებზე: „ძნელია იყო ინდივიდი ჩვენს კულტურულ გარემოში. ჩემი აზრით, რაც იმ წიგნში დავინახე, ტრაგედიაა, გარკვეული აზრით, სელინჯერის პიროვნული ტრაგედიაცაა. იგი იყო ახალგაზრდა კაცი, ინტელიგენტური, ოდნავ მგრძნობიარე, ვიდრე სხვები. ჰოლდენს მარტივი რამ სურდა, შეეყვარებინა კაცობრიობა და როდესაც მოისურვა ადგილი დაემკვიდრებინა სხვებს შორის, აღმოაჩინა, რომ იქ ადამიანი აღარ იყო“.

როგორც ცნობილია, ყურადღებას იქცევდა მწერლის არა მხოლოდ მხატვრული შემოქმედება, არამედ მისი განდეგილური ცხოვრება. ავტორი საინტერესოდ წარმოაჩენს იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს მისი გარიდება დიდი ხმაურიანი ქალაქიდან მყუდრო კორნიშში: „წერისას ხშირად სამხედრო ფორმა ეცვა და ეს სიმბოლურიც იყო... ის ისევ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდა, მძიმე ბრძოლების გადატანა უწევდა საკუთარ თავთან და მყუდროების დამრღვევებთან; ლიტერატორებთან, ბიოგრაფებსა და ჟურნალისტებთან,ყოველი მხრიდან რომ უტევდნენ და თანდათანობით კომპრომატების მაძიებლებს ემსგავსებოდნენ. ასევე პაპარაცებთან, მასზე რომ ნადირობდნენ. სელინჯერი თვალთმაქცებს უწოდებდა ყველას, ვინც ფულისთვის საკუთარ ნიჭს ყიდდა; წინააღმდეგი იყო მასკულტურით ადამიანის ზომბირებისა, სწავლა-განათლებისა, რომელიც სიბრძნის დაუფლებას არ ისახავდა მიზნად“.

ამ წიგნში ვხვდებით სელინჯერის პერსონაჟებს და თვითონ მწერალსაც, როგორც პერსონაჟს, რომელიც გამუდმებით დაეძებდა საკუთარ თავს. ძიების ამ გზაზე ხშირად ექცეოდა სხვადასხვა რელიგიური შეხედულების გავლენის ქვეშ.

თანაც, დედით კათოლიკე და მამით ებრაელი მუდმივად ღვთის ძიებაში იყო. ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოდ არის წარმოჩენილი ბუდიზმით თუ ინდუიზმით მისი გატაცება. ეს ძიებები მწერალს ხელს უწყობდა სულიერ ზრდასა და სამყაროს მრვალფეროვნების შეცნობაში.

ავტორი კარგად წარმოაჩენს სელინჯერის უმთავრეს საფიქრალს, რაც მისი ცხოვრების სტილს განაპირობებდა კიდეც: „მისთვის მთავარი არც რეიტინგი იყო, არც რომელიმე ჯილდო, ან პრემია, ან თუნდაც ხალხის სიყვარული. მისთვის მთავარი გახლდათ, როგორ წარსდგებოდა უფლის სამსჯავროზე, რადგან ხელოვნება სელინჯერისთვის ცოდვით დაცემული ადამიანის რაღაც გასართობი საშუალება კი არ იყო, არამედ რელიგიის რანგში აყვანილი უსაყვარლესი საქმე.

საგულისხმოა ყურადღების გამახვილება იმაზეც, რომ მისი გმირები ხშირად ბავშვები არიან, სწორედ მათი პირით არის გაცხადებული სიყვარულის სიბრძნე და ეხმიანება სახარებისეულ სწავლებას. „რას ეუბნება კედელი კედელს?“ — გვეკითხება ცნობისმოყვარე ბიჭი და ჩვენგან მოელის პასუხს: „კუთხეში შევხვდეთ ერთმანეთსო“ („ძღვნად ესმეს“). იესო ქრისტე ხომ უქადაგებდა ადამიანებს, რომ მიებაძათ ბავშვებისათვის, მათი უმანკოებისა და გულგახსნილობისათვის.

სათაურში კარგად არის გამოკვეთილი მთავარი სათქმელი — ნამდვილი ბრძოლა ჰქონდა მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში საკუთარ თავთან, საზოგადოებასა და ყალბ შეხედულებებთან.

„ბანანათევზას ამინდი“, „ძღვნად ესმეს“, „ფრენი და ზუი“, „ჭერი ასწიეთ, დურგლებო!“ „სევდიანი სიმღერა“ და სხვა ნაწარმოებები მკითხველის მუდმივი თანამდევია და ერთგვარი გამომაფხიზლებელი, რომ თანამედროვე ცხოვრების თავბრუდამხვევ რიტმში არა ჩაიკარგოს, არ დაკარგოს სიყვარული, დარჩეს, როგორც პიროვნება თავისუფალი ნებითა და საკუთარი არჩევანით.

— შეხმიანება თემურ გაბუნიას მონოგრაფიასთან მრავლისმმცველ, თანაც ექსპრესიულ ესეიდ „კორნიშელი განდეგილი და გაყინული ტბის საიდუმლო“ წარმოადგინა **როსტომ ჩხეიძემ.** პუნქტობრივად მოიხილა რა წიგნის ხუთივე ნაწილი „ძლიერი რომანტიკით, ბედნიერებით, მღელვარებით და ზოგჯერ განწირულებით აღსავსე“ დიდი ადამიანის ცხოვრება ჩვეული ორატორული ხელოვნებით განაცდევინა მსმენელს. ესეი უმთავრესად კი მაინც სარეცენზიო წიგნში ცალკე თავად გამოყოფილ „სასიყვარულო სამკუთხედზე“ ააგო და შთამბაჭდავ გამოსვლას რეფრენად გაადევნა სელინჯერისეული ემოციურ-რომანტიკული ფრაზა: „...არა, მაინც სად მიდიან, სად მიფრინავენ იხვები, როდესაც ტბა იყინება?“

როსტომ ჩხეიძემ თემურ გაბუნიას წიგნში გამოკვეთილი „სასიყვარულო სამკუთხედი“ მიიჩნია როგორც აუცილებელი ამბავი მწერლის ბიოგრაფიისა და პიროვნული პორტრეტის სრულყოფილი წარმოსახვისათვის. მოიხმო მონაკვეთი ჩარლი ჩაპლინის მემუარებიდან „ჩემი ბიოგრაფია“. აგრეთვე დასძინა, რომ ავტორის ძიებანი ანგლო-ამერიკული ლიტერატურის წიაღში უმთავრესად უტრიალებდა სამ მწერალს — ჯეიმზ ჯოისს, უილიამ ფოლკნერსა და ჯერომ სელინჯერს. ხოლო ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში საკმაო უხვად გამოქვეყნებული თემურ გაბუნიას სტატიები მათი მხატვრული თავისებურებების გამო, ღრმა, ფართო ცოდნითა და დახვეწილი გემოვნებით შესრულებულ ექსპრესიულ ესეებად მიიჩნია.

თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა მსმენელს **ნინო ვახანიამ:**

ამ შესანიშნავ წიგნში დაწვრილებით, დეტალურად, გამოწვლილვითაა შესწავლილი ჯერომ სელინჯერის ცხოვრება და შემოქმედება და ამასთან ერთად საინტერესოდ და საყურადღებოდაა მიმოხილული XX საუკუნის ამერიკული პროზა.

ვრცელი მონოგრაფიის (რომანივით რომ იკითხება) ერთი უდავო ღირსება ისიცაა, რომ ავტორი ფრთხილად, ფაქიზად, თუმცა დაჟინებით ეძებს იმ მიზეზებს, რომლებმაც ამერიკელი მწერლის, მეტი რომ არაა ვთქვათ, ცხოვრების უცნაური წესი — საზოგადოებისაგან განდგომა განაპირობა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, იგი პირველ რიგში, თვითონ სელინჯერის რომანსა და მოთხრობებს მოიხმობს, შემდგომ დეტალებს მწერლის ბიოგრაფიიდან მის განდგომილობამდე, სხვა მწერალთა და ჟურნალისტების (კეთილად თუ ავად განწყობილთა) შეხედულებებს, მათ აზრებს... ყველაფერს კრებს, ერთმანეთთან აკავშირებს, საკუთარ, ძალზე ჭკვიანურ დაკვირვებებს გვთავაზობს და ასე, ამ გზით, საკაცობრიო პრობლემებს წამოჭრის და მათზე საფიქრალად განგვაწყობს ჩვენც.

არსებობს წიგნები, მსოფლიოში ყველგან ერთნაირად რომ უყვარს მკითხველს. ერთი ასეთი, უდავოდ, სელინჯერის რომანია — „თამაში ჭვავის ყანაში“. ჰოლდენ კოლფილდი ეძებს ადამიანს, პიროვნებას, რათა ესაუბროს და ვერ პოულობს... ბარემ აქვე ვიტყვი, რომ თემურ გაბუნიას წიგნს ძალიან მოხდენილი და ამავე დროს შინაარსს მორგებული სათაური აქვს — „ნამდვილი ბრძოლა“. და მართლაც, მთელი მონოგრაფიის მანძილზე ნამდვილ მებრძოლად, სიწმინდის, სილამაზის, პატიოსნების, ერთგულების, ღირსების... ნამდვილ დამცველად წარმოგვიდგება ჯერომ სელინჯერი.

ერთი მტკივნეული თემა, რომელიც ამერიკელმა მწერალმა ჰოლდენ კოლფილდისა და თავისი სხვა პერსონაჟების (ფაქტობრივად, ორეულების) მეშვეობით წამოჭრა, ესაა: რისთვის იღებს ადამიანი განათლებას? „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისაო“, — შეგვაგონებს რუსთაველი. მაინც რა არის მიზანი? — კარგი სამსახური, ხელფასი, „ის ოხერი კადილაკი“ თუ სულიერი განწმენდა, ამაღლება, ჭეშმარიტების წვდომა? და უკვირს ბესის (სელინჯერის ერთ-ერთ პერსონაჟს): რა საჭიროა ცოდნა, თუკი მას ბედნიერების მოტანა არ შეუძლია („რაც მეტია ცოდნა, დარდიც მეტია“, — ეკლესიასტე).

დამაფიქრებელი და სამწუხარო გახლდათ მწერლისთვის ქადაგება რელიგიათა შერწყმისა, რაც, ფაქტობრივად, უღმერთობას ნიშნავდა. არადა, თვითონ დარწმუნებული იყო, რომ რელიგიის გარეშე სამყარო ვერ იარსებებს (თანამედროვე გლობალისტებმაც, როგორც ჩანს, ბევრი რამ ისესხეს იმ მოძღვართაგან, რელიგიათა შერწყმას რომ ქადაგებდნენ და ახლაც ცდილობენ, რელიგია ფილოსოფიად აქციონ).

ერთი მთავარი საკითხი მონოგრაფიის ავტორისთვის, ალბათ, მაინც იმ მიზეზების კვლევაა, რომელთაც კორნიშში განმარტოებამდე მიიყვანეს უკვე აღიარებული მწერალი. რაც გადაჭრით უარყოფილია გამოკვლევაში, ესაა მიზეზად ომში მიღებული სტრესის დასახელება.

რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ მთავარი გმირის, ჰოლდენ კოლფილდის ოცნება — კლდის პირას იდგეს და ყანაში მოთამაშე ბავშვებს კლდიდან გადავარდნისგან იცავდეს — თემურ გაბუნიას მიერ ახსნილია, როგორც „წმინდა ცნობიერების“, ანუ ბავშვური სიწმინდის შენარჩუნების სურვილი. იქნებ, ამ ქარაგმის სხვანაირად ახსნაც იყოს შესაძლებელი და არც ის მოსაზრება (თუ მოსაზრებები) გახლდეთ ჭეშმარიტებისგან შორს, მაგრამ იმაში კი ყველა დაეთანხმება, რომ „თამაში ჭვავის ყანაში“ მართლაც ამბოხებაა გულცივი და სასტიკი სამყაროს წინააღმდეგ“.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ავტორის მიერ სელინჯერის მოთხრობების საფუძვლიანი განხილვა სახელმძღვანელოდ და გზამკვლევად გამოადგება ყველას.

ფოლკნერის, სელინჯერის, სტაინბეკისა და სხვათა შესახებ წიგნის ბოლოს ავტორი ამბობს: „მათი ნაწარმოებების წაკითხვა ადამიანს მხნეობას მატებს, მადლიერებითა და სიხარულით ავსებს“. ჩვენ ზუსტად იგივე გვინდა გავიმეოროთ ამ წიგნის შესახებ. „მწერლობის ერთ-ერთი დანიშნულებაც ხომ სწორედ ესაა!“

მაია ჯალიაშვილი და გია ჯოხაძე

ჩვეული ორატორული ხელოვნებით წარსდგა აუდიტორიის წინაშე **გია ჯოხაძე:**

ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ მიუხედავად უხილავი მანტიით შემოსვისა, რომელიც ხშირად პატივმოყვარეობის დამცველ და დამატკბობელ განცდას უჩენს რეცენზენტს, მე უპირობოდ — უ — „თუ“ — ოდ და უ — „თუმცა“ — ოდ — თემურ გაბუნიას მხარესა ვარ — სულ უბრალო მიზეზის გამო: ის წერს სელინჯერზე! თავისი ნაღვაწით ბჭეს უმაგრებს იმ დამაიმედებელ მთარგმნელობით სტრატეგიასაც, რომლის შემწეობითაც, თუ არ ვცდები, სელინჯერის ყველა გამოცემული თხზულების ქართული თარგმანი არსებობს!

ჩვენ მხოლოდ იმ ეპიზოდებს გამოვყოფთ წიგნიდან, რომლებიც მოგვეწონა ან არ მოგვეწონა და რომლებზეც რაღაც გვეთქმის.

წიგნში ნაამბობია მწერლის სიყმაწვილეზე, მის პირველ სერიოზულ სატრფიალო გატაცებაზე, რომელიც კრახით დასრულდა და უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე — გატაცება — უნა ო’ნილს ვგულისხმობთ. ავტორიც აღნიშნავს სელინჯერის მიერ აჩემებულ კითხვას და ჩვენც ხმას ვუერთებთ მის გულწრფელსა და გულუბრყვილოდ რიტორიკულ განწირულობას:

საით გაფრინდნენ იხვები?

მართლაც, რა მოსდის სიყვარულს, როცა „ზამთრდება“ და ირგვლივ ყველაფერი იყინება?

სელინჯერის შემთხვევაში — იხვი ჩარლი ჩაპლინისკენ გაფრინდა.

ავტორი ეხება საკითხს, თუ როგორ აფასებდა ორი დიდი ამერიკელი მწერალი — ჰემინგუეი და ფოლკნერი სელინჯე-

რის სამწერლო რეპუტაციას. ინგლისურად გვახსენდება ჰემინგუეის შეძახილი: Jesus, he has a helluva talent! ქართულად კი სიტყვის — helluva, იმავე — a hell of a — თარგმანი: ჯოჯოხეთური. ვცადოთ და ეს შემთხვევა ასე გავიაზროთ: მოწიფულ ჰემინგუეის უთქვამს უმწიფარ სელინჯერზე: ღმერთო, ეშმაკივით ნიჭიერიაო.

თემურ გაბუნია აღნიშნავს, და ჩვენც ვეთანხმებით, რომ ახალი თაობის მწერალთაგან ფოლკნერი მართლაც გამოარჩევდა სელინჯერს, თუმცა კი ერთხელ უთქვამს, იგი წერს უმწიფრობებს უმწიფართათვისო (თუ აქ სულაც დადებითი მნიშვნელობა არ იგულისხმება!).

სხვათა შორის, ფოლკნერის ბოლო ტექსტს — The Reivers (გამტაცებელნი) — სელინჯერის რომანზე „თამაში ჭვავის ყანაში" რეპლიკადაც კი მიიჩნევდნენ, რომლის პროტაგონისტი, ფოკლნერისეული პრისტის მსგავსად, პირველად ეჯახება ზრდასრულთა სასტიკ სამყაროს.

გია ჯოხაძემ გამოყო ქართველი ავტორის ტენდენციები სელინჯერის ბიოგრაფიული ეპიზოდების რკვევისას და როგორც სხვა დროსაც მრავალჯერ შევსწრებივართ, იგი ოპონენტის მიუმხრობლობით წარსდგა აუდიტორიის წინაშე, შეიძლება ითქვას ძირისძირობამდე ჩაეძია და ნიუანსობრივად მოიხილა სარეცენზიო წიგნი, კორექტურული ანუ ტექნიკური ლაფსუსებიც გახადა თვალსაჩინო და მისმა წინდაწინ ნათქვამმა — „თემურ გაბუნიას მხარესა ვარო" დამაჯერებლობაც გაამკრთალა ცოტათი. მისეულმა განსხვავებულმა თვალსაზრისმა თუ უკომპრომისობამ სხვადასხვა საკითხებზე, კამათისათვისაც კიდეც განაწყო აუდიტორია, მაგრამ რეგლამენტით განსაზღვრული დრო საამისოდ როცა დადგა, გია ჯოხაძე დარბაზში აღარ ბრძანდებოდა...

კორნიშელი განდეგილის ისტორია, თემურ გაბუნიას მიერ მოთხრობილი, სრულფასოვან რომანად მიიჩნია **ნანა კუციამ** და მიანიშნა: დახვეწილად მოიხაზება ამერიკის ერთ-ერთი გამორჩეული მოაზროვნის აბრისიო.

„რაკურსის მუდმივი ცვლა თხრობისას რიტმის დინამიურობას განსაზღვრავს. ხუთნაწილიანი კვლევა-ამბავი ცალკეული ესე-მინიატურებით იქსოვება, რომელთაგან თითოეული თვითმკმარი „ხრტილიცაა" და კონტრაპუნქტშიც ერთიანდება. ნაკვეთთა სათაურების უბრალო ჩამონათვალიც ნათელყოფს, რაოდენ ვრცელია საკვლევი ველი, როგორ ირეკლება მაკროკოსმოსი მიკროკოსმოსში და პირიქით. დაწვრილებითაა შესწავლილ-გაანალიზებული გზა კოლუმბიის უნივერსიტეტიდან კორნიშამდე. ტექსტის სტრუქტურა ტელეოლოგიურია — ყოველი მომდევნო ამბავი საბოლოო მიზნითაა განსაზღვრულ-განპირობებული.

პოსტმოდერნიზმამდელი ეგზისტენციური დრამა სელინჯერთან სულიერი ძიებების სივრცედ ტრანსფორმირდება. დიდი დეპრესიისშემდგომი ამერიკის ეიფორიული ყოფა, განსხვავებული რელიგიური მრწამსის ოჯახი (დედა — ირლანდიელი კათოლიკე, მამა — ორთოდოქსი ებრაელი, პაპა — რაბინი), მიტოვებული კოლეჯები, „პეპლის ფრთებზე ყვავილების მტვერივით ფაქიზი", გაცრუებული სასიყვარულო ისტორიები, მსოფლიო ომი, ელიტარული ნაწილის ოფიცრობა, წარმატებული სამწერლო კარიერა — „მედისონ ავენიუს მცირე ამბოხიდან" ვიდრე „თამაშამდის ჭვავის ყანაში" თუ ცხრა მოთხრობამდე, ადამიანური ბუნების უღრმესი წვდომა, მუდმივი სულიერი ჩაღრმავება აღმოსავლურ-დასავლურ რელიგიურ წიაღში ის ობიექტური ქსოვილია, რომლის „გულის, ცნობისა და გონებისმიერი" გააზრებით იქმნება სელინჯერის ერთდროულად ნატიფი და ტრაგიკულ-გროტესკული სუბიექტური კოსმოგონია.

ტექსტის ყოველ მონაკვეთზე დიდხანს და სიამოვნებით შეიძლება საუბარი...

უდიდესი ინტერესით იკითხება პარალელები ფოლკნერის, ტოლსტოის, სტაინბეკის, ფიცჯერალდის... ნაწარმოებებთან. ამერიკის გამორჩეული მოაზროვნეები (სელინჯერამდეც და სელინჯერის თანადროულადაც) სწორედ ჯოგური აზროვნების გამო ამხელდნენ ისტებლიშმენტს, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გეგმას, „უხილავ ხელისუფალთა თარეშის ატმოსფეროს", სახელმწიფოს მიერ ადამიანთა წვრთნას „პარტიების, პროფკავშირების, ანალიტიკური ცენტრების კონტინგენტად" — საპირწონედ ღვთის ხატად და მსგავსად ქმნილი პიროვნებისა, ვისაც ებრძვის და უპირისპირდება ყველა და ყველაფერი ყველგან და ყოველთვის — სახელმწიფოს ლევიათანური მანქანით, კოლეჯების მხოლოდ წარმატებასა და არასოდეს სიბრძნეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით, ოკულტური „სიბრძნით", „უცხო ღმერთებთან მრუშებით", რელიგიათა შერწყმის იდეის ქადაგებით, სექტების მოძალებით, ფულის კერპად ქცევით, მიწის უგულებელყოფით, ადამიანის „ხელფასზე დამოკიდებულ მომთაბარე არსებად ქცევით", ბანკთა დიქტატურით, თვალუწვდენელი ნაყოფიერი მიწების უქმად მოცდენით, ერთ მუჭა ოლიგარქთა, ფინანსისტთა და კომერსანტთა არნახული გამდიდრებით დაწყებული — დამთავრებული ჰოლივუდის კინოპროდუქციით, რაც ამ მანქანისავე ნაწილია „მომხიბლავ" თვითმკვლელთა, საიდუმლო საძმოთა მიმართ სიმპათიითა და ღვთისმსახურთა მიზანმიმართული დისკრედიტაციით.

60-იანი წლების — ტრადიციისა, ღირსების, ზნეობის მოთაყვანე ამერიკის — რეკვიემად აღქმული შემოქმედება სელინჯერისა გულგრილს ვერ დატოვებს გონიერი გულით წამკითხველს თემურ გაბუნიასეული „ნამდვილი ბრძოლისა."

თუმც ავტორი თავმდაბლად შენიშნავს, სელინჯერის საუკეთესო ბიოგრაფოსი, რასაკვირველია, თავად სელინჯერიაო, ვფიქრობთ, შესანიშნავ ამერიკელ მწერალს საკუთარი შემოქმედებისა და პიროვნული დრამის თემურ გაბუნიასეული ვერსია რომ წაეკითხა, იგრძნობდა, რომ ქართველ მკვლევარს მომადლებია „შინაგანი კულტურული ჭვრეტის, ესთეტიკური აღქმის უნარი", „ემფატიური სადემარკაციო ნიშნებით" ანუ მხოლოდ II მსოფლიო ომისა და ვედანტათი გატაცების კონტექსტში არ წაუკითხავს სელინჯერის გულის სისხლით ნაწერი ტექსტები.

წმინდა ილია მართლის სკოლის მეთერთმეტეკლასელმა **ნატა გაბუნიამ** ღონისძიებაზე ითხოვა რა სიტყვით გამოსვლა, პირველივე ფრაზის წარმოთქმისთანავე დარბაზიდან სრული კეთილგანწყობა მიაგებეს გასამხნევებლად: „ბავშვობიდან მესმოდა ოჯახში ისეთი დიდი მწერლების სახელები, როგორებიც არიან ფოლკნერი, სელინჯერი, თომას მანი და ვიცოდი, რომ ისინი მამაჩემის საყვარელი მწერლები იყვნენ... თორმეტი წლისამ როცა „თამაში ჭვავის ყანაში" წავიკითხე მამის რჩევით, ერთ რამეს მივხვდი, თუ რატომ უყვარდა მას ეს მწერალი გამორჩეულად... სელინჯერისა არ იყოს, ისიც ვერ ეწყობა თვალთმაქცებს, რომლებიც მზად არიან ფულის გულისთვის ყველაფერზე მოაწერონ ხელი. რასაკვირველია, მამაჩემის წიგნით უკეთ მივხვდი, სელინჯერის განდგომის მიზეზებს..."

ცხადია ლაზათი გამოაკლდებოდა წიგნის განხილვას **თემურ ნადარეიშვილის** გარეშე. იშვიათი პასუხისმგებლობა, გულმოდგინება, აკურატულობა ამა თუ იმ თემისადმი, მას ყოველთვის საინტერესო მოსაუბრედ წარმოაჩენს. ამჯერადაც მსოფლიო კლასიკის საფუძვლიანი ცოდნით, ზოგადმასშტაბური განათლებითა და გასაოცარი მეხსიერებით კვლავ მოინადირა მსმენელის გული...

ღონისძიების დასასრულს თემურ გაბუნიამ მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას, თითოეულ გამომსვლელს პროფესიული და საგულისყურო სიტყვებისათვის, აგრეთვე ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები — „ჩვენი მწერლობა, „ლიტერატურული გაზეთი", „ალავერდი", „საგურამო", გამომცემლობა „24 საათი" — და მათი მესვეურები მადლიერებით დაასახელა, და ის პიროვნებებიც, რომელთა თანადგომითაც წიგნი ჯერომ სელინჯერზე ხელმეორედ გამოჩნდა სამზეოზე 23 წლის შემდეგ, ცხადია უფრო შევსებული, გადამუშავებული და უკეთ გამოცემული... ისაუბრა აგრეთვე გამოსაცემად მომზადებულ თავის წიგნებზე და კიდევ ერთხელ გამოხატა მოწიწება ამერიკელი მწერლისადმი: ... — სელინჯერმა ბევრი რამ მასწავლა, ყოველთვის მისი მადლიერი ვიყავი და სწორედ ამ გრძნობამ დამაწერინა ეს წიგნი.

თამარელა წოწორია

სულისტოლა ცერცვისტოლეები

ანუ ნინო ქადაგიძის საფიქრეთი

ნინო ქადაგიძე ავტორია პოეტური კრებულისა „მეტრფე“ და მინიატურული პროზისა „ცერცვისტოლა ამბები“. ამ წერილში თქვენთან ერთად გავყვებით იმ გმირებისა და პერსონაჟთა გზას, რომელიც ნინო ქადაგიძემ, როგორც პოეტმა და პროზაიკოსმა წარმოგვიდგინა თავის კრებულებში, რომლებიც თანმიმდევრობით, 2013-14 წლებში გამოიცა. „მეტრფეს“ („თობალისი“) რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია ვაჟა ხორნაული, რომელიც წერს: „ნინო ქადაგიძე დაბადებით პოეტია, ბუნებას დაუნათლებია მისთვის სიტყვის სამსახური, რომელიც ადამიანს არა მარტო სიხარულის ბილიკით დაატარებს, არამედ იმ ტკივილსაც განაცდევინებს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობა თუ წუთისოფელი“.

ნინო ქადაგიძის დიდ ლიტერატურულ სივრცეზე გვსურს საუბარი, ანუ შემოქმედზე, რომელიც თავისი წიგნების ასლია, ციტაციაა. მისი სათქმელის ლექსად მოტანილი სტრიქონებისადმი ანუ მისი სულიერი სამყაროსადმი გადაძახილის შეწყვეტის გზა ისაა, რომ მასზე არ ისაუბრო, დამალო, გამოუთქმელობის, თითქმის აფაზიის მდგომარეობამდე მიიყვანო, თუმც ეს შეუძლებელია. ნინოზე უნდა იფიქრო, გამუდმებით უნდა ისაუბრო და ადამიანებს გააცნო იგი.

ნინო ქადაგიძე მკითხველს ასე მიმართავს:

— ჰა, წაიკითხე!
მსურს ბაგეზე
ლექსად გტკიოდე!

სხვაგან კი ასეთ სტრიქონებს ჩაწერს: „გულში ერთი წვეთი სინანულით გიპოვე ღმერთო!“

იესოსადმია მიძღვნილი ეს სტრიქონები:

„შენი სახელი, ჩემთვის არის როგორც ჭის წყალი, წვეთი ლოცვით რომ ჩამომჭკნარ სულს ააყვავილებს“.

როგორი მონანიე სტრიქონებია ჩაწერილი ამ ლოცვაში „ცრემლში დამბალი სინანული მიბევრე ღმერთო!” ასე, ხუთი თევზითა და ორი პურივით ნაკურთხი და გამრავლებულია მისი სიტყვები, სტრიქონები ეკიდება ფურცლებს ლექსებად. და რომ არ წეროს, განა შეიძლება? საოცარი ღვთის თვალი ადგას მის ლექსებს. პოეზიაც ხომ ლოცვაა და ცისკენ სწრაფვა, ამაღლება. ლექსითმეტყველებას მაკა ჯოხაძემაც ასეთი ორიგინალური აზრი მიუსადაგა, პოეზია „იოდისფერ პაწია ბოთლში ჩამოსხმული გულის ელექსირია?“.

ნინო ქადაგიძე ლექსებს ხანდახან სიზმრადაც ხედავს, სახიერ, ხილვების მსგავს სიზმრებს და თვითონაც ღვთის თიხით გამოძერწილი, სიყვარულს ლექსებად ძერწავს... მის ლექსებს ახალნაპოვნი ხელნაწერივით ვაკვირდები და პოეტის სულს ვკითხულობ: რა ესიზმრება, რა ელხინება, როგორ უწყვილებს საკუთარ თავს მაფშალიას, დიახ, მომღერალ მაფშალიას, რადგა? ნინო ქადაგიძეც მისებრი სტრიქონ-სტრიქონ მღერის:

ჩვენი სიყვარული
მაგონებს თაჯ-მაჰალს,
დღეები — ზურმუხტებს
შეხვედრა მალაქიტს
რა მოსატანია წყენა
ან ღალატი?!
ჩვენ ვდგავართ ჩუმად და
ლოცულობს ტაძარი.

და სიზმარში გამოტარებული სინამდვილის შემოფეთებით, პოეტის სულიერი ტკივილების დიაპაზონითა და ამ ტკივილების მოშუშების უცნაური რიტუალით, მისი თანამდევი ვხდებით.

„წუხელ ჯვარცმასთან დამათენდა, ლოცვაში არა, ფიქრში, რომ უფალს სამსჭვალიდან ლექსად ვდიოდე“, — ეს დედამიწისეული ტკივილების ფორმულაა, პოეტის მიერ ჩამოყალიბებული, მეტიც, მის მიერ გამოგონილი... ინტელექტუალური აზროვნების ამგვარი ფორმა, დამაჯერებელს ხდის მისი პოეზიის ენას, ასეთი ფორმულით სწორედაც რომ ეთანადები და ეთანხმიერები მის სტრიქონებს.

„შე გაზაფხულის მონაზონო”, — როცა მიმართავს თეთრ ენძელას, თითქოს უფლის ლოცვას იმეორებდეს ასჯერ, ათასჯერ: „მარტო დგახარ და მაინც ყვავილობ, ნეტავ შენსავით მეც მაყვავილაო”, — მეტი ყვავილობა რაღა იქნება, სიტყვათყვავილობაა მისი ლექსის უჯრედებში.

ნინო ქადაგიძის პოეზია „დედაციცინათელას ნისკარტებით მოზიდული ლოცვაა“... ისეთივე დაუყვედრებელი, ნათელი და ნამდვილი, როგორც ციცინათელას ნისკარტის არსებობის შეგრძნებით გამოწვეული დიდი გაოცება და სულის გაფართოება. აქამდე შეუმჩნეველი და დაუნახავი, მაგრამ არსებული მზა სტრუქტურის შემოტანა პოეტურ ველში, ის საჰაერო ხიდები და პოეტური გადასასვლელებია, ნინო ქადაგიძის პოეზიას ასე რომ გამოარჩევს და ადამიანურს, ბრძნულსა და კულტურულს ერთად შეგვამეცნებინებს.

ამ კრებულის სამოცამდე ლექსში ძალიან ბევრი ლოცვაა: „ასე გულდაჩოქილი შემივედრე უფალოო“, — წერს პოეტი.

დიახ, მამაზეციერთან სულიერი სიახლოვის გარეშე ღირებული არაფერი იქმნება; მეტიც, უფლის მადლს მოკლებული ადამიანი ისე გავა ამა სოფლიდან, ვერ გაიზიარებს ამ უკიდეგანო სილამაზეს, ვერ შეიმეცნებს აზრისა და გონის სიდიადეს, ვერ მოიფიქრებს თუნდაც ასეთ სათაურს „სიცხიანი ლექსი“, ვერც ასეთ ნატვრა-ნაღვლიან ლექსს დაწერს: „მოვდივარ შენსკენ, თან გზადაგზა ხახვის ფურცელს ვყრი, მერე ჩემამდე გზა რომ გავიგნო!“ ნინო ქადაგიძე „ნამგალა ყანის ჩიტად“ მოსდევს თავის ლექსებს, ნისკარტ-ნისკარტ ლექსად მოაქვს მარცვლებივით დაფანტული სიტყვები... პო-

ეზიის ხნულში დგას და უმწიფს ბალახი, მთის წვერზე ცხოვრობს, მწყემსის მეტრფეა, ასე წერს და ამ ლექსმაც მოუტანა პირველი აღიარება "ხვარამზეობის" დღესასწაულზე. თავის სიყვარულს, სატრფოს, მიჯნურსა და აშიკს სოლომონ მეფის "ქებათა-ქების" დარად უმღერს. ლექსიკონი ქართული კი გვაუწყებს «მეტრფე-ტრფიალების მოქმედია, სატრფოა, მეტრფე სხვა არრა არს"... პოეტიც მარადიული მეტრფეა. ზეცის მინდვრებს ლექსებით გადაურბენს და გვასმენინებს:

აჰა, გამოვიდა მთესავი თესვად...
ყამირს ატყვია ანგელოზის ნაფეხურები
და გუთნისდედის გაკვალული
ცისკრის ხნულები.

სასწაულმოქმედი მადლია ტრფობა. "იგი უფრო მისარქმელია, ვიდრე ზურმუხტი და მოელვარე ლალივით ძნელსაპოვარია. მას ვერ მოისყიდი მარგალიტებით, ვერც ძოწით, ან კი ვინმეს სმენია სიყვარულის, ტრფობის გაყიდვა? ვინმეს უნახავს ტრფობით მოვაჭრე? საოცარი გრძნობაა მიჯნურობა — ეს ამონარიდი ოსკალ უალდის „ბულბული და ვარდიდან" პოეტურ კულტურაზეც გვაფიქრებს, რადგან არც პოეზიაა ადვილსაპოვარი, ვერც მას „განჰვაჭრი", სანამ ასეთი სტრიქონები კვლავ იწერება: „ვარ სამშობლოთი მოგანგლული, მზე მიზის გულში და მიწაში მეწვის ფესვები!"

კვლავ ნინოს ვუსმინოთ, საღამოს ლოცვისას, როცა "აწოწილ ურთხმელებს ჩამოსდით სიტყვები წურწურით"... ის განა ხმიანობს, ჟივჟივით ლექსებში იბუდებს, იქ კი თავისას ხედავს და თავისას ღებულობს:

მე სულს მიფარავს
მიწის ერთი ციცქნა ნაგლეჯი,
ვფურცლავ ლაილაშს...
ჩემი ცრემლების იორდანე
ისე ცხელია,
რომ ფეხქვეშ ყველა მიწა მეწვის
და ვერსად ვსახლობ...

და ასეა, ლექსების გულში იტევს ტკბილ ტკივილებს. ალბათ, ამ ტკივილების გამოა, პოეტები ასე სტრიქონ-სტრიქონ რომ კარგავენ სიცოცხლეს... და სანამ კონწიალა ხიდი მასაც ჩაუწყდება ბავშვობასა და სიბერეს შორის, მამასა და პაპას შორის, სიტყვის ნაკუწებს აზრად აქცევს, და თუ ხანდახან არ უჯერებს სულის ნათესავს – სალექსო სიტყვას - ეს უფრო შემოქმედებითი წვა-ნატვრაა, ადამიანად გაჩენისა თუ პოეტად ყოფნის მისეული "ერთი ნისკარტი სამადლობელი"!

ჭისა კი არა, ნეტა
წვიმის წვეთად ვიქცე
ანდა გუბურად,
რომ მერე შემსვას
ტანჟივჟივა, ციცქნა ბეღურამ,
ამოგხედოს და ერთი ნისკარტი
სამადლობელი გადამიხადოს.

ნინო ქადაგიძის ლექსებში „გაღმა ნაპირზე თითებს იმტვრევენ ბილილები", "მოუსვენარი ბავშვი — ტყემალია" და „ბეღურებს ფრთებზე ასდით თითქოს შროშანის სუნი". „ფრთამოტეხილი ბარტყი (მართლა ჩემი გულია) ეს მერამდენე საგულედან რომ ჩამომვარდაო", — აცხადებს. „მზით ნახავერდები ატმის ბაღიც" გვამახსოვრდება, რადგან შემდეგ ასეთი სტრიქონებიც გაკრთება: „შენზე თუ ჯვარი არ დამწერეს, ატმებზე მაინც ვიქორწინებო" (და გალაკტიონის შემდეგ ატამსა და მის ყვავილებზე წერა არცთუ იოლია!)

პოეტი ამასობაში გულზე ოდიკს დაიფენს, ლექსჩანთაში გამორჩეულ ტექსტებს ჩაილაგებს და ვხედავთ ღრუბელ-ღრუბელ მიმავალს, თუ ღრუბლებს შორის დიდი მანძილია და "მწვანეტერფა გაზაფხულზე" მლოცველს აგვიანდება, ხიდად გაედება ლექსების ღმერთი და ასე გადაატარებს; ამასობაში "ამინიც" ჩამოივლის და გულით მხვეწარსა და მლოცველს რომ დაინახავს, არ დააყოვნებს და დაუდასტურებს ლექსად ნათქვამს:

როგორც მხვეწარი,
გულს მოგიტან
საწირ-საკლავად
შენ გადმორეკე შენი სოფლის
მოკისკისე მინდორ-ველები,
ტყეები, მთები...
ერთად ვილოცოთ
ამ მწვანეტერფა
გაზაფხულზე
გათენებიდან — გათენებამდე.

ამ დაბადებით პოეტმა გოგომ, ლექსად ერთად ვილოცოთო, და ერთ დღეს, შემოდგომის ხაზალობისას, ანუ ამ სეზონის ერთ დამორჩილებულ დღეს (იგივე დამორჩილზე — როგორც შემოდგომას უწოდებენ სამეგრელოში!) ზუსტად რომ დამორჩილებული პროზაული კრებული შემოგვთავაზა. ამ საკუთარ გულსა და ცხოვრებაში გამოტარებულ მინიატურულ პროზას „ცერცვისტოლა ამბები" დაარქვა („ინტელექტი"). მისი რედაქტორია ასევე ჩინებული მწერალი ნინო სადღობელაშვილი. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა "ცერცვისტოლების" მწერალიცა და რედაქტორიც თავიანთ ნაწერებს ძალიან ჰგვანან და მათ პოეზიასა და პროზაშიც გამოსჭვივის მათი სულის ფიზიკა და შემოქმედებითობის ფსიქოლოგიური მტკიცებულება.

ნინო ქადაგიძის თქმით, ამბავ-ნერის მოთხოვნილება იმიტომ გაჩნდა, რომ მხოლოდ ლექსით ვერ გამოითქვა მისი ყველა ადამიანური სათქმელი, ვერ გადმოიცა საფიქრალები და ახლა, სულის განვითარების ამ ეტაპზე, სათქმელი პროზაული ტექსტით შემოგვთავაზა. „ცერცვისტოლა ამბები" 52 ასეთ სათქმელს გვთავაზობს. ეს ამბები ავტორს კი ჰგვანან, მაგრამ სრულებით არ ჰგვანან ერთმანეთს. აქ ყოველთვის ახალი, არაჩვეულებრივი ამბავი იწყება და არ ილევა ამბები. უნებურად ვიგონებთ გალაკტიონს, „და ცით დაამშვენაო" — დაწერს ტაძრის ამშენებელზე და სიმაღლის სხვა რეგისტრში აჰყავს ნიკორწმინდაც და მისი მკვიდრად მაშენებელიც. ნინო ქადაგიძემაც თავისი სათქმელი ამ სათაურით გაამშვენა, ცერცვისტოლები უწოდა, ყველა ტექსტს მოარგო და მათაც მოირგეს ეს სათაური.

ამბობენ, ასკეტური ცხოვრების წყალობით განბრძნობილნი მთელს სამყაროს ერთი ცერცვის მარცვალში ხედავენო. ტექსტის ანალიტიკური წაკითხვა ასე გვეთავაზება. მწერლური ბუნება ორი მიმართულებით შეიძლება შევაფასოთ, პირველი: რაც მან დაწერა, და მეორე: რაც ამ დაწერილით შეიძლება იგრძნოს მკითხველმა ანუ ის, რისი დაწერაც შეუძლებელია, მაგრამ ეკუთვნის მწერალს და ეს ხანდახან გამოთქმის შესაძლებლობათა მიღმაა. ამ პროცესებზე მწერალს არასდროს შეუძლია პასუხის გაცემა. რატომ მაინცდამაინც ასე და არა სხვანაირად? ასეთი კითხვების გამო ჩნდება ტექსტების შეფასების სურვილი. თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ ნინო ქადაგიძის ტექსტები ჩვენთვის მისაღებად; ალბათ იმიტომ, რომ ამ მინიატურების გრამატიკა და თხრობის ლოგიკა, მისი ტექსტების შინაარსი „სულის სანატორიუმში" მოხვედრას მოჰგავს. როგორ უსმენია თავისი ბავშვობისთვის, როგორ დაჰკვირვებია, როგორ დაუმახსოვრებია პაპა-დიდედების მოყოლილი; მერე როგორ გარჯილა და რა ლამაზად ჩამოურიგებია ეს სამახსოვროები თავისი ნათელი გონებით ნაქანდაკარ მახსოვრობის ფაილებში, ან როგორ

შეუკრავს. ისევ გალაკტიონური ასოციაციებია: ჟღერს ამბების ჰარმონია, მერე რა მდიდარი სააზროვნო სივრცეა, ზომიერდიდაქტიკური, კეთილმორალისტური.

ნინო ქადაგიძის მინიატურები — მისი ერთი პერსონაჟივით, 37 წლის ფირო-ფოსტალიონივით (რომელიც ზაფხულობით დედამისის ჩითის, ხოლო შემოდგომა-გაზაფხულზე კი ბამბაზიის ხალათზეა მიწებებული) — ძალიან არიან თავიანთ შემქმნელსა და მომგონებელს ჩაფრენილნი... ისეთი მცირენი არიან, მარტონიც არ დაიტოვებიან, ამიტომ სულში შემოგვისახლდებიან და იქვე გვიჩერდებიან. თან ვნატრობთ, ამ წიგნს, ამ ამბებს დასასრული არ ჰქონდეს ამ მართლა ცერცვისტოლა კი არა, ცისტოლა და მზისტოლა ამბებს, სულაც სულისტოლა ცერცვისტოლებს.

ერთი ამბავია სახლზე, უთქმელსა და ფიქრიანზე, ფხიზელ-ძილიანზე, რომელიც „წელში იხრება, ბერდება და პატარავდება. ერთ დღეს თავიც კი შეიძლება ჩამოგადოს მხარზე დაღლილმა“. გამთენიისას, მამლის ყივილზე ეღვიძება სახლს. „გაიზმორება აბლაბუდებით, დაამთქნარებს ჩიტის ბუდეებიან აივანს და ყავარიან თავს დაუკრავს მეზობლის სახლებს“, — ხომ არის ეს სახლი თანამედროვე სევდის მეტაფორა, დარდის ახლებური შემოთავაზება გაუყუჩებელზე, მოურჩენელზე, არგარდასულზე. სახლი თანდათან ემსგავსება მამას, მამა პაპას, პაპა თავის მამას, ასე იქამდე, ვიდრე სოფლის ბოლოს ნასახლარებს წააწყდები. მიტოვებული საფლავებია ნასახლარები! საფლავთა მიტოვებულ სახლებთან, ნასახლარებთან ასოცირება, ანდა სულაც პირიქით, ქართული არგაყუჩებული ტკივილებიდანაა გამოყოლილი.

ნინო ქადაგიძის თაობაშიც იწერება ვაჟას „მთის წყაროსგან“ გამომდინარე, მისი ნათლული მდინარე, ერთი მაინც აუცილებლად რომ უნდა ჩამოუდიოდეს სოფელს. რა იცი, რაში გამოადგებათ! მდინარე არამცდაარამც ღრმა და მშფოთვარე არ უნდა იყოს, რომ სრულიად შემთხვევით ალიკას ბიჭი არ გაიტაცოს და დედამისი მთელი ცხოვრება ამ მდინარესავით არ ღრიალებდეს — დაიხრჩოო!!!... დიახ, მდინარეს გულის ჯიბიდან არც ერთი გრამი ბოროტება არ უნდა ამოუცურდეს! — ასე ფიქრობს მწერალი. მარადიული სიკეთის მეტაფორაა მდინარეობა, უსასრულო სიკეთეა განფენილი დროის მედინობაში.

ეს მინიატურები ჟანგბადის მოლეკულებით ამარაგებენ ჩვენი სულის სამოსახლოს... დღეს, როცა ადამიანთა გულები დაისერა გამოუცნობ თუ გამოსაცნობ წყლულებით (ისევ ვიგონებთ გალაკტიონს!), არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ რელიგიური პროცესებითაც, მწერალი ზოგ ტკივილს ზამთარში ჩაასახლებს, ზამთარს გადააბრალებს თანამედროვე ტკივილებს. ზამთრის მკერდიდან გადმოიქსოვს ტკივილთა ბაგაბუგს; ერთ წყვილ წინდაში ჩაატევს გრძელ ზამთარს-შიბიანში, ჯვრიანთვალში, კანჭულაში, ან ჯარანაში... თითქოს კიდევაც გეცნობა „ზამთარტკივილა“, მაგრამ ვერ ხვდები, შენი ღუმელის გვერდით მაინც როგორ მოხვდა, ან საიდან გესტუმრა? ამაზე მწარედ როგორღა თქვას, როგორ ამოიტკივილოს, როგორ დაგაყვედროს. ასეა ნინოსთან, უკეთეს ბრაზიან სტრიქონებს ნუღარ გამოელით მისგან!

მისი აბზაცები დატვიფრულია ჰუმანური ამბებით. ერთი ამბიდან მეორე ამბამდე მანძილი მცირეა, და ხანდახან უხმოდ გინდა გადახვიდე ერთიდან მეორემდე, სიტყვა არ დაძრა, რომ დარდისა და სადარდებლისა არ დაგცდეს რამე... ფრთხილობ, და თან იმ ცოლივით უფრთხილდები ყოველივეს, ქმარი რომ ჰყავს მთიბველი, მოლივლივე თაფლისფერთმიანი. ცელს წურწურით რომ სდის ბალახის წვენი, და ტერფებზე რომ აკრავს იმ დღის ნაფთევი.

„ცერცვისტოლა ამბების“ წაკითხვის შემდეგ მკითხველიც ეხვევა მინიატურების ნაფთევში, იმახსოვრებს მის გმირებს „გაჰყურებს სპინოზას ფანერააფარებულ „ხრუშოვკის“ ფანჯრებს და სჯერა, რომ მის სახლში უფრო მეტი ღმერთია, ვიდრე მოპირდაპირე კორპუსის ჩეხურ ოთხოთახიან ბინაში. ენათესავება სახლგადამწვარ, სევდიან ელიკოს, რომელსაც თავისი მხოლოდ მცირეოდენი პენსია, მაღალი წნევა და შვიდი ცალი ქოთნის ყვავილი აქვს...“

ნინო ქადაგიძის მინიატურები გვაგონებს მარტოობის ჟამს საკითხავებს, როცა მარტოობას განსაკუთრებული ჟესტების გარეშე ვთხოვთ, ჩვენკენ ჩამოიჩოჩოს და გვერდით მოგვიჯდეს, თუმცა ვიდრე ნინოს ნაწერებს ვკითხულობთ, მარტონი მაინც არ ვიქნებით.

არც ქართულსახელიანი "დარდა" დაგვავიწყდება არასოდეს, კეთილი პერსონაჟი. გამოსასვლელი კოსტუმი რომ აბადია, ალბათ, ღირსეული დღეების გასაბრწყინებლად. ჯაგლაგი ცხენი რომ ჰყავს და ძმასთან ვენახს რომ იყოფს... კედელზე ფანდურიც უკიდია, ალბათ, დარდი უკეთესად რომ ამოიმღეროს. ცოლის, ორი შვილისა და შვილიშვილთა ამაგით დაღლილს მაინც ხედვის არეალში გვიტოვებს მწერალი: „ვენახში ვაზს ყელავდა, თვალის გარშემო და ცხვირ-პირის გასწვრივ თაფლივით წვეთავდა მისი დამარცვლილი სახელი „დარ-დიკო". ასე შეუმჩნეველად თაფლავს პერსონაჟის დარდი არა მარტო ვაზის ძირებს, არამედ ადამიანთა გულებსაც.

დავხუჭავთ თვალებს და წარმოგვიდგებიან მისი გმირები, გავახელთ და აღარ არიან! მისი ბაბუაწვერა კაცები, რომლებსაც თითქოს მუჭებით შეაყარეს იმ თეთრ თმაწვერში ათასობითი ციცინათელა. არ ჩანან ის ჩია კაცები, პაპებიც რომ გახდნენ და ვაზებსაც დაემსგავსნენ. "როცა ბერდებიან, ვაზის ტანივით იგრიხებიან, იგრიხებიან... მათ ხალათებს კი გარდაცვალების შემდეგადაც დიდხანს ასდით შაბიამნისა და მზის სურნელი".

იყვნენ და აღარ არიან! არც მეცხვარე გახუა, მიწის 101 წლის უსინათლო მკითხველი. რომელიც თავის სეხნია შვილიშვილს შეაგონებს: „როგორც შენ ამძიმებ და აწუხებ მიწას, მიწაც ისე დაგამძიმებს სამარეში, შვილო, მე რომ აღარ ვიქნები და ამ მიწას ზედ დამაყრიან, ბუმბულივით დამედება ეს შავი მიწა, ჩემო შვილილავ!“ შვილილაო — მარტო ამ სიტყვის გამოგონებისთვის ცხონდება გახუა. ჩვენი მხრივ კი, მადლობა მწერალს პერსონაჟის ასე ამეტყველებისთვის.

აღარც მეწისქვილე თომაა, ავტომატიანი კაცები რომ შეუცვივდნენ წისქვილში. "დიდ, წყლიან თვალებში ცა ეტეოდა" თურმე. როდესაც ხელი შეახეს ფერდზე, რამდენიმე თითი ჩაუვარდათ თომას ჭრილობაში. ჩვეულებრივი, ადამიანური გონებისათვის ასეთი გააზრება ტკივილის პანთეონში გადასახლებას და მწვერვალის სევდას უახლოვდება... და ამჯერადაც მწერლის ამპლუა ქრესტომათიული ტკივილის მედიუმობაა, რომელიც ასე აგრძელებს: „ისეთი სუნი წამოვიდა თომას ჭრილობიდან, როგორც ადრე, მისი ნაჩუქარი ფქვილით პური რომ გამოვაცხეთ... მერეღა მივხვდი, ღმერთის სუნი იდგა. არც არაფერი გამკვირვებია. 1990 წელი იყო. 22 აპრილი. აღდგომის სწორი. კვირაცხოვლობა და თომას კვირიაკე“.

არ არიან, მაგრამ ამიერიდან ჩვენს სულში ჩასახლდა მეაკვნე ლონგინოზი, ნაბუნებებული კაცი. ტყის პირას ადგილის დედის ნაფეხური რომ იპოვა და იქ სახლი ააგო სალხინოდ. ლონგინოზი ოჯახს მეაკვნეობით არჩენს. შეკვეთას ერთი თვით ადრე აძლევდნენ. "მერე წავიდოდა ტყეში, მოჭრიდა წიფლას და გარანდავდა. ფიცარს ერთი სავსე მთვარე უნდა გამოეცვალა...თუ ფიცარზე ხელი გაეჭრებოდა და სისხლი წაეცხებოდა, გადააგდებდა უთუოდ ამ ფიცარს, არ შეიძლებაო, იტყოდა. ახალგაკეთებულ აკვანს ზედ დაატანდა ბორჯღალოს და შვიდ მნათობ ვარსკვლავს... დალოცავდა მშობლებს: — გაგიმზეკდეთ, გაგიბევრდეთ, ზედ წყაროსავით სდიოდეს სიცოცხლეო." ვფიქრობთ, 21-ე საუკუნის დასაწყისის ქართულ პროზაში ასეთი კეთილშობილი და "გამ-

ზებევრებული” ამბავი ცოტა თუა დაწერილი... მისი ყველა მინიატურა საღვთოა, თითქოს ღვთისავარია პერსონაჟთა საერთო სახელი... ალბათ, მირონმა დააშოშმინა და მფარველმა ანგელოზმა გაუწია დედობა მის პერსონაჟებს. ნიავივით უქრით სიცოცხლე მისი ამბის გმირებს... ასე გვგონია, ნინო-მწერალმაც, ისე, როგორც მისმა ერთმა პერსონაჟმა, ხელი მოჰკიდა კიბეზე ჩამომჯდარ ღმერთს და შინ წაიყვანა. მას შემდეგ ერთად ცხოვრობენ ნინო და ღმერთი... ერთად მიდიან სოფელში, ერთად აბინავებენ მოსავალს... მხრებზე ჩიტებივით ასხედან ანგელოზები. ალბათ, ამიტომაც ეწერება ასე... და იწერება მისი ამბები ყველას წასაკითხად და საზიარებლად, რადგან, როგორც ერთგან წერს, იქნებ ამის „წამკითხველებს სინდისი გაუნორჩდეთო“.

აწ კი უფრო დამცრობილ-დაპატარავებულ სოფელში, გოდერძი ჩოხელის „ცასწავალასავით”, თავისი წილხვედრი ლოცვა და ჯვარი ცისკენ მიაქვს ნინო ქადაგიძის ამბის გმირს, მწუხრის ლოცვაზე ბერად შემდგარს, თალხი, ბინდისფერი კაბით შემოსილს, რომელსაც ანაფორის გვერდიდან ცისფერი ნათელი გამოსდის. მიდის, ჯვარედინა ჯვარი მიაქვს. მხარსისხლიანი. წითელ, თაკარა წვეთებს ტოვებს ბიბინა ბალახზე ცისფერპერანგა, მიდის ცისკენ, ცისა იყო და ცისკენ წავიდა!.. ასე ჩვენი სულებიც აიყოლია და ცისკენ გაიყოლია... ადამიანების სული უფრო თბილი გახადა, რაღაც უფრო ტკბილი, თან ტკივილისფერი! თითქოს ცაზე კი არა, ჩვენი სახლის ფანჯრებიდან, უფრო მეტიც, ჩვენი სულის ფანჯრებიდან ამოიყვანა მზე... გულგული მზე დგას ახლა ჩვენი სულის ოთახებში, სინათლეზე კიალებენ ფანჯრის მინებიც... ასეთმა გაციმციმებულმა სულმა კი უფრო კარგად იცის საიქიოს გზა!

მინიატურა სახელად „გოგო“ იმ ათასნაირად თქმულსა და გადათქმულს უტრიალებს გარშემო, ანონიმმა ავტორმა რომ ამოკაწრა ვარძიის მონასტრის კედელზე... და შერჩა კედელს ერთი დიდი სტრიქონი, მცირე იგავი... “თოთხმეტი წლისა აღმკვეცეს მონაზვნად, აქვე შევიქმენ 74-ის, რა ლამაზი იყავი ბიჭო!“ ახლა ვარძია მამათა მონასტერია, და ეს სტრიქონები შეიძლება ბერსაც ამოეკაწრა და საკუთარი თავისთვის შეეხსენებინა წლების წინანდელი ლამაზი ბიჭი, 60 წელი უფლის სამსახურში რომ გაეტარებინა, მაგრამ ის ვიღაც, კვლავ რომ უყვარდა დანამდვილებით.

თუ ვანის ქვაბის დედათა მონასტრის კედელზეა ეს სიტყვები ამოკაწრული, კვლავ სარწმუნოა ეს ამონაცდომი სულისა! სულგაკაწრულთა ორდენს ემატება ნინო ქადაგიძის მინიატურა „მარიამობის წინა ლოცვაზე“:

“მიიღე და მომაწოდე“ — სამჯერ ჩაგესმას. მთვარის სპეკალივით იდგე ფეხშველა ჭილოფზე და ასრულებდე მღვდელმთავრის სიტყვას. ნეტა რა სახელს დაგარქმევენ სამონაზვნედ შემოსილ გოგოს?!“ საუკუნეებს გამოსცდნენ სულის ეს ნათებანი და XX საუკუნეში დაწერილ რომანში XI საუკუნის მცხეთაში, ბაგინეთის სადედო მონასტერში მონაზვნად აღკვეცას ვესწრებით. „შუშანიკი დაარქვეს, რადგან ასეთ შემთხვევაში მხოლოდ პირველ ასოს სახელისას უცვლელად უტოვებდნენ აღკვეცილს“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია. ნინო ქადაგიძე კი არც საერო სახელს არქმევს თავის გმირს, უსახელოა XXI საუკუნეში სამონაზვნედ შემოსილი გოგო.

მინიატურაში „ბავშვობის მეგობარი“, ასეთი ამბავიც გაკრთება: ბავშვობაში, დახუჭობანას თამაშისას, „თე ბაღანაქ დი-ტყო-ბას!“ გათვლისას, ბოლო მარცვალი გოგოზე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მაინც თვითონ დაიხუჭებოდა, ბიჭი იყო და უნდა დაეთმო. ამ სიტყვებიდან მხოლოდ „დიტყობას“ ესმოდა, რაც “დამალვას” ნიშნავს მეგრულად! დაემალნენ ერთმანეთს, მთელი ცხოვრება გაგრძელდა ასე, ვერ იპოვეს რატომღაც ერთმანეთი. „ახლა კი მონასტრის კართან დგას ერთი მისი ხნის ბერი და თვალს არ აცილებს, სასირცხვილო რა არის აბა, მანაც უნდა შეხედოს, ქალი კაცისგან შეიქმნა და მას უნდა უყურებდეს, გაუგონია, კაცი კი მიწას... მოულოდნელად იწყებს გათვლას და ისევ იხუჭება, ისევ იმალება გოგო... კიდევ თუ ოდესმე გიპოვის?!” მწერლისეულ კითხვა-ძახილის ნიშნებს ამოჰყვება მთელი ცხოვრების სათქმელი, აზრი. კიდევ თუ ოდესმე იპოვის? გაკრთება მკითხველის გონებაში და მისი ფიქრი კვლავ მიეხლება ზეცის ზეკარებს, შეუერთდება ზეცის მინდვრებს, ზეცის ლაჟვარდებს.

ნინო ქადაგიძის გამხელით, მან ბავშვობიდან გამოიხმო ამ პატარა „სულის წიგნის“ პერსონაჟები და უფრო დაგვარწმუნა, რომ სოფელი ქალაქიდან ჩასული ბავშვების სულის ემბაზია, მათი გულის ხასიათის ქართული თონის პურის სითბოთი და მოუკლებელი სისავსით გამაჯერებელია. ეს ამბები, თანამედროვე ადამიანების სულის განსაწმენდელიცაა, ზნისა და სახელის მილოცვაცაა.

ქართულ პროზაში “ნატვრის ხის” დაწერიდან 100 წლის შემდეგ, გოგლას პერსონაჟების კვალდაკვალ, ახლა უკვე ქიზიყური სოფლიდან შემოაბიჯეს სახე-ხასიათებმა. მათშიც შეიძლება დავლანდოთ ჩირიკები და ჩიკოტელები, თაღრიები და ციციკორეები, ფუფალები ხომ ისედაც ყველგან არიან! არიან ბროწეულისყვავილისფერი სილამაზის საგალობლებიც, სოფლის ნამდვილი მისამართი – მარიტები! და სამარიტეთი რომ არასდროს გადაშენდეს, უნდა წავიკითხოთ ნინო ქადაგიძის ეს პატარა ქადაგებანი, მალამოსფერი ამბები, სადაც აღმოვაჩენთ გოგლას დეიდა მაიკოსნაირს, ნინო-მწერლის მამიდას, რომელიც ასე ლოცავს ობოლ ძმისშვილს: “ჩემო გულაბერ, ვარდის შვილავ, ვარდის კოკორავ, მზევარდისავ, დილავარდისავ, პირვარდისავ, სახევარდისავ, ჩემო გულჩორა, ჩემო ნატრისო-ნანატრისო, ვაშლატამების ღაღანებავ”... რომელთა ლოცვამ უნდა გადაარჩინოს ყოველივე ქართული.

გავიხსენოთ გოგლას სიტყვები: „ვენაცვალე საქართველოს, რა მომცემი მიწაა! რძეც ნასდის და თაფლიც! მაგრამ ჩვენ, ქართველობა რათა ვართ გადამწირული!“ — კვლავ ეს კითხვები ამოკიაფდებიან დღევანდელ საქართველოშიც, მაგრამ ნინო ქადაგიძის ამბებს სხვა რიტმით შემოაქვს მსგავსი საფიქრალები. თვითონ დგას ტაძარში, მსახურებაზე, და ფიქრობს: „აი, რამდენი ადამიანიც აქ დგას, ხომ ყველამ გულით მოიყვანა თავისი წილი ღმერთი საყდარში, როგორ გაბევრდა და გადიდდა ღმერთი, ხალხის გულებიდან და თვალებიდან გადმოვიდა... ისეთი ლამაზი სანახავია... უფალი ჯვარცმული გვყავს, მაგრამ მაინც ცოცხალი”.

და დღეს, ჩვენს საადამიანო ბილიკებზე დამდგართ, როცა სულიდან ისე გვდის სისხლი, როგორც გაჭრილი თითიდან, ნინო ქადაგიძემ ცერცვისტოლა სალბუნები წამოგვაწია. ამ ამბებით ეს დაჭრილი სული გადაგვიხვია, გული აგვითრთიალა.

ნინო ქადაგიძის კეთილგულა პერსონაჟთა ამბები პაპაბებიების დათესილი ცერცვივით მარგებელი და მაამებელია. მოკლედ ნათქვამია, “უბნელებელი დღეებისა და მზიანი ღამეების” მოლოდინისას სულში გაკროცილი გრძელი ამბებია.

ძვირფასი ნინო, ღმერთმა ნუ გამოგლიოს ეს ნამზეური, სულის ლამაზად დაფიფქული ისტორიები. თავანკარა ქართულით დაწერილი ეს ამბები ახალი კინონოველაა, XXI საუკუნის „ნატვრის ხეა“.

“ცერცვისტოლებში” ბევრი ცინცხალი და ბუმბერაზი სიტყვა შემოგვეფეთა, რომელსაც სისხლის მეხსიერებით დავატარებთ და ამიტომ მეტწილად აუხსნელადაც მისახვედრია.

“ამბად წყობილი” ეს ცერცვისტოლები მკითხველთათვის “დიდად მარგია”, სწორედ ამიტომაც დიდხანს შერჩება ჩვენს ხსოვნას კეთილად შეყრილი ეს სულისტოლა ცერცვისტოლები.

გვანცა დევიძე

ტრაგიკული ფურცელი

ხასო ხანგოშვილი და ალიხან იზმაილოვი

ნასილხან ხუჩბაროვა, მექა და თუმი ხანგოშვილები, ეთერ თათარაიძე

ეს იყო არნახული სისასტიკით და მუხანათური დაუნდობლობით დაღდასმული გენოციდის დღე სულით მტკიცე და ბუნებით ამაყ, თავმოყვარე მთიელთა ცხოვრებაში — ასე აფასებენ დღეს 1944 წლის 23 თებერვლის დიდ ტრაგედიას, რომელიც „წითელი ტერორის“ სისხლიანი ნაწილი იყო კავკასიის ისტორიაში. ზუსტად 71 წლის შემდეგ ქართველები, ინგუშები და ჩეჩნები ისევ ერთად შეიკრიბნენ, რათა ამგვარი ერთიანობითა და თავიანთი მწუხარების გამოხატვით კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ, თუ რა გადაიტანეს საკუთარი მიწიდან ძალმომრეობით აყრილმა ვაინახებმა.

ამ ტრაგედიისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც ქალბატონი **მექა ხანგოშვილი** წარმართავდა, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა. გარდა საღამოს ოფიციალური ნაწილისა, აღსანიშნავია ისიც, რომ მოეწყო პრეზენტაცია **გაბრიელ ჯაბუშანურის** პოეტური წიგნისა **„ჰოი ღილღოს დაღრუბლულო ცაო“**, რომლის წინასიტყვაობის ავტორიც **ამირან არაბულია**... ლექსების ამ კრებულის გაცნობისას ნათელი ხდება, რამხელა განცდითაა დაწერილი თითოეული სიტყვა, ეს არცაა გასაკვირი, რადგან პოეტი თვითმხილველი იყო ამ დიდი ტრაგედიის შედეგებისა: მიტოვებულ სახლების, დაცარიელებული სოფლების.

ღონისძიება დიდ მონიტორზე შავ-თეთრი კადრების ჩვენებით დაიწყო, კადრებით, რომლებიც მძიმე საყურებელი აღმოჩნდა: თვალებში სევდაჩამდგარი კავკასიელი ქალების ფოტოები, შვილმკვდარი დედების აცრემლებული სახეები, მიტოვებული სახლები და მგზავრობისას დაღუპულ ვაინახთა ცხედრები გზებზე. ეს მონაკვეთი ვაინახი ხალხის ისტორიაში სევდითა და მწუხარებითაა აღსავსე. თითქოს გადასახლების მიზეზი სტიქიური უბედურებისგან თავდაცვა იყო, ამგვარ „მზრუნველობაში“ კარგად ჩანს ის ცინიზმი და დაცინვა, რომელსაც ნამდვილად არ იმსახურებდნენ ჩეჩნები და ინგუშები. ისინი, ვინც მკაცრ პირობებს ვერ უძლებდნენ და უძლურების გამო „საქმეს აფუჭებდნენ“, ერთ ვაგონში გამოკეტეს და ეს ვაგონი ცეცხლს მისცეს. დანარჩენები კი პირუტყვის გადასაყვანი ვაგონებით მიიყვანეს „სამშვიდობოს“. გავლილ გზაზე კი თოვლის დნობასთან ერთად გამოჩნდებოდნენ ვაინახების გაყინული ცხედრები, ეს ყოველივე მართლაც სულისშემძვრელი იყო.

კიდევ უამრავი ასეთი ამბავია, რომელთა გაგებისას შეიძლება ეჭვი შეგეპაროს, ეს ნამდვილად იყო თუ ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია, რადგან ტრაგედიის დეტალები სცილდება სისასტიკის ყოველგვარ საზღვრებს, იმდენად შემაძრწუნებელია.

როგორც ცნობილია, ჩეჩნების გადასახლების შემდეგ მათ კარ-მიდამოებში ქართველები ჩაასახლეს, გავიდა ათიოდე წელი და შორეული ყაზახეთიდან კავკასიელები დაუბრუნდნენ თავიანთ კერას, რომელიც ქართველებმა არ გააციეს, კერას, რომელიც ასე ენატრებოდათ გადასახლების წლებში. არასოდეს ქართველ ხალხს ჩრდილო კავკასიელთა თანადგომა არ შეუწყვეტია.

ღონისძიებას ესწრებოდა „წითელი ტერორის“ წინააღმდეგ ყოველთვის შემართებით მებრძოლი, **ახმად ხოჩბაროვის** ძმისშვილი, რომელმაც ისაუბრა იმ გულითად ადამიანურ ურთიერთობებზე, რომლის წყალობითაც გადარჩნენ რეპრესირებულნი მშობლიური მიწა-წყლიდან შორს. ქართველების დახმარებითაც ძალიან ბევრი რამის გადარჩენა მოხერხდაო, დასძინა მან.

სიტყვა დაეთმო ბატონ **ჯოყოლა ჩეგიანსაც**, რომელმაც გაიხსენა მამის თხოვნა, უფრო სწორად კი მოთხოვნა: „თუკი ერთ პატარა აგურს მაინც არ შემატებ კავკასიელი ხალხის კეთილ საქმეს, იცოდე, საიქიოშიდაც არ შემხვდეო“ ბატონმა ჯოყოლამ დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა იმის თაობაზე, რომ სულ რამდენიმე წლის წინათ, საქართველოს პატრიარქის ინიციატივით ამერიკაში, კერძოდ პენსილვანიაში გააგზავნეს სვანებისა და ინგუშების სისხლის ანალიზები და ოფიციალურად დადასტურდა მათი საერთო წარმოშობა, საერთო ძირი. ჩეგიანმა გამოსვლა ალექსანდრე ყაზბეგის მშვენიერი ლექსით დაასრულა.

ისტორიკოსმა **ზვიად კვიციანმა** აღნიშნა, რომ ეს ტრაგედია თანაბრად მტკივნეულია როგორც ჩეჩენი და ინგუში ხალხისთვის, ასევე ქართველებისთვისაც. კავკასიოლოგები და

სხვა მეცნიერები დღეს უკვე აღარ დავობენ კავკასიელთა საერთო წარმომავლობაზე და ასევე თამამად შეიძლება საუბარი კავკასიურ ცივილიზაციაზე, რომელიც ტოლს არ უდებს შუამდინარეთისა და ეგვიპტურ ცივილიზაციებს. წარსული დასავიწყებელი ნამდვილად არაა, ამიტომ არსებობს ისტორია, მაგრამ თუ წინ ვერ გავიხედებით, ეს ისტორია ძალას დაკარგავს, მტრების მუდმივი შემოსევებისა და სხვათა მიზეზის გამო წარსულში ვერ ხერხდებოდა კავკასიელი ხალხების კიდევ უფრო დაახლოება, დღეს კი აუცილებელიც კია, სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ამ საკითხს — განაცხადა ბატონმა ზვიადმა.

ქალბატონმა **ცირა ბარამიძემ** ქართველებისა და სხვა კავკასიელი ხალხების „ურთიერთობის ფორმულად“ ურთიერთსიყვარული და თანადგომა დაასახელა. „ბუნებრივია, ისტორიას აქვს თავისი კანონზომიერება: წარსულის გამოძახილი აწმყოში გვესაჭიროება უკეთესი მომავლისთვის და ამიტომაცაა აუცილებელი ეს ფორმულა პირველ რიგში ახალ თაობამდე სწორად მივიტანოთ. ბევრისთვის კავკასიური ხასიათი და ზნე-ჩვეულებანი კავკასიისავე მწვერვალებივით შეუცნობელი დარჩა, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და ამიტომ ჩვენი დაკარგვა ცოდვააო“, — აღნიშნა მან.

განსაკუთრებულად შეხვდა დარბაზი პოეტ **ერეკლე საღლიანის** გამოსვლას. „გარდა ანთროპოლოგიური ერთობისა ჩვენ გვაერთიანებს ერთი ფენომენი, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება მსოფლიოში, ესაა კავკასიური ეთიკა, რომელსაც ვერ იგებს ვერც ევროპა, ვერც აზია და ვერც ამერიკა.“ სწორედ ამ ეთიკის გამოვლინება იყო ის, რომ უკან დაბრუნებულ კავკასიელებს კვლავაც გაუციებელი დახვდათ თავიანთი კერა, ესაა ჰუმანურობის საუკეთესო მაგალითი და სწორედ ქართველებისა და ვაინახების ურთიერთობა უნდა დაედოს საფუძვლად მსოფლიო პოლიტიკას და ამით ავიცილებთ თავიდან ომებს და ყველა სახის დაპირისპირებებს. სიტყვით გამომსვლელმა დიდი პატივით მოიხსენია ალექსანდრე ყაზბეგი, რომელიც ყველაზე კარგად ჩაწვდა ვაინახების ტრაგედიას, და რომელმაც ყველაზე უკეთ დაგვანახვა, რაოდენ მნიშვნელოვანია ერთმანეთის ტკივილისა და ტანჯვის გაზიარება. ესაა სწორედ მაღალი ზნეობა და თუ ამ ზნეობას დავიცავთ დღეს, ის თავად დაგვიცავს ხვალ, — განაცხადა ბატონმა ერეკლემ.

ჩვეული სიტყვაკაზმულობით გამოირჩა პოეტი **ეთერ თათარაიძე**. მან ისაუბრა მთიელთა ღირსებაზე, ვაჟკაცობაზე, უანგარობაზე. აღნიშნა, რომ მთაში ყველაფერი სხვანაირ ელფერს იღებს, იქ მიხვრა-მოხვრასაც კი თავისი შინაარსი აქვს. კავკასიელი ხალხების ცხოვრება სავსეა მოკრძალებით, მოთმინებით და, სამწუხაროდ, განცდილი ტრაგედიებით, რომლებიც უხვად „მოგვიძღვნა“ რუსეთმა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის **ილია მეორის** მოწოდებით, ღონისძიების შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ პარლამენტის შენობის წინ გადაინაცვლა, სადაც სანთლები აანთეს ტრაგედიისას დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად.

ვაინახთა გადასახლება 71 წლის შემდეგაც ისევე მტკივნეულად გამოიხატა, როგორც ადრე. წარსულს, რომც ვეცადოთ, ვერ დავივიწყებთ, ვერც ტკივილს, და ამიტომ კიდევ დიდხანს დარჩება ჩეჩენი და ინგუში ხალხის ტრაგედია ისტორიის მტკივნეულ მონაკვეთად.

ფოტოები
ბაგუა ალუდაურისა

გაბრიელ ჯაბუშანურის საფლავთან დიდუბის პანთეონში

დაიბადა თბილისში; 129-ე საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ჩააბარა საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, ქართული ფილოლოგიის განხრით; მონაწილეობდა სხვადასხვა კონფერენციაში; იღებდა უწმინდესისა და უნეტარესის სახელობით სტიპენდიას წარჩინებული სწავლისათვის; იყო ფილოლოგიის ეროვნული ცენტრის სტიპენდიატიც; მუშაობდა თემებზე: გალაკტიონ ტაბიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი — წერილები, ნაცარქექიას მითოსური სახე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, სერაპიონ ზარზმელი, „ქებაი და დიდებაი ქართული ენისაი“... ამჟამად სწავლობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგისტრატურაზე, სპეციალობით — ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე; 2015 წლიდან იღებს ოთარ ჩხეიძის სტიპენდიას; დაინტერესებულია თარგმანით.

მარიამ კვერღელიძე

ფიქრები „შესანდობრებზე“

შემოქმედება ბინდბუნდია, დღეღამის გაყრაა თუნდა დაისისაო, თუნდა აისისაო. ბინდბუნდია. ასო შუქია, შუქი, ანათებს, ბრწყინავს, თვალსა გჭრის, გიფხაჭნის, მერე ფერადოვნებაა, მერე, კალამს რო გადასდებ.

ოთარ ჩხეიძე

დიდი ხანი არაა, რაც ოთარ ჩხეიძის „შესანდობრებს“ შევეჭიდე.

შემიყოლია...

ვკითხულობდი და თითქოს რეალურთან ერთად ირეალურ სამყაროშიც ვცხოვრობდი. აქ გაცოცხლებულია მთელი ეპოქა,ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ მას. ზოგის სახელი ყველამ ვიცით, ზოგისა პირველად გვესმის...

ოთარ ჩხეიძე ფუნჯის ერთი მოსმით ხატავს მათ; ზოგჯერ მხოლოდ ერთ შტრიხს გამოკვეთს, მაგრამ ყველაზე არსებითს, მეტყველს. ნოველებში, რომლებიც ქართულ ტრადიციულ სუფრაზე მოთხრობილ ამბებს ჰგვანან, ავტორი გვახსენებს წარსულს, დაგვაფიქრებს პიროვნებისა და საზოგადოების გაუცხოებაზე, ამქვეყნიური ცხოვრების ფასზე, კარგის დაუფასებლობის პრობლემაზე, იუმორზე, და ეს ყველაფერი გაჟღენთილია იმ ადამიანებისადმი სიყვარულით, ვისზეც წერს. და ეს სიყვარული გადამდებია...

ოთარ ჩხეიძის თითქოს უბრალო ფრაზებს მიღმა ღრმა ფილოსოფიური შინაარსი იკითხება... მაგალითად:

„სხვა ულმობელთა ეძინათ უკვე, ესენი ფხიზლობდნენ მაინცა დიასახლისთან ერთადა, თუმცა არ არგოდნენ, არას არგოდნენ, ოღონდ მაინც თუ თანაუგრძნობდნენ“(„ღამისმთევლები“); „ფიქრია წუთისოფელი და, როცა ფიქრობ, მაშინღა ცოცხლობო“; „არც არა საჩქაროა, არც არა საგვიანო ამ დალოცვილ წუთისოფელშიო“(„ზღაპარი“); „ძნელია იყვე ადამიანი და არ იყვე ადამიანი. უფრო ძნელია: იყვე ადამიანი და სხვა არ იყვეს ადამიანი“(„აგვისტოში ბულბულობას რა უნდა“);

ოთარ ჩხეიძის ნოველებში ხშირად მსჯელობენ ლიტერატურაზე, მის დანიშნულებაზე. სევდიანად შენიშნავს ერთ-ერთი ნოველის გმირი (გერონტი ქიქოძე), რომ ახალი მწერლობა „გამრუდებული ენერგიაა“ („ავანსი“), რადგან იდეოლოგიზებულია, საბჭოთა სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია და მხოლოდ მცირედნი თუ ახერხებენ ამ წნეხისგან თავის დაღწევას. ავტორი თავის გმირებთან ერთად საუბრობს ლიტერატურაში სიყვარულის აუცილებლობაზე მოჭარბებული სიძულვილის ნაცვლად: „ვდავობდით თუ რასა ვდავობდით, უფრო ვთანხმდებოდით, სიყვარული რო უნდა დაგვეხატა“.

მკითხველი გრძნობს ავტორის დაინტერესებას არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმით, კომპოზიციით. მაგალითად, საინტერესოდ და უჩვეულოდ იწყება და სრულდება ნოველა „ზღაპარი“:

„— ხარის ზღაპარი უნდა გითხრათ.

— ხარი ლაბა, მწყემსი თევდორე?

— არა.

— წიქარა?

— არა.

— აბა?!

— სხვა ზღაპარია. არ გეცოდინებათ.

— არ დაგიწერია?..

— ვერ მოვახერხე. რამდენჯერა ვცადე და ვერ მოვახერხე. შემზარავია. ვერ იქნა, ქაღალდზე ვერ გადავიტანე.

— რამდენი ეგეთი გადაგიტანია...

— ეს მაინც სხვაა...“

და ფინალიც: „დღე იყო. ზღაპარი არ უნდა თქმულიყო. ზღაპარი ღამისაა, გრძელი ღამისა, ზამთრის ღამისაა ზღაპარი. გრძელი ზღაპარი გრძელი ღამისაა. დიდი ღამისაა. დიდი დღე იდგა.“

გამეორებებით იწყებს და ამთავრებს შესანდობარ „ავანსს“ ოთარ ჩხეიძე:

„კედრზე შაშვი გალობდა. კედრზე გალობდა შაშვი. გალობდა შაშვი კედრზე. გალობდა კედრზე შაშვი. შაშვი კედრზე გალობდა. შაშვი გალობდა კედრზე.“

ბოლოს: „აღტაცებამ ვარიაციები არ იცის; არ იცის აღტაცებამ ვარიაციები; ვარიაციები არ იცის აღტაცებამ; ვარიაციები აღტაცებამ არ იცის“.

სევდამ იცის. ე.ი. მხოლოდ ფორმითაც კი გვიჩვენებს ავტორი პერსონაჟის და, შესაძლოა, თავის განწყობასაც, რომ სევდიანია...

ოთარ ჩხეიძის ტექსტებში ვხვდებით ქართული ენის „სკივრიდან“ ამოღებულ სიტყვებსაც (ფრაზებსაც), რომელთა საშუალებითაც მწერალი ცდილობს, სათქმელი რაც შეიძლება ზუსტად წარმოგვიდგინოს: „საავგუნებო“, „დაეხმაურა“, „ნახვისნატვრითა“, „უუუშორესა“, „სადირბოზე დაქანდა მზეი“ და ა.შ.

განსაკუთრებული სიყვარულით გვიხატავს ავტორი გიორგი ლეონიძეს. დოქიანი კაცის ამბავში ამ პიროვნების სიკეთე და კაიკაცობაა ხაზგასმული („დოქი“). ხოლო მისი უბრალოება კარგად ჩანს „ღამისმთევლებში“ — „ბუხუნებდა გიორგი: აი, ჰო ჰხედავთ, რა უკუღმაა ამათთვისა წუთისოფელიო, — ღამე დღე არის ამათთვისაო, დღე ღამე არისო, წადი და აჰყევი, წადი და იარე ამათ ნებაზეო.“ გიორგი ლეონიძის სახე ოთარ ჩხეიძესთან ერთად გამოკრთება ვანო ურჯუმელაშვილის მოთხრობაში „ხან კაცი ღმერთსაც ემსგავსის“; მეტიც, ეს მოთხრობა გიორგი ლეონიძეზეა დაწერილი. ესაა კაცი, რომელიც ღმერთს ემსგავსება, როცა დიდი ხნის დაკარგულ ადამიანს პოულობს და მისი საწუხარის დაამებას ცდილობს. მის პიროვნებაში იშვიათი ბუნებრიობითაა შერწყმული გამოჩენილი მწერალი და უბრალოდ ადამიანი. ეს განსაკუთრებით კარგად იგრძნობა შემდეგ ეპიზოდში: „უმცროს ბიჭს ცხვირზე ხელი წაუფათუნა, აკვანი გადაურწია, თან ებუბუნებოდა: — ბიჭო, სოსო, ბავშვობაში დედაჩემისგან გამიგონია, შენი აკვანი ვაჟამ დაარწიაო, გაიზარდე, შვილო, ვინძლო, შენც პოეტი გამოხვიდე!“

მეორე, განსაკუთრებული სახე, რომელსაც ოთარ ჩხეიძე გვიხატავს, პაოლო იაშვილია („ნალები“). ადამიანი, რომელიც „არად აგდებდა კომენდანტის საათსა. დროსტარებაში იყო. იმათთან იყო,

კომენდანტის საათი ვისაც რო დაეწესებინა, იმათთან იყო, იმათთანა თამადობდა, და არც ისინი უღირდნენ არაფრადა და არც იმათი კომენდანტის საათი.“ თუმცა არც ისინი იღებდნენ ნაკლებ სიამოვნებას პაოლოთი. ის კი ცდილობდა გადაერჩინა მეგობრები, „ცისფერი ყანწები“, შემოქმედება; ისევე, როგორც მაშინ გადაარჩინა სხვებთან ერთად თბილისი; მაშინ, როცა წითლები შემოვიდნენ. და ამიტომ იყო იმათთან. სახლში კი მოდიოდა სხვა პაოლო -„იმათ სუფრაზე რო მასხარაობდა, აქ მოთქმად იჯდა“. ჯერ უძლებდა,იმედი ჰქონდა, მერე კი... ტრაგედიას ამ პიროვნებისა და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი ადამიანისა, კარგად ვგრძნობთ ნოველის კითხვისას და კიდევ უფრო ცხადად წარმოვიდგენთ იმ მძიმე ხანას ჩვენი ისტორიისა, რომლის გავლენისგან, ავტორის დასკვნიდან გამომდინარე, დღესაც კი ვერ თუ არ დაგვიღწევია თავი...

ერთი შესანდობარი გალაკტიონს ეძღვნება. აქ მისი და საზოგადოების გათიშულობაა ხაზგასმული. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ცდილობს პოეტს ასიამოვნოს, ის მაინც მარტოა; იმაზე უფრო მარტო, ვიდრე მართლა მარტოობაში იქნებოდა:

„მხრების მტვრევით მივა ფანჯარასთან, მაგრამ მიჰყვებიან, მყისვე მიჰყვებიან.

— რატომ?! რა მოხდა?! რას ისურვებთო...

— არაფერს!.. არაფერს!..“

თუმცა ბოლოს ის თითქოს მაინც ძლევს ამ ჩაკეტილობას და დასასრულს წარმოგვიდგება მოზეიმე, ამაღლებული, არაამქვეყნიური გალაკტიონი: „ამაოდ დაშვრნენ მზრუნველნი თუ მდევარნი, მოიღალნენ, ქანცი გაუწყდათ, ჯავრისგან ლამის გათავდნენ, მაინც იძალა დაქანცულობამ. ძილმა იძალა... და ვერ დაინახეს, პირველმა სხივმა როგორ შეჰხსნა კარები ტყისა, როგორ გამოვიდა გალაკტიონი მთლად გაწუწული, თავითფეხებამდე ცვარით აღვსილი, გულზე მიეკრა ვეება კონა ბალახებისა, ყვავილებისა, სახე შიგ ჩაერგო და ციმციმებდა, ციმციმებდა პირველ სხივებში.“

ფართო საზოგადოებისთვის უცნობ, მაგრამ გამორჩეულ ადამიანს — ერეკლე ტატიშვილს — იგონებს ოთარ ჩხეიძე ორ შესანდობარში- „ნაკაკლნარი“ და „აგვისტოში ბულბულობას რა უნდა“. ესაა ისტორია ადამიანისა, რომელიც თავს გადახდენილმა უბედურებამ თავისი დროის დონ კიხოტად აქცია; ბევრი რამ წაართვა, საყვარელ ადამიანთან ყოფნის საშუალება მოუსპო, მაგრამ ვერ ჩაკლა მასში ადამიანობა: მას კვლავაც შეუძლია ბულბულების გალობას მიუგდოს ყური...

საინტერესოდაა დახატული კუმურდოს დანგრეული, თუმცა მაინც მშვენიერი ტაძარი ერთ შესანდობარში („კუმურდოში“) . ნაჩვენებია, როგორ მოექცა უღმერთო ეპოქა („ბევრი რო გვენახა გუმბათჩალეწილი, შელახული და შებღალული, არათუ ძველი შებღალული...“) ღვთის სახლს, როგორ დაინგრიეს უფალი და როგორი რთულია ამ ყველაფრის შველა- „ვიდექით, ვიდექით აწურულნი და გაწუწულნი, რო არ ვიცოდით, თუ რაი გველონა...“

ოთარ ჩხეიძეს შეუძლია ცხოვრებისეული სირთულეები ისე დაგვიხატოს, რომ გაგვაღიმოს, ამის ნიმუშია „წერეთლის მწვადის“ ერთი ეპიზოდი (თეატრში გათბობა არ აქვთ და ჭირს დადგმის შესაბამისი ტანსაცმლით გამოსვლა) :

„ახალი პიესა ჩამოვიტანეო. პავლემა.

—ზაფხულიაო? — შალვამა. კრთომითა. ციოდა. ციოდა.

— არაო, — პავლემა, — ზამთარიაო. დააშოშმინა.“

ამავე ნოველაში საუბრობს მწერალი ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხზე და ფიქრობს, რომ შეცდომების გამოსწორებას დრო სჭირდება („მოთმინება და მოთმინება, ორ საუკუნეს ორ კვირაში ვერ ამოავსებთ!..“).

აი, ის ძირითადი მომენტები, რომლებიც ჩვენი ყურადღების არეალში მოექცნენ, თუმცა კიდევ რამდენი რამ დარჩა უთქმელი... წაიკითხავთ და დარწმუნდებით... და მიუხედავად იმისა, რომ ოთარ ჩხეიძე დავიწყების უნარს ადამიანურად მიიჩნევს, მაინც აცოცხლებს იმ ადამიანებს, რომლებიც დასავიწყებლად არ „ემეტება“.

ვისაც ეს „შესანდობრები“ მიუძღვნა, თითქოს მათზეც ამბობს ამ სიტყვებს:

„ისე მოულოდნელად მეწვივნენ...

ისეთი კარგი საღამო იყო...

იმდენი ვინმე გაიხსენეს — ცხოვრებას რო ავსებდნენ...

ცხოვრება ისევ აღსავსე გახლდა...

ისინი აღარ იყვნენ...“

იქნებ „შესანდობარნია“ რაც რჩება და აცოცხლებს მათ და ავსებს ჩვენს სიცოცხლეს?!

თეონა სელიმაშვილი

„მხოლოდ მისია, მისებრი“

(ეთერ თათარაიძის პოეზიის საღამო)

მისი დანახვისას მოკრძალება და სიყვარული იბადება. ხოლო როცა ლექსებს თვითონ კითხულობს, ეს სიყვარული ერთბაშად ღრმავდება, რადგან პოეტი ენის მოქნილობას, ფრაზის მუსიკალურობასა და სიტყვის უკვდავებას გაგრძნობინებთ.

ეთერ თათარაიძეზე გესაუბრებით, პოეტსა და ფოლკლორისტზე, ვინაც უძველესი თუშური დიალექტი გააცოცხლა და მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის საგანძურს თავისი წილი მარგალიტები შემატა.

ამას წინათ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ეთერ თათარაიძეს შეხვედრა გაუმართეს. სასიამოვნოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კულტურის ეს კერა ტრადიციად ამკვიდრებს ყოველი თვის დასაწყისში საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს უმასპინძლონ. ამ ეგიდით პირველი სტუმარი ეთერ თათარაიძე აღმოჩნდა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ იგი გახლდათ ერთდროულად სტუმარიცა და მასპინძელიც. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაარსებიდან მოღვაწეობს ეთერ თათარაიძე, მეუღლესთან, ცნობილ ლიტერატორთან და ზეპირსიტყვიერების მკვლევართან **ამირან არაბულთან** ერთად. პროფესიული და მამულიშვილური სიდარბაისლით განხორციელებულმა პროექტებმა მომხიბლაობა შესძინეს ჩვენს რეალობას...

საღამო ჩვეული სისადავითა და უშუალობით წარმართა რა პოეტმა, გულითადობის უხილავი ძაფიც გააბა აუდიტორიასთან: — ზუსტად არ მახსოვს ასაკი, პატარა ვიყავი, ფიქრს შიში ავაყოლე და გამოვიდა ლექსი. ახლა ვფიქრობ, რომ ეს იყო ჩემი პირველი ლექსი...

ეთერ თათარაიძემ უპასუხა მსმენელთა შეკითხვებს და საღამომ მთელი ორი საათი მოუწყინრად რომ გასტანა, დაიტია საუბარი თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზეც, მწერლის როლსა და ზნეობრივ, პასუხისმგებლობაზე ერის წინაშე.

თავისი შემოქმედებითი გეგმებიც გაუზიარა აუდიტორიას ეთერ თათარაიძემ. რომ უკვე მზად აქვს სხვადასხვა ჟანრის 5 ახალი წიგნი გამოსაცემად; ხოლო მისი ლექსების სიყვარული და ცოდნა ჩინებულად დაადასტურეს სიტყვით გამოსვლისას **მამა გურამ ოთხოზორიამ** და პოეტმა **ტარიელ ხარხელაურმა**, ვინაც მსმენელის თხოვნით წაიკითხა აგრეთვე საკუთარი ლექსებიც.

იქ გაიხსენეს და რასაკვირველია, უნდა გავიმეორო, — უთქვამს **თენგიზ მირზაშვილს** ეთერ თათარაიძეზე — არავის ჰგავს, არავისგან არაფერს სესხულობს, ლექსებიც, ენაც და სახელიც მხოლოდ მისია, მისებრი.

განა შეიძლებოდა ღონისძიება დასრულებულიყო თუშური სიმღერების გარეშე?

ახალგაზრდა შემსრულებლებმა — **თეა რუხაძემ, ნანული აზიკურმა, ნანა ვალიშვილმა, ნინო კალანდაძემ, უჩა პატარიძემ** და **გიორგი დონაძემ** პოეტი „აიყოლიეს“ და მშვენიერი თუშური ჰანგები მოეფინა დარბაზს.

გურამ ბენაშვილი

ლიტერატურული ვიტრაჟები

გრიგოლ აბაშიძე

წუთისოფლის ხმაურს ფიქრით განრიდებული, წელთა სიმრავლით დაღლილი და ვნებადამცხრალი — აი, აღქმის რაკურსი პოეტის ფოტოპორტრეტისა, რომელიც მისი უკანასკნელი წიგნის ყდას აღბეჭდვია...

არის მის ამ გამომეტყველებაში გამოთხოვების სინანულიცა და პიროვნულ სათნოებათა შუქ-ჩრდილებიც, სიბერის სიბრძნეცა და ინფანტილიზმიც, ანარეკლი „დიდი ცხოვრებიდან“ თავდახსნილისა...

გრიგოლ აბაშიძის ეს მინიატურული ლირიკული „რვეული“, მთელი ერის აუტანელი ცხოვრების შთამბეჭდავი „ექოა“, რომლის წიაღიდანაც იშვება პოეტის სულის ტრაგიკული მოდულაციები...

ელეგიურია წიგნის გამსჭვალავი სულისკვეთება...

საგულისხმოა, რომ ამ უსასოო ელეგიების ავტორი იმ შემოქმედთა რიცხვს არ განეკუთვნებოდა თითქოს, რომელთაც თანსდევდათ წარსულის უსასტიკესი „აჩრდილი“... თუმც იყო წლები მის რეალობასთან ადაპტაციისა და თუნდაც მოჩვენებითი ჰარმონიისა, წლები „აღზევებულთაგან“ აღიარება-დაფასებისა თუ ყოფითი კეთილდღეობისა...

მოჭარბებულ წელთა გადასახედიდან, ეს ყოველივე მორალური სიმძიმილისა და მწარე სინანულის სათავედ ქცეულა მისთვის: — „თავს აღარ ვაქნევ, როგორც ასკილი და ყველაფერზე არ ვარ თანახმა“... და კიდევ — „ცხოვრება მკაცრი და სასტიკია, მე კი თვალებზე ბინდი მეფარა“...

დროის ფილოსოფიური განსჯისა და ღირებულებათა გადაფასების ტენდენცია პოეტის მხოლოდ ამ უკანასკნელი წიგნის პათოსი არ არის და იგი მის შედარებით ადრინდელ ქმნილებებშიაც გამჟღავნდა...

რიტორიკული კითხვაა — რა იყო ამ დახვეწილი ინტელიგენტის აღსარებისა თუ მონანიების მიზეზი, რა აწვალებდა და აკრთობდა ამ ზნეობრივი მაქსიმალისტის სულს... თუ ეს ჭეშმარიტი შემოქმედის თანმდევი აპრიორული ვნებაა, სიცოცხლის „დაზამთრებასთან“ ერთად რომ მძაფრდება და მხატვრულსა თუ ეპისტოლარულ ტექსტებში სახიერდება...

უკმარისობის დიდი სევდით ათრთოლებულ არაერთ შედევრს იცნობს ლიტერატურის ისტორია...

მათი ავტორებისთვისაც თურმე უფრო გვიან გამხდარა ცხადი ძველი რომაელის ბრძნული შეგონება — რომ მზისქვეშეთში არავინ და არაფერია უსაზღვრო თაყვანისცემის ღირსი და რომ სულ ამაოა მიწიერ ცდუნებათა კერპად ქცევა და მისგან აღძრული სიმულაციებით ტკბობა...

რომ ემპირიულით „ძღომის“ გარდა, ადამიანში „თვლემენ“ და ოდენ ჩრდილებივითღა ირხევიან სულის ამოუცნობი და მიუწვდომელი შესაძლებლობები...

ეს წიგნი, დროის აბობოქრებული ქაოსიდან გადარჩენილ განცდათა „ილუსტრაციაა“... საკუთარ თავთან უკომპრომისო დიალოგია და სწორედ ამიტომაა იგი დროის ადამიანური დოკუმენტის ფუნქციამდე ამაღლებული...

„ჩვენი აქაური ცხოვრება — წერდა ფრანჩესკო პეტრარკა — მწუხარებისა და ტანჯვის ზეობაა მხოლოდ; ერთია მასში კარგი — იგი გზაა სხვა ცხოვრებისაკენ... სხვაგვარად კი არა მხოლოდ საცოდაობა, არამედ საძულველი და აუტანელიც კი იქნებოდა“... ეს ტრაგიკული „მოთქმა“ მისი სიბერის ჟამის ჩანაწერებიდანაა... მიწიერი დიდება, წელთა სიმაღლიდან პოეტისათვის ფერფლი და არარაობაა... ქონდრისკაცის ახირებადღა ჩანდა მისთვის გარდასულ დღეთა სივრცეებში განცდილი დიდებით „თრობა“...

ამიტომაც არაფერია უნიკალური იმაში, რომ არყოფნისაკენ მიბრუნების ჟამს ქართველი პოეტიც „ადვილად“ თმობს ამქვეყნიურ სამყოფელს: „რომ მკითხონ გრძელ გზას დაიწყებდი ისევ თავიდან? ღმერთმა მაშოროს გადმოვუხტე ქარონს ნავიდან! მე ჩემს წილ ტკივილს, ჩემს წილ წყენას არვის ვუსურვებ, რაც ჯავრი მქონდა სამარეშიც ჯავრად ჩავიტან, დამძიმდა ტვირთი, წლების ზიდვა გახდა წამება, არც გათენება მიხარია, არც დაღამება“...

მისი მორალური ჭვრეტის სიმაღლიდან, საბოლოოდ გამოიკვეთა სიკეთისა და ბოროტების, სიმართლისა და უსამართლობის ანტინომიები, რომელთაც ერთ დროს, თურმე ილუზიების საბურველი ასხვაფერებდა...

ისიც საგულისხმოა, რომ ბოლო დროის ეროვნული კატაკლიზმები, პოეტის სასოწარკვეთის მაპროვოცირებელ იმპულსად იქცა...

სუბიექტური უარყოფის ურთულესი ხელოვნება ამ წიგნში გულწრფელობისა და პირუთვნელობის იმ კლასიკურ რეგისტრებს უახლოვდება, რომელთა სიმაღლიდან შემოქმედი ერის მსაჯულის უფლებით „იმოსება“, რათა აუწყოს მას საკუთარი შეცოდებანი და განსაჯოს მის „უძღებ შვილთა“ ცოდვა-ბრალი... „ნუთუ ბოლომდე ბოროტს დანებდი, კერპებს, ბომონებს სახავ ღმერთებად? ისე დაჩლუნგდი, ისე დაბნელდი, მე შენთვის ფურთხიც არ მემეტება!..“

ასეთია სვეგამწარებული პოეტის განაჩენი და შეუძლებელი მის დიდ სიმართლეში ეჭვის შეტანაც კი...

საყოველთაო ზნეობრივი „აგონიის“ სუფევა, პოეტს იმ ერთადერთი ჭეშმარიტებისაკენ აღაპყრობინებს სულიერ მზერას, რომლის ნათლითმოსილ წიაღსაც ნიადაგ აფარებდნენ თავს სოფლის სიმუხთლით დაღლილნი და შეწუხებულნი... „ღმერთო, იქნება მე ღირსი არ ვარ, რომ მოგაწვდინო ცაში ლოცვანი, მივყვები დღეთა გადათვლილ ქარვას, გასრულდა ჩემი კრიალოსანი... ჩემი სანთელი ჩემ თვალწინ ქრება, ვაი, რომ ზოგჯერ შენთვის არ ენთო! მე სულ ვამბობდი სიცოცხლის ქებას, სიკვდილთან ცოტა მქონდა საერთო... და მე შენდობის ღირსი თუ არ ვარ, ქარს გაატანე ჩემი ლოცვანი... მივყვები დღეთა გათელილ ქარვას, გასრულდა ჩემი კრიალოსანი“...

სულის ჯერგანუცდელთან შეერთების, უსასრულობაში დანთქმისა და ზეპიროვნულში გარდასახვის მოლოდინი აპოგეას ამ წიგნის ფინალში აღწევს... ლექსი „არყოფნისაკენ“ ცნობიერისა და არაცნობიერის ზღვარზე აღმოცენებული პოეტური შედევრია... მასში სოციალური ნიღბის სრული იგნორირებით მიღწეულია საკუთარი სუბსტანციის გარდასახვა აბსოლუტურ მგრძნობელობად, ტრაგიკული სულიერების განსახიერებად...

მთელის არსებით არყოფნისაკენ მიდრეკილი, იგი იმ მეტაფიზიკური სივრცეებისაკენ მიისწრაფის, სადაც არც იმქვეყნიური სამოთხეა და არც ჯოჯოხეთი: „და მე აღარ მსურს ისე ვიარო ამ ქვეყნად, როგორც დღემდე მივლია, სულაც არ ვნატრობ ედემში ყოფნას, ვარდებს, ბულბულებს და იდილიას, არყოფნა მინდა, რაც თავისთავად, არც სიცოცხლეა, არც სიკვდილია“...

გაავებული ცხოვრების პირისპირ მდგარისათვის სრულიად ფუჭია თითქოს ყოფიერების აზრის ძიების ტრადიციული პათოსი... და ისიც, ვითარცა მრავალი სხვა, უქმი გონიერების „ჯიბრზე“, მთელის აღტყინებით ეძლევა მეტაფიზიკურ სივრცეებში დემონიური ქროლვის ვნებას... მზად არის დაივიწყოს უკან დარჩენილი სინამდვილის ცნობიერი თუ ემოციური ხატი...

არყოფნის უსაზღვროებაში გასაფრენად განწირული სულის მონოლოგი სასტიკი წუთისოფლისადმი თქმული მსჯავრიცაა და საყვედურიც: „იქ სადარდელი არ მელოდება, არც რამ სიამე და სალბუნება, შური და ბოღმა იქ არ იქნება, არც

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №6

უზნეობის სხვა რამ ცდუნება, არც სხვა რამ ვნება, რაც აშფოთებდა, ჩემს არსებას და კაცურ ბუნებას“...

არის ამ ლექსის სიუჟეტურსა თუ ემოციურ ორნამენტაციებში ადრეული კლასიკური პოეზიის ცხოველი გამოძახილი... საწუთროდან გაცლასა და წარმოსახვათა უსაზღვროებაში ყოფნაზე მეოცნებე სულისკვეთება, არაერთი ლირიკოსის იდეა-ფიქსი ყოფილა...

სიმპტომურია ისიც, რომ პოეტი წინასწარმეტყველის ალღოთი სჭვრეტს მოახლოებულ აღსასრულს და რაღაც მისტიური მუტაციის მოლოდინით აღბეჭდილი ეყრება მიწიერი ვნებებით „დასნეულებულ“ სხეულს... „და, აი, უკვე, არყოფნისაკენ სულმოუთქმელად მივექანები, გიჟურ ქროლვაში გაქრობას ვჩქარობ, შავად გაშლილან იალქანები, არყოფნისაკენ! არყოფნისაკენ! ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები“...

პოეტის ტრაგიკული ობერტონებით აღბეჭდილ ამ ლექსში, სიცოცხლეში აღუსრულებელ წმინდა ოცნებათა მიმწუხრის დეკორაციებად გარდაისახებიან ყოფიერების აბსოლუტური რეალობანიცა და მათივე ირეალური სუბსტანციებიც...

უმდიდრესი და ამოუწურავია შემოქმედთა არყოფნისაკენ სწრაფვისა და მასთან „შერიგების“ ტრადიცია...

ჩვეულებრივ მოკვდავთათვის არაორგანიულ და სიურრეალისტურ განცდათა მოდულაციები საბოლოოდ მაინც იმ დაუვიწყარ ლირიკულ მონოლოგებად გადაეცემოდა საუკუნეებს, რომელნიც საოცარი სისავსით „ამწყურვალებდნენ“ „ყოფნა-არყოფნის“ ჟინით შეპყრობილთა სულებს... „სახელი — მხოლოდ ხმაურია, მხოლოდ ექოა! ის, რასაც ასე ვაფასებთ ცხოვრებაში — სიცარიელე, მტვერი, არარაობაა... შენ რაღას ელოდები!.. ო, სიკვდილო, მოდი მალე, ნუ აგვიანებ“... ეს მარკუს ავრელიუსია, დიდებით მოსილი რომის იმპერატორი და ცხადია, სულით გენიალური პოეტი...

„ვბერდები და ყოველდღიურად ვსწავლობ რაღაცას... ვსწავლობ ჩემივე ნებით როგორ შევწყვიტო ახალგაზრდული ინერცია, და რასაც ყოველთვის დაბეჯითებით ვსწავლობდი — ვსწავლობ სიბერეს, ვსწავლობ სიკვდილს... რამდენად წავიწიე წინ ამ სწავლათაგან მეორეში, ჩემი უკანასკნელი დღე გამოავლენს“... ეს უკვე პეტრარკაა, სიოცხლეშივე პოეზიის ღვთაებად შერაცხული გენიოსი...

ამ ერთობ „პომპეზური“ რემინისცენციებით, მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ თვით ყოფითი ბრწყინვალებითა და საერთო აღტაცებით მოსილ ე.წ. „ბედის ნებიერთა“ ხვედრი, არც თუ იშვიათად, სკეფსისისა და პროსტრაციის უმძიმეს ვნებებთან ყოფილა შენივთებული... რადგან მათი მაღალ მატერიებზე მეოცნებე უსათუთესი სული ვერ ურიგდებოდა წუთისოფლის მზაკვრულ გამოწვევებს, ამორალური ცდუნებებით „დანაღმულ“ იმ დრო-ჟამს, რომელიც გადაულახავ ბედისწერად აღიმართა მათ წინაშე...

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, ამ წიგნის ავტორს არაერთხელ განუცდია შემოქმედებითი გასხივოსნების შთამაგონებელი იმპულსები და რაოდენ სიმპტომურია, რომ სწორედ მისი აწ უკვე „გედის სიმღერად“ გაჟღერებული ლირიკული მედიტაციები იქცნენ პოეტის ამქვეყნიური მოღვაწეობის დამაგვირგვინებელ აკორდად...

ასე გასრულდა ბრუტალური ჟამის კიდევ ერთი „ძე-შეცდომილის“ შემოქმედებითი ცხოვრება...

გზა მუტაციებით აღბეჭდილი — დაკანონებული რეგლამენტაციებიდან, თავისუფალ მორალურ რეფლექსიებამდე...

მასში, როგორც პოეტში განსახიერდა ჭეშმარიტი მხატვრული ლიტერატურის კრეატიული შესაძლებლობები, გადალახულიყო დროის მიერ დაკანონებული აღქმის ავტომატიზმი და რაც მთავარია, ყოფილიყო თავისუფალი პიროვნების შეურაცხმყოფელი სიმულაციური ყოფიერების უარმყოფელი...

ცხელი ივლისის მიწურულის ერთ ჩვეულებრივ დღეს, იგი ჩემი ოჯახის მოულოდნელი სტუმარი იყო... სავარძელში „ჩაკარგული“, საუბარში დროდადრო სინანულით წარმოსთქვამდა ჩემი გარდაცვლილი მამის სახელს... გულით უყვარდა იგი და ვგრძნობდი, ფიქრით ეალერსებოდა წასული მეგობრის დაუვიწყარ ხატებას... იჯდა წლებით დაღლილი და დანაღვლიანებული მოხუცი და, თურმე, უკვე არყოფნისაკენ მიბრუნებული მზერით შემომცქეროდა... როდის-როდის მძიმედ წამოდგა და გამომემშვიდობა... მახსოვს, კიბეზე პატარა ბავშვის უმწეო სიფრთხილით ჩამავალი, შემოტრიალდა და თითქოს საბოლოო გამოთხოვების ნიშნად, ხელი დამიქნია... სულ რამოდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა და დამიტოვა საოცრად თბილი ნაღველი იმ დაუვიწყარი შეხვედრისა...

მის უკანასკნელი წიგნიც იმ დღის სახსოვარია, იქნებ ამიტომაც ესოდენ ძვირფასი და თაყვანსაცემი ჩემთვის...

და ბოლოს:

განუმეორებელი შემოქმედებითი და პიროვნული „შარმით“ მოსილი დიდი თაობის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა მიიხურა სიცოცხლის კარი...

მიიხურა ღირსეულად, ჩვეული დიდსულოვნებით... და კიდევ უფრო გაამძაფრა სულიერი და ზნეობრივი სიბერწის შეგრძნება...

რწმუნდები იმ ჭეშმარიტებაში, რომ კულტურულ რენესანსს, როგორც მისი ბუნებრივი ანტინომია, ენაცვლება დეკადანსი...

სავარაუდოა, რომ ჩვენი აჟიოტაჟური, ტრივიალური სინამდვილე ცხადი ილუსტრაციაა ამ ისტორიულად გამოცდილი ანალიტიკური კონცეფციისა...

კიდე ცოტაც და „თვალს მიეფარება“ ტალანტებით განებივრებული, თუმც ულტრათანამედროვე სნობებისაგან ხელნაკრავი და შეურაცხყოფილი „სიძველეები“ და თან ნაიღებს ეროვნული შემოქმედებითი სულის უნიკალურ „ჯადოს“...

ასეა ეს, და ვერავითარი „თავისუფალი მოქალაქის“ რენომე თუ დემოკრატიული ამბიციები ვერ გააქარწყლებს მათთვის ოდენ მიუღებელ ამ წარმოდგენას...

კვლავ მივუბრუნდები გრიგოლ აბაშიძის ლირიკულ მონოლოგებს და რეზიუმეს სახით ვიტყვი მხოლოდ ერთს — პოეტური სულის ტანჯული „პილიგრიმობით“, როგორ მიიღწევა ადამიანში სათუთად გადარჩენილ მორალური რეპერტუარის სრული კრისტალიზაცია, ამის შთამაგონებელი განსახიერებაა შემოქმედის ეს უკანასკნელი წიგნი...

წიგნი — სიმბოლო პიროვნების კონცეპტუალური თვითრეალიზაციისა...

მურმან ლებანიძე

მურმან ლებანიძე საუკუნის იმ ერთეულთა შორისაა, რომელთაც ახალი სამომავლო გზა-ბილიკები აღმოუჩინეს უკან მავალთ...

კოლოსალური ცხოვრებისეული გამოცდილება იყო გარანტი რეალობის ონტოლოგიური განცდა-წარმოდგენებისა, იმ სპეციფიკური ანალიტიკური დისკურსისა, რომელიც კონცეპტუალურ განვითარებას წარმოადგენდა კლასიკური ქართული პოეზიისა...

მისი ზეაქტუალური ლირიკული ტექსტები ნარატივის მრავალსახოვნებისა და ფორმის თავისუფალი განფენილობის, არსებითისა და მოუხელთებელის ჰარმონიზაციის ახლებურ განზომილებებს ამკვიდრებდნენ...

განსაკუთრებული დრამატიზმით აღბეჭდილი ობერტონები ეროვნულ პრობლემატიკას უნივერსალური კონტექსტის მნიშვნელობას სძენენ და მისგან პროვოცირებული ტენდენციებით მოდელირდებიან განსხვავებული თემატური რეპერტუარის ქმნილებანიც კი...

სწორედ ეროვნული პრიორიტეტებში იკვეთება პოეტის ლირიკული სულისკვეთების მეგაფორმულა, მისი მხატვრული წარმოსახვის ზღვრული შესაძლებლობები... მშობლიური საკრალური პეიზაჟის ვიზუალური აღქმა, ფიზიკურ განცდამდე გულწრფელი და მტკივნეული, პლასტიკური ხატის გრაციოზული კონტურებითაა ნაძერწი და სემანტიზებული...

ეროვნული ცნობიერების კონცეფცია რომანტიკული კონ-

ტრასტებით ეხმიანება ნარატივის ესთეტიკურ აქცენტებს — „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს ნვეთი არა დაღვრილის, — დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია!.. მშვენიერია ორ ზღვას შუა კავკასის ხედი და კითხვა „ვინ ვის?“ ბებერ გულში ლახვრად მაჩნია. არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი, არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გამაჩნია!..“



მურმან ლებანიძე

გრიგოლ აბაშიძე

პოეტის პატრიოტული ლირიკის მაღალ ღირსებას, მისი წარმოსახვის მეთოდოლოგია წარმოადგენს...

მასში არასოდესაა (ან თითქმის არასოდესაა) პრეცედენტი, ერთხელ განცდილ და შეცნობილი რეფლექსიის უსასრულო ვარირებისა... მომენტალურად დაძლეული პრობლემატიკის „ხელახალი განჩხრეკა-გაანალიზებისა“... მისთვის სრულიად ორგანიულია არგუმენტაცია, რომ ამ უჩვეულოდ ფაქიზ მოტივაციას „შეურაცხყოფს“ ახირებულ თვითმიზნად და რიტორიკულ „კოპწიაობად“ ქცევა...

ღრმა წარმოდგენა პოეზიის სრულიად განსაკუთრებულ როლზე, როგორც იმ ერთადერთზე, რომელსაც ხელეწიფება შეიცნოს ადამიანის ონტოლოგიური და ფსიქოლოგიური კავშირები საგანთა და იდეათა სამყაროებთან — აი, ის კონცეპტუალური კლასიკური მოდელი, რომლისადმი ერთგულებამაც განსაკუთრებული ძალთახმევით იჩინა თავი მურმან ლებანიძის ქმნილებებში...

ისტორიული წარსულის მძაფრი სურნელი დაჰყვება მის ხილვებში „ატორტმანებულ“ სახეებსა თუ პეიზაჟებს... შთამბეჭდავ „ვიზუალთა“ არსის განმსაზღვრელი თვით მათი შემოქმედის მძაფრი და შეურიგებელი ანალიტიკაა...

მისი ცხოვრების ფილოსოფია და რეალური ყოფიერების აუცილებლობანი, როგორც საყვედურის მაპროვოცირებელი ანტინომიები, ჯიუტად უკუაგდებენ გამძლავრებულ ცხოვრებისეულ პრაგმატიკას და კვლავ და კვლავ იმ ეროვნულ წიაღს უბრუნდებიან, რომლიდანაც იშვა დროისა და სივრცის, ადამიანისა და ბუნების შემეცნებისა და ფენომენოლოგიური განსჯაანალიზის უღრმესი გამოცდილებანი... „რა საჭიროა, რა საჭიროა მცხეთა, სამადლო, წყნეთი და ჭომა! სასაცილოზე სასაცილოა ჩვენი საერთო ტაბლასთან სხდომა! მე მივაშურე საბას ტალავარს სად მძრომთან ზაკვაც განიმარტების; „არცა კირჩხიბი მართლად არა ვალს, არც ძაღლის კუდი განიმართების!..“

ეროვნულისა და მორალური კატეგორიების მყარი შენივთების ტენდენცია ერთი განმსაზღვრელი კონცეპცია პოეტის იდეურ-ესთეტიკური პრაქტიკისა... მისთვის, როგორც სუბიექტისათვის, სრულიად მიუღებელი იქნებოდა ძველი რომაელის ხაზგასმული პათეტიკით წარმოთქმული ტირადა — „ვერსად ვერ ვიპოვით ჩვენთვის უცხო ქვეყანას; ყოველი მათგანიდან ერთნაირად შეიძლება ზეცისაკენ თვალთა აზიდვა“... რადგან სამყაროს სიდიადის ჭვრეტა, მისი აზრით, უზენაესი მოწოდებაა ადამიანისა, ხოლო სხვა ყოველივე წვრილმანი და ახირებაა მხოლოდ...

სრულ დისონანსშია მასთან ქართველი პოეტის ლირიკული მონოლოგი — „ოჰ, საქართველოვ! მშურს და მწყურის მუხების ბედი, იმ მუხებისგან მისწავლია მე სხვაზე მეტი: ფეხმოუცვლელად, ზეზეულად ნელინელ კვდომა, შენთვის, შენ გამო, უღალატოდ კვლავ ფეხზე დგომა!..“

მშობლიურის სიყვარულის ამგვარი ამაღლებული ვნება სრულ უნისონშია მიგელ დე უნამუნოს, ამ დიდი ესპანელის მაღალი ღირსებით აღბეჭდილ მონოლოგთან — „შენი სამშობლოს მთები... აქ ისვენებ, რაღაცა დიდს სწავლობ, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს უებარი საშუალებაა ნამდვილად შეიცნო და შეიყვარო სამშობლო... იგი აღგიძრავს შეგრძნებას იმისას, რომ ხეები, მთები, მდინარეები — ხორცი ხორცთაგანია შენი, მშობლიურია შენთვის, რომ ისინიც ესპანელები არიან... უსულონი — ასევე სამშობლოა, შესაძლოა უფრო მეტადაც კი, ვიდრე ადამიანები“...

ამ ჭეშმარიტად მსოფლმხედველობრივი მედიტაციის კონტექსტები კონცენტრირდება არა ერთეულ ფაქტებზე, არა ლოკალურ პროცესებსა თუ ღირებულებებზე, არამედ ერთიან და განუყოფელ საკრალურ ფაქტორზე — სულიერი ტრადიციებისა და მასთან პერმანენტული კავშირების პრაქტიკაზე...

„გაგება“ ანუ შინაგანი საზრისის შემეცნების პროცესი, წარსულისაკენ პროეცირებული ჰერმენევტიკული ცნებაა და იგი კაცობრიობის სულიერი და კულტურული გამოცდილების უწყვეტელობის აღქმას გულისხმობს...

ამ აქტუალური პრობლემატიკის ორგანიული განცდითაა აღბეჭდილი მურმან ლებანიძის კიდევ ერთი ლირიკული ტექსტი: „შრება სისხლი, კვალად სჭკნება ხორცი, ყველაფერი ბერდებაო ნორჩი, უცვლელია მხოლოდ ჟამთა დენა, ყველაფერი ცვალებადობს დროში... ამიტომაც ცვალებადობს რწმენა?! ამიტომაც ცვალებადობს მრწამსი?! აგე, კაცი — დგას სიკვდილის პირად — არაფერი, არაფერი მსგავსი!..“

პიროვნების ნიველირებისა და დროსთან უსახური შერწყმის, წარსულიდან სრული იზოლირებისა და მეხსიერების დაჩლუნგების გამძლავრებული სიმპტომები კიდევ ერთი კონცეპტია პოეტის ანალიტიკური მოდულაციებისა...

ჰორიზონტი ინტერპრეტატორისა და ჰორიზონტი ტრადიციისა აქაც, ამ კონკრეტულ მოცემულობაშიაც სინქრონულია...

ისტორიული ალუზიებით აღბეჭდილი მისი პოეტური ტექსტების „ელეგიური ციკლი“ სიმბოლური მოტივაციებით ათვალსაჩინოებს ეპოქათა პოზიტივსა თუ ნეგატივს, საკრალურსა თუ ემპირიულს, რომანტიკულსა თუ პროზაულს...

ეროვნული ცნობიერების მრავალწახნაგოვანი და დინამიური კონტექსტები, მისი ფილოსოფიური, ეპისტემოლოგიური თუ ემოციურ-ესთეტიკური წარმოდგენები მურმან ლებანიძის, როგორც შემოქმედისა და მოქალაქის სააზროვნო რეპერტუარის ფუნდამენტური პარადიგმებია... ამ სივრცეებშია მისი პოეტური ენა და აზროვნება რადიკალურად რეფლექსირებადი, ელეგანტური და მომავალზე ორიენტირებული...

* * *

გარდასულის ონტოლოგირებას ორგანიულად ენაცვლება მოქალაქეობრივი ლირიკის ვრცელი „ციკლი“...

საგულისხმოა, რომ მის თანამედროვეთაგან თითქმის არ იპოვებოდა ის, რომელსაც ასეთი სიღრმითა და მასშტაბურობით წარმოესახოს აგრერიგად გამძვინვარებული „ქართლის ჭირი“ და მწუხარება... ამას თვითონაც შესანიშნავად გრძნობდა და ერთ თავის ლექსში საჯაროდ აცხადებდა: „იმდენი ვწერე სოფლის დაშლაზე, შქმერზე, პარტახზე, ობლის ვარსკვლავზე, მთებზე, ღრუბლები სადაც ოდენ დაბალახობენ, რომ დავიღალე ამდენი წერით, მე გავჩუმდი და იმ სათქმელს ჯერით, უკვე თავისად ახლა სხვები ლაპარაკობენ...“

მიტოვებული ქართული სოფლების სევდა, ზოგადეროვნულ მწუხარებასთან ერთად, იმ ნოსტალგიურ განცდათა აღმძვრელია, რომელიც ბავშვობის უნეტარეს სიზმრებთანაა წილნაყარი...

სოფლის ინტიმთან და პატრიარქალურ მშვენიერებასთან სულითხორცამდე განდობილს, აქ ეგულებოდა სავანე სულიერი სიმშვიდისა, რომელიც დღეს ქცეულა აკლდამად დუმილისა, სიყრუისა და სრული უსასოობისა: „ჩაძინებამდე მე უნდა ვნახო და ჩავიყოლო სიზმარშიც თანა, მთებში გაჭრილი პატარა ახო, ტყეში გაშლილი პატარა ყანა... ოჰ, გმადლობ, ჩემო სიზმრების ბაღო, ჩემი ბავშვობის უტბესო ხანავ“... ამ პატარა ლირიკული მონოლოგის სემანტიკა ნათელს ჰფენს მისი შინაგანი ჰარმონიის შემოქმედის — ხსოვნის ძალმოსილებას... მხოლოდ მას ძალუძს სულის მაღალი სამრეკლოდან დაძრული ჰანგი დაუმორჩილოს შემოქმედის ურჩ ნებას...

„პოეზიას ან ზეცა შობს, ან პერსპექტივა“ — ეს მედიტაცია ფრანგ რომანტიკოსს ჟოზეფ ჟუბერს „ეკუთვნის“... მისივე რეფლექსიაა — „ადამიანთა ერთი ნაწილისთვის ლიტერატურა — შრომა, საქმე, ცხოვრებაა... მეორეთათვის გართობა, შაყირი, თამაში... პირველთათვის ეს არის მსახურება, მოვალეობა, აუცილებლობა, აღმაფრენა; მეორეთათვის მძიმე სამუშაო, ხელოსნობა, ვაჭრობა, ანგარიში, „თავისუფალი“ და ამბიციური ლაყბობა... ერთნი წერენ, რათა საერთო კუთვნილებად აქციონ ის, რაც მათ მორალურ და ინტელექტუალურ პოზიტივად მიაჩნიათ, მეორენი — რათა აუწყონ სამყაროს რას მიიჩნევენ სიკეთედ საკუთარი თავისთვის. პირველთა იმპულსი ჭეშმარიტებაა, მეორეთა კი — სარგებელი“...

ეს ანალიტიკური ტექსტი ფრანგული მხატვრული ლიტერატურის კონცეპტუალური აღქმიდანაა მომდინარე და მას, როგორც რეფლექსიას განვრცობის ძალზედ დიდი დიაპაზონი გააჩნია...

არც ჩვენი ეროვნული ლიტერატურული სივრცეა დაზღვეული ამ უმძაფრესი ნეგაციებისაგან...

იმ ერთეულთა შორის, ვისთვისაც არასოდეს დამდგარა ვირტუალური სიმულაციებით „ჟონგლირებისა“ თუ თვალთმაქცური ლინგვისტური მანიპულაციების ჟამი, მურმან ლებანიძეცაა...

კიდევ ერთხელ განვმეორდები და ვიტყვი, რომ იშვიათია პოეტი, რომელსაც ასეთი სიღრმითა და ინტენსივობით აღექვა სამშობლოს წარსულისა თუ თანამედროვეობის კაეშანი, მისი აისებისა და დაისების, აღორძინებისა და დეკადანსის სემანტიკური მეტამორფოზები...

იგი ერთგვარ „ხორციელ პატივად“ მიიჩნევდა თითქოს, მხოლოდ მაცდუნებელი აწმყოთი გატაცებას და დაჟინებით მიიკვლევდა „გზას“ წარსულის დადუმებულ ჰორიზონტებისაკენ...

საგულისხმოა, რომ ამ ისტორიულ დისკურსთა პოეტური მოდიფიკაციები ტრადიციული კონვენციებით მოდელირდებოდა და არსებითად მათი რესტავრაციითა და რომანტიზაციით ხასიათდებოდა...

რწმენად, უმთავრეს ფიქრად და ოცნებად გარდაისახა პოეტის ლირიკული ნოსტალგია — დროსა და სივრცეში გაუჩინარებული ძლევამოსილი სამშობლოს საკრალური ხატისა... „ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო, ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო, ყოფილა დავით მეფე — აღმაშენებელი, ყოფილან ოპიზრები — გასაშტერებელი; ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი, რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი... ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო, ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“.

სენეკას, ძველი რომის ამ წარჩინებულ მოქალაქესა და გენიალურ მოაზროვნეს, თავის ერთ ფილოსოფიურ ტრაქტატში ასეთი რამ აღუნიშნავს: „ჩვეულებად გვექცა თქმა იმისა, რომ ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრებაა უმაღლესი სიკეთე... მაგრამ ბუნებამ ჩვენ წარმოგვშვა არსებითის ჭვრეტისათვისაც და ქმედებისთვისაც. მხოლოდ ქვეყნისა და ადამიანების მიმართ გაწეული აქტიური მოქმედებაა ადამიანური სიქველის ჭეშმარიტი ასპარეზი“...

ამ შეგონების მოდუსი უფრო შთამბეჭდავი გახდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისი ავტორი, რომის საიმპერატორო კარის ინტრიგებით შეძრული, უფრო ეპიკურული მსოფლგანცდის მოტრფიალე იყო, ვიდრე მკაცრი შინაგანი მორალური დისციპლინის აპოლოგეტი...

სიქველის ამ ჭეშმარიტ ასპარეზადაა მოწოდებული პოეზია, ანუ ხელოვნური ილუზიებისაგან თავდახსნილი და მისგან განრიდებული ანალიტიკური კონტექსტებით აღბეჭდილი სამოქალაქო ლირიკა...

სიტყვის კოლოსალური ძალმოსილების დემონსტრირება, ყოფიერების ბრუტალურ გამოვლინებებთან შეჭიდებული შემოქმედის პრეროგატივაა და ეს ბრწყინვალედ სახიერდება მურმან ლებანიძის თუნდაც ერთ ლირიკულ ტექსტში: „კაცი გწერს წერილს, კაცი გსახავს იმედად ერის, კაცად უცვნიხარ — მეკობრეზე, ყაჩაღზე, ფულზე, გწერს გთხოვს იყვირო, — კაცი შენგან კაცობას ელის, — ხმა ამოიღე საკითხებზე ძალიან რთულზე... ფუ, შენს კაცობას! ფუი პოეტს — მონას და მორჩილს!..“

მოწოდება მოქალაქეობრივი სინდისის ღრმა შეცნობისა, მისი უმრავლეს პოეტურ ქმნილებათა ლაიტმოტივია... ეფემერულ ინსტინქტებსა და სტერეოტიპულ „პატრიოტიზმზე“ ამაღლებული, იგი იმ ჭეშმარიტი ეროვნული ტკივილებითაა ნაძერწი, რომელთა დასაბამი არასოდესაა გააქტუალურებული აბსტრაგირებული „სიდიდეები“, ანუ დრო-ჟამის მიერ პროვოცირებული და რეპრეზენტირებული პრობლემები ქვეყნისა...

* * *

მურმან ლებანიძის პოეზია, მდიდარი თემატური რეპერტუარით, სხვა სააზროვნო პარადიგმებითაც გამოირჩევა... მის შემოქმედებით შთაგონებას, არცთუ იშვიათად ეძალება საკუთარი სულის იდუმალ წიაღს „თავშეფარებულ“ ვნებათა ამოთქმის წყურვილი, ფილოსოფიური ჭვრეტისა და თვითანალიზის კატეგორიული სურვილი...

პოეტის ფილოსოფიური მედიტაციები, უფრო მისი გვიანი ხანის „ნაყოფს“ წარმოადგენს... სიჭარმაგის ღრმად განტოტვილ ფესვებზე მკვიდრად მდგარი და ცხოვრების უმდიდრეს გამოცდილებასთან ორგანულად ნაზიარები, იგი საკუთარი ცნობიერების მაღალი სამზერიდან ზომავს და სწონის ადამიანური ყოფიერების თანმდევ პოზიტივსა და ნეგატივს, მარადიულ მორალურ თუ ესთეტიკურ ღირებულებათა კონცეპტუალურ სპეციფიკასა და პერსპექტივებს...

ისეთი მძაფრი და სიღრმისეული არსადაა იგი, როგორიც აქ, ამ ჭეშმარიტ ლირიკულ რეფლექსიებში... მჭევრმეტყველების შთამბეჭდავი ენერგეტიკა, ნარატივის უჩვეულოდ ესთეტიზებული რიტორიკა და მაღალი პოეზიის კრისტალური სული სუფევს მისი ამ ტიპის ქმნილებებში...

საკუთარი სულიერი იმპულსებიდან „ამოზიდული“ ლირიკული ობიექტივაციები, ნარატორის სრული იდენტიფიკაციის მისიითაა აღბეჭდილი და საცნაურს ხდის შემოქმედის უინტიმეს განცდათა სემანტიკას...

მისთვის ღრმად შეცნობილი მორალური კულტურა მოიცავს აბობოქრებული სურვილებისა და მისწრაფებების იმ ფართო წრეს, რომელთა მიზანია კატეგორიულად მოითხოვოს ადამიანთა დაჩლუნგებული გრძნობა-გონების აქტივობა,

ეძიოს თავისუფალი და ღირსეული ყოფიერებისაკენ მიმავალი გზები... იყოს ინდივიდი და არა იმპერსონალური არსება: „ყურს ნუ ათხოვებ მოწყენილი დღეების კვნესას, — მკითხველო ჩემო, შენ ლომს მიჰყევ, ლომს მიჰყევ ჩემსას!..“

მისი ფილოსოფიური მონოლოგებისათვის გარესამყაროს ხედვის მძაფრი ვნებებით აღბეჭდილი პათოსია დამახასიათებელი... იგი შემოქმედის ღრმად გაცნობიერებული რეაქციაა იმ გარე თუ შიდაიმპულსების მიმართ, საპაექროდ რომ იხმობენ მას...

თუმც, დროდადრო ცხოვრების უმკაცრესი გამოცდილებით „ნასაზრდოებ“ ლექსებს, შემოდგომის დაღლილი განწყობილება ეპარება... შინაგანი მყუდროების იმ საუფლოს მიელტვის, რომელმაც სიმშვიდის ნეტარ განცდასთან უნდა შეანივთოს მისი ყიჟინით მოქანცული სული... მიმწუხრის მოლოდინის სევდა თითქოს არბილებს გრძნობათა და ემოციათა ჩვეულ სიმკვრივეს, უფრო ჰაეროვანსა და ელეგიურსა ხდის მათ... მისწრაფებათა თვალსაწიერი ვიწროვდება და დროსივრცესთან ჭიდილის სურვილს, მიწიერ არსებობასთან განშორების მოლოდინი ენაცვლება: „ახლა მაგ ბუხარს აფიცხე ძვლები, ეგ ფერფლისფერი თმა შეიფერე! — ოთხმოციანი ჩამოდგა წლები და ჩვენი ცოდვით სავსე სიბერე!..“

ამ ტიპის ლექსებში მიღწეულია ინდივიდუალური წვდომის ის ზღვარი, რომლის მიღმა ქრება ცნობიერი კორექტირება აწმყოსი და უსაგნო რიტორიკასღა ეძლევა დასაბამი: „სიკვდილი იქნება — მეყვსეული! სიკვდილი იქნება უეცარი! სიკვდილი იქნება — ჩაბნელება მოულოდნელი!.. სიკვდილი იქნება ლბილი ჩაბნელება“...

შემოქმედებითი სულის უსაზღვრო და თავისუფალ ფარფატთან ასოცირებული ყოფიერება, ანუ ახალგაზრდული ცნობიერების სიხასხასე, განსაცვიფრებლად ეფემერულიცაა თურმე... დროის სიმრავლის შხამიანი სუნთქვა კლავს მის ქალწულებრივ უმანკოებას, აუფერულებს მის განუმეორებელ კოლორიტს — „დრო იყო — აგვისტოც მარტობდა, დრო იყო — ან ღვინო მათრობდა, დრო იყო — ან ქალი მიყვარდა — კაცი და კაცობა — ესენია!.. სურვილის ქვეყნებში სიგრილეა, სურვილის ქვეყნებში გათოვდა, ეს, ალბათ, სიბერით სიკვდილია — კიდევაც, კიდევაც მეშინია!..“

სიცოცხლის წარმავლობასთან შეჭიდებული პოეტის წამიერ წამოჩოქებას, საბედნიეროდ, კვლავ სულიერი აღორძინებისა და დროსთან ომახიანი შებმის წადილი სცვლის და ეს ყოველივე, მისი მხატვრული ცნობიერების იმ ონტოლოგიურ აქტად ცნაურდება, სულიერი რეალიზმისათვის რომ არის სპეციფიკური...

ყოველი პოეტური ტექსტის ავტონომიურობა მის ლექსს ანიჭებს სრულიად განსაკუთრებულ მოქნილობას, მატერიალურ ექსპრესიას და ერთგვარ „იკონოლოგიურ“ შთამაგონებლობას...

* * *

გალაკტიონისა და ზოგადად პოეტური ხელოვნების თემა, როგორც რეალურ გამოცდილებიდან იმპულსირებული ემოციური განცდა, ცალკე მოტივაციად შემოდის მურმან ლებანიძის შემოქმედებაში...

XX საუკუნის ქართული ლიტერატურული სამყაროსათვის, არ იყო უცხო წინაპართა თუ თანამედროვეთა მიმართ განსაკუთრებული სიყვარულისა და აღტაცებული პატივისცემის გამოხატვის პრაქტიკა. სიმბოლისტებთან მან უკიდურესობას მიაღწია, როდესაც თანამედროვენი, ერთი თაობის შემოქმედნი, გუნდრუკს უკმევდნენ ერთმანეთს ლექსებსა თუ საჯარო გამოსვლებში... ყველას, ან თითქმის ყველას, თავისი გამორჩეული ლიტერატურული კერპი ჰყავდა, რომლის ცხოვრება და რა თქმა უნდა, შემოქმედება საკრალურ ღირებულებას წარმოადგენდა მისთვის...

ასეთივე უსაზღვროა მურმან ლებანიძის პიეტეტი გალაკტიონისადმი... გენიალური პოეტის ადამიანური ჩვეულებრიობა, არაჩვეულებრიობის ობერტონებითაა მათში აღქმული და წარმოსახული...

ფოტოგრაფიული სიზუსტით გაცოცხლებულ, გალაკტიონის ხილვისა თუ მასთან ურთიერთობის კადრებს სტრუქტურულად მოტივირებული ემოციის შლეიფი ანიჭებს მაღალესთეტიკურ ღირებულებას...

დიდების მწვერვალს მიღწეულ პოეტს, შესაძლოა, ბევრს არაფერს აუწყებდა მისი თაყვანისმცემლის სახელი და მიუხედავად ამისა, მისკენ მიდრეკილი თაყვანისმცემლისათვის ეს იყო რამოდენიმე წუთი უმაღლესი ნეტარებისა, მარადისობასთან ცოცხალი კონტაქტისა და პოეტთა პოეტისაგან ერთი, ერთობ პიკანტური პასუხის მოსმენისა: „ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ (ის მთვრალი იყო, როგორც ყოველთვის); — ბატონო გალაკტიონ, თქვენ პირველი ხართ, დაგვისახელეთ მეორე პოეტი... უცებ ჭინკებით გაევსო თვალი — თავისი სიმაღლით ის იყო მთვრალი, — საქართველოში??? — ჩაიქირქილა და ლომურ წვერზე მოისვა ბრჭყალი...“

გალაკტიონის თითქოს ამბიციური შებრუნება კითხვისა, საოცარი სიცხოვლით უსვამს ხაზს მისი სუბსტანციის ერთ ფრიად ორგანიულ ტენდენციას, კერძოდ ღრმა შემეცნებას იმისა, რომ ის სამყაროს ერთი უდიდესი პოეტია და რომ მისი ჭეშმარიტი ონტოლოგიური აღქმა და წარმოდგენა, მხოლოდ გლობალური მასშტაბებითაა სასურველიცა და აუცილებელიც...

მახვილგონივრულად წარმოსახულმა პოეტურმა ოპუსმა, მკითხველისათვის ნათელი გახადა „საუკუნის პოეტის“ კიდევ ერთი, ოდენ „ადვილად მისატევებელი ცდუნება“...

გალაკტიონი თვალსაჩინო კოლოსალური გაკვეთილია მისთვის... მისი თვალთახედვით იფართოებს ფიქრისა და აზროვნების დიაპაზონს, მასზე „ასწორებს“ საკუთარი განსჯის სიღრმესა და ესთეტიკას... დაბოლოს, თითქოს სათაყვანებელი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებითი სიბრძნის თანამონაწილეც ხდება...

მისთვის ახლობელია გენიოსის არა მხოლოდ პიროვნულ-შემოქმედებითი გაბრწყინების მომენტები, არამედ მისი პიროვნული ასკეტიზმისა და სუბიექტური ტანჯვა-მწუხარების გაბმული ჟამთასვლა... დაბოლოს, მისი ტრაგი-რომანტიკული დასასრული, თანმხლები პათეტიკითა და არაამქვეყნიური მისტიკით... „ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა; იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა... დირიჟორი თვით იყო! რაც მოხდა და გათავდა... და რაც ახლა ხდებოდა — მისი ჟინი მართავდა... წინ გვიძღვოდა სიკვდილით სივრცეების მხილველი, მიდიოდა ამაყი და სიკვდილშიც პირველი...“

სამშობლოსა და ერის ცნობიერებაში სუბლიმირებული გალაკტიონის ხატი, მასთან დაკავშირებული ცნობიერი თუ არაცნობიერი კონტექსტები, მისი ეკზისტენციური თუ ეპისტემოლოგიური სუბსტანცია, ჩემთვის ნათელყო ალუზიამ წარსულიდან, იმ უდიდესი შემოქმედის ლეგენდარულმა ღვაწლმა, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა არა მხოლოდ თავისი დიდი ერის სულიერ ცხოვრებაში... აი, თურმე როგორ მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე „მიმავალ“ საფრანგეთის ამ სიამაყეს მისი სამშობლო: „საზეიმო სამგლოვიარო სვლა მიაცილებდა ვიქტორ ჰიუგოს პანთეონამდე. კუბოს ორი მილიონი ადამიანი მიჰყვებოდა... პირველად კაცობრიობის ისტორიაში ერი იმ პატივს მიაგებდა პოეტს, რომელიც აქამდე მხოლოდ ხელმწიფეებსა და მხედართმთავრებს რგებიათ... ეს აპოთეოზი აღმოსავლეთის ბრწყინვალე სამგლოვიარო ცერემონიალს მოაგონებდა ადამიანს...

ბოლოსა და ბოლოს ადამიანები თვით აღფრთოვანებისაგანაც კი იღლებიან... შემდგომი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჰიუგოს დიდებამ მრავალი მეტამორფოზა განიცადა — ბოდლერი, მალარმე, ვალერი — უფრო თანამედროვენი ჩანდნენ, ახალ მოთხოვნილებებს უფრო პასუხობდნენ, მაგრამ ჰიუგოს გარეშე ეს პოეტები არასოდეს არ იქნებოდნენ და ამას ისინი თვითონვე აღიარებდნენ“... (ანდრე მორუა)

„წარმოვიდგინოთ, რა იყო ფრანგული პოეზია მის მოვლინებამდე, და რა ახალგაზრდული ძალით აღივსო მას შემდეგ, რაც ის მოვიდა... წარმოვიდგინოთ, რა მწირი იქნებოდა იგი, მას რომ არ მოესწრო... და შეუძლებელია არ ვაღიაროთ იგი, ერთ იმ უიშვიათეს პროვიდენციულ გონებად, რომელთაც ლიტერატურული პლანით საყოველთაო ხსნა მოაქვთ“... ეს შარლ ბოდლერია...

„ეს ადამიანი იყო ძლიერების განსახიერება... იმისათვის, რომ წარმოიდგინო მისი ჭეშმარიტი ძალა, საკმარისია გაეცნო და შეისწავლო მის ირგვლივ აღმოცენებული პოეტების შემოქმედება... რისი გამოგონებაღა არ დასჭირდათ მათ, რომ შეენარჩუნებინათ თავისი არსებობა, მის ირგვლივ!.. გავიდა ათწლეულები... დრო-ბორცვებისა და გორაკების აღმგველი პირისაგან მიწისა — ინდობს მხოლოდ მაღალ მთებს... XIX საუკუნის დავიწყების შემზარავ ოკეანეს ამაყად დაჰყურებს ნათელი სახეებით გაბრწყინებული არქიპელაგი ვიქტორ ჰიუგოსი“... ეს კი პოლ ვალერია...

ამ ვრცელ ანალიტიკურ განსჯათა ციტაცია, საოცარი სიზუსტით განასახიერებს გენიალური ქართველი ლირიკოსის ფენომენის ჭეშმარიტ პარადიგმებს, მის სულიერ გამოსხივებათა უნიკალურ რეპერტუარს... პარალელები თვალსაჩინოს ხდიან მოვლენათა აღქმის მასშტაბებს და ამდიდრებენ ინტერპრეტაციების სივრცეებს თუ რეფლექსირების კულტურას...

მურმან ლებანიძის „გალაკტიონოლოგიური“ ოპუსები, დიდ სულიერ წინამორბედთან დამოკიდებულებისა და მომავლის ინტელექტუალური სტრატეგიის კიდევ ერთი პროექციაა, რომელიც წარსულის ემოციურსა თუ რაციონალურ არგუმენტაციებს დროში არსებობის უფლებებს ანიჭებს...

მან, თავის მაღალ მოვალეობად ჩათვალა, პატივი მიეგო საუკუნის უდიდესი პოეტისათვის, რადგან „არც თუ ადვილია ამოიგდო გულიდან რწმენა და სიყვარული ხვთაებისა“...

* * *

სიმპტომურია, რომ მურმან ლებანიძის „პოეტური ხელოვნება“ პრინციპულად განერიდა კლასიკური ესთეტიკური პრინციპების პოლემიკურ გადააზრებას, მისი „პროფანირების“ ცდუნებას, თუმც მასში მაინც მძლავრად მოხდა ახალი აზრობრივი პლასტების აკუმულირება, კულტურული ცნობიერების მითოფოლკლორული კონტექსტების აღორძინება, წარსულის კონცეპტუალური აღქმისა და ფიქსაციის ახლებური ნიუანსირება, გამოვლენა მათი სემანტიკური მრავალპლანიანობისა... პოეზია, როგორც ცოდნა, დომინანტია მისი ესთეტიკისა...

პოეტური ტექსტების ორნამენტული სტრუქტურა შთამბეჭდავია თავისი დეკორატიული ინტერპრეტაციებითა თუ სტილიზებული ინტერიერით, სახეთა მკვეთრი კონტურებითა თუ სიტყვიერი არაბესკებით...

ოდნავ თეატრალიზებულნი, ისინი შთამაგონებელნი არიან თავისი იდეური აქტუალობითა და ორატორული პათოსით...

დაბოლოს, ძალზედ არსებითია, პოეტის სუბსტანციისათვის ორგანიული მუსიკალური სტილი, პოეტური ფრაზის რიტმული აქცენტები და ხმოვანი გამომსახველობა...

ერთ თავის ლექსში, იგი ასე განმარტავს საკუთარ ესთეტიკურ ორიენტაციას: „ლექსი უნდა ქალს ჰგავდეს, — პროსპექტს რომ მოანათებს, სიმხნეს რომ მოგანატრებს, სიყრმეს რომ მოგალანდებს... გასაფრენად გცეცხლავდეს, რომც იყო საპყარივით, — ლექსი უნდა ცხენს ჰგავდეს — კოჭებში ზამბარებით“...

დრო-სივრცის მხატვრული აღქმის პარალელურად, მასში კოლოსალური ძალისხმევით „თრთოდა“ ეროვნული სულიერების რღვევისა და კვაზიკულტურული ცივილიზაციის მოსალოდნელი პრევალირების საგანგაშო ობერტონები... ღრმად აფიქრებდა ვექტორი ერის იდენტობისა და მიზანი მისი მომავლისა...

ამ თავსატეხი დილემის წინაშე იდგა იგი — XX საუკუნის დიდი ქართული პოეზიის ეს ერთი ჭეშმარიტი აქტორი, უხანგრძლივესი სნეულებით „გასალკლდევებული“ მოქალაქე თავისი ქვეყნისა და ეროვნული პოეზიის ცოცხალ გულისფეთქვას ამკვიდრებდა თანამედროვეთა ცნობიერებაში...

დასასრული შემდეგ ნომერში

ხალიდ ალ-ხამისის, ეგვიპტელი მწერლის კიდევ რამდენიმე ამბავი „ტაქსიდან”, რომლებიც ავტორმა ტაქსით მგზავრობის დროს შეკრიბა. ხალიდ ალ-ხამისი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ მას უყვარს ტაქსის მძღოლებთან საუბარი, რადგან ისინი ეგვიპტის ქუჩების ნამდვილი ბარომეტრები არიან. კრებულში თავმოყრილია 2005-2006 წლებში შეკრებილი ამბები. ტაქსისტებიც, ვისთანაც მწერალი მგზავრობის დროს საუბრობდა, სხვადასხვა განათლების ადამიანები არიან, წერა-კითხვის უცოდინარიდან დაწყებული, აკადემიური ხარისხის მქონე მძღოლებით დამთავრებული, თუმცა მწერალი ამბობს, მეცნიერებათა დოქტორები ჯერ არ შემხვედრიაო. ტაქსისტები კარგად იცნობენ საზოგადოებას, რადგან პრაქტიკულად ქუჩაში ცხოვრობენ და ყოველდღე უამრავ სხვადასხვა ტიპის ადამიანს ხვდებიან.

წიგნი პირველად 2006 წელს გამოიცა და მალევე იქცა ბესტსელერად. „ჩვენი მწერლობის” მკითხველი უკვე იცნობს რამდენიმე ამბავს ამ წიგნიდან (№7, 2013; №19, 2013; №10, 2014). მიუხედავად იმისა, რომ პირველი გამოცემიდან თითქმის ათი წელი გავიდა, აქტუალობა ჯერაც არ დაუკარგავს. ბევრგან ქართველი მკითხველი ჩვენი საზოგადოების პრობლემებსაც ამოიცნობს.

ხალიდ ალ ხამისი

ტაქსი

* * *

ახალი რამზესის კოლეჯის წინ ვიდექი, აჰმად ლუტფი ას-საიდის ქუჩაზე, სადაც ჩემი შვილები დადიან სკოლაში. ქუჩა გადატვირთული იყო. უამრავი ავტობუსი ტონობით გამონაბოლქვს გამოყოფდა. ასეთი დაბინძურებული ჰაერი სულს მიხუთავდა და დახრჩობის პირას მივყავდი. რას უშვება ჩემი საყვარელი კაირო მისი მაცხოვრებლების ფილტვებს?! ტაქსი მომიახლოვდა და თითქოს გახარებული გაჩერდა, მგზავრი რომ დაინახა. ისე ჩავჯექი, არ მითქვამს, სად მივდიოდი, თუმცა, როგორც წესი, ასე არ ვიქცევი. აღმოვაჩინე, რომ მძღოლი სიგარეტს ეწეოდა და ისიც სახეში მაბოლებდა.

არ შემეძლო კვამლის იმ კვალის ატანა, რომელიც ცეკვა-ცეკვით პირდაპირ ჩემი ფილტვებისკენ მოემართებოდა შხამიანი გველივით. ვიფიქრე, თუ თავაზიანად ვთხოვ მძღოლს სიგარეტის ჩაქრობას, ჩემს თხოვნას არ შეიწყნარებს-მეთქი, ამიტომ გადავწყვიტე უხეში ინტონაცია მეცადა, იმ იმედით, რომ ოფიცერი ვეგონებოდი, ჩემს ავტორიტეტს დაემორჩილებოდა და სიგარეტს გადააგდებდა.

— გადააგდე სიგარეტი! — ვუთხარი მკაცრად, — ის არ გვეყოფა, საშინელ გამონაბოლქვს რომ ვსუნთქავთ?

ყურადღებით შემომხედა, სახეზე დამაკვირდა, პოლიციელის სახეს შეადარა, გონების თვალით აწონ-დაწონა. შემდეგ ფანჯრიდან სიგარეტი გადააგდო და მივხვდი, რომ ჩემი სახე თავისუფლად შეიძლებოდა პოლიციელის სახე ყოფილიყო.

— აგუზაში წადი! — (ისევ უხეშის როლის თამაშს განვაგრძობდი).

— რა თქმა უნდა. — თქვა მძღოლმა.

ერთი სიტყვაც რომ დამცდენოდა, ყველაფერი გამჟღავნდებოდა და მძღოლი ისევ მოუკიდებდა სიგარეტს. ასე რომ, დავდუმდი.

— როგორც მიბრძანებთ, ბატონო. მაგრამ გნებავთ, საოცარი რამ გითხრათ?

— გისმენ, — ვუთხარი მე.

— ერთ მილიონერთან ვმუშაობდი, 700 ფუნტს მიხდიდა თვეში, საჩუქრები, გამონაცვალი ტანსაცმელი და სადღესასწაულო დანამატები რომ არ ჩავთვალოთ. ეს ყველაფერი იმიტომ მივატოვე, მოწევა არ შეიძლებოდა. მთელი დღე საჭესთან ვზივარ და აღმა-დაღმა დავეხეტები, რომ თავისუფალი ვიყო და ჩემ გემოზე მოვწიო, მაგრამ შენი ხათრით გადავაგდე, პატივცემულო. ღმერთმანი, „მარლბოროს“ ვეწეოდი.

— იცოცხლე, — ვუთხარი მე.

— მე, პატივცემულო, მოწევა გვიან დავიწყე, უკვე საშუალო სკოლას ვამთავრებდი, მერე 1973 წლიდან 1976-მდე ჯარში ვიყავი. მაშინ

სიგარეტს უფასოდ გვაძლევდნენ, დღეში თითო კოლოფს. სიგარეტი კადაფის[1] საჩუქარი იყო, ლიბიიდან, ეგვიპტელი მეომრებისთვის. სკოლაში სწავლისას ოჯახმა არ იცოდა და ამიტომ, ჯარში წასვლამდე ბევრს არ ვეწეოდი. ჯარიდან რომ დავბრუნდი, ერთი კოლოფი „მარლბორო“ ორმოცდასამნახევარი კირში[2] ღირდა, ეგვიპტური სიგარეტი — 15-20. „მარლბოროს“ მოწევას მაშინ მივეჩვიე და ახლა? ახლა „მარლბორო“ 7,5 ფუნტი ღირს, „კლეოპატრა“ — 2,5. ყველაფერი თავდაყირა დადგა, მაგრამ რას იზამ? სიამოვნებაა.

კიდევ ერთ თავშესაქცევ ამბავს მოგიყვები. სამხრეთიდან ვარ, ასიუტიდან. ოჯახმა მითხრა, გეყოფა ასე ყოფნა, ცოლი უნდა მოიყვანოო. კარგი-მეთქი, ვუთხარი. ჩვენებური გოგო უნდა შეირთოო. ნათესავის გასაცნობად წამიყვანეს. როგორც კაიროშია მიღებული, ტორტი წავიღე. იქ, რა თქმა უნდა, ასე არ ხდება და ძალიან გაუკვირდათ, ტორტით რომ მივედი. არ ვიცი, რა მომივიდა, საპატარძლო არ მომეწონა. ბოდიში მოვიხადე თავაზიანად და მალევე წავედი. ისინი ყველაფერს მიხვდნენ და ტორტი ბიძაჩემის სახლში გაგზავნეს, რადგან მამაჩემი დიდი ხანია კაიროში ცხოვრობს და იქ სახლი არ ჰქონდა. სახლში რომ მივდიოდი, მეორე ბიძის სახლში ბიძაშვილს შევხვდი... მიზიდულობა გაგვიჩნდა. ერთმანეთს კარგად გავუგეთ... ჩემი ოჯახი ვერ იჯერებდა, მაგრამ ორიოდ დღეში დავინიშნეთ კიდევაც. ლამაზი გოგო იყო, ადგილობრივ დაწყებით სკოლაში მუშაობდა.

კაიროში რომ დავბრუნდი, ფიქრები მომეძალა, — ცოლად თუ მოიყვან, ხარჯი მოგემატება. რასაც შოულობ, იმით თავი ძლივს გაგაქვს. სიგარეტის ფული სადღა გექნება? ჰაშიშის ფული? სერიოზული კი არაფერი, ბატონო, კვირაში ერთხელ ვეწევით ჰაშიშს... გამუდმებით ამაზე ვფიქრობდი და მივხვდი, რომ თუ დავქორწინდებოდი, სიგარეტისთვისაც თავი უნდა დამენებებინა და ჰაშიშისთვისაც. უკვე ნანახი მაქვს, ჩემს გარშემო რა დღეში არიან. ამიტომ წავედი სოფელში, ოჯახის უკითხავად, და ნიშნობა გავაუქმე. იქიდან მოყოლებული მსგავსი აღარაფერი ჩამიდენია.

თავისუფლად ვცხოვრობ, ჩემი სიამოვნებისთვის ვეწევი სიგარეტსაც, ჰაშიშსაც და არავისი არაფერი მმართებს.

ხომ არ მოწევ, ბატონო? შეხედე კოლოფს, „მარლბოროა“.

* * *

მძღოლს სახეზე უსაზღვრო სევდა ეწერა, სევდა, რომელიც ვრცელდებოდა და სრულიად შთანთქავდა მას, თითქოს მთელი მსოფლიოს სევდამ მასთან მოიყარა თავი და საბოლოოდ მძიმე ბურთი შექმნა, რომელიც ამ საცოდავის სულს დააწვა. ერთი შეხედვაც კმაროდა მიმხვდარიყავი, თავს რაღაც უბედურება დაატყდაო.

ღრმა მწუხარების მიზეზი ვკითხე. მიპასუხა:

— ღმერთმანი, არ ვიცი, რა ვიღონო, თავი როგორ გავართვა... ტვინი გამუდმებით მუშაობს, გამოსავალს ეძებს. არ ვიცი, რა გადავწყვიტო... გავგიჟდები... ვგრძნობ, თავის ქალა როგორ მეხდება...

— კი მაგრამ, რა ხდება? — ვკითხე მე.

— ასეთი ამბავია: სკოლის მოსწავლეები დამყავს. ექვსი ბავშვია, თითო თვეში ოთხმოც გინეას იხდის. ორი დღის წინათ და-ძმას მამა დაუპატიმრეს. წავედი გუშინ, რომ ჩემი ფული ამეღო. ბავშვების დედამ მითხრა, რაც მოხდა, და მთხოვა, ვაცადო, სანამ მის ქმარს გაათავისუფლებენ.

მომგებიანი რომ იყოს, შვიდი ან რვა ბავშვი უნდა დაგყავდეს, მე — ექვსი დამყავს. თან, რა უნდა ქნან ამ ბიჭმა და გოგომ? მათი დედა ჩადრს ატარებს და შინიდან არ გადის. ჩემი ცოლი მეუბნება: „სამუშაო სამუშაოა, უთხარი ან გადაიხადოს, ან ბავშვებს სკოლაში აღარ წაიყვან“. ბავშვების დედა იფიცებს, რომ ჩემთვის გადასახდელი კი არა, საჭმლის ფული არ გააჩნია, რომ მოთმინებაშია ნუგეშის გასაღები და რომ შაბათს გაღებული მადლი კვირას დაგხვდება წინ.

არ ვიცი, რა გავაკეთო. ნამუსი მეუბნება, რომ ბავშვები სკოლაში უნდა ვატარო, არადა, მე თვითონ ღატაკი ვარ, ნეტა ვინმე ძვალს გადმომიგდებდეს. ნამდვილად წაგებაში ვიქნები. თქვენ რა აზრის ხართ, უფროსო?

— ძალიან რთულია, ამ საკითხზე ჩემი აზრი მქონდეს, — ვუთხარი მე. —ვისაც ხელი წყალში აქვს, ხელდამწვარს მრჩევლად ვერ გამოადგება.

— გულწრფელად, ჩემს ადგილას რომ ყოფილიყავი, რას იზამდი? — მკითხა მძღოლმა.

— ჩემი აზრით, მადლი ქენი, ქვაზე დადე... ატარე ბავშვები სკოლაში.

— მამაჩემი, ალაჰმა შეიწყალოს, ყოველთვის ამბობდა, სიკეთე გააკეთე და სიკეთითვე მოგიბრუნდებაო... როგორც ხმა და მისი ექო, — თუ ხმამაღლა არ დაიძახებ, ვერც ექოს გაიგებ. თუ სიკეთეს მთელი გულით

მხატვარი ჯემალ ზენაიშვილი

არ გააკეთებ, სიკეთით არასოდეს მოგიბრუნდება. ალაჰმა ნათელში გამყოფოს, მამაჩემო!

მაგრამ მამაჩემი სხვა დროში ცხოვრობდა... იმ დროში სამსახურს სამ საათზე ამთავრებდა და მთელ დროს ჩვენთან ატარებდა. მე ჩემს შვილებს კვირაში ერთხელ ვხედავ, ხან მაშინაც ვერა.

კარგი, ვთქვათ ვატარე ბავშვები ერთი თვე და მათი მამა ციხიდან ვერ გამოვიდა, რამდენ ხანს უნდა ვიცადო? კეთილ საქმეს მარადიულად ვერ გააკეთებ. ჩემმა ცოლმა გუშინ ერთი ამბავი დამაწია, რომ ვუთხარი, ბავშვებს სკოლაში ვატარებ-მეთქი. გულწრფელად რომ ვთქვა, ძალიან შემიყვარდა პატარა ამინა. ხუთი წლისაა და ჩემ დისშვილს, ასმას ჰგავს ძალიან. ლამაზი და წყნარი გოგოა. გინახავთ ოდესმე გოგო, რომელიც ერთდროულად ცელქიც არის და წყნარიც? აი, ამინაა სწორედ ასეთი... ღმერთმანი, არ ვიცი, როგორ მოვიქცე?

მანქანიდან რომ გადავედი, მძღოლს ვუთხარი, ის გადაწყვეტილება მიეღო, რომელიც სურდა შეესრულებინა და ამ საკითხზე აღარ ეფიქრა.

ფული ისე გამომართვა, არც კი შეუხედავს. მისი მდგომარეობა ჩემთან საუბრის შემდეგ ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა.

* * *

გიზას ქუჩაზე ვიყავი. თითქოს განკითხვის დღე იყო. ტაქსი არ იძვროდა, გამონაბოლქვი მოწყენილობასთან შერეულიყო და დრო სულისშემხუთველად გაეჩერებინა. ჩემგან მარცხნივ ვეტერინარიის ფაკულტეტი იყო, მარჯვნივ — ზოოპარკი, წინ და უკან — მანქანების უსასრულო რიგი. სავარაუდოდ, მადინა სინემას პირამიდის ქუჩაზე ორი საუკუნის შემდეგ მივაღწევდი.

მძღოლთან საუბარი არ წამომიწყია, თითქოს სიჩუმე სავალდებულო იყო გამონაბოლქვის და მოწყენილობის წრის შესაკრავად. მაგრამ მძღოლმა დუმილის დარღვევა გადაწყვიტა.

— ერთი იყო, მანქანიდან რომ ჩადიოდა ცოტა ხნის წინათ, მითხრა, ხან ალ-ხალილის აფეთქება[3] ისლამისტების კი არა, მთავრობის მოწყობილი იყო, რათა ხალხი საპრეზიდენტო არჩევნების წინ ისლამისტთა წინააღმდეგ განეწყოსო. რომ იცოდე, რამდენიმე ადამიანმა მითხრა იგივე. შენ რა აზრის ხარ ამაზე, ბატონო?

— მე ვფიქრობ, სისულელეა, ფაქტების დამახინჯება და გაუნათლებლობის შედეგი. ბოლო ოცდაათი წელია ისლამისტებს არაერთი ასეთი ტერორისტული აქტი აქვთ განხორციელებული, რომელიც საზოგადოებასაც აზიანებს და თვითონ მათაც, მაგრამ მაინც განაგრძობენ ამის კეთებას და შენ ვერ ხედავ, რატომ და ვინ დგას ამის უკან ან ვინ აფინანსებს. შენ რას ფიქრობ?

— მთავრობა სუსტია. მათ არ იციან ასეთი რამეები როგორ უნდა გაკეთდეს. ყველაფრის გონივრულად დაგეგმვა რომ შეძლებოდათ, ამ მდგომარეობაში არ ვიქნებოდით. ასეთი პოლიტიკური ოპერაციების ჩასატარებლად გამბედაობა და სიმამაცე უნდა გქონდეს, გეგმაც საიმედო უნდა იყოს. ჩვენ საცოდავებმა არ ვიცით, ეს როგორ უნდა გავაკეთოთ. ისრაელის მთავრობა რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ დაიჯერებდი? მაგრამ ჩვენ? არა, ჩვენ რა შეგვიძლია!

— ესე იგი, ასეთი ბინძური ოპერაციების მოწყობა მოქალაქეთა ნინააღმდეგ, შენი აზრით, ძლიერების მაჩვენებელია? ამას რას ამბობ?!

— პოლიტიკა, რაც არსებობს, სულ ბინძური იყო. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ნიუ იორკში ცათამბჯენებს ამერიკელებმა დაარტყეს და ისლამისტებს მიანერეს. პოლიტიკაში ასეთი დევიზია: თუ გაგდის, გააკეთე. არჩევნებზე ჩვენ მივდივართ და ეს ნიშნავს, რომ ყველანაირი თამაში ნებადართულია. მთავრობამ ისლამისტები ცუდი მხრიდან უნდა წარმოაჩინოს, რომ ხალხმა თქვას, ეკონომიკას იმაზე უფრო მეტად დაანგრევენ, ვიდრე უკვეა დანგრეულიო.

— რას ლაპარაკობ? მორალი საერთოდ არ არსებობს? კანონი არ არსებობს? კონსტიტუცია არ არსებობს? შენ რა, ფიქრობ, ტყეში ვცხოვრობთ?

— და შენ რას ფიქრობ, სად ვცხოვრობთ, ქალაქში? ტყე შვება იქნებოდა იმასთან შედარებით, სადაც ვართ. იცი სად ვცხოვრობთ?

— სად? — ვკითხე მე.

— ჯოჯოხეთში.

ყველაფერი თავდაყირა

მძღოლი:

— უფალმა შემინდოს, რომ არ ვლოცულობ და მეჩეთშიც არ დავდივარ. დრო არ მაქვს. მთელი დღე ვმუშაობ. მარხვითაც ხანდახან ვმარხულობ. სიგარეტი თუ არ მოვწიე, ვერ ვმუშაობ. მაგრამ, სერიოზულად ვამბობ, გამიხარდება თუ ხელისუფლებაში ძმები მუსლიმები მოვლენ. რატომაც არა? აშკარაა, ყველას მათი მოსვლა უნდა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ...

— კი მაგრამ, თუ ხელისუფლებაში ისინი მოვლენ და გაიგებენ, რომ არ ლოცულობ, ჩამოგახრჩობენ.

— არა, იმიტომ, რომ მეჩეთში ვილოცებ, ყველას თვალწინ.

— რატომ გინდა ხელისუფლებაში მათი მოსვლა? — ვკითხე მე.

— იმიტომ, რომ უკვე ყველაფერი ვცადეთ... ვცადეთ მეფე, არ ივარგა, ვცადეთ სოციალიზმი, აბდ ელ-ნასერის დროს და სოციალიზმის პიკი რომ იყო, მაშინაც კი ფაშები[4] გვყავდა ჯარში და ინტელიგენციაში. მერე ცენტრისტები ვცადეთ, მერე — კაპიტალისტები, მაგრამ მთავრობის კვოტით, საზოგადოებრივი სექტორით, დიქტატურით, დაჩქარებული კანონით, ამერიკანიზაცია დაიწყო და ნელ-ნელა ისრაელელებიც გავხდებით. არც ეს ვარგა. ასე რომ, რატომ არ ვცადოთ ძმები მუსლიმები, იქნებ მათ გაამართლონ, ვინ იცის?

— ანუ ექსპერიმენტი ჩავატაროთ? — ვკითხე მე. — შეიძლება ჩაფართხუნებული შარვალი მოისინჯო, ან მოტკეცილი პერანგი, მაგრამ როცა საქმე ქვეყნის მომავალს ეხება, ექსპერიმენტი უადგილოა.

— ცალთვალა კაცს ეუბნებიან, თვალში ჩაგარტყამთო. ამ ამერიკელებს ხომ ვერაფერს გაუგებ. პრეზიდენტ მუბარაქსაც ეხმარებიან, ძმებ მუსლიმებსაც და ქრისტიანებსაც, რომლებიც საზღვარგარეთ გვიქმნიან პრობლემებს. ფულს უხდიან საუდის არაბეთს, რომლებიც ამ ფულს ისლამისტებს აძლევენ, ისინი, თავის მხრივ, იმ ფულით ამერიკის წინააღმდეგ ტერორისტულ აქტებს აწყობენ. მოდი და, ნუ აგებნევა თავგზა... თუმცა, ისევ გეუბნები, ცოტა ხნით ძმები მუსლიმები უნდა ვცადოთ ხელისუფლებაში და ვნახოთ, რას გააკეთებენ. ასე ახალ სახეებსაც დავინახავთ და, როგორც იცი, ახალი ცოცხი კარგად გვის, იქნებ ეკონომიკას რამე მოუხერხონ.

— ეკონომიკაზე გამახსენდა, ის ანეკდოტი იცი?

— რომელი?

— ამბობენ, ეგვიპტის ეკონომიკა კურტიზანის ჩასაცმელს ჰგავს, რაც უნდა ზევით აწიო, მაინც ქვევით ვარდებაო.

და ხარხარი აუტყდა.

* * *

— ექვსი ოქტომბერი[5] ექვსი ოქტომბერი, ექვსი ოქტომბერი! — ვიძახდი. ტაქსის გაჩერებას ვცდილობდი, მაგრამ იმედი არ ჩანდა, არავინ მიჩერებდა. საღამოს ათ საათზე შეხვედრა მქონდა დანიშნული მედიანარმოების ქალაქში, მანქანა კი გამიფუჭდა. მეგონა, ტაქსის იოლად გავაჩერებდი.

ვინც მოითმენს, ის მოიგებს... ტაქსი გაჩერდა. თუმცა, ვიდრე ჩაჯდომას შემომთავაზებდა, მძღოლმა კარგად დამათვალიერა. ჩავჯექი.

— რა ხდება? — ვკითხე მე. —ნახევარი საათი ვიდექი და არავინ მიჩერებდა.

— არც გაგიჩერებდა.

— კი მაგრამ, რატომ, ღვთის გულისთვის?

— ღამით, ასეთ მიყრუებელ ადგილას და ექვს ოქტომბერში მიმავალი მგზავრი? ამ დღეებში განსაკუთრებით ძნელია.

— რატომ? რამე ხდება? — ვკითხე მე.

— ინციდენტი მოხდა, — მიპასუხა მძღოლმა.

— ღმერთო, დაგვიფარე!

— კლიენტები ტაქსიში ჩასხდნენ და მძღოლს ექვს ოქტომბერში წაყვანა სთხოვეს. მიყრუებულ ადგილას დანები ამოიღეს, მძღოლს მთელი ფული და მანქანა წაართვეს და გზის პირას დატოვეს. ერთი ამტკიცებდა, დაჭრეს კიდეცო.

— მოკლეს? — ვკითხე მე.

— არა, არ მომკვდარა, მაგრამ ოცამდე ჭრილობა მიაყენეს მთელს სხეულზე. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო. მეორედ დაიბადა. ტრაგედია ის არის, მანქანა, რომელიც გაიტაცეს, ახალნაყიდი ჰქონდა და დაზღვეული არ ყოფილა, ნაბიჭვრები ესენი! დაშლიან და სათადარიგო ნაწილებად გაყიდიან.

— და შენ საიდან გაიგე, გაზეთებში იყო?

— არა, გაზეთებს არ ვკითხულობ. გაზეთები რად მინდა, საჭმელს ძლივს ვყიდულობ. არა, მე ემბაბადან[6] ვარ, ყავის დასალევად ვიყავი და რამდენიმე მძღოლს შევხვდი, ნაბეჭდ განცხადებებს ავრცელებდნენ ამ შემთხვევის შესახებ. რამდენიმე ფურცელი მეც მომცეს, რომ ჩემი ნაცნობი მძღოლებისთვის მიმეცა. ამიტომ შეგათვალიერე ყურადღებით, სანამ მანქანაში ჩაგსვამდი. მიგიყვან და პირდაპირ სახლში წავალ. იქიდან მოყოლებული ათი საათის შემდეგ აღარ მსიამოვნებს გარეთ ყოფნა. ეს ქვეყანა უსაფრთხო აღარ არის. ყველაზე გვიან 10 საათზე ვუბრუნდები ჩემს ცოლ-შვილს. ჩამოგსვამ, მანქანას ჩავკეტავ და პირდაპირ ემბაბაში წავალ. ღმერთმა გვიშველოს.

ამ ამბავმა შემაშინა, მაგრამ მომეწონა, რომ მძღოლები ერთმანეთს სოლიდარობას უცხადებენ და გამაფრთხილებელ განცხადებებს ავრცელებენ.

მედიაპროდუქციის ქალაქში ჩამოვედი და საკუთარი თავი დავიჭირე, ცხოვრებაში პირველად ყურადღებით ვიხედებოდი მარჯვნივ და მარცხნივ.

* * *

ხშირად მხვდებიან ისეთი მძღოლები, გზები და ქუჩების სახელები კარგად რომ არ იციან... ამ მძღოლს კი პატივი ერგო, საერთოდ არცერთი ქუჩა არ სცოდნოდა, გარდა იმისა, რა თქმა უნდა, სადაც ცხოვრობდა. კაიროს ასეთი უცოდინარობა გამაოგნებელი იყო. უზარმაზარ სასახლეში პირველად მოხვედრილ ბრმას ჰგავდა.

— რა მოგივიდა, შე კაი კაცო, მძღოლი არა ხარ? — ვკითხე მე.

— არა, ბატონო, არა ვარ მძღოლი.

— აბა, თავს რითი ირჩენ?

— კონტრაბანდისტი ვარ.

— კონტრაბანდისტი?!

— ვითომ რაო? ჩემი გარდაცვლილი დედის უკანასკნელი სურვილი და ანდერძი იყო. ამ ქვეყანაში პატიოსანი შრომით ფულს ვერ იშოვი. თან, ცუდს არაფერს ვაკეთებ, ჩემს ქვეყანას ზიანს არ ვაყენებ, პირიქით, კარგს ვაკეთებ. ამით შეიძლება ვიამაყო კიდეც.

— ხუმრობ, არა?

— ღვთის მადლმა, კონტრაბანდისტი ვარ. მამა მომიკვდა. ცოტა ხნის წინათ დავასაფლავე. ეს მისი ტაქსია, ვიმუშავებ, ვიდრე მოვიფიქრებ, რა ვაკეთო ცხოვრებაში.

— ღვთის გულისთვის, მითხარი, რა გადმოგაქვს კონტრაბანდით?

— მე ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვარ, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია ერთ ქალბატონთან ვმუშაობ სალუმში[7] ალაჰის წყალობით, მოსაწევი გადაგვაქვს ეგვიპტიდან ლიბიაში. პატიოსნად ვყიდულობთ ეგვიპტეში და პატიოსნად ვყიდით ლიბიაში. ხომ გითხარი, ქვეყნისთვის სარგებელი მოგვაქვს. შეიძლება ითქვას, პატრიოტი ბიჭი ვარ.

— რა მოსაწევი, ნარკოტიკები?

— რა ნარკოტიკები? ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ ვინც ნარკობიზნესშია, ტაქსის მძღოლად მუშაობს ქანცის გაწყვეტამდე და ასე მარტივად გეტყვის, კონტრაბანდისტი ვარო? სულელი ხომ არ გგონივარ? მოსაწევი სიგარეტს ნიშნავს, იმპორტულ სიგარეტს.

— ესე იგი, როგორ? რას აკეთებთ?

— ძალიან ადვილი ამბავია. რამდენიმე ქალია სალუმში, რომლებიც ამ საქმისთვის ახალგაზრდებს ქირაობენ, მათი ხელქვეითები ვართ. ჩვენი საქმე პასპორტების ყიდვაა, თუ საკმაო მოხერხება გამოვიჩინეთ, ათ ან თორმეტ ფუნტად ვყიდულობთ, ყველაზე მეტი — თხუთმეტად.

— პასპორტების ყიდვაში რას გულისხმობ?

— ყველას აქვს უფლება, დაუბეგრავად ექვსი ბლოკი სიგარეტი იყიდოს. ჩვენ ლიბიიდან ჩამოსულებს მოველაპარაკებით, თავიანთ სახელზე ექვს-ექვსი ბლოკი სიგარეტი იყიდონ. ექვსი ბლოკი დაახლოებით 175 ფუნტი ღირს, ამას დამატებული 10 ფუნტი ყოველი მათგანისთვის, ვინც დაგვთანხმდება, ჯამში — 185 ფუნტი. დღეში დაახლოებით 200 პასპორტს ვყიდულობთ და კონტრაბანდულად გაგვაქვს ლიბიაში. მუსაიდის[8] საბაჟო პუნქტს ადვილად გაივლი, მანქანით მიმავალ ხალხს ამოწმებენ, ფეხით გადამსვლელებს — უპრობლემოდ ატარებენ. ჩვენ სიგარეტს ჩანთებში ვაწყობთ, რომელსაც მხარზე ვიკიდებთ. ლიბიაში რომ გადავიტანთ, დაახლოებით 42-დან 45 დინარამდე ვყიდით. ერთი დინარი ოთხი და სამოცდათხუთმეტი ღირს, ასე რომ, ერთი პასპორტი დაახლოებით 20 ფუნტ მოგებას ტოვებს. ჯამში 4000 ფუნტზე ავდივართ დღეში. აი, ასეთია ეს ბიზნესი, პატივცემულო, პატიოსანი ბიზნესი.

— კი მაგრამ, ვერ ვხვდები, ეს სიგარეტი ლიბიაში ისედაც არ იყიდება?

— ეს იმპორტული ბრენდია და ლიბიელებს მოსწონთ. ნუ მოგწონთო, ვუთხრათ? ასე ყველა მოგებაშია.

— მხოლოდ სიგარეტის კონტრაბანდას ეწევით?

— არა. ხანდახან ვიდეოპარატურაც გადმოგვქონდა ლიბიიდან ეგვიპტეში. მაგრამ სალუმის საბაჟო მუსაიდის საბაჟოს არ ჰგავს. დაუნდობლები არიან. ჩანთა თავისით რომ მიდიოდეს, იმასაც კი დაიჭერენ. მაგრამ რაღაცას მაინც ვახერხებთ, ბოლობოლო, რამდენიმე წელია ამ საქმეში ვარ. მამაჩემი მთელი ცხოვრება ტაქსის მძღოლი იყო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს, უნდოდა, მეც ტაქსისტი ვყოფილიყავი. დედაჩემმა თქვა: „მამაშენმა უკან დაგვხია და საცოდავი არსებობა გვარგუნა. წადი, შვილო, ისეთი სამუშაო იშოვე, ამ დროს რომ შეეფერება და ფულს გაშოვნინებს. ვერ ხედავ, ჩვენს გარშემო ყველა როგორ იქცევა? წადი ლიბიაში, იმოგზაურე, იქნებ ღმერთმა გადმოგხედოს". ლიბიაში რომ მივდიოდი, ზუსტად მაშინ ვიშოვე კონტრაბანდისტის სამუშაო. ვიფიქრე, რომ ღმერთმა ჩემი ლოცვა შეისმინა. დედას მთელ ჩემ დანაზოგს ვუგზავნიდი, ღვთის წყალობით, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით მაინც ვაგრძნობინე თავი ბედნიერად. კარგი დედა იყო, ღმერთმა შეიწყალოს.

— საბოლოოდ კაიროში აპირებ დამკვიდრებას და მამის პროფესიის გაგრძელებას?

— არა, პატივცემულო! სხვას კი არ უთქვამს, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, როგორ იცხოვრა მამაჩემმა მთელი ცხოვრება. ისიც საკუთარი თვალით ვნახე, როგორ მოკვდა, — სუდარის ფულიც კი არ ჰქონდა, და, რაც მოდის, იმაზე უარესია, რაც უკვე იყო. ღვთის ნებით, რამე წესიერ სამსახურს ვიშოვი, რაც ფულს მომიტანს, იქნებ ბანდის მეთაურიც გავხდე.

* * *

ადგილი: კაიროს წიგნის საერთაშორისო ბაზრობა მადინა ნასრში[9]

თარიღი: 26 იანვარი, 2005

დრო: 14:15

ტემპერატურა: ზომიერი.

ღონისძიება: სატელევიზიო გადაცემა მოსახლეობის პოლიტიკაში ჩართულობის შესახებ და ინტერვიუს ჩაწერა ხალხთან (რასაკვირველია, არა პირდაპირი ჩართვა, რადგან პირდაპირი ეთერი დემოკრატიის ატმოსფეროს საფრთხეს შეიცავს).

მეთოდი: ინტერვიუს დროს ინტერვიუერი უიღბლო საზოგადოებას ეთიკის გაკვეთილებს უტარებს პოლიტიკაში ჩართულობის ხელოვნებაში. თუ აუცილებელია, იყენებს ჩახვეღებას, მიმიკას, რომ ადამიანები სწორ გზას არ აცდნენ.

ალ-აზბაქიას სტენდს რომ ჩავუარე, ერთი კაცი მომიახლოვდა და გამეცნო:

— მე სატელევიზიო გადაცემის წარმოების დირექტორი. აქ ფილმს ვიღებთ, — და მკითხა თუ შეიძლებოდა ჩემთან ინტერვიუს ჩაწერა. მარწმუნებდა, რომ ქალბატონი ჩემი ცოლი უფრო მეტად დამაფასებდა, როცა ტელევიზორში მნახავდა. ჩემი შვილები კი სკოლაში თავიანთი მეგობრებისთვის დიდი სიამაყით შეძლებდნენ ეთქვათ ცისფერ ეკრანზე მამის გამოსვლის შესახებ.

მიკროფონი პერანგზე დამიმაგრეს. ოპერატორმა კამერა წინ დამიდგა. მის უკან პატარა გოგოების ჯგუფი მოგროვდა გერმანული პავილიონის კედელთან, გადამღებ ჯგუფზე იცინოდნენ. დიქტორმა თავზე შემორჩენილი თმა გადაივარცხნა და გადაღებისთვის მოემზადა. „ერთი, ორი, სამი, წავიდა". დიქტორმა კითხვები დამაყარა საარჩევნო ბარათის შესახებ და მე ტაქსის მძღოლთან ჩემი საუბრის შესახებ ვუამბე:

— გაქვს საარჩევნო ბარათი? — ვკითხე მძღოლს.

— ეს რა შავი დღე გამითენდა! გინდა საარჩევნო ბარათი ავიღო? მერე მუდმივად მაკონტროლონ და თუ მათ არ მივეცი ხმა, დამაპატიმრონ და გამაქრონ?

— გაკონტროლონ? ხუმრობ, არა? — გამეცინა მე.

— სავსებით სერიოზულად ვლაპარაკობ. ასი პროცენტით ვიცი, საარჩევნო ბარათი რომ ავიღო, ჩემი კონტროლი დაიწყება. არარეგისტრირებული ვიქნები და ეს კატასტროფის ტოლფასი იქნება. შენ ძალიან გულუბრყვილო ხარ და ვერ ხვდები, რა ხდება.

შემდეგ დიქტორს მოვუყევი, როგორ ვეცადე მძღოლის გადარწმუნებას, რომ რასაც ამბობდა, სრული სიგიჟე იყო, და რომ ასეთი ეჭვები, თითქოს სახელმწიფო ჩასაფრებულია და ჩვენი აზრების კონტროლსაც კი ცდილობს, უნდა დამთავრდეს, მაგრამ ჩემი ლაპარაკი წყლის ნაყვას ჰგავდა, ერთი სიტყვაც კი არ დაიჯერა. პირიქით, ჩემშიც ეჭვი შეიტანა და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ უშიშროების აგენტი ვეგონე.

ჩემი სატელევიზიო ინტერვიუს დასასრულს ვთქვი, — ამ მძღოლმა იმაში დამარწმუნა, რომ ეგვიპტეში პოლიტიკაში ჩართულობა უკბილო ხუმრობაა, ძალიან უკბილო-მეთქი.

იმედი მქონდა, რომ ჩემი შვილები იამაყებდნენ მეგობრების წინაშე და რომ ჩემი ცოლი კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განიმსჭვალებოდა ჩემს მიმართ, მაგრამ ჩემი ნათქვამი ზედმეტად პირდაპირი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ცისფერ ეკრანზე მოვხვედრილიყავი.

* * *

ჯინი, იფრითები, ანგელოზები და ჩვენი ძმები ქვესკნელში ნამდვილად არსებობენ, რადგან ისინი ყოველი ეგვიპტელის ცნობიერში ცხოვრობენ ამა თუ იმ ფორმით. ჯინი გამონაგონი არ არის, ის ჩვენი რელიგიის, ჩვენი ისტორიის, ფოლკლორის ნაწილია. ბოლოსდაბოლოს, ჯინი ჩვენს სულში ისევეა ჩაქსოვილი, როგორც ლობიოს გადაზელენ ხოლმე ბლენდერით სანელებლებთან, მაგრამ მიუხედავად ამ ძლიერი არევისა, ჯინი ძლიერად არ არის შემოჭრილი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჩვენი სუსტი ინტელექტი იოლად ვერ წვდება. როცა გამოჩენას გადაწყვეტენ, შედეგი ისეთი სავალალოა, როგორც ტაქსის იმ მძღოლის შემთხვევაში, რომელმაც სულტან ჰასანის მეჩეთში მიმიყვანა და მთხოვა, მისთვის მელოცა. აი, რას მომიყვა:

— რატომ არ გჯერა, პატივცემულო? იმის თუ გჯერა, რასაც სკოლაში ასწავლიან, ან რადიოთი და ტელევიზიით ამბობენ, ეს რატომ არ გჯერა? დაიჯერე ხალხის ნათქვამი. ჯინი არსებობს და ჩვენთან ერთად ცხოვრობს. ჩემი ბედის რა ვთქვი, რაღა ჩემს ბინაში დასახლდა?! ყველა შესაძლო ხერხით ვცადეთ მისი დაფრთხობა, მაგრამ უშედეგოდ. ეს ბინა რომ დავტოვოთ და სხვაგან გადავიდეთ, ბლომად ფული დაგვიჯდება, 4000 ფუნტზე ნაკლები არა, რომლისგანაც დაახლოებით ოთხი ფუნტი მაქვს.

ერთი კვირის წინათ ჩემმა ცოლმა მითხრა, „მისმინე, ადამიანის შვილო, თუ ამ უბედურებიდან გამოსავალს არ იპოვი ერთი თვის მანძილზე, ჩემი ფეხი აღარ იქნება ამ მოჩვენებებით დასახლებულ სახლში“. გამოსავალი როგორ ვიპოვო? ვინ გაიგებს ამ ამბის თავსა და ბოლოს?

— რა იცი, რომ სახლში მოჩვენებები ცხოვრობენ? — ვკითხე მე.

— როგორ თუ რა ვიცი, დღესავით ნათელია.

— ვერაფერი გავიგე, ამიხსენი.

— გეტყვი, ბატონო. დილით რომ ვიღვიძებთ, კედლებზე ნახატებს ვპოულობთ, იმავე ფერის, როგორიც კედელია, მაგრამ სველი ხაზით არის ნახატი. ბევრი ნახატია, ძირითადად თვალები, — დიდი და პატარა თვალები. დღის ბოლოს ნახატები ქრება. გარდა ამისა, სახლი ხვლიკებით არის სავსე, რაც უნდა იღონო, მაინც ყველგან პოულობ, ყველა ზომის და ფერის, ისეთი ფერისაც კი, ადრე რომ არასოდეს გინახავს. წუხელ, მაგალითად, დიდი მეწამულისფერი ხვლიკი ვნახე. ოდესმე გინახავს მეწამულისფერი ხვლიკი? კიდევ უამრავი რამ, მაგრამ ყველაზე უცნაური მდედრობითი სქესის ცხოველებია.

— რას გულისხმობ? — ვკითხე მე.

— ჩიტები გვყავს. ორი მამრი და ორიც მდედრი ჩიტი ერთ გალიაში. დილით ვიღვიძებთ და მდედრი ჩიტები გალიაში აღარ არიან. როგორ გააღეს გალია? როგორ გაფრინდნენ? არ ვიცით. თუ გალია გაიღო, მამრებიც რატომ არ გაფრინდნენ? აუხსნელია და ეს უკვე არაერთხელ მოხდა.

მერე ერთი ქალი მოვიყვანეთ, ვინც ზებუნებრივ ამბებში ერკვევა. როგორც კი შემოვიდა, თქვა, სახლში მოჩვენებები არიანო. სანამ რამეს ვეტყოდით. მაშინვე მიხვდა, რომ სახლში ჯინი ცხოვრობს. კიდევ უარესი, ჩემს ცოლს უთხრა, ამდენ ხანს ამიტომაც ვერ დაორსულდი, და თუ ამ სახლში ცხოვრებას განაგრძობთ, შვილები საერთოდ არ გეყოლებათო. ეს ერთი თვის წინათ იყო და იქიდან მოყოლებული ჩემი ცოლი არ მიკარებს. მეუბნება, რა აზრი აქვსო. დაიფიცა, რომ ვერ მივეკარები, ვიდრე მოჩვენებებიან სახლს არ დავტოვებთ, სადაც ვცხოვრობთ.

— და იმ ქალმა არ გითხრათ, ჯინი რატომ ცხოვრობს თქვენს სახლშიო? — ვკითხე მე.

— კი, გვითხრა, რომ ეს ჯინის სახლია და აქედან არ წავა, დოლის ცემითაც რომ გააყრუოთო. ფულის გამორთმევაზე უარი გვითხრა, ის კი არადა, ჩაიც არ დალია. ჩემს ცოლს უთხრა, წადი და ფრჩხილები დაიჭერი, ჯინი მანდედან გამოდისო. მერე რაღაც უჩურჩულა. რა არ ვაფიცე ცოლს, არაფრისდიდებით არ მეუბნება, რა უთხრა.

— ეს ყველაფერი ლოგიკურად გეჩვენება?

— რაც მოგიყევი, იმის მერე მაინც არ გჯერა? გეუბნები, მივდივართ, ვიძინებთ, გავიღვიძებთ და კედელზე დიდი თვალები ხატია. ვისი ნახატებია? დედაჩემი ხატავს? ჯინი არსებობს. ნუ დაანებებ, განათლებას თავგზა აგიბნიოს და ღმერთს მადლობა უთხარი, რომ შენი სახლში მოჩვენებები არ ბინადრობენ.

— მადლობა ღმერთს, — ვუთხარი მე.

პირველი სიმღერა

მძღოლი:

— მე თევზივით ვარ, ჩემი ტაქსი — აკვარიუმივით. თევზი დაცურავს წინ და უკან, აკვარიუმი კი პატარა ციხეა. თევზი ხან ერთ მხარეს ეხეთქება შუშას, ხანაც — მეორე.

მეც, — გავშლი მკლავს, ფანჯარას ვეჯახები, გავშლი მეორე მკლავს, — მეორე ფანჯარას. მართალია, მთელი დღე საჭესთან ვზივარ, მაგრამ ტაქსის მხოლოდ შიდა მხარეს ვხედავ, ჩემი საზღვარი ჩემი ტაქსის ფანჯრებია.

სამუდამო პატიმრობაა, რომელიც საფლავში მთავრდება.

მეორე სიმღერა

ხერხემალი მაქვს დაჭიმული მთელი დღე ჯდომისგან. ღამით, როცა გადმოვდივარ, რომ გავსწორდე, ვერ ვსწორდები, მტკივა. მანქანა ძველია და უამრავი ნახვრეტი აქვს, ზაფხულში ძრავის მთელი მხურვალება ფეხებსა და სხეულს ედება. მექაბაბეს ვგავარ, გახურებული ნახშირით სავსე მაყალთან რომ დგას. განსხვავება ის არის, მას შემწვარი ხორცის მადისაღმძვრელი სუნი ასდის, მე — გამონაბოლქვის.

არაბულიდან თარგმნა
ირმა მახარაძემ

1. მუამარ კადაფი (1942-2011) — ლიბიის მმართველი 1969-2011 წლებში.

2. ეგვიპტური ხურდა ფული.

3. ცნობილი აღმოსავლური ბაზარი კაიროში. 2005 და 2009 წლებში ტერორისტთა სამიზნე გახდა. ამ ტერორისტული აქტებისას რამდენიმე ათეული ადამიანი დაიღუპა და დაშავდა.

4. ოსმალეთის იმპერიის უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო მოხელეების ტიტული.

5. ექვსი ოქტომბერი — ქალაქი ეგვიპტეში, კაიროდან 32 კილომეტრის დაშორებით.

6. უბანი გიზას საგუბერნატოროში.

7. სოფელი ეგვიპტეში, ლიბიის საზღვართან.

8. ქალაქი ლიბიაში, ეგვიპტის საზღვართან. მთავარი საბაჟო პუნქტი ეგვიპტესა და ლიბიას შორის.

9. კაიროს უბანი.

სად აღუფხვრი სადით ძირსა

სამშობლოდან შორს, სადღაც გადაკარგულ ხოშკარუს ქარვასლაში კვდებოდა მეფე ქართლისა.

ალბათ ნანობდა და თავბედს იწყევლიდა. სამოცდაათ წელს გადაბიჯებულს, ცხადია, უკვე მოხუცებული ეთქმოდა. მრავალი განსაცდელი ენახა თავის ცხოვრებაში, არაერთხელ გადარჩენოდა სიკვდილს ბრძოლის ველზე. აგერ, სიბერემ დაუკაკუნა კარზე, მოისვენეო, დაისვენეო და ნაცვლად იმისა, რომ წყნარად დაელია სიცოცხლის უკანასკნელი დღენი, ათასგზის წყეული ისპაანის გზას გაუდგა. მაშ რა უნდა ეღონა — სეფიანთა სამეფო კარზე იხმობდნენ ქართლის ვალის (ანუ მეფისნაცვლის) პოსტზე დანიშნულ ვახტანგ მეხუთეს, ყიზილბაშები შაჰნავაზ-ხანს რომ უწოდებდნენ.

ქართული წყაროების მიხედვით, ქართლის მეფე გზაში ავად გამხდარა და სიკვდილსაც აღარ დაუცლია ისპაანს ჩასვლა.

ფარსადან გორგიჯანიძე: „ყაზვინით ავადმყოფი წავიდა და ხოშკარუს ქარვასლაში ძლივას ჩააწივა და იქ მიიცვალა“.

ვახუშტი ბატონიშვილი: „შთავიდა ხოშკარს, მუნ სალმობიერ იქმნა და მოკვდა“.

სეხნია ჩხეიძე: „მუხანათმა და მიუნდობელმა სოფელმან მოაბრუნა უკუღმა ბორბალი, რა ხოშკაროს ქარვასლაში მიბძანდა, ამა სოფლისაგან მიიცვალა“.

მაგრამ ზოგიერთი უცხოური წყაროს ცნობით, ქართლის მეფის სიკვდილი დაუჩქარებია არა მარტო მუხანათსა და მიუნდობელ სოფელს, არამედ არანაკლებ მუხანათსა და მიუნდობელ სეფიანთა სამეფო კარსაც.

საქართველოში გამწესებული **იტალიელი მისიონერი, სახელად ჯუზეპე,** 1677 წლის 1 აპრილს რომს გაგზავნილ წერილში აღნიშნავს ყიზილბაშთაგან მოწამლული ქართველი მეფის სიკვდილს.

სომეხი ვაჭრის **ზაქარია აქულისელის** დღიურში დაწვრილებით არის აღწერილი შაჰნავაზ-ხანის ჩასვლა ძველ ჯუღაში (1676 წლის 14 აგვისტოს) ათასკაციანი ამალისა თუ ჯარის თანხლებით. ქართლის მეფემ ჩააღწია ხოშკარუდ წოდებულ ადგილს და იქ გარდაიცვალაო (იმავე წლის სექტემბერში). ავტორი დასძენს: „ზოგნი ამბობენ, თავისით მოკვდაო; ზოგნიც — საწამლავმა მოკლაო. სიმართლე ღმერთმა უწყის“.

სომეხი მემატიანის **ზაქარია ქანაქერცის** სიტყვით, ქართველ მეფეს ცილი დასწამეს სეფიანთა სამეფო კარზე. ვახტანგი ნებაყოფლობით გაემგზავრა ისპაანს, რათა თავი გაემართლებინა. ირანის სატახტო ქალაქს რომ უახლოვდებოდა, მუქარა ჩააწვეთეს ყურში, როგორც კი ისპაანს ჩახვალ, ხელმწიფე შენს თავს დამშეულ ლომებს მიუგდებსო. ავტორი ამტკიცებს, ამის გაგონებაზე მეფემ საწამლავი დალია და სული განუტევაო.

რომელი ცნობა არის უფრო სარწმუნო, რომელ ვერსიას უნდა ვენდოთ? ამის გარკვევა ძალზე ძნელია და ისღა დაგვრჩენია, გავიმეოროთ ზაქარია აქულისელის სიტყვები, სიმართლე ღმერთმა უწყისო, ანდა თვალი გადავავლოთ წინარე მოვლენებს, ეგებ მათმა მდინარებამ მოჰფინოს მცირეოდენი შუქი ხოშკარუს საიდუმლოებას.

ფრანგი მოგზაური **ჟან შარდენი** გადმოგვცემს, რომ სეფიანთა ირანის გამოჩენილმა ხელმწიფემ შაჰ-აბასმა, ომით რომ ვერაფერი გააწყო, ქართველებთან დასდო ასეთი შეთანხმება: **„მათ ქვეყანას სრულებით არ უნდა დაკისრებოდა გადასახადი; არ უნდა შეცვლილიყო სარწმუნოება; ეკლესიები არ უნდა დანგრეულიყო და მეჩეთები არ უნდა აშენებულიყო; მათი მეფისნაცვალი მუდამ ქართველი იქნებოდა მათივე სამეფო გვარიდან, მაგრამ სარწმუნოებით მაჰმადიანი“.**

მთელი ოცდახუთი წელიწადი იმეფა როსტომმა, გვარით ბაგრატიონმა და სარწმუნოებით მაჰმადიანმა. მაგრამ მისი უშვილობა გაურკვეველ ვითარებას ქმნიდა ქართლში და არევ-დარევის მიზეზად გადაქცეულიყო.

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ როსტომის ერთგულმა თავადებმა მოციქულის პირით მოახსენეს მეფეს: ქვეყანა იმიტომ არა წყნარდება, რომ შვილი, ძმა და ახლო ნათესავი არა გყავს და შენს მემკვიდრეს ვერა ხედავენო.

როსტომი ენერგიულად შეუდგა ტახტის მემკვიდრის ძიებას. სამეფოს დიდებულთა რჩევით, მან ქართლში ჩამოიყვანა ახალციხეს გახიზნული მამუკა ბატონიშვილი, ძმა იმერეთის მეფისა. ჩამოიყვანა და შვებით ამოისუნთქა, ახლა კი მოისვენებენ შფოთის ამტეხნი და ქვეყანაც დაწყნარდებაო. მაგრამ მწარედ ცდებოდა მეფე ქართლისა.

ფეოდალებს ახალგაზრდა და გამოუცდელი მამუკა ბატონიშვილის გამეფება ეჩქარებოდათ. იფიქრეს, როსტომ მეფე თავისით, ვინ იცის, როდის მოკვდებაო, და მკვლელები მიუგზავნეს. მკვლელებს შეეშალათ და მეფის მაგივრად მის ყმას დაესხნენ თავს აბანოში, დაჭრეს. როსტომ მეფემ ეს ამბავი არ გაახმაურა, ოღონდ მამუკა ბატონიშვილი უკან გაისტუმრა ახალციხეს. მერე სეფიანთა ხელმწიფეს მისწერა: ქართველნი იმისთვის ურჩობენ და ავკაცობენ, რომ ჩემს მემკვიდრეს ვერა ხედავენო. ჩემს ბიძაშვილს, თეიმურაზ-მირზას, სამი შვილი ჰყავს და რომელსაც პაპაჩემის ლუარსაბის სახელი ჰქვია, ის გამომიგზავნეთ, ჩემს შემდეგ სამეფო ტახტი დაიჭიროსო.

ირანის შაჰმა შეუსრულა სათხოვარი და ლუარსაბი ჩამოვიდა საქართველოში. სჯობდა, არ ჩამოსულიყო. ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა ნადირობისას. ვერ დაადგინეს, უბედური შემთხვევა იყო თუ წინასწარგანზრახული მკვლელობა. დაასკვნეს, სიმართლე ღმერთმა უწყისო.

როსტომი დაწყებულ საქმეს არ მოეშვა და დაღუპული ლუარსაბის ძმა გამოითხოვა ირანიდან, მაგრამ ბატონიშვილის დედამ შეიცხადა, ერთი შვილი მომიკლეს და ახლა მეორესაც მართმევენო; ეს როსტომმა იწყინა და ამასობაში ხსენებული ბატონიშვილი მოულოდნელად გამოესალმა წუთისოფელს.

ლოგინად ჩავარდნილ მეფეს, ცალი ფეხი უკვე სამარეში რომ ედგა, ქართლის ფეოდალებმა შეუთვალეს: სანამ თქვენ ცოცხალი ბრძანდებით, მეტი პატრონი ჩვენ არ გვინდა და თქვენს უკან კი არავის გავიბატონებთ, ჩვენი ბატონი ბედნიერი ყაენი არისო.

„ბედნიერ ყაენს“, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდა ქართლის ფეოდალთა ამგვარი სულისკვეთება. დამპყრობლებს მუდამ ახსოვდათ ძველისძველი სიბრძნე — დაქსაქსე და იბატონეო. ქართლი კი თავად იქსაქსებოდა. სეფიანთა ხელმწიფეს გარჯას უმცირებდნენ და აამებდნენ, ჩვენ სხვა ბატონი არ გვინდა, შენა ხარ ჩვენი ერთადერთი ბატონიო.

გამოხდება ხანი და ირანის ყულარაღასი მანსურ-ხან ბარათაშვილი ქართლის მეფესა და არაგვის ერისთავს შორის წარმოქმნილ კონფლიქტში მეფეს დაუჭერს მხარს და სეფიანთა ხელმწიფეს მოახსენებს: თავის დღეში საქართველო იმათგან აშლილი და აოხრებული არისო, მაგათ თუ სადავე დაანებეთ, დღეში ერთხელ ქართლსა და კახეთს ბატონი უნდა გამოუცვალოთო.

ასეა თუ ისე, როსტომ მეფის მიერ ტახტის მემკვიდრის ძიება, საბოლოოდ, წარმატებით დაგვირგვინდა. 1658 წელს როსტომის გარდაცვალების შემდეგ ქართლში გამეფდა ვახტანგ მუხრან-ბატონი, ძე მარაბდის ომში დაღუპული თეიმურაზისა.

აკად. ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „ვახტანგ მეხუთით ანუ შაჰნავაზით იწყება ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართლის სამეფო ტახტზე“.

ქართლის მეფის პოლიტიკის მთავარ მიზანს, როგორც ჩანს, წარმოადგენდა საქართველოს გაერთიანება, რაც ეწინააღმდეგებოდა ყიზილბაშთა და ოსმალთა ინტერესებს. 1639 წლის ზავის თანახმად, ირანი აღიარებდა ოსმალეთის უფლებას დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ოსმალეთი — ირანის უფლებას აღმოსავლეთ საქართველოზე.

ოსმალეთი, როგორც მოგეხსენებათ, გართული იყო ომებით ევროპაში და ირანისათვის არ ეცალა. რაც შეეხება ირანს, მას აღარ მოსდევდა ძველებური ძალ-ღონე ოსმალეთთან ჭიდილისა. ისპაანში ჩასული ევროპელ ხელმწიფეთა ელჩები სეფიანთა მბრძანებელს მოუწოდებდნენ, ოსმალეთთან ომი გაეჩაღებინა დაკარგული ტერიტორიების (ბაღდადი და სხვ.) დასაბრუნებლად. მაგრამ შაჰ-სულეიმანი ცივ წყალს გადაასხამდა ხოლმე საომარი პროექტებით აღჭურვილ ელჩებს, ოსმალეთის სულთანთან დადებული ზავის დაცვა და ქვეყნის მშვიდობა ათას ბაღდადს მირჩევნიაო.

მრჩევლებმა მოახსენეს, თუ რაოდენ დიდი საფრთხე იყო მოსალოდნელი ოსმალთაგან, როდესაც ისინი ევროპელებს დაეზავებოდნენ, ირანისათვის მოიცლიდნენ, მთელ ჯარებს დაძრავდნენ, შემოუტევდნენ და საუკეთესო პროვინციებს წაჰგლეჯდნენ. თქვენც არ მომიკვდეთ! შაჰ-სულეიმანი სულაც არ აღელვებულა. გულგრილი პასუხი გასცა: ჩემთვის სულერთია, რაც უნდათ, ის წაიღონ. ისპაანს მაინც არ დამიტოვებენო?

მართლაც რომ დრონი მეფობენ და არა მეფენიო. ძლევამოსილი შაჰ-აბასის შვილთაშვილი ისპაანსღა ებღაუჭებოდა.

ჯერ კიდევ შორს იყო სეფიანთა დინასტიის აღსასრული, მაგრამ მისი კონტურები უკვე მოჩანდა ჰორიზონტზე.

იმედგაცრუებულმა ქართლის მეფემ „ბედნიერი ყაენის“ უნებართვოდ მოჰკიდა ხელი საქმეს. ისარგებლა იმერეთში დატრიალებული არეულობით და თავისი უფროსი ვაჟი არჩილი წამოასკუპა იმერეთის სამეფო ტახტზე. ამ ამბავმა მყისვე გამოიწვია ოსმალთა შეშფოთება. სულთანმა ისპაანს ელჩი მიავლინა და საუკუნო ზავის დარღვევის გამო პროტესტი გაუცხადა ირანის შაჰს. ამ უკანასკნელმა კი შაჰნავაზ-ხანს უბრძანა, რომ ხელი აეღო იმერეთზე.

ვახტანგს დააცლევინეს იმერეთი, ხოლო არჩილს კახეთის სამეფო უბოძეს და გაამაჰმადიანეს.

„ჩემებრ ვინანი, სადა ვინანი ჩემთა მაშინდელთ სჯულთ გარდასვლასა? რად მოვიღორე, ვერ დავიღვარე სისხლი ქრისტესთვის, ვა ჩემს სწავლასა!“ — შემდგომში ასე მოთქვამდა მეფე-პოეტი თავისი ბიოგრაფიის მცდარი ფურცლისა გამო.

XVII საუკუნის 70-იან წლებში სეფიანთა ხელმწიფისათვის ცხადი შეიქნა, რომ ქართლის მეფის ზრახვები ირანის ინტერესებს არ ემთხვეოდა. ვახტანგი დიდი გავლენით სარგებლობდა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებში და ყიზილბაშთა ბატონობას ძლივსღა ითმენდა. ისპაანში არც ის ეპიტნავებოდათ, რომ ქართლ-კახეთი ფაქტობრივად გაერთიანებული იყო. ქართლს მამა განაგებდა და კახეთს — შვილი.

სეფიანთა სამეფო კარზე ქართლის მეფის დამხობის გეგმა მომწიფდა. ვახტანგს გადამტერებულმა ეთიმადოვლემ (ანუ პირველმა ვეზირმა) შეიხ ალი-ხანმა ხელმწიფეს ურჩია, რომ კახეთის მეფედ დაენიშნათ ერეკლე ბატონიშვილი, შვილიშვილი თეიმურაზ პირველისა, რომელიც ახლახან დაბრუნებულიყო რუსეთიდან. ყიზილბაშთა აზრით, ქართლსა და კახეთს შორის ომი ატყდებოდა, რითაც ისპაანი მოითბობდა ხელს. **ჟან შარდენის სიტყვით, ყიზილბაშებს ეწადათ, რომ „საქართველო საბოლოოდ დაეპყროთ და სავსებით დაემორჩილებინათ ეს ამაყი და ურჩი ხალხი, რომელიც ესოდენ მტკიცედ იცავდა ჯერ კიდევ შემორჩენილ მცირეოდენ თავისუფლებას“.**

ერეკლე ბატონიშვილს დიდი პატივით დახვდნენ ირანში და სეფიანთა ხელმწიფემ დააიმედა, ნურაფრის დარდი ნუ გექნება, წინაპართა ტახტს უეჭველად დაგიბრუნებთ, თუკი გამაჰმადიანდებიო.

ამასობაში კახეთის დიდებულნი არჩილს ჩააცივდნენ, შენს ცოლისძმას მისივე სამკვიდრო მამული დაუბრუნეო. აქეზებდნენ, შენ იმერეთში გადადი და იქ გაბატონდიო.

არჩილმა ყური ათხოვა კახეთის დიდებულთა რჩევას. ახალციხის ფაშას ესტუმრა, მრავალი ძღვენი მიართვა და კიდევ მრავალს დაჰპირდა, ოღონდაც ახალციხის ფაშას შუამდგომლობა გაეწია ოსმალეთის სულთანთან. ფაშამ არჩილს ურჩია, ქრთამი დიდვეზირსაც გაუგზავნეო.

ვახტანგ მეფემ კათალიკოსი დაადევნა ახალციხეში გადასულ პირმშოს, სიკვდილი მაცალე და მერე რაც გინდა, ისა ჰქენიო. მაგრამ არჩილმა არ ისმინა მამის ვედრება.

შეწუხებულმა ვახტანგმა ირანის შაჰთან შიკრიკი აფრინა და შეუთვალა: ჩემმა ვაჟმა მიღალატა, მე კი თქვენი ერთგული მონა ვარ და მთელი სიცოცხლე ასეთად დავრჩებიო. ახლა ხელმწიფის კარზე ჩამოვალ და თავს გავიმართლებო (ჟან შარდენის მიხედვით, არჩილის გადასვლა ახალციხეში თვით ვახტანგ მეფის მიერ იყო ნაკარნახევი. ამასვე ამტკიცებს ერთი იტალიელი მისიონერი).

„ბებერი მელა“, როგორც ეძახდნენ შაჰნავაზ-ხანს სეფიანთა სამეფო კარზე, შაჰ-სულეიმანმა ისპაანს იხმო.

ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, ვახტანგმა „შეპატიჯება ინანა და სხვებს დააბრალა, მაგრამ წასვლის მეტი ღონე აღარ იყო“. ქართლის მეფემ გიორგი და ლევან ბატონიშვილებს დაუბარა, მე რომ ყაენთან წავალ, თქვენ იესე ქსნის ერისთავს შეესიეთ და რაც ავი იყოს, ის უყავითო. შვილებმა პირნათლად შეასრულეს მამის დანაბარები. იესემ კი არც აცივა, არც აცხელა და ისპაანს გაეშურა საჩივლელად.

ყაზვინში დაყოვნებულ ვახტანგს აცნობეს, ქსნის ერისთავს ჩაუვლია და ყაენთან წასულაო. „თავად ავად იყო და მერმე ეს ამბავი დიაღ ეწყინა“, — გვაუწყებს ფარსადან გორგიჯანიძე.

ქართველი ფეოდალის საჩივარიღა აკლდა სახლიდან აყრილ მეფეს. ისპაანში ელოდა შეხვედრა შაჰ-სულეიმანთან.

ხსენებული ხელმწიფე ლოთობა-გარყვნილებას უფრო ეტანებოდა, ვიდრე სახელმწიფო საქმეებს. სიმთვრალეში სასტიკად სჯიდა სასახლის მოხელეებსა თუ ამირებს. განსაკუთრებულ სიამოვნებას ისა ჰგვრიდა, როდესაც ბრალდებულთ მის თვალწინ ასახიჩრებდნენ (მაგალითად, ხელ-ფეხსა ჰკვეთდნენ, ყურებსა და ცხვირს აჭრიდნენ, თვალებსა თხრიდნენ და სხვ.).

ისპაანამდე აღარ ჩაუღწევია ქართლის მეფეს. ხოშკარუს ქარვასლაში ჩაუსაფრდა სიკვდილი და შეაწყვეტინა მგზავრობა. თურმე ხოშკარუ ერქვა უკანასკნელ სადგურს მისი ცხოვრების საკმაოდ გრძელ გზაზე.

ყაზვინსა და ისპაანს შუა მდებარე ხოშკარუს ქარვასლაში კვდებოდა მეფე ქართლისა, ვინ იცის, სნეულებისგან თუ საწამლავისგან.

მის შთამომავლებსაც, ჩანს, დაებედათ სიკვდილი უცხო მხარეში.

ვახტანგის შვილთაგან არც ერთს არ დაუსრულებია თავისი სიცოცხლე სამშობლოში. ყველამ უცხო ცის ქვეშ დახუჭა თვალი.

არჩილი გარდაიცვალა მოსკოვში, გიორგი — ყანდაარში, ალექსანდრე, ლევანი და ლუარსაბი — ისპაანში.

მათი შვილებიც უიღბლო ვარსკვლავზე ყოფილან გაჩენილი: ალექსანდრე, ძე არჩილისა, აღესრულა რიგაში; ბაგრატ, ძე გიორგისა — ჰერათში; ალექსანდრე, ძე ლუარსაბისა — ყანდაარში; ლევანის ძეთაგან: ქაიხოსრო — ყანდაარში, ვახტანგი — ასტრახანში, სიმონი — მოსკოვში, როსტომი — გულნაბადში (ისპაანის მისადგომებთან).

ზოგი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა, ზოგიც ბრძოლის ველზე დაიღუპა. ზოგი დაკრძალეს ქრისტიანული წესით, ზოგიც — მაჰმადიანური წესითა, ზოგს კი საფლავის გათხრაც არ ეღირსა.

ხოლო ჩვენი წარსულის ფურცლებზე აღბეჭდილ ყველასთვის ნაცნობ და ძვირფას ტოპონიმებს, დიდგორი იქნება თუ მარაბდა, სამუდამოდ დაუმეზობლდნენ და გაგვიშინაურდნენ უცხოურნიც: ყანდაარი, გულნაბადი, ასტრახანი, ხოშკარუ...

ტყუილად როდი უთქვამს რუსთველს: სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსაო!